

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

(მონოგრაფია)

მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის

თბილისი, 2021

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

(მონოგრაფია)

მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის

ალექსანდრე რუსეცი - ავტორი - პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამის დოქტორანტი - ფსიქოლოგიის დოქტორი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი; პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების წევრი; პოლიტიკის მეცნიერებების საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

ოლღა დოროხინა - თანაავტორი - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი; კავკასიის რეგიონული უშიშროების ინსტიტუტის თანაკოორდინატორი; თბილისის მეტადიპლომატიის საერთაშორისო სკოლის დირექტორი.

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი - თამარ კიკნაძე - პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორი; საქართველოს პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის პრეზიდენტი

რეცენზენტი - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - **თემურ ჩილაჩავა**

რეცენზენტი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი - **მერი გაბედავა**

მონოგრაფია "მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის" შექმნილია შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის დოქტორანტთა მხარდამჭერი გრანტის პროექტის ჩარჩოში (გრანტის ნომერი PHDF-18-1147) და წარმოადგენს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო ნაშრომის "კონფლიქტის მართვის მეტაკოგნიციური თეორია: აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისიდან - აფხაზეთის უსაფრთხო თანასაზოგადოების განვითარებისაკენ" ჩარჩოში. მონოგრაფიას და სხვა გამოქვეყნებულ მასალებს შესაძლებელია გაეცნოთ საიტზე www.rav2021.com

მონოგრაფიის თანაავტორები - ფსიქოლოგიის დოქტორი და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი ალექსანდრე რუსეცკი და საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლის დოქტორი - ოლღა დოროხინა ამ ნაშრომს უძღვნიან აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ და ამ რეგიონიდან დევნილ ადამიანებს. განსაკუთრებით იმათ ხსოვნას, ვინც ვერ მოესწრო ამ კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციას. ყველა იმ ადამიანს, რომელსაც ესიზმრება მშვიდობიანი აფხაზეთი და იმ ნორჩ თაობას, რომელიც შესძლებს ახალი ურთიერთობების დამყარებას და ახალი აფხაზეთის უსაფრთხო თანასაზოგადოების შექმნას და განვითარებას.

მადლობის წერილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამების, კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის, შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერების ეროვნული ფონდის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს პარლამენტის, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის, დამოუკიდებელი ინტერნეტ-სტუდია „სალტეს“ მხარდაჭერით 2018 - 2020 წლებში ჩატარდა საკვალიფიკაციო კვლევა თემაზე - „კონფლიქტის მეტაკოგნიციური მართვის თეორია: პოლიტიკური კრიზისიდან - აფხაზეთის უსაფრთხო თანასაზოგადოების განვითარებისაკენ“. კვლევის შედეგად გამოქვეყნდა სტატიების ციკლი და წარმოდგენილი მონოგრაფია.

მონოგრაფიის ავტორები მადლობას უხდებიან დახმარებისთვის:

- პოლიტიკს მეცნიერებათა დოქტორს, საკვალიფიკაციო კვლევის ხელმძღვანელს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს - **თამარ კიკნაძეს;**
- განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს - ქალბატონ **ნუნუ მიცკევიჩს.**
- შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის გენერალურ დირექტოს - **ჯაბა სამუშიას** და მის წინამორბედს - **ზვიად გაბისონიას.**
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს - ისოტრიის დოქტორს - **როინ მეტრეველს;**
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერს - **ვახტანგ წივწივაძეს;** რექტორს - **კახაბერ კორძაიას;** ვიცე-რექტორს - **მარინა გედევანიშვილს;** მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელს **სესილი გოგიბერიძეს;** სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის დეკანს **ნანა ამირანაშვილს.**

- ცხუმ-აფხაზეთის აკადემიის პრეზიდენტს - მათემატიკური მეცნიერების დოქტორს - **თემურ ჩილაჩავას** და მის წინამორბედს - ისტორიის დოქტორს - **ოთარ ჟორდანიას**;
- საქართველოს პარლამენტის დიასპორის და კავკასიური პოლიტიკის კომიტეტის თავჯდომარეს - **ბექა ოდიშრიას** და კომიტეტის აპარატის და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებს.
- უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ზაპოროჟიეს ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოსოფიის დოქტორის - **მაქსიმე ლეპსკის**;
- სოფიის წმინდა კლიმენტი ოქრიდელის სახელობის სოფიის უნივერსიტეტის პროფესორს, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს - **ოგნიან მინჩევს**;
- ისტორიის დოქტორს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს - **მერი გაბედავას**;
- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს - **ნინო მინდიაშვილს**;
- პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორს, წმინდა ანდრიას სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორს - **ვალერი მოდებაძეს**;
- ფსიქოლოგიის დოქტორს, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს - **რამაზ საყვარელიძეს**;
- ფილოსოფიის დოქტორს - **ზაზა ფირალიშვილს**
- სტუდია „სალტეს“ დამფუძნებელს - **დავით ხარაიძეს**

მადლობას უხდით ასევე ჩვენი ოჯახის წევრებს, რომლებსაც მონოგრაფიის გამო ვაკლებდით ყურადღებას.

შინაარსი:

რეცენზიები

შესავალი

თავი I

1.1 აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის ეკონომიკა და გამოუყენებელი რესურსების ზოგიერთი შესაძლებლობა

1.2 წმინდა სიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის მოდელი

1.3 მეცნიერებათმცოდნეობის როლი აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში

1.3.1 მეცნიერებისა და კონფლიქტის ურთიერთზეგავლენის პრობლემა

1.3.2 მეცნიერების ეკონომიკა და ეკონომიკის მეცნიერება

1.3.3 ინტელექტუალური თავდაცვის სისტემები - როგორც ძალის გამოყენების ალტერნატივა

1.3.4 საქართველოს მეცნიერებათმცოდნეობის ინსტიტუტი

1.4 ამბივერტული მეცნიერების და განათლების როლი აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში და მშვიდობის კულტურის განვითარებაში

1.5 კვლევითი პროცესის ქრონოლოგიური მიმოხილვა

თავი II

2.1 პოლიტიკური პროცესების ხარისხის მართვის და შეფასების გამოუყენებელი შესაძლებლობები აფხაზეთის კრიზისთან მიმართებაში

2.1.1 პოლიტიკური კვალიტოლოგია

2.1.2 პოლიტიკური ესტიმეტოლოგია

2.1.3 „კონტრ-შეფასებები“ - შეფასებათა კონფლიქტები და მათი პოზიტიური ტრანსფორმაციის მნიშვნელობა

2.1.4 აფხაზეთის კრიზისის მართვისთვის საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრაქტიკული შესაძლებლობები

2.1.5 შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრობლემები და შესაძლებლობები

2.1.6 სახელმწიფო აუდიტის როლი STI-E სისტემის განვითარებაში

2.2 (P-STI-E) სისტემის ცნება და მისი შესაძლებლობები აფხაზეთის კრიზისის მართვაში

2.3 განათლების და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის როლი აფხაზეთის კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციაში

2.3.1 საქართველოს პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტის როლი

2.3.2 საქართველოს პარლამენტი და აფხაზეთის ჩიხის პრობლემა

2.3.3 კომიტეტის სხვა ფუნქციები და მოვალეობები

2.4 საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს როლი აფხაზეთის კრიზისის მართვაში

2.5 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების როლი რთული კრიზისების მართვაში (აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მაგალითზე)

2.5.1 აკადემიის ცნება და მისი კავშირი აფხაზეთთან

2.5.2 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების თანასაზოგადოებაში არსებული ვითარების მიმოხილვა

2.5.3 საქართველოს აკადემიათა თანასაზოგადოების ცნება და სოციოლოგია

2.5.4 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაძლებლობების ანალიზი

2.5.4.1 უცხოელი საპატიო წევრები

2.5.4.2 ყოველწლიური ანგარიშები

2.5.4.3 კომისიები და კომიტეტები

2.5.4.4 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცხადებული პრემიების ჩამონათვალი:

2.5.4.5 სმეა-ს კონფერენციების როლი პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საქმეში

2.5.4.6 მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე“

2.5.4.7 სამეცნიერო განყოფილებები და მათი შესაძლებლობები

2.5.4.8 აკადემიის სამშვიდობო პოლიტიკა რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე

2.5.4.9 აფხაზეთის სამი აკადემიის ფენომენი

2.5.4.10 აჭარის რეგიონული ცენტრის სპეციფიკა და გამოცდილება აფხაზეთისთვის

2.5.4.11 აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის როლი სმეა-ს სტრატეგიაში

2.5.4.12 ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია

2.5.4.13 აკადემიასთან არსებობული „ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო“

2.5.4.14 სმეა-ს ექსპერტიზის როლი სამშვიდობო პროცესებში

2.5.4.15 პოლიტიკური მეცნიერების და სმეა-თან დაკავშირებული ისტორიული შტრიხები

2.5.5 აკადემიური დიპლომატია - ოსტორია, რეალობა და პერსპექტივები

2.5.6 მეცნიერებათა აკადემიების თანასაზოგადოების განვითარების პარადიგმა საქართველოში

2.5.7 პოლიტიკის მეცნიერებების ეროვნული აკადემია

2.6 საერთაშორისო დონეზე არსებული პოლიტიკის მეცნიერების სფეროში მოღვაწე პროფესიული გაერთიანებები

2.7 საქართველოში არსებული პოლიტიკური მეცნიერების სფეროში არსებული პროფესიული გაერთიანებები:

2.8 აკადემიური თანასაზოგადოების სარედაქციო პოლიტიკა და პოლიტიკის მეცნიერების საკითხი

თავი III

3 „ერის ხერხემალი“ - კლასიფიკაციების ეროვნული ჩარჩო და მისი “როლი” აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მოუგვარებლობაში

3.1 კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს 2010 და 2019 წლის დოკუმენტების შედარებითი ანალიზი (პოლიტიკის მეცნიერებების ჭრილში)

- 3.1.1 დოკუმენტის ეფექტიანობის შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი
- 3.1.2 2010 და 2019 წლებში პოლიტიკის მეცნიერებების სტრუქტურის შედარებითი ანალიზი
 - 3.1.2.1 0702 პოლიტიკის მეცნიერებები (პოლიტოლოგია) (2010 წლის დოკუმენტის მიხედვით)
 - 3.1.2.2 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები Political Sciences and Civics
 - 3.1.2.3 0312 „პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები “
 - 3.1.2.4 პოლიტიკური ფილოსოფია
 - 3.1.2.5 პოლიტიკური ფსიქოლოგია
 - 3.1.2.6 საერთაშორისო ურთიერთობები
 - 3.1.2.7 საშინაო და საგარეო პოლიტიკის სპეციფიკა საქართველოსთვის
 - 3.1.2.8 პოლიტიკური კონფლიქტოლოგია
 - 3.1.2.9 „ნაციონალიზმის და ეთნიკურობის“ სპეციალობა
 - 3.1.2.10 „შედარებითი პოლიტიკა“
 - 3.1.2.11 პოლიტიკური ტექნოლოგიები და ინოვაციები
 - 3.1.2.12 ევროპოცენტრიზმის პრობლემა პოლიტიკის მეცნიერებებში
 - 3.1.2.13 0388 ინტერდისციპლინური კვლევები
 - 3.1.2.14 ინტეგრაციული პროცესების კვლევები
 - 3.1.2.15 უშიშროების თუ უსაფრთხოების სპეციალისტები?
- დასკვნა
- 3.2 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი“
- 3.3 საქართველოში და უცხოეთში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი
 - 3.3.1 საქართველოში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი
 - 3.3.1.1 საუნივერსიტეტო სერვისებთან არსებულ ინფორმაციასთან წვდომის პრობლემა პოლიტიკის მეცნიერებების - საბაკალავრო; სამაგისტრო და სადოქტორო (BA, MA, Doctoral) პროგრამების „საგზაო რუკა“

3.4 უცხოეთში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი

თავი IV

4.1 მეცნიერების განვითარების გენეზისი და პარადიგმები

4.2 მეტაპოლიტოლოგიის მორფოლოგია

4.3 მეტაპოლიტოლოგიის ცნება საერთაშორისო სამეცნიერო დისკურსში

4.4 ქართული მეტაპოლიტოლოგიური სკოლის მედიატორული რესურსი

4.5 მეტაპოლიტოლოგიის მეთოდების სინერგეტიკული ხასიათი

4.6 მეტაპოლიტოლოგიური არსენალის სტრუქტურა

4.7 მეტაპოლიტოლოგიის - პოლიტიკური კვლევების და ადმინისტრირების კლასიფიკატორის შექმნასთან დაკავშირებული რეკომენდაციების პაკეტი

4.8 ინსტიტუციონალური სერვისების პრობლემა

4.9 მეტაპოლიტოლოგია: პროფესიების დარგობრივი კლასიფიკატორი (საქართველოსთვის)

4.10 მეტადიპლომატია და პოლიტიკური კომუნიკაციის განსაკუთრებული როლი

4.11 მეტაპოლიტოლოგიური კადრების მომზადების აუცილებლობა

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

დანართი 1. ინსტიტუტის მიმართულებები და აქტივობა

დანართი 2. კვლევითი პროცესის ქრონოლოგიური მიმოხილვა

რეცენზია

ალექსანდრე რუსეცკის და ოლა დოროხინას მონოგრაფიაზე

„მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“

ნაშრომში წარმოდგენილია ახალი ცნება - „მეტაპოლიტოლოგია“, რომელიც აერთიანებს პოლიტიკის შესახებ არსებულ სამეცნიერო და იმ არასამეცნიერო ცოდნას, რომელიც ინტერესს წარმოადგენს მეცნიერებისათვის. შექმნილია კვლევითი მეთოდი - „მეტაპოლიტოლოგიური კვლევის დიზაინი“, რომელიც იძლევა პოლიტიკის კვლევების ჩატარების ახალ შესაძლებლობებს.

ავტორთა მიდგომები და მეთოდები წარმოადგენენ კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის ერთ-ერთ თეორიულ ბურჯს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციის მოდელირებისათვის და მიღებულ იქნეს შუალედური ხასიათის პრაქტიკული შედეგები.

საინტერესოდ მიმაჩნია ავტორთა მოსაზრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის როლის შესახებ აფხაზეთის მრავალწახნაგოვანი პოლიტიკური კრიზისის მოგვარების საქმეში.

პრობლემების უკეთესად დანახვისათვის ავტორები იყენებენ სინერგეტიკულ მიდგომებსა და ინტერდისციპლინურ პრინციპებს, რათა უკეთესად გადაიჭრას აღნიშნული კრიზისი რთული სისტემის კონკრეტული საკითხები.

მიმაჩნია, რომ ავტორთა მიერ შესრულებულია შრომატევადი, ორიგინალური სამუშაო, შესაბამისი საინტერესო დასკვნებით, რის გამო მონოგრაფია იმსახურებს მაღალ შეფასებას.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

თემურ ჩილაჩავა

რეცენზია

„მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“

ა.რუსეცკის და ო.დოროხინას მიერთ შექმნილი ერთობლივი მონოგრაფია წარმოადგენს ორიგინალურ გამოკვლევას, რომელიც გვაძლევს საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების განვითარების კომპლექსურ ანალიზს, სამეცნიერო კადრების მომზადებიდან თეორიული კონცეფციების ჩათვლით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში წამოყენებული არაერთი იდეა არის ინოვაციური და, ვფიქრობ, მათი პრაქტიკაში გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პოლიტიკური მეცნიერებების შემდგომ განვითარებას.

ნაშრომში, სპეციალურ ლიტერატურაში პირველად, მოცემულია პოლიტიკური მეცნიერებების განვითარების კომპლექსური ანალიზი ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და სამართლებრივ ქრილში; მეცნიერებათა აკადემიების თანასაზოგადოებაში არსებული ვითარება, უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შედარებითი ანალიზი და კრიტიკა.

ნაშრომი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის ანალიზს, რომელსაც დიდი რესურსი აქვს სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობის, სამეცნიერო დიპლომატიის განვითარების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ხელისუფლება არ იყენებს ამ რესურსს. პირიქით, აკადემია მუდმივად თვითგადარჩენის რეჟიმში იმყოფება. ვიზიარებ ავტორთა პოზიციას, რომ დიდი აკადემია საქართველოს რეინტეგრაციის პროცესის ავანგარდში უნდა იდგეს.

ავტორები აანალიზებენ რა აკადემიური ხასიათის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობას, ასკვნაან რომ ქვეყანაში არსებული სუსტი ეკონომიკური განვითარებისა და აკადემიური სფეროს ფინანსური მხარდაჭერის სიმცირის გამო, აკადემიურ სივრცეში ვერ ჩამოყალიბდა კონკურენტის მერიტოკრატიული მოდელი, რაც ამ რესურსების გაფლანგვას იწვევს. ამას თან ერთვის მერკანტილიზმი, პოლიტიკური კონიუქტურა და სამეცნიერო ელიტას შორის იდეური კონფრონტაცია. ერთი სიტყვით, სამშვიდობო პროცესების მართვის პოლიტიკის ეფექტიანობა პირდაპირაა დამოკიდებული საზოგადოებაში არსებული რესურსების მობილიზაციასა და ოპტიმალურად გამოყენებაზე.

ყურადღებას იმსახურებს კავკასიის სამეცნიერო ელიტების თანამშრომლობისა და დაახლოების საფუძველზე, სტრატეგიულ მომავალში, „კავკასიის თანასაზოგადოების“ მოდელის შექმნის იდეა. მიმდინარე ეტაპზე, როდესაც აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობა ასე დაძაბულია, შეიძლება ეს პროექტი უტოპიურად ჩანდეს, მაგრამ ისტორიამ დაპირისპირებულ მხარეთა ეკონომიკური და სამეცნიერო თანამშრომლობის არაერთი მაგალითი იცის.

ავტორთა ნაშრომში ეხება ფრიად სენსიტიურ თემას - სმე აკადემიაში აფხაზეთის განყოფილების შექმნის საკითხს. პრობლემა სწორადაა დასმული და იმედი გვაქვს, ის

სტრუქტურები, რომელთაც ხელეწიფებათ ამ საკითხის გადაჭრა მიიღებენ სათანადო გადაწყვეტილებას.

ვეთანხმები ავტორთა მოსაზრებას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტის პროექტზე მუშაობა უნდა ხდებოდეს სამეცნიერო საზოგადოებასთან მჭიდრო კომუნიკაციის პირობებში. იმედია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2021 წელს ახალი სტრატეგიის შემუშავებისას უფრო აქტიურად ითანამშრომლებს აკადემიურ საზოგადოებასთან, პირველ რიგში სმე აკადემიასთან.

თავში „მეცნიერება-განათლების ხერხემალი - კლასიფიკაციების ნორმატიული რეგულირების პრობლემა“ - პირველად გაანალიზებულია უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პოლიტიკური მეცნიერებების ნაწილი, შედარებულია სამი ნორმატიული აქტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #120/ნ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, ბრძანება №69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი) და შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის „სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი“. ავტორები წინა პლანზე წევენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ტერმინოლოგიური პრობლემა, სვამენ კითხვებს კვალიფიკაციების დასახელებების მართებულობასთან დაკავშირებით.

ჩემი აზრით, ნორმალურია, როცა განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და სამეცნიერო მიმართულების კლასიფიკატორები არ ემთხვევიან ერთმანეთს. პირველი ასახავს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას და ის ვერასოდეს ვერ მოიცავს ვიწრო დარგობრივ მიმართულებებს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უკვე დაიწყო უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნა. იმედია, ასეთი საბჭო შეიქმნება პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებითაც და დარგის სპეციალისტები შეძლებენ უფრო დახვეწილი ნორმატიული ბაზის შექმნას.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბებამ, განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა განათლების სისტემის დახვეწასა და სრულყოფაში, კომერციული უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობა სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია, რაც, უდავოდ, პროგრესული მოვლენა იყო.

ნაშრომში წარმოდგენილია „საქართველოში და უცხოეთში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი“, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნაჩვენებია პოლიტიკის მეცნიერებების ქართულ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციებს შორის არსებული განსხვავებები. სწორია ავტორთა მოსაზრება, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, მაგისტრატურის დონეზე მაინც, აუცილებლად უნდა იყოს რეგიონის კვლევები წარმოდგენილი. მაგალითად, 2005-2010 წწ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდებოდა სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები და შავი ზღვის აუზი“, რომელიც კონცენტრირებული იყო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებზე. ეროვნული

ჩარჩოს შექმნის შემდეგ ეს პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამით ჩანაცვლდა.

მწელია არ დაეთანხმო ავტორთა მტკიცებას, რომ ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში სამშვიდობო პროცესების ხელშემწყობი საგანმანათლებლო პროგრამების არ არსებობა, ხელს არ უწყობს სამშვიდობო პროცესს. ამ დებულების გასამყარებლად მაგალითად მოვიტან ევროპისა და აშშ უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებს: „მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევა (Peace and Conflict Studies, მაღმოს უნივერსიტეტი; „მშვიდობის მშენებლობა და განვითარება, Peacebuilding and Development, აღმოსავლეთ მენონიტეს უნივერსიტეტი, ვირჯინია, აშშ და ბევრი სხვ.). განსაკუთრებით აქტიურობს ამ მხრივ ისრაელი და გერმანია. ქვეყანას, რომელსაც აქვს ორი კონფლიქტური რეგიონი, დაპირისპირებული მხარეების ურთიერთდაახლოებისა და ნდობის აღდგენის სტრატეგიული გეგმა, აუცილებლად სჭირდება ამ პროცესის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

ავტორები გამოთქვამენ ასევე მოსაზრებებს პოლიტიკური მეცნიერებების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ და ბრუნვაში შემოაქვთ ნეოლოგიზმი - „მეტაპოლიტოლოგია“. ნაშრომის არქიტექტონიკა, მთელი მსჯელობა ერთ მიზანს ემსახურება - წარმოაჩინოს პოლიტიკური ფილოსოფიის კომპლექსური ხასიათი, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს როგორც პოლიტიკის, ასევე ინტერ და ტრანსდისციპლინური კვლევების მთელ სისტემას. ავტორები ასაბუთებენ მეტაპოლიტოლოგიის ახალი პარადიგმის გამოყენების აუცილებლობას. დასავლეთის სამეცნიერო წრეების დისკურსში უკვე დამკვიდრდა მიმართულებები: მეტამეცნიერება, მეტაპოლიტიკა, პოლიტიკის მეცნიერებების მეტა-ანალიზი (Lauren Copeland, Shelley Boulianne (2020). Political consumerism: A meta-analysis; Ico Maly (2020) Metapolitical New Right Influencers: The Case of Brittany Pettibone). ავტორები საკითხის ღრმა ცოდნით განიხილავენ მეტაპოლიტოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს. ქართულ სამეცნიერო დისკურსში მეტაპოლიტოლოგიის კონცეფციის შემოტანა ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ ა. რუსეცკის და ო.დოროხინას მონოგრაფია არის ორიგინალური ნაშრომი, რომელსაც აქვს როგორც თეორიული, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ის მკითხველს სთავაზობს თავის ხედვას საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დონეზე სისტემური ცვლილებების განხორციელების შესახებ, რის გარეშეც შეუძლებელია პოლიტიკური კრიზისების მართვა და ტრანსფორმაცია. იმედი მაქვს, ნაშრომში პედალირებული აქტუალური საკითხები, მიიქცევენ აკადემიური წრეების ყურადღებას და შედგება ჯანსაღი დისკუსია მათ გადასაჭრელად.

მერი გაბედავა

ისტორიის დოქტორი,

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია,

აკადემიკოსი

წინასიტყვაობა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამების, პარტნიორი უნივერსიტეტების და შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერების ეროვნული ფონდის მხარდაჭერით 2017 - 2020 წლებში ჩატარდა სადოქტორო საკვალიფიკაციო კვლევა თემაზე **„კონფლიქტის მეტაკოგნიციური მართვის თეორია: აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისიდან - აფხაზეთის უსაფრთხო თანასაზოგადოების განვითარებისაკენ“**. დისერტაციის მთავარი ტექსტის გარდა გამოქვეყნებულია 9 სტატია, და მონოგრაფია - **„მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“**.

მონოგრაფიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ორიენტირებულია მეცნიერებზე, ჟურნალისტებზე, განათლების მართვის მენეჯერებზე, სტუდენტებზე, პოლიტიკოსებზე და საზოგადო მოღვაწეებზე.

ავტორების აზრით, აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მოუგვარებლობის მიზეზები არ არის სათანადოთ გამოკვლეული და ამ თვლასაზრისით დიდი როლი ეკისრება სამეცნიერო საზოგადოების და განათლების მართვის სისტემის წარმომადგენლებს.

„მეტაპოლიტოლოგიური არსენალი“ წარმოადგენს გამოუყენებელი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელთა გამოყენების შემთხვევაში გაიხსნებოდა შესაძლებლობები ამ და სხვა პოლიტიკური კრიზისების პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესების დაჩქარებას.

მონოგრაფია წარმოდგენს სადისერტაციო ნაშრომის ჩარჩოში ჩატარებული კვლევების მხოლოდ ერთ მაგალითს. დანარჩენი ნაშრომები შეგიძლიათ იხილოთ საიტზე **www.rav2021.com**.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები იმ სოციალური ინსტიტუტების მიმართულებით, რომლებიც უნდა ინაწილებდნენ პასუხისმგებლობას მიმდინარე პოლიტიკური კრიზისების მოუგვარებლობაზე.

მონოგრაფიის მოკლე მიმოხილვა

სახელწოდებაში წარმოდგენილია ახალი ნეოლოგიზმი - „მეტაპოლიტოლოგია“, რომელიც განიხილება, როგორც პოლიტიკის მეცნიერებების გარშემო კონცენტრირებული „ცოდნის კაპიტალი“. მეტაპოლიტოლოგია წარმოადგენს მეტამეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს და ეს ასახულია მონოგრაფიის პირველ თავში. მეტამეცნიერება მეტაპოლიტოლოგია, წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური რესურსი, რომელიც მოითხოვს ეფექტიან გამოყენებას და ამაზე ზრუნავს მეცნიერებათმცოდნეობა. ამიტომ ეს მონოგრაფიაც განეკუთვნება მეტამეცნიერების სფეროში შესრულებულ ნაშრომს.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ისეთი გამოუყენებელი შესაძლებლობები, როგორცაა - სამეცნიერო/საგანმანათლებლო სერვისები, რომლებიც ემსახურებიან უშიშროების, თავდაცვის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის განზომილებებს და ხელს უწყობენ შესაბამისი სტრუქტურების მოდერნიზაციას და პროცესების მართვის ხარისხის ზრდას - საკონსულტაციო; ტექნიკური სერვისებით; ექსპერტიზით; დიაგნოსტიკით; პოლიტიკური პროცესების საკადრო უზრუნველყოფით და ა.შ.

საქართველოში მეცნიერებათმცოდნეობის კვლევების სიმცირე და პოლიტიკის მეცნიერებების განვითარებაში არსებული გაურკვევლობების მთელი კომპლექსი წარმოადგენს განათლების სისტემის მართვის ფუნდამენტურ ხარვეზს, რაც აისახება შემდგომში საკადრო კრიზისშიც.

კვლევამ დაადასტურა, რომ საკადრო კრიზისის მთავარი მიზეზებია:

- საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების მართვისთვის არსებული გაუმართავი ნორმატიული ბაზა და მართვის პოლიტიკა;
- მეცნიერების და ინოვაციების როლის იგნორირება ან არასაკმარისი გამოყენება;
- სასწავლო პროცესის დაგეგმარებაში და სწავლებაში არსებული გამოკვეთილი დეფექტები.

ყოველივე ამან შექმნა აფხაზეთის და სხვა „კომპეტენტური პატრონის გარეშე დარჩენილი“ პოლიტიკური კრიზისების სიმრავლე.

მონოგრაფიის მიზანია - პოლიტიკის მეცნიერებებში, ზოგადად მეცნიერებაში და განათლების პოლიტიკაში არსებული ინოვაციური და დღემდე გამოუყენებელი რესურსების გაცნობიერებით და მათი ეფექტურად მართვის მეშვეობით - პოლიტიკური კრიზისების პოზიტიური ტრანსფორმაციის ხელშეწყობა (აფხაზეთის კრიზისის მაგალითზე).

მონოგრაფიის ნავიგაცია

პირველი თავი - სამშვიდობო პროცესების ეკონომიკა და რესურსების მართვის პოლიტიკა

მონოგრაფიაში პირველად არის წარმოდგენილი სამშვიდობო პროცესის ეფექტიანობის დამოკიდებულება სამშვიდობო პროცესის ეკონომიკასთან.¹

სამშვიდობო ეკონომიკის ერთ-ერთ გამოუყენებელ სტრატეგიულ რესურსად წარმოდგენილია - მეცნიერება.

მონოგრაფიის პირველი თავის განსაკუთრებულობას წარმოადგენს მეცნიერებათმცოდნეობის როლის გამოკვეთა კრიზისების მართვის პროცესებში და ასევე მეტამეცნიერების ისეთი მიმართულების წარმოდგენა, როგორცაა - მეტაპოლიტოლოგია.

კონფლიქტების და კრიზისების ქრონიკული მოუგვარებლობის მიზეზებს (კონფლიქტების მართვის მეტაკოგნიციური თეორიის მიხედვით) წარმოადგენს მათი თვითნებური დეფორმირებული აღქმა და არასრულყოფილი (რედუქციონისტული) ინტერპრეტაცია, რაც განეკუთვნება პოლიტიკური ფსიქოლოგიის და კოგნიტივისტიკის კვლევების არეალს.

კონფლიქტების სურათის არაადეკვატურმა აღქმამ შექმნა შესაბამისი მოქმედებების ტალღა რომელმაც ხელი შეუწყო კვაზისამშვიდობო პროცესების სოციალური ფენომენის განვითარებას, რამაც გამოიწვია ნამდვილი სამშვიდობო პროცესების პარალიზება.

ამის ერთ-ერთი მიზეზია - სამეცნიერო დიაგნოსტიკის და ექსპერტიზის მექანიზმების არასაკმარისი გამოყენება სამშვიდობო პროცესების მოდელირების და წარმართვის პროცესში.

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს პროფესიონალების (მეცნიერების) აზრის გათვალისწინების გარეშე. სახელმწიფო მოხელეების უმრავლესობასა და საექსპერტო, აკადემიურ საზოგადოებას შორის წარმოიქმნა დიდი უფრსკული, რაც წარმოადგენს ორივე მხარის საკომუნიკაციო კულტურის დაბალი დონის შედეგსაც. განსაკუთრებით ეს შეეხებათ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც ერიდებიან ამ ტიპის კომუნიკაციებს და არიან ორიენტირებულნი მხოლოდ ვერტიკალურ, ზემოდან მომავალ დირექტივებზე, რაც ახასიათებს ტოტალიტარულ, პოსტტოტალიტარულ ან პრეტოტალიტარულ მართვის კულტურას.

მეცნიერების მიმართ სახელმწიფო მოხელეებში და საზოგადოებაში ზოგადად არსებული არასერიოზული დამოკიდებულება ეფუძნება იმ რეალობას, რომ მეცნიერება აღარაა პოპულარული და ეს არის შედეგი მრავალწლიანი მიზანმიმართული დივერსიული პოლიტიკის. ამის უკან დგანან კონკრეტული ინტერესთა ეროვნული და ტრანსნაციონალური ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებაში ინტელექტუალური წინამდევობის მექანიზმების შეჩერებას და ლობისტური პოლიტიკის გამარტივებას. მათი „მოღვაწეობის“ შედეგად საქართველომ განიცადა „ცოდნის კაპიტალის“ შექმნაზე ორიენტირებული

¹ <https://openscience.ge/bitstream/1/115/1/Aleksandre%20rusecki%20-Kvleva.pdf>

ეკონომიკის პოლიტიკის სრული კრახი და გეზი აირო ნეოკოლონიალური განვითარების პარადიგმისკენ.

ძალზე უარყოფით როლს თამაშობს ამ პროცესში თვით მეცნიერთა საზოგადოება. მას ახასიათებს წინააღმდეგობის, თვითორგანიზების და თვითმართვის კულტურის დაბალი დონე. მეცნიერთა ჯგუფებს შორის არსებული მოუგვარებელი კონფლიქტები ასევე წარმოადგენენ სერიოზულ ხელშემშლელ ფაქტორს. ეს ეხება როგორც პროფესიულ ნიადაგზე შექმნილ კონფლიქტებს, ასევე პოლიტიკური კონფლიქტების პროეცირებას მათ სოციუმზე.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, თუ მეცნიერება დაიბრუნებს ღირსეულ პოზიციებს საზოგადოებაში, განვითარდება არგუმენტირებული კრიტიკის კულტურა, შემცირდება თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებების კულტურა და პოლიტიკური განუკითხაობა.

სახელდობრ ეს გაზრდის პოლიტიკაში ჩართული ადამიანების სოციალური პასუხისგებლობის დონესაც. ამ თვალსაზრისით მეცნიერება და სახელდობრ მეცნიერული კრიტიკა წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის და უშიშროების ერთ-ერთ უმთავრეს იარაღს.

კვლევაში მეცნიერება წარმოდგენილია როგორც საზოგადოების კეთილდღეობის, მისი პრობლემების მოგვარების და სახელდობრ - სამშვიდობო პროცესის ეფექტურად მართვის სტრატეგიული რესურსი.

წარმოდგენილია ასევე, მეცნიერების ეფექტურად მართვის (თვითმართვის) ინსტიტუციონალური მექანიზმი - **მეცნიერებათმცოდნეობის ინსტიტუტის** შექმნის იდეა.

მეცნიერების წინა პლანზე წამოწევა ასევე გვადლევს შესაძლებლობას რომ გავზარდოთ საგანმანათლებლო პროცესის ლეგიტიმაციის და ხარისხის დონე არსებულ პრობლემებთან მიმართებაში.

მეცნიერების და განათლების ეფექტიანი თანამშრომლობის სისტემა მოგვცემდა პრობლემების მოგვარებისთვის აუცილებელი კადრების მომზადების და გამოყენების შესაძლებლობას.

პოლიტიკის მეცნიერებების როლი კონფლიქტების მოგვარებაში

ამ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ პოლიტიკის მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებზე კონფლიქტების და კრიზისების მართვის საკითხში.

სამშვიდობო პროცესების დაბალი ეფექტიანობა (სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად) დამოკიდებულია პროცესის საკადრო უზრუნველყოფაზე და ჩართული პროფესიონალების კვალიფიკაციის დონეზე. ამავე დროს მათი კომპეტენციის ხარისხი დამოკიდებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმარების და განხორციელების ხარისხზე.

მონოგრაფია ასევე მიემდგნა სამშვიდობო პროცესების მართვის სფეროში არსებული ტექნოლოგიების და მათი საკადრო უზრუნველყოფის პოლიტიკის ანალიზს. კონკრეტულად

კი საქართველოში და საერთაშორისო დონეზე არსებული გამოცდილების კვლევებს. განხილულია შემდეგი დოკუმენტები:

- 2014 წლის სახელმწიფო აუდიტის დოკუმენტი;
- „მეცნიერება-განათლება-მართვის სისტემის ხერხემალი“ - კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები - #120/ნ, 10/12/2010, №69/ნ, 10/04/2019) და მასში წარმოდგენილი ის სტრუქტურა, რომელიც ეხება პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში სპეცილისტების მომზადებას.
- ჩატარდა საერთაშორისო დონეზე არსებულ ანალოგიურ დოკუმენტებთან მათი შედარება და ანალიზი;
- საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების კულტურის კომიტეტის მოღვაწეობის ამსახველი ინფორმაციის და ანგარიშების ანალიზი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზი;
- შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის „სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის“ ანალიზი;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზი;
- პოლიტიკის მეცნიერების სფეროში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არასახელმწიფო სექტორში მოღვაწე პროფესიული გაერთიანებების, კვლევითი ცენტრების და სხვა ტიპის ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვა;
- ჩავატარეთ ცალკეულ კვლევებში მიღებული ინფორმაციის შედარებითი ანალიზი.

ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის პრაქტიკული გამოყენების მიზნით, შეიქმნა რეალიზაციისათვის მომზადებული შემდეგი პროექტების სიმრავლე:

- საქართველოს მეცნიერებათმცოდნეობის ინსტიტუტი
- აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტი
- წმინდა ირინეს სახელობის მშვიდობის ინსტიტუტი
- შეიქმნა და დაინერგა ახალი სილაბუსები შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, წმინდა თამარის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტი, წმინდა ანდრიას სახელობის საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი
- სტუდია „სალტეს“ დახმარებით შეიქმნა მაღალი რანგის ექსპერტების ინტერვიუების ინოვაციური „ტელემეცნიერების“ ტექნიკა - დავაარსეთ სპეციალური გადაცემა - „მეცნიერება და ინოვაციები“.

კვლევის შედეგებმა დაგვიდასტურა, რომ

1. საქართველოს კვალიფიკაციათა ჩარჩოში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების - პროფესიების, სპეციალობების, სპეციალიზაციების და ვიწროსპეციალიზაციების

სტრუქტურა არ უწყობს ხელს საქართველოს პოლიტიკური პროცესების (სახელდობრ - სამშვიდობო პროცესების) უზრუნველყოფას შესაბამისი კადრებით.

2. განხილულ დოკუმენტში წარმოდგენილი შეცდომები ატარებენ ქრონიკულ ხასიათს რაც შეიძლება იყოს შემთხვევითი ან მიზანდასახული მოქმედებების შედეგი, რაც უქმნის სტრატეგიულ საფრთხეს საქართველოს ეროვნული უშიშროების ინტერესებს და მოითხოვს საგანგებო ტრანსფორმაციას.
3. აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციისათვის აუცილებელია ადეკვატური სისტემური ცვლილებები, ნორმატიული ბაზის შექმნა, მართვის სისტემების ტრანსფორმაცია, პოლიტიკის პროფესიული კლასიფიკაციების მეტაჩარჩოს შექმნა და შესაბამისი დონის პოლიტიკის მეცნიერებების სპეციალისტების მომზადება.

გამომდინარე იქედან რომ საუბარია პოლიტიკურ კრიზისზე, მოცემულ მონოგრაფიაში საგანგებოდ არის გამოყენებული ზემოთ წარმოდგენილი პრობლემების მოგვარებისთვის - პოლიტიკის მეცნიერებების და სხვა მეცნიერებების შესაძლებლობების ანალიზი.

მეთოდოლოგიურ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მონოგრაფიაში წარმოდგენილია ახალი ცნება - „**მეტაპოლიტოლოგია**“, რომელიც აერთიანებს პოლიტიკის მეცნიერებებში შემავალ და მის ორბიტაზე მყოფ სამეცნიერო და არასამეცნიერო დისციპლინებს. შექმნილია „**მეტაპოლიტოლოგიური არსენალის**“ ცნება, რომელიც აერთიანებს ამ შესაძლებლობებს და „**მეტაპოლიტოლოგიური კვლევის დიზაინი**“, როგორც კვლევითი მეთოდი. განათლების პროცესის თეორიული უზრუნველყოფის მიზნით, მონოგრაფიაში არის წარმოდგენილი „**მეტაპოლიტოლოგიური პროფესიების კლასიფიკატორის**“ მოდელი, რომელიც შესაბამისი (ინტერდისციპლინური) ექსპერტიზის და კორექციის შედეგად, შესაძლებელია დაინერგოს პროფესიული კლასიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს დოკუმენტში. მნიშვნელოვანია რომ პირველად საქართველოში არის გამოყენებული პოლიტიკის მეცნიერებათმცოდნეობის შესაძლებლობა და მომზადდა ნიადაგი იმისთვის რომ შეიქმნას „**მეტაპოლიტოლოგიის მენეჯმენტის**“ ახალი პროფესიული მიმართულება. ამ დარგის განვითარების პარადიგმათა კვლევებისათვის შეიქმნა მუდმივმოქმედი „**მეტაპოლიტოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის**“ პროექტი.

მონოგრაფიის ჩარჩოში შექმნილია საქართველოს კვალიფიკაციების ეროვნული დოკუმენტის ის ფრაგმენტი, რომელიც შეეხება უშუალოდ - პოლიტიკის მეცნიერებების (**მეტაპოლიტოლოგიის**) სფეროს სპეცილისტების მომავალი თაობის მომზადებას.

ნაშრომში წარმოდგენილია „**მეტაპოლიტოლოგიური არსენალის**“ ცნება, როგორც სამეცნიერო და არასამეცნიერო ცოდნის ეფექტური გამოყენების სტრატეგიული რესურსი კომპლექსური პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საქმეში.

მეცნიერებს გაუჩნდათ ახალი შესაძლებლობა უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ ამ ტიპის პრობლემების მოგვარებაში - „**მეტაპოლიტოლოგიური კვლევის დიზაინი**“. ეს მეთოდი

იმლევა კვლევების შერჩეული სიმრავლის ჩატარების და მიღებული შედეგების სინთეზირების შესაძლებლობას.

წარმოდგენილი ინოვაცია უწყობს ხელს მეცნიერების ამ დარგის განვითარების ახალი - **მეტაპოლიტოლოგიური პარადიგმის** გააქტიურებას.

ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომები და მეთოდები წარმოადგენენ **კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის** ერთ-ერთ თეორიულ ბურჯს, რომელიც გამოვიყენეთ და დავნერგეთ **აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის** პოზიტიური ტრანსფორმაციის მოდელირებისათვის და მივიღეთ პრაქტიკული შედეგები.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი; სამშვიდობო პროცესის ეკონომიკა; „ცოდნის კაპიტალი“; მეცნიერებათმცოდნეობა; მეტამეცნიერება; მეტაპოლიტოლოგია; პოლიტიკური პროფესიების დარგობრივი კლასიფიკატორი.

თავი I

1.1 აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის ეკონომიკა და გამოუყენებელი რესურსების

ზოგიერთი შესაძლებლობა

სამშვიდობო პროცესი წარმოადგენს (კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის მიხედვით) - **მეტამშვიდობის** მდგომარეობის მიღწევისათვის დასახული ამოცანების ამოხსნას.

მეტამშვიდობა (ამავე თეორიის მიხედვით) წარმოადგენს არა ცალკეული მონაწილე-სუბიექტების - “სუბიექტურ მშვიდობებს”, არამედ ისეთ მდგომარეობას, რომელიც იტევს საკუთარ თავში მათი „მშვიდობების სიმრავლეს“. ანუ, ეს არის ხარისხობრივად ახალი ცნება - „მშვიდობის მშვიდობა“, რომელიც ამშვიდებს „სუბიექტურ მშვიდობებს“ და აგვარებს მათ შორის არსებულ კონფლიქტს. ამ ამოცანის რეალიზაცია წარმოადგენს რეალობას, გამომდინარე იქედან, რომ კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის თანახმად, ჩვენ ვეყრდნობით ამ შემთხვევაში **პოლიტიკური სინკრეტიზმის** პრინციპებს, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას, რომ ჩვენ **ერთიან პოლისტურ მოდელში მოვათავსოთ რედუქციონისტული კონტრ-მოდელები.**

სამშვიდობო პროცესი წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის სახეობას. ჩვენს მონოგრაფიაში განვიხილავთ კონკრეტულად = აფხაზეთის პოლიტიკურ კრიზისს და მის მოუგვარებლობის მიზეზებს.

მშვიდობის ცნება **დიალექტიკურ** წინაამდგეობაშია კონფლიქტის, ომის, კრიზისის და ა.შ. ცნებებთან. ამიტომ მოძრაობა მშვიდობისაკენ შეუძლებელია თუ არ ვითვალისწინებთ მის პარალელურად მიმდინარე კონფლიქტის პროცესს. ამავე დროს - სამშვიდობო პროცესი წარმოადგენს კონფლიქტის პროცესიდან წარმოებულ საპროტესტო მუხლით დატვირთულ წინაამდგეობის მოძრაობას.

შეიძლება ვთქვათ, რომ სამშვიდობო პროცესი ან მოძრაობა ქმნის მეორე დონის კონფლიქტს, რომელიც მიმდინარეობს ახალ სუბიექტსა და პირველი დონის კონფლიქტის მონაწილეებს შორის. ამ ახალ სუბიექტს ქმნის სოციუმის ის ნაწილი, რომელიც არ ეგუება პერმანენტულ კონფლიქტს და მოითხოვს ახალი წესების დამყარებას. პირველი დონის ანტაგონისტურ მხარეებს დაპირისპირება ანიჭებთ სოციალურ სტატუსს და პრიველეგიებს, ამიტომ ისინი ცდილობენ, რომ შეინარჩუნონ „სტატუს-კვო“. მათ არ აწყობთ ახალი იდეები ისინი ორიენტირებულები არიან ბრძოლაზე. ან გამარჯვებაზე, ან კონფლიქტის გახანგრძლივებაზე. მიუხედავად იმისა რომ ისინი ვერ იტანენ ერთმანეთს, ახალ გამოჩენილ სუბიექტთან მიმართებაში ისინი არიან ერთმანეთის არადეკლარირებული მოკავშირეები.

სამშვიდობო პროცესს სჭირდება დიდი ეკონომიკური რესურსი იმისთვის რომ შეცვალოს არსებული პარადიგმა, იმიტომ რომ ამ პარადიგმაში ჩართულია თანასაზოგადოების ტოტალური ნაწილი.

სამშვიდობო პროცესების ეკონომიკა, მეტაკოგნიტური მართვის თეორიის მიხედვით, წარმოადგენს იმ „მეურნეობის“ მოვლას, რომელიც ემსახურება საერთო მშვიდობის იდეას. ეს არის მატერიალური და არამატერიალური რესურსების მართვის სპეციფიკური კულტურა.

მაგალითად, არამატერიალური რესურსის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ლიუის კოზერის „კონფლიქტების საერთო თეორია“, რომლის მიხედვითაც კონფლიქტს ენიჭება პოზიტიური ფუნქცია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სწორი და გააზრებული პოლიტიკის შედეგად კონფლიქტის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ მეტამშვიდობის ისეთ მდგომარეობას, რომელიც სრულიად ახალი ხარისხის განვითარების მაგალითს წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, თვით კონფლიქტიც წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის სტრატეგიულ რესურსს და ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ამავე დროს უჩვეულო კონოტაციაა გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს, როგორც კოზერის მიხედვით რეგრესიული ტიპის საზოგადოებისთვის ცნება „კონფლიქტი“ ასოცირდება მხოლოდ ომებთან, ტრაგედიებთან და კატასტროფებთან. მაგრამ ეს ვითარება შეიძლება შეიცვალოს საზოგადოების **პოლიტიკური და ფსიქოლოგიური განათლების** შედეგად. საქართველო უნდა გახდეს პროგრესული და პლურალისტური ქვეყანა იმ დოზით, რომელიც იძლევა გარანტიას მისი უსაფრთხო განვითარების.

ცნება - „სამშვიდობო პროცესის ეკონომიკა“ ან „სამშვიდობო პოლიტიკის ეკონომიკა“ ცვლის დამოკიდებულებას პროცესების მიმართ და დომინირებული ნიჰილისტური დისკურსის ნაცვლად ქმნის ახალი ოპტიმისტური დისკურსის განვითარებისათვის მყარ ნიადაგს. იქმნება ახალი სუბიექტი, რომელიც მარადდება ახალ-ახალი კადრებით. თუ ალტერნატიული განვითარების მოდელი - ნათელია, იწყება **„კოგნიტური რევოლუცია“**. ეს რევოლუცია ქმნის სრულიად ახალ შესაძლებლობებს. მაგრამ ამის გააზრებისთვის და გაცნობიერებისთვის აუცილებელია ახალი მეტაკოგნიტური უნარჩვევების შექმნა. მეტაკოგნიცია წარმოადგენს ამ თვალსაზრისით ფუნდამენტურ არამატერიალურ რესურსს და იარაღს.

შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ თუ რაოდენ გრანდიოზული შეიძლება იყოს „კონფლიქტური თანასაზოგადოების“ შესაძლებლობები თუ სამშვიდობო პროცესში სრულყოფილად ჩაერთვება მეცნიერება. ხდება უნიკალური რამ - **დიალექტიკური პარადიგმის ჩანაცვლება ტრიალექტიკური პარადიგმით.**

ამ პარადიგმის მესამე ელემენტია - **ახალი სუბიექტი**, რომელიც წარმოადგენს სისტემას, რომელიც შედეგადად სხვადასხვა ელემენტებისგან და მათ შორის უნიკალური კავშირებისგან. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, ეს არის -მეცნიერება.

კონფლიქტების მეტაკოგნიტიური მართვის თეორია ითვალისწინებს სხვადასხვა მეცნიერებაში არსებული შესაძლებლობების კომპლექსურ შეფასებას და აღრიცხვას. მეცნიერების ყოველივე დარგმა უნდა წარმოადგინოს თავისი შესაძლებლობები სამშვიდობო პროცესის გაძლიერებისათვის. ანუ - მეცნიერება ასევე წარმოადგენილია როგორც კომპლექსური - რთული სისტემა. ამ რთული სისტემის ერთ-ერთი რთული ქვესისტემაა - პოლიტიკური მეცნიერებები და მათი შესაძლებლობები, რაზეც გამახვილდება ყურადღება ნაშრომის მომდევნო თავებში.

ჩვენი მიდგომა გულისხმობს სამეცნიერო რესურსების გაერთიანებული ძალების სამშვიდობო პროცესში მშვიდობიან „ინტერვენციას“ და ამ პროცესის დემოკრატიზაციას.

სამშვიდობო პროცესის დემოკრატიზაცია წარმოადგენს უპირველესყოვლისა:

- პროცესის ტრანსპარენტულობის ხარისხის ზრდას;
- კონფლიქტის დინამიკის და სამშვიდობო პროცესის სამეცნიერო კომპლექსურ აუდიტს, შეფასებას და დიაგნოსტიკას;
- ახალი გეგმის ან რეკომენდაციების პაკეტის წარმოდგენას;
- კონფლიქტის მონაწილე მხარეების და სუბიექტების დადგენას, დისკრიმინირებული სუბიექტების უფლებების და ინტერესების დაცვას და მათ ინტეგრაციას სამშვიდობო პროცესში;
- პროცესში სამოქალაქო საზოგადოების (და პირველ რიგში სამეცნიერო საზოგადოების) ინტეგრაციას.

ამ მიმართულებით, 2005-ში, კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, ჩაატარა კონფერენცია და გამოსცა ანგარიში.²

“მეცნიერების ინტერვენცია სამშვიდობო პროცესში“, როგორც ინოვაციური მიდგომა სცილდება პოლიტიკის მეცნიერებების ტრადიციულ მიდგომებს და ახდენს მასში ყველა დანარჩენი მეცნიერების დარგების ინტეგრაციას. ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური მეცნიერებები იყენებენ საკუთარ რესურსებს და ასევე სხვა მეცნიერებაში არსებულ რესურსებს. ამ შემთხვევაში ჩვენი **ამოცანაა** - სხვადასხვა დარგის მეცნიერებაში არსებული გამოყენებული და გამოუყენებელი რესურსების შეფასება და მათი ინტეგრაცია აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში, რაც წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის სტრატეგიულ კაპიტალს და გამომდინარე აქედან - ეკონომიკურ ამოცანას.

მრავალფეროვანი პოლიტიკური პროცესების ეკონომიკის კვლევებს ტრადიციულად წარმოადგენდა - **პოლიტიკური ეკონომია**. ამ მიმართულებით საქართველოში ინტერესს

² ДЕМОКРАТИЧЕСКИЕ ЦЕННОСТИ И РОЛЬ ГРАЖДАНСКОГО ОБЩЕСТВА В ПОВЫШЕНИИ ЭФФЕКТИВНОСТИ ПЕРЕГОВОРНЫХ ПРОЦЕССОВ, Материалы международной встречи экспертов, SCIRS, 2005, http://hca.ge/wp-content/uploads/2017/06/Scirs_Democrat_.pdf

წარმოადგენს თსუ პროფესორის, ეკონომიკის დოქტორის - ინგა ბალარჯიშვილის შრომები და სახელმძღვანელოები.³

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პროცესების ეკონომიკური კვლევების გამოყენებითი კომპონენტი საქართველოში განვითარებული არარის. ასევე ფაქტს წარმოადგენს ის რომ ჩვენ ამ მიმართულებით და სპეციალიზაციით კადრებს არ ვამზადებთ, რაც ნათლად ასახული კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში. პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება ეკონომიკის მეცნიერების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. პოლიტიკური კონფლიქტების დიდი ნაწილი დაიყვანება ეკონომიკურ ინტერესებთან, ამიტომ ეკონომისტების სპეციალური მომზადება და ჩართვა სამშვიდობო პროცესში წარმოადგენს სტრატეგიული ხასიათის ამოცანას.

ამავე დროს, ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, სახელდობრ - რუსეთის ფედერაციაში. განსაკუთრებით კი იმ უნივერსიტეტებში, სადაც მზადდებიან დიპლომატები.⁴

სამეცნიერო დისკურსში წარმოდგენილია ორი ცნება - „კონფლიქტის ეკონომიკა“ და „მშვიდობის ეკონომიკა“.

ჩვენ მონოგრაფიაში წარმოდგენილია:

- პოლიტიკური კონფლიქტის/კრიზისის ეკონომიკა
- სამშვიდობო პროცესის ეკონომიკა

თეორიული მოსაზრებების პრაქტიკული გამოყენებისათვის, ერთის მხრივ, კონფლიქტში ჩართული თანასაზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა აღვრიცხოთ და შევამციროთ კონფლიქტის მსვლელობით მიყენებული ზარალი, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენ

³ „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“//საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2014; ბალარჯიშვილი ი., „რაციონალური არჩევანის პრობლემა პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ ბაზრებზე“. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #6, 2013.; ბალარჯიშვილი ი., „სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური ასპექტები“. სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, სექტემბერი, 2011; ბალარჯიშვილი ი., „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საზოგადოებრივი ხელშეკრულების პარამეტრების ცვლილება“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო“-მასალები. საერთაშორისო რევენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, სპეციალური ნომერი (1), 2011; ბალარჯიშვილი ი., „პოსტრევოლუციური საქართველო: კორუფციის ბაზარი და მოთხოვნა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე“. რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, #2, 2009; ბალარჯიშვილი ი., „ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ბარიერული ხასიათი - ტრანსპლანტაცია თუ ევოლუცია“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რევენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #1, 2008. და ბიზნესი“, #6, 2012.

⁴ Олейнов А.Г. Введение в экономический анализ политических процессов : учебное пособие / А. Г. Олейнов ; МГИМО(У) МИД России. – М. : Изд-во ЛКИ, 2008. – 143 с. – ISBN 978-5-382-00547-8.

უნდა გავაძლიეროთ სამშვიდობო პროცესის ეკონომიკა იმისთვის, რომ შევამციროთ კონფლიქტის უარყოფითი ზეგავლენა თანასაზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ამავე დროს ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რომ არსებობენ კონფლიქტის „გაყინვით“ ან ესკალაციით დაინტერესებული ეკონომიკური და პოლიტიკური აქტორები, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული ეკონომიკური ინტერესები. მაგალითად:

იარაღით, ნარკოტიკებით, კონტრაბანდული ტვირთებით, წიაღისეულით, ტრეფიკინგით, ადამიანის სხეულით და ორგანოებით ვაჭრობა. ასევე არიან ისეთებიც, ვისაც აქვს სოციალური სტატუსისთვის ბრძოლის ინტერესი და სხვა ფსიქოლოგიური არამატერიალური მოტივები. ეს შეიძლება იყოს - რევანში, შურისიება, ქსენოფობია და ა.შ.

ამის უკან შეიძლება იდგნენ კონკრეტული ოფიციალური ორგანიზაციები და ასევე კრიმინალური და ტერორისტული დაჯგუფებები.

კონფლიქტის ეკონომიკა სწავლობს კონფლიქტის პროცესის ეკონომიკურ განზომილებას და ამახვილებს ყურადღებას:

- პოლიტიკურ კონფლიქტის წარმოშობის ეკონომიკურ მიზეზებზე;
- პოლიტიკური კონფლიქტის მონაწილეების ეკონომიკურ მოტივაციაზე;
- კონფლიქტის ესკალაციით დაინტერესებულ ჯგუფებზე (მაგალითად - იარაღის წარმოების და ვაჭრობის თემებზე);
- კონფლიქტის შედეგად მიღებული ზარალის აღრიცხვაზე ან პროგნოზირებაზე;
- თავდაცვის და უშიშროების სისტემების ბიუჯეტირების საკითხებზე და ა.შ.

„...კონფლიქტის ეკონომიკას ორი განმსაზღვრელი მახასიათებელი აქვს. პირველი, იგი ამტკიცებს, რომ კონფლიქტის აქტივობების შესწავლისას ნაყოფიერად შეიძლება გამოყენებული იყოს ეკონომიკის ცნებები, პრინციპები და მეთოდები.

ამრიგად, მრავალფეროვანი ფენომენი, როგორცაა ომი, შეიარაღებული ბრძოლა, ალიანსები და ტერორიზმი, განიხილება და გაგებულია, როგორც მიზანმიმართული არჩევანის შედეგი, რომელიც რეაგირებს ძირითადი წახალისების ცვლილებებზე. მაგალითად, ეკონომიკა განმარტავს, თუ როგორ გადაჰყავთ მომხმარებლები შესყიდვებს ერთი პროდუქტიდან (მაგალითად ფორთოხლის წვენიდან) მეორისკენ (ვთქვათ ყურძნის წვენი), როდესაც ერთი პროდუქტის ფასი იზრდება სხვასთან შედარებით. მსგავსი ეკონომიკური ძალები მოქმედებენ ბევრ კონფლიქტურ გარემოში: როდესაც იარაღზე დაწესებული საერთაშორისო კონტროლით შეზღუდულია ერთი ტიპის იარაღი, მას ცვლიან სხვა ტიპით; როდესაც პოლიტიკურ სამიზნეებზე კონტროლი მკაცრდება, ტერორისტები მიზანში იღებენ ნაკლებად ძვირადღირებულ სამოქალაქო მიზნებს.”⁵

⁵ Anderton, C., & Carter, J. (2009). Principles of Conflict Economics: A Primer for Social Scientists. Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9780511813474. http://assets.cambridge.org/97805218/75578/excerpt/9780521875578_excerpt.pdf

სამშვიდობო პროცესი იდეალში კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არაა. უპირველეს ყოვლისა ეკონომიკის ცნებიდან გამომდინარე, ჩვენ გვინტერესებს თუ რამდენად ოპტიმალურად იმართება „სამშვიდობო პროცესის მეურნეობა“.

ჩვენ ყურადღებას იზიდავს სამშვიდობო პროცესისათვის არსებული და მოსაზიდი, გამოყენებული და გამოუყენებელი, მატერიალური და არამატერიალური რესურსების სამეცნიერო კომპლექსური ანალიზი. ასევე, მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესის ხელშემშლელი ფაქტორების კვლევა და მათი ზეგავლენის შემცირება.

ამ ამოცანების შესრულება კომპლექსური ანალიზის გარეშე - შეუძლებელია. ეს არის იმის მიზეზი, რომ ცხინვალის, აფხაზეთის და სხვა კონფლიქტები ათეული წლები მიმდინარეობს და არსებული „სამშვიდობო პროცესები“ არ იძლევიან სასურველ შედეგს.

კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის თეორია გვთავაზობს მეცნიერებაში არსებული თეორიული შესაძლებლობების პრაქტიკაში გამოყენებას და ამისთვის აუცილებელია, რომ მოხდეს ეკონომიკის სპეციალისტების სპეცილური მომზადება, გადამზადება და მათი ინტეგრაცია სამშვიდობო პოლიტიკაში.

1.2 წმინდა სიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის მოდელი

კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის თეორიაში არის წარმოდგენილი პრობლემების მართვის ერთ-ერთი ტექნიკა, რომელიც გულისხმობს არსებული ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ან მათ ტრანსფორმაციას და განვითარებას, ან ახალი ორგანიზაციების შექმნას და ინტეგრაციას პროცესში. აფხაზეთის მიმართულებით ბევრი ორგანიზაცია მუშაობს, მაგრამ კომპლექსური კვლევები არსად არ ტარდება.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რეკომენდირებულ სახელმძღვანელოში არის წარმოდგენილი „ორგანიზაციის“ ასეთი განმარტება: „ორგანიზაცია მენეჯმენტის, მენეჯერთა სამყაროს არსებობის საფუძველია. იგი ადამიანთა ჯგუფია, რომლის საქმიანობაც შეგნებულად წარიმართება საერთო მიზნის ან მიზნების მისაღწევად. სწორედ განსაზღვრული მიზნით შეკრებილი ადამიანების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა გახდა მენეჯმენტის წარმოშობის საფუძველი“.⁶

შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია ეს არის სტრატეგიული რესურსი, რომელსაც იყენებენ კონკრეტული პრობლემის ან პროცესის მართვით დაინტერესებული ადამიანები. ამიტომ თუ

⁶ შუბლაძე გ., მღებრიძვილი ბ., წოწკოლაურიფ. - „მენეჯმენტის საფუძვლები“, -საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გამომცემლობა «უნივერსალი» - გვ.19 (195) თბილისი 2008

ჩვენი პრობლემაა „აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი“, და ჩვენ უნდა ვმართოთ ეს კრიზისი, ამისთვის უნდა არსებობდეს ორგანიზაციული რესურსი. ანუ ამ პრობლემაზე მომუშავე ორგანიზაციების სიმრავლე.

ჩატარებული კვლევის შედეგად ჩვენ შევქმენით აფხაზეთის პრობლემატიკაზე მომუშავე სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა, რაც იძლევა შესაძლებლობას შევისწავლოთ მათი პოტენციალი და ახალი ორგანიზაციების კლასტერის შექმნის პერსპექტივა.

ერთი მხრივ არსებობს პრობლემა, როდესაც ორგანიზაციები არაა შექმნილი და ეს არის დეფიციტის მდგომარეობა. მეორეს მხრივ, არის ვითარება, რომ ორგანიზაციები ჭარბად არსებობენ და ეს არის პროფიციტის მდგომარეობა. ორგანიზაციების მხრიდან პრობლემების ეფექტიანი პატრონაჟი განაპირობებს ამ პრობლემის სწრაფ და ნაყოფიერ მოგვარებას. არსებობს ასევე ვითარება, რომელშიც კონფლიქტში მონაწილე მხარეები ქმნიან ორგანიზაციებს და ამ ორგანიზაციებს უპირისპირებენ ერთმანეთს.

აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიაში არსებობს ასეთი ტიპის ორგანიზაციების შექმნის მრავალწლიანი ტრადიცია. ასეთი ორგანიზაციები იქმნება სოციუმის სხვადასხვა სფეროებში და მათ შორის მეცნიერებაში.

ეს ბუნებრივი პროცესია ისეთი გახლეჩილი საზოგადოებისთვის, როგორცაა აფხაზეთის სოციუმი. იგი ხასიათდება სიმეტრიულობით.

აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის ორგანიზების და გაძლიერებისათვის, ამ ამოცანების შესრულებისთვის ჩატარებული კომპლექსური კვლევების შედეგად შეიქმნა **წმინდა სიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის** მოდელი.

ინსტიტუტში გათვალისწინებულია (საქართველოში და მის გარეთ) აფხაზეთის საკითხზე მომუშავე - სხვადასხვა მიმართულების მეცნიერების თანამშრომლობის ხელსაწყოება.

ინსტიტუტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ერთეულებით:

- ახალი სამეცნიერო ელექტრონული პორტალი **abkhazianstudy.org**
- სამეცნიერო რეფერირებული რეიტინგული ჟურნალის „აფხაზეთის კვლევები“ (“Abkhazian Studies”)
- სატელევიზიო გადაცემა „ახალი აფხაზეთი“.
- სამშვიდობო პროცესში რესურსების კონცენტრაციისათვის იქმნება **აფხაზეთის თანასაზოგადოების საერთაშორისო ფონდი**
- სამშვიდობო პროცესის საკადრო უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრთან იარსებებს **აფხაზეთის თანასაზოგადოების განვითარების სკოლა**.
- საზოგადოებრივი-პოლიტიკური გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის ხარისხის ზრდის მიზნით იქმნება **აფხაზეთის სამოქალაქო ელექტრონული ფორუმის პროექტი**.

- მუნიციპალური არჩევნებისთვის მზადდება აფხაზეთის მუნიციპალური ფორუმის ელექტრონული პლატფორმა.

ცხრილში N1 ნაჩვენებია წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ - აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის გაძლიერებისათვის მეცნიერების გარკვეული დარგების ჩართვის და მათი აქამდე გამოუყენებელი რესურსების ეფექტიანი მართვის ზოგიერთი შესაძლებლობა. ანუ რაც არის ზემოთ თეორიულად წარმოდგენილი, ჩვენ ვეცადეთ განგვეხორცილებინა რეალური ექსპერიმენტის სახით. (დანართი N1).

ცხრილიდან ჩანს ძირითადად შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის ჩარჩოში 2018-2020 წელს განხორციელებული კვლევების შედეგები. ბუნებრივია, თუ ეს პროცესი გაგრძელდება, მით უფრო მეტი მეცნიერი ჩაერთვება ამ პროცესში.

1.3 მეცნიერებამცოდნეობის როლი აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში

როდესაც ვერ ხერხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში კონფლიქტის მოგვარება ან პოზიტიური ტრანსფორმაცია, ეს ნიშნავს იმას, რომ პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო შესაძლებლობები არასაკმარისად ან არა სწორედ არის გამოყენებული. გამომდინარე აქედან კი დღის წესრიგში დგება არსებული და შესაქმნელი გამოუყენებელი შესაძლებლობების აღრიცხვის პროცესის დაწყების აუცილებლობა.

უკიდურესი შემთხვევებისთვის, როდესაც სამშვიდობო პროცესი შესულია ჩიხში, ან ხდება სამშვიდობო ინიციატივების იმიტაცია, ან სამშვიდობო პროცესის პარადიგმა ართულებს კრიზისიდან გამოსვლას, კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის თეორია იყენებს „კვაზისამშვიდობო პროცესის“ ცნებას.

კონფლიქტის დიაგნოსტიკა და სამშვიდობო პროცესის ეფექტიანობის შეფასება შეუძლებელია მეცნიერული ცოდნის და მეთოდების გამოყენების გარეშე. თვით მეცნიერების გამოყენების ხარისხი კონფლიქტების მართვაში და სამშვიდობო პროცესების ეფექტიანობაში, შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ამ ეფექტიანობას განსაზღვრავს.

მეცნიერება ამ კონტექსტში წარმოდგენილია როგორც სტრატეგიული ხასიათის ინტელექტუალური, მეთოდოლოგიური და ნაკლებად გამოყენებული რესურსი, რომლის მემშვეობითაც შესაძლებელია სამშვიდობო პროცესის ნაყოფიერების ზრდასათვის სხვა ტიპის რესურსების ეფექტიანი გამოყენება.⁷

1.3.1 მეცნიერებისა და კონფლიქტის ურთიერთზეგავლენის პრობლემა

⁷ რუსეცკი ა., „აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის გამოუყენებელი რესურსები“. „პოლიტიოლოგისი“ – N2 – 2020.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მეცნიერთა გარკვეული კატეგორიები, სხვადასხვა მოტივით და მეთოდით ემსახურებიან კონფლიქტის არ მოგვარებას და/ან მის ესკალაციას. ანუ ემსახურებიან კონფლიქტის დესტრუქციულ პარადიგმას და იბრძვიან მხოლოდ თავისი მხარის გამარჯვებისთვის. ამის ერთ-ერთი მაგალითია სამეცნიერო რესურსების აქტიური გამოყენება მასობრივი განადგურების იარაღის ახალი სახეობების და ასევე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური იარაღის წარმოების პროცესში.

ამავე დროს არ ჩანს მეცნიერების ძალთა კონსოლიდაცია და მათი ინტეგრაცია სამშვიდობო პროცესში. სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე ასეთი სოციალური დაკვეთა ჩამოყალიბებული არ იყო და მეცნიერების მხრიდანაც განსაკუთრებული აქტიობა XXI საუკუნეში, განსხვავებით წინა საუკუნისგან დაფიქსირებული არაა.

მეტად მნიშვნელოვანია - კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მოღვაწე მეცნიერებს შორის კომუნიკაციის და ნდობის აღდგენა. შესაძლებელია სტრატეგიაში დავინახოთ მათ შორის მოლაპარაკებებათა ფორმატების ავტონომიური სისტემა.

ამ ამოცანას ემსახურება ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის თეორიის **მეტადიპლომატიის კონცეპციის** ერთერთი მიმართულება - **აკადემიური დიპლომატია**, რომელიც წარმოდგენილია საინტერესო ქვემიმართულებებით. პოლიდიპლომატიის (შემდგომში მეტადიპლომატიის) კონცეპცია გაჩნდა 2012-2018 წლებში ჩატარებულ ინტერდისციპლინურ კვლევების შედეგად და გახდა კონფლიქტების მართვის მეტაკოგნიციური თეორიის ერთ-ერთი საყრდენი.⁸

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, სამეცნიერო ნაშრომების მიმართ ნდობა, მათი ხარისხი და ლეგიტიმაციის დონე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მისაღებია მისი შინაარსი მხარეებისთვის. არანაკლები მნიშვნელობა ასევე აქვს პროცესუალურ მხარეს, რომელიც გულისხმობს ნაშრომის შექმნის პროცესში რამდენადაა წარმოდგენილი ამა თუ იმ მხარის ინტერესის მატარებელი მეცნიერი. თუ კონფლიქტის მხარე არ ღებულობს მონაწილეობას სამეცნიერო პროდუქტის შექმნაში, მისი მხრიდან ნდობა ამ პროდუქტის მიმართ ვერ იქნება მაღალი.

პროცესუალურად ეს არარის მარტივი ამოცანა და რაც უფრო აქტიურ ფაზაშია კონფლიქტი, მით უფრო რთულია მეცნიერებს შორის თანამშრომლობის ორგანიზება.

საველე მივლინებებმა უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოს ტერიტორიებზე არსებული შეიარაღებული კონფლიქტების ზონებში დაგვარწმუნა, რომ ნებისმიერი სამეცნიერო სამშვიდობო ფორმატის შექმნას სჭირდება სერიოზული ძალისხმევა. ის მეცნიერები, რომლებიც ამ ტიპის თანამშრომლობაზე მიდიან ხშირად ხდებიან ექსტრემისტულად განწყობილი საზოგადოების წარმომადგენლებისგან ფსიქოლოგიური და

⁸ რუსეცკი ა., „პროფესიული არჩევანის პრობლემის ზეგავლენა სტუდენტის სწავლის პროცესზე და პროფესიულ გარემოში ადაპტაციაზე“ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი. 30.01.2019. მონოგრაფია.

ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლნი. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საერთაშორისო საზოგადოებაში არსებული მეცნიერთა დაცვის მექანიზმები საქართველოს შემთხვევაში გამოყენებული არარის. აუცილებელია ამ ადამიანების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მათი და მათი ოჯახების მხარდაჭერა.

ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ მეცნიერების ინტერესების და უფლებების დაცვის მექანიზმები და მათი ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში საერთაშორისო ნორმატიულ აქტებში არა საკმარისადაა წარმოდგენილი.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენენ დევნილობაში მყოფი მეცნიერები და მათი გაერთიანებები. კვლევითი პროექტის ჩარჩოში, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, რომელიც შეიქმნა როგორც აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების გაერთიანება, განიხილება საერთაშორისო დონეზე ამ ადამიანების ინტეგრაცია და თანამშრომლობის განვითარება.

2019 წლის 6 ნოემბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარებულ კონფერენციაზე „სამეცნიერო დიპლომატიის პრობლემების და პერსპექტივები“ პირველად იყო წარმოდგენილი ინიციატივა გაეროს ახალი რეზოლუციის მიღების თაობაზე, რომელიც განსაზღვრავდა მეცნიერების როლს და მონაწილეობის აუცილებლობას სამშვიდობო ინიციატივებში და მართვაში ზოგადად.⁹ იმის მსგავსად როგორც არსებობს მაგალითად რეზოლუცია 1325 (ქალების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში)¹⁰ ან რეზოლუცია 2250 (ახალგაზრდების მონაწილეობა მართვაში).¹¹ მუშაობა ამ დოკუმენტის რედაქციაზე და ადვოკატირებაზე - გრძელდება.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ინიციატივები იყოს მხარდაჭერილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დონეზე.

მისასაღმებელია, თუ ამას აცნობიერებს პოლიტიკური ელიტა და ხელს უწყობს სამეცნიერო ძალების კონცენტრაციას და განვითარებას. სამწუხაროდ ჩვენ ვხედავთ სხვა სურათს - მეცნიერების მიზანდასახულ განდევნას სოციალურ-პოლიტიკური პროცესებიდან. ეს არ შეეხება მხოლოდ საქართველოს. რაც ქმნის საერთაშორისო სამეცნიერო ძალების გაერთიანების უნიკალურ შესაძლებლობას.

ამ იდეების განხორციელებისთვის მიმდინარეობს აკადემიური დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრის დაარსების პროცესი.

⁹ 2019-11-06, „სამეცნიერო დიპლომატიის შესაძლებლობები სამშვიდობო პროცესში“ - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კსუ-ში, <https://ciu.edu.ge/news/index/samecniero-diplomatiis-SesaZleblobebi-samSvidobo-procesSi-saerTaSoriso-samecniero-konferencia-ksu-Si>

¹⁰ UN Security Council resolution 1325 on women and peace and security (2000), <https://www.unwomen.org/en/docs/2000/10/un-security-council-resolution-1325>

¹¹ Security Council, Unanimously Adopting Resolution 2250 (2015), Urges Member States to Increase Representation of Youth in Decision-Making at All Levels, <https://www.un.org/press/en/2015/sc12149.doc.htm>

2021 წლის 4 თებერვალს ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 80-წლისთავთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც იყო წარმოდგენილი ეს საკითხი მეცნიერების განვითარების სხვა სტრატეგიულ საკითხებთან ერთად.

სიტუაციას ართულებს ის, რომ დღემდე მეცნიერებას საქართველოში არ გააჩნია თვითორგანიზების, თვითმართვის და განვითარების გეგმა და მეცნიერები არასათანადოთ დებულობენ მონაწილეობას საკუთარი დარგის განვითარებაშიც კი. ეს ყველაფერი ქმნის საზოგადოებაში „უიღბლო მეცნიერის“ (და პედაგოგის) სტერეოტიპს, ამცირებს აკადემიური წრეების ავტორიტეტს და ამით ასუსტებს საზოგადოების პატივისცემას ცოდნის და განათლების პროცესების მიმართ რაც საბოლოო ჯამში ასუსტებს და ანადგურებს მთელ ეროვნულ სოციალურ სისტემას. მეცნიერება საერთოდ არის განხილული როგორც ეკონომიკის „დესერტული დანამატი“ და არა მამოძრავებელი ძალა.

ჩვენი ვარაუდით, საქართველოში მეცნიერების განვითარების სტრატეგიული გეგმის შექმნა და რეალიზაცია ხელს შეუწყობდა საქართველოს უშიშროების სისტემის განვითარებას და სახელდობრ - სამშვიდობო პროცესის ეფექტიანობის ზრდას. აქ საუბარია არა „განათლების და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაზე“, რომელიშიც მეცნიერება არ არის საკმარისად წარმოდგენილი არამედ ცალკე დოკუმენტზე. დღემდე მეცნიერების რესურსი არასაკმარისად არის გამოყენებული სამშვიდობო პროცესის გაძლიერების საკითხში. ამიტომ სტრატეგია უნდა გულისხმობდეს ამ მიმართულების განსაკუთრებულ ფიქსაციას. საუბარია - სამშვიდობო პროცესების მრავალმხრივ სამეცნიერო მომსახურებაზე - დიაგნოსტიკა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, მედიაცია და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა მიენიჭოს მშვიდობის და არაძალადობის ტექნოლოგიების წარმოებას.

ამ მიზნით - 2021-2022 წლებში განიხილება წმინდა ირინეს სახელობის სოციალური მეცნიერებების სკოლის დაარსება. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს საორგანიზაციო კვლევითი პროცესი.

საქართველოში მეცნიერების განვითარების შეფერხებების შესახებ არსებობს რამოდენიმე კვლევა, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფო აუდიტის 2014 წლის დოკუმენტი.¹²

ამავე დროს, აუცილებელია მეცნიერების განვითარების ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების სისტემური და პერმანენტული კვლევა რაც წარმოადგენს მეცნიერებათმცოდნეობის (science of science) ამოცანას.

¹² 2014 – მეცნიერების მართვის ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, <https://sao.ge/ka/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98201911290331260ka.html>

მეცნიერების განვითარებაზე უნდა პირველ რიგში იზრუნოს თვით მეცნიერებმა. მეცნიერება, როგორც სოციალური ფენომენი უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებაში ანგარიშგასაწევ ძალას. ამ იდეის რეალიზაცია შესაძლებელია თუ ეს ამოცანა გასაგებად იქნება ჩამოყალიბებული საზოგადოების ფართო ფენებისათვის. მაგრამ მეცნიერების მართვის პრობლემა დარჩება მოუგვარებელი, თუ არ შეიქმნება **მრავალდარგოვანი მეცნიერებათმცოდნეობის პროფესიული ჯგუფი**, რომელიც მეცნიერების პოლიტიკის პატრონაჟზე აგებს პასუხს.

მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია - სამეცნიერო ჟურნალისტიკის მიმართულება. ამ მიზნით 2019 წლის 4 მარტიდან კვლევის ჩარჩოში, ინტერნეტ-ტელევიზია „სალტეს“ დახმარებით შექმნილია ყოველკვირეული გადაცემა „**მეცნიერება და ინოვაციები**“.¹³

მეცნიერებათმცოდნეობა – დისციპლინა, რომელიც შეისწავლის მეცნიერების ფუნქციონირებასა და განვითარებას, მეცნიერული ცოდნისა და მეცნიერული მოღვაწეობის სტრუქტურას და დინამიკას, მეცნიერების ურთიერთმოქმედებას სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან და საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროებთან. მეცნიერებათმცოდნეობა, როგორც დამოუკიდებელი კომპლექსური დისციპლინა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა გამოკვლევას ისტორიაში, სოციალოგიაში, ეკონომიკაში, ლოგიკაში, მეცნიერების ფსიქოლოგიაში, მეცნიერებათმეტრიასა და რიგ სხვა დარგებში, ჩამოყალიბდა XX-ე ს. 60 – იან წწ.¹⁴

ამ კვლევების მთავარი ამოცანები ნათლად არის ჩამოყალიბებული სხვადასხვა ლექსიკონში. მაგალითად - მეცნიერებათმცოდნეობის მიზანია შეიმუშაოს მეცნიერების თეორიული გაგება და განსაზღვროს საზოგადოების ცხოვრებასა და განვითარებაში მისი რაციონალური მონაწილეობის საშუალებები და კრიტერიუმები. მეცნიერებათმცოდნეობა შეისწავლის მეცნიერული მოღვაწეობის ორგანიზაციის, მეცნიერების სფეროში პოლიტიკის, მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ინფორმაციული პროცესების, მეცნიერული პოტენციალის სტრუქტურის, მეცნიერულ – ტექნიკური პროგნოზირების, გლობალურ და რეგიონალურ მეცნიერულ – ტექნიკურ პროგრამებში მეცნიერების გამოყენების პრობლემებს.

ტერმინი **მეცნიერებათმცოდნეობა** პირველად იყო შემოთავაზებული 1926 წელს რუსი (საბჭოთა) ფილოსოფოსის - ი.ა.ბორიჩევსკის მიერ. მან წარმოადგინა მეცნიერებათმცოდნეობის პირველი სტრუქტურა და შეიტანა მასში მეცნიერების შიდა ბუნების და მისი საზოგადოებრივი დანიშნულების სოციოლოგიური ასპექტები. 1925 წელს

¹³ <https://ciu.edu.ge/news/index/telesimpoziumi-axali-gamowvevebi-konsolidacia-usafrTxoebisa-da-mSvidobisaTvis>

¹⁴ დათეშიძე ლალი, შენგელია არჩილ. სამედიცინო ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი - (წყარო: ფილოსოფიური ლექსიკონი, ი. ტ. ფროლოვის რედაქციით, 1982 წ.

მის მიერ იყო გამოცემული წიგნი - „ძველი და თანამედროვე მეცნიერების ფილოსოფია მის განსაზღვრულ ცნებებში“.¹⁵

1926 წელს კი მან გამოაქვეყნა სტატია „მეცნიერებათმცოდნეობა, როგორც ზუსტი მეცნიერება“.

ი.ა. ბორიჩევსკიმ¹⁶ წარმოადგინა სისტემური ხედვა და ის თუ რა პრობლემების კვლევას უნდა ემსახურებოდეს მეცნიერებათმცოდნეობა. იგი გამოყოფს სამეცნიერო შემეცნების თეორიას და მეცნიერების სოციოლოგიას. პირველი სწავლობს მეცნიერების შიდა ბუნებას, ხოლო მეორე - მის საზოგადოებრივ დანიშნულებას და საზოგადოებრივ შემოქმედებას. ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერება, როგორც რთული ტიპის ორგანიზაციული სისტემა ასევე უნდა წარმოდგენდეს მეცნიერების სოციოლოგიის კვლევის საგანს. ი.ა. ბორიჩევსკის შეხედულებები ატარებენ ანტროპოცენტრისტულ ხასიათს და ადამიანი/საზოგადოების გარდა, არ ითვალისწინებენ ბიომრავალფეროვნებების სისტემის სხვა ელემენტებს.¹⁷

1939 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ჯ.ბერნალმა გამოსცა წიგნი „მეცნიერების სოციალური ფუნქცია“ სადაც განაცხადა რომ მეცნიერება თვით უნდა გახდეს სამეცნიერო კვლევების განსაკუთრებული ობიექტი და რაც მოითხოვს ცალკე მეცნიერების ჩამოყალიბებას. მეტად საინტერესოა ჩვენთვის, რომ ჯ.ბერნალი - ცნობილი ფიზიკოსი და მეცნიერებათმცოდნეობის ერთ-ერთი შემქმნელი პარალელურად იყო საზოგადო მოღვაწე და საერთაშორისო სამშვიდობო მოძრაობის - „მშვიდობის მსოფლიო საბჭოს“ ერთ-ერთი ლიდერი. 1958 წელს მან გამოსცა წიგნი „მსოფლიო - ომის გარეშე“. ამ წიგნში ჯ.ბერნალმა გაამახვილა ყურადღება მეცნიერებაზე, როგორც მშვიდობის გარანტზე, რომელიც ემსახურება კაცობრიობის განვითარებას ომების გარეშე.¹⁸

არის მეტად მნიშვნელოვანი, რომ სამშვიდობო ინიციატივებსაც აფინანსებენ სახელმწიფოები მათი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე. „მშვიდობის მსოფლიო საბჭოს“ ერთ-ერთი დონორი იყო საბჭოთა კავშირი. ცნობილმა დისიდენტმა ვლადიმირ ბუკოვსკიმ გამოსცა წიგნი - „პაციფისტები მშვიდობის წინააღმდეგ“.¹⁹

ამ წიგნში მან წარმოადგინა ეს ორგანიზაცია, როგორც „სტალინის საიდუმლო იარაღი“. ვ.ბუკოვსკის აზრით, სტალინმა გააძლიერა ეს საერთაშორისო მოძრაობა იმისთვის, რომ არ დაეშვა აშშ-ს მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

¹⁵ Шахнович М.М. «И.А. Боричевский (1892-1941) и его докторская диссертация по эпикурейской логике» - «Вопросы философии» - 20.04.2013 г.

¹⁶ Боричевский И.А., «Науковедение как точная наука» - «Вестник знания» (1926. № 12).

¹⁷ Огурцов А.П., «Науковедение как точная наука», в Энциклопедии эпистемологии и философии науки, М., «Канон+»; «Реабилитация», 2009 г., с. 579. <https://vikent.ru/enc/6131/>

¹⁸ Bernal, J. (1961). World Without War. London: Routledge, <https://doi.org/10.4324/9780429282454>

¹⁹ Буковский Вл., "Пацифисты против мира"; Диалог. Издательство: La Presse Libra, Paris, 1982.

OCR и вычитка: Александр Белоусенко, 17 мая 2003.

ინფორმაციისათვის მინდა ავლნიშნო რომ ბირთვული იარაღის გამოყენების რუკაზე მოსკოვთან და სხვა ქალაქებთან ერთად იყო დატანილი თბილისიც. ჩემთვის კარგადაა გასაგები ვ.ბუკოვსკის მოსაზრებები და პირადად მქონია მასთან საუბრის საშუალება, მაგრამ მისივე სიტყვებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ სტალინმა ამ „საიდუმლო იარაღით“ გადაარჩინა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქალაქები, არამედ მთელი მსოფლიო. ცივილიზაციას დასჭირდა გარკვეული დრო იმისთვის, რომ მოეხდინა ამ იარაღის გამოყენებაზე კონტროლის სისტემის დაწესება.

ჯ. ბერნალის ფენომენი ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა - ის არის ერთდროულად - დიდი მეცნიერი-ფიზიკოსი; მეცნიერებათმცოდნეობის ერთ-ერთი დამაარსებელი; მეცნიერთა საერთაშორისო პროფესიული გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი და საერთაშორისო სამშვიდობო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. აი ამ პიროვნებაში კარგადაა პროეცირებული ცოდნა და სოციალური პასუხისგებლობა. სამწუხაროდ, მეცნიერებათმცოდნეობის დამაარსებელი ი.ა.ბორიჩევსკის ბიოგრაფია წარმოადგენს სტალინის ეპოქის ტიპიურ ტრაგედიას. ის ბოლომდე ემსახურებოდა ტოტალიტარულ რეჟიმს მიუხედავად იმისა, რომ მას დაუხვრიტეს ჯერ ძმა და მერე საკუთარი მეუღლე. გაუსაძლის პირობებში მან აღზარდა შვილი, და 1941 წელს შეეწირა ლენინგრადის ბლოკადას.

მეცნიერი, მეცნიერების ბურჟია, არარსებობს მეცნიერი, არარსებობს მეცნიერება და მისი უფლებების და ინტერესების დაცვა - საზოგადოების უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ტოტალიტარულ, არადემოკრატიულ, ფსევდოდემოკრატიულ სისტემებში ეს მექანიზმები არ ფუნქციონირებს.

სამწუხაროდ, მეცნიერებათმცოდნეობის კვლევები საქართველოში სუსტად არის წარმოდგენილი და ხშირად აღიქმება მხოლოდ როგორც **მეცნიერების ისტორიის დარგი ან მეცნიერებამეტრია.**

ელექტრონულ სივრცეში მეცნიერებათმცოდნეობის შესახებ ქართულად ინფორმაცია თითქმის არ მოიპოვება. ხოლო საერთაშორისო დონეზეც, მიუხედავად ამ მიმართულებით სხვადასხვა სკოლის და მიდგომის არსებობისა, ერთიანი მიდგომა გამოკვეთილი არაა. მეცნიერების მართვა ზოგ უმაღლეს სასწავლებლებში დაყვანილია მეცნიერების პერსონალური უნარჩვევების განვითარებამდე, რაც წარმოადგენს სისტემური და რედუქციონისტული ხასიათის შეცდომას, აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას.

გამომდინარე აქედან, უპირველესი ამოცანა საქართველოს მეცნიერების მართვაში მონაწილე ადამიანებისთვის დღეს არის **მეცნიერებათმცოდნეობის** განვითარება. ანუ ამ სფეროში არსებული კვლევების შესახებ ინფორმაციის ანალიზი, სინთეზი, შეფასება და მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოსთვის მეცნიერებათმცოდნეობის კვლევითი და გამოყენებითი სისტემის შექმნა.

მეტამეცნიერება არაა მეცნიერებათმცოდნეობა. მეტამეცნიერება აერთიანებს სამეცნიერო და იმ არასამეცნიერო ცოდნას, რომელიც მეცნიერების ამ დარგისთვისაა საინტერესო. ერთი და

იგივე დარგის მეცნიერებაში არსებობს სხვადასხვა თეორია ან მიდგომა, რომელიც ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ამიტომ მეტამეცნიერება ცდილობს დაადგინოს მათ შორის კავშირები, დამოკიდებულებები და სინკრეტული თანაარსებობის მოდელები. ამიტომ მისი კვლევის საგანი - მეცნიერებათმცოდნეობაცაა. მეტამეცნიერება ეს არის მეცნიერება მეცნიერული და არამეცნიერული ცოდნის შესახებ. იგი იკვლევს ამ რთულ სისტემას და იმ კანონზომიერებებს, რომლებიც ამ სისტემაში მოქმედებენ. მეტამეცნიერებას გააჩნია თავისი მეთოდოლოგია; კვლევის საგანი; ლექსიკონი (მეტაცოდნა, მეტათეორია, მეტამონაცემები, მეტაენა და ა.შ.) და ასევე სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც მას ემსახურება.

მეტამეცნიერება შედგება ისეთი მეცნიერებების სისტემებისგან, როგორცაა მაგალითად - **მეტამათემატიკა, მეტაფიზიკა, მეტაფსიქოლოგია, მეტაპოლიტოლოგია, მეტადიპლომატია** და ა.შ.

ანუ ეს ნიშნავს მცდელობას ახალ განზომილებაში დაინახო სხვადასხვა თეორიები და მონახო მათ შორის არსებული დამოკიდებულებები როგორც ცალკეულ დარგებში, ასევე სინთეზირებულ დარგებშიც და ეს ჰოლისტური და სინკრეტული აზროვნების და მეცნიერების ფენომენია.

მაგალითად, წინა ნაშრომებში ჩვენ უკვე გამოვიყენეთ ტერმინები - პოლიდიპლომატია²⁰ და ტერმინი ჰოლისტური კონფლიქტოლოგია. მაგრამ პრინციპში, არის ლოგიკური, რომ შემდგომში, შესაბამისად ორივე ეს ტერმინი დაუქვემდებაროთ მეტამეცნიერულ მიდგომას და მოვიხსენიოთ **მეტადიპლომატიით** და **მეტაკონფლიქტოლოგიით** (კონფლიქტების **მეტაკონფიციური მართვის თეორია**). მნიშვნელოვანია, რომ მეტაკონფიციური მართვის თეორიას ემსახურება თავისი ლექსიკონი.

2021 წლის 4 თებერვალს ჩვენი კვლევითი პროექტის ინიციატივით, ქართველმა ფსიქოლოგებმა დაარსეს **ბარბარე ყიფიანის სახელობის მეტაფსიქოლოგიის საერთაშორისო სკოლა**. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი მეტამეცნიერების განვითარების მიმართულებით.

1.3.2 მეცნიერების ეკონომიკა და ეკონომიკის მეცნიერება

მეცნიერებას, როგორც სისტემას გააჩნია თავისი საზღვრები და გამომდინარე აქედან „საშინაო პოლიტიკა“ და მეცნიერების საგარეო პოლიტიკა“.

მაგალითად ტერმინი - „მეცნიერების ეკონომიკა“ და „სამეცნიერო ეკონომიკა“ განსაზღვრავენ თვით მეცნიერების ეკონომიკას და შესაბამისად მეცნიერების როლს ეკონომიკაში - ზოგადად.

უნდა იყოს გასაგები, რომ თუ „მეცნიერების ეკონომიკა“ იქნება ისეთი სუსტი როგორც დღესაა, მეცნიერებას არ ექნება ზეგავლენა არც ეკონომიკაზე და არც პოლიტიკაზე. ამიტომ არის მნიშვნელოვანი რომ ჩვენ ვიზრუნოთ **მეცნიერების ეკონომიკის კვლევების**

²⁰ რუსეცკი ა., „პოლიდიპლომატიის კონცეპცია და საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის ინოვაციური საგანმანათლებლო საფუძვლები“, „პოლიტოლოგოსი“ N1 – 2019. გვ 151

გამლიერებაზე და ამ დარგის სპეციალისტების მომზადებაზე. მნიშვნელოვანია რომ მეცნიერებათმცოდნეობის ყველა ქვედარგის სპეციალისტის გარეშე, მეცნიერების ეკონომიკა ვერ იქნება კადრებით უზრუნველყოფილი. მეცნიერების ეკონომიკის მთავარი მიზანია, საქართველოში არსებული უნიკალური მრავალფეროვანი საგანძურის და შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, ერთ მუშტად შეკვრა, მისი დაცვა და განვითარებაზე ზრუნვა. ეს არის ეკონომიკური ამოცანა იმიტომ რომ საუბარია დიდი მატერიალური და არამატერიალური კაპიტალის მართვის კულტურის დანერგვაზე.

სამეცნიერო ეკონომიკა - ეს არის ისეთი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ემსახურება წარმოების და სერვისის სხვადასხვა სფეროს ინოვაციური ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას და მისი მიზანია - ადამიანის და საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

სამეცნიერო ეკონომიკის განვითარება მოითხოვს პირველ რიგში არსებული სფეროების სამეცნიერო აუდიტს. ანუ იმის შეფასებას თუ რამდენადაა გამოყენებული ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის ინოვაციური ტექნოლოგიები. მეორე მხრივ აუცილებელია არსებული სამეცნიერო პოტენციალის შეფასება და ტრანსფორმაციის სტრატეგიის შექმნა-განხორციელება. ამ განმარტებებიდან ნათლად ჩანს, რომ მეცნიერების ეფექტურ მართვაზე დამოკიდებულია საზოგადოების მთელი ინფრასტრუქტურა. და ის თუ რომელ დარგში არის რღვევა პირდაპირ პასუხისმგებლობას აკისრებს არა მხოლოდ ამ დარგის ხელმძღვანელებს, არამედ სამეცნიერო სისტემის შესაბამისი სეგმენტის წარმომადგენლებსაც.

სამეცნიერო ეკონომიკის მეშვეობით იქმნება შესაბამისი საგანმანათლებლო მეთოლოგიური მასალა რაც ხელს უწყობს ეფექტური ინოვაციური განათლების პროცესის აწყობას და ყველა სეგმენტის უზრუნველყოფას კვალიფიცირებული კადრებით.

სამწუხაროდ საქართველოში მეცნიერება განიხილება როგორც ეკონომიკის „სადესერტო დანამატი“. მეცნიერება უნდა წარმოადგენდეს არა დოტაციურ, არამედ ეკონომიკის რენტაბელურ დარგს რომელიც ერთი მხრივ აწარმოებს ინოვაციურ ტექნოლოგიას და მეორე მხრივ წარმოადგენს შესაბამისი სერვისის (დანერგვის) მექანიზმს. ეს რთული, მაგრამ რეალურად ამოხსნადი ამოცანაა.

მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს. იმ კვლევისთვის, რომელსაც, ვანხორცილებდით შოთა რუსთაველის სადოქტორო პროგრამების ჩარჩოში, გამოყოფილი იყო 42 000 ლარი. იმ შემთხვევაში თუ ვიზრუნებდით 2 წლის განმავლობაში ამ პროექტის ისეთ განვითარებას, რომ მან მისცეს საზოგადოებას და სახელმწიფოს ამონაგები, ეს პროექტი შეიძლება ეკონომიკური თვალსაზრისით ჩავთვალოთ რენტაბელურად. ამისთვის კი არის აუცილებელი რომ ამ პროექტს თანხდევდეს ეკონომიკური განვითარების კომპონენტი.

ეს კომპონენტი შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი როგორც საგრანტო პროექტი ან/და როგორც კომერციული პროექტი. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ მიუხედავად იმისა, ეს შრომა არის ინდივიდუალური თუ კოლექტიური, არსებობდეს მისი ეკონომიკური ეფექტების

შეფასება. სხვანაირად რომ ვთქვათ, კვლევის პროცესში მოპოვებული „ნედლეულით“ შესაძლებელი არის მივიღოთ სხვადასხვა ტიპის (დივერსიფიცირებული) პროდუქცია. მაგალითად, ამ კვლევის შედეგად შექმნილი საპროექტო წინადადებებში მოთხოვნილი თანხა, რომელიც ორიენტირებულია შიდა და გარე დონორებისგან ფინანსების მოზიდვაზე, უკვე შეადგენს 260 000 ლარს. ანუ, ეს არის ინტელექტუალური ტიპის წარმოება.

ამ შემთხვევაში როგორც დონორი ფონდი უნდა იყოს დაინტერესებული არა მხოლოდ იმით რომ ეფექტურად დახუროს პროექტი, არამედ ხელი შეუწყოს პროექტის ჩარჩოში ყოველივე **წარმოებული პროდუქციის „გაყიდვებს“**. ეს არის ელემენტარული ეკონომიკური ოპერაცია. აქედან გამომდინარე იკვრება წრე - ეროვნული ინტელექტუალური სამეცნიერო ნაწარმი იზიდავს ეროვნულ და საერთაშორისო რესურსებს რაც ზრდის საინვესტიციო კლიმატს ქვეყანაში. ეს შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერ დარგში. უბრალოდ, ისევე როგორც კინო-ბიზნესში, მეცნიერს სჭირდება პროფესიონალური დახმარება - **პროდიუსინგი**. ინტელექტუალური პროდუქციის შეფასების პროცესი არაა მარტივი და მოითხოვს დამატებით ძალისხმევას. აუცილებელია რომ იყოს შესწავლილი ამ თვლასაზრისით საერთაშორისო გამოცდილება. GITA - საქართველოს ტექნოლოგიების და იონოვაციების სააგენტომ ამ მიმართულებით უკვე გადადგა ნაბიჯი და შემოიღო NASA-ს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიური მზადყოფნის დონის შეფასების TRL სისტემის ელემენტები.

„მეცნიერების ეროვნული სისტემა“, როგორც რთული ტიპის ორგანიზიზაცია უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკურად განვითარებად მაკროსისტემას და ამას უნდა განაპირობებდეს ეროვნული ინტელექტუალური პროდუქციის წარმოების და სერვისის ინტენსიური პროცესი.

სამეცნიერო ეკონომიკა ასევე წარმოადგენს ახალი პოლიტიკური მოძრაობების შექმნის საფუძველსაც როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეებზე.

1.3.3 ინტელექტუალური თავდაცვის სისტემები - როგორც ძალის გამოყენების ალტერნატივა

მეცნიერების მრავალფუნქციური და მრავალდარგობრივი გამოყენება თავდაცვის პოლიტიკის წარმოებაში წარმოადგენს სტრატეგიულ ამოცანას და რადიკალურად ცვლის თავდაცვის წარმოების პოლიტიკას. ეს უნდა აისახოს მეცნიერებაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროცენტული ზრდით. თავდაცვის და განვითარების პოლიტიკის შემოქმედებაში შესაძლებელია იყოს გამოყენებული მეცნიერების ნებისმიერი დარგი - როგორც ტექნიკური, ასევე ჰუმანიტარული სექტორი.

საზოგადოების ფართო ფენები და პოლიტიკური ელიტა უნდა ზრუნავდნენ მეცნიერების აქტიურ ჩართულობაზე თავდაცვის პოლიტიკაში (განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდების ინტეგრაციას). თავდაცვის პოლიტიკა გარდა ფიზიკური კომპონენტისა უნდა ეყრდნობოდეს ინტელექტუალურ ნაწილსაც. ისრაელის თავდაცვის დოქტრინა აქტიურად იყენებს აუტიზმის სპექტრის მქონე მოქალაქეებს, როგორც განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოვებულ ადამიანებს. ამისთვის კი შექმნილია სპეციალური სახელმწიფო პროგრამა **Roim Rachok** –

«მომავლის ხედვები»²¹ და თავდაცვის კვლევითი ცენტრების ინფრასტრუქტურა. რუსეთში აქტიურად იქმნება თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემებში საგანგებო სამეცნიერო ასეულები (როტები). ამ როტებში ხდება საუკეთესო მონაცემების სტუდენტების რეკრუტირება.

თავდაცვის სამეცნიერო სექტორში დასაქმება უნდა გახდეს ერთ-ერთი პრესტიჟული მიმართულება სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის. როგორც ე.წ. პროფსასწავლებლებს, ასევე უმაღლეს სასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საგანგებო ვითარებაში „განსაკუთრებული დანიშნულების“ ობიექტის ფუნქცია.

თავდაცვის სამინისტროს ინტელექტუალური კადრებით დაკომპლექტება გააძლიერებს ქართველი ოფიცრის სოციალურ სტატუსს და პრესტიჟს. განსაკუთრებულად საინტერესოა, როდესაც საქართველოში გაჩნდება მეცნიერ-ოფიცრთა სოციალური ფენა. ამის კარგი მაგალითია - ცნობილი ქართველი მეცნიერი - გენერალი ირაკლი მეძმარიაშვილი. სამეცნიერო ეკონომიკა ამ თვლასაზრისით არის საფუძველი **სამხედრო (თავდაცვის) ეკონომიკის**. ისევე როგორც სამეცნიერო ეკონომიკა, თავდაცვის ეკონომიკა უნდა გახდეს რენტაბელური დარგი, რომელიც ავსებს ბიუჯეტს და არა პირიქით.

<p>საქართველოს მეცნიერებათმცოდნეობის ინსტიტუტი</p>
<p>მიზანი</p> <p>მეცნიერების ეფექტური გამოყენება</p> <ul style="list-style-type: none"> • ეროვნული პრობლემების, კონფლიქტების, კრიზისების მართვისთვის; • ეროვნული და საერთაშორისო უშიშროების და მდგრადი განვითარების მდგომარეობის მისაღწევად. <p>ამოცანები</p> <ul style="list-style-type: none"> • მეცნიერების ეკონომიკის განვითარება. მეცნიერების შესაძლებლობების შესწავლა და მის განვითარებაზე ზრუნვა სამეცნიერო ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით („მეცნიერება - მეცნიერებისათვის“). • სამეცნიერო ეკონომიკის განვითარება. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სამეცნიერო ინოვაციური პროდუქტით და სერვისით უზრუნველყოფა („მეცნიერება - საზოგადოებისთვის“).

მეტამეცნიერებაში არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის აუცილებელია შესაბამისად მეტამეცნიერების განვითარების კვლევები.

ამ მიმართულებით უნდა მიზნდინარეობდეს სისტემური (შედეგზე ორიენტირებული) ინტერდისციპლინური კვლევები. რაც აისახება **საქართველოს მეცნიერებათმცოდნეობის ინსტიტუტის** ჩამოყალიბებაში.

²¹ Roim Rachok Program, <https://www.roim-rachok.org/english>

ინსტიტუტმა შესაძლებელია აწარმოოს კვლევები შემდეგი მიმართულებებით:

მეცნიერებამეტრია

მეცნიერებამეტრიის დამაარსებლად ითვლება დ.პრაისი. მეცნიერებამეტრია წარმოადგენს მეცნიერებათმცოდნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვემიმართულებას და ორიენტირებულია რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებაზე. საქართველოში ეს მიმართულება ვითარდება არასაკმარისი ტემპებით. საბჭოთა კავშირში ამ მიმართულებაც ცენტრალიზირებულად აკონტროლებდა „ტექნიფორმი“. შემდგომში მან დაკარგა დამოუკიდებლობა, დაუქვემდებარეს ტექნიკურ უნივერსიტეტს (!) რამაც გამოიწვია უამრავი კოლიზია და დღეს მიმდინარეობს ამ მიმართულების გამოცოცხლების მცდელობა.

ბიბლიომეტრია

ბიბლიომეტრიის ტერმინი პირველად გამოიყენა პოლ ოტლემ 1934 წელს და განმარტა როგორც - „დოკუმენტების და წიგნების პუბლიკაციასთან და კითხვადობასთან დაკავშირებული ფაქტორების გაზომვა“.²²

ტერმინი „ბიბლიომეტრია“ პირველად შემოიღო ინგლისელმა მეცნიერმა ა. პრიჩარდმა 1967 წელს. მას შემდეგ სტატისტიკურ მაჩვენებლებთან ერთად მეცნიერების აუდიტისთვის (შეფასებისთვის) გამოიყენება ბიბლიომეტრიული მაჩვენებლებიც. ბიბლიომეტრია არის მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ტექსტების და ინფორმაციის შესწავლისთვის და გაზომვისთვის. ბიბლიომეტრიულ მეთოდებში, როგორც წესი, გამოიყენება ციტირების ანალიზი და კონტექსტის ანალიზი.²³

მეცნიერების ფილოსოფია - მეცნიერების მისიის, ფუნქციის, არსის თაობაზე მუდმივი ზრუნვა, როგორც განახლებადი პროცესი. მეცნიერების დეფინიცია და მისი განვითარების კანონზომიერება, მეცნიერული ცოდნის მახასიათებლებისა და თანამედროვე მეცნიერების თავისებურების ანალიზი, მეცნიერების მიმართებითი ანალიზი ფილოსოფიასთან, ხელოვნებასთან, მორალთან, ტექნიკასთან, მეცნიერული კვლევის, მეცნიერული მეთოდის, მეცნიერული თეორიის, მეცნიერების კლასიფიკაციის ანალიზი, ასევე მეცნიერების ფილოსოფიის ისტორიკოსების შეხედულებები მეცნიერების ევოლუციური და რევოლუციური თეორიების განვითარების შესახებ.²⁴

მეცნიერების ისტორია - საქართველოში და მსოფლიოში მეცნიერების განვითარების დინამიკის ფიქსაცია. ისტორიული ძეგლების შესწავლა, შესაბამისი არტეფაქტების ფიქსაცია, აღწერა, პოპულარიზაცია. მეცნიერების არქეოლოგიის (საქართველოსთვის ეს არის მეტად საინტერესო და პერსპექტიული დარგი), როგორც ვიწრო მიმართულების დარგის

²² Otlet, P. (1934), *Traité De Documentation: Le Livre Sur Le Livre, Théorie Et Pratique*, Editions Mundaneum: Mons, Belgium

²³ მეცნიერების მენეჯმენტის ლექციები. - თსუ. https://www.tsu.ge/data/image_db_innova/6-leqcia.pdf

²⁴ ბთუ - მეცნიერების ფილოსოფია ფილოსოფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ვარდო ბერიძე. 09.07.2018 - <https://bsu.edu.ge/sub-56/page/10402/index.html>

განვითარება. სამეცნიერო და საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ნებისმიერი საკვალიფიკაციო ნაშრომის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ის, თუ რამდენადაა მღვლევარისთვის ცნობილი ამ დარგის ისტორია და განვითარების პარადიგმა.

მეცნიერების კულტუროლოგია - მეცნიერება განიხილება როგორც კონკრეტული ეთნიკური, ეროვნული თუ ცივილიზაციური კულტურის კვლევის ავტონომიური ნაწილი და ამ კულტურის განვითარების დონის ერთ-ერთი მაჩვენებელი. მაგალითად, საქართველოს ისტორიის განვითარების სხვადასხვა მონაკვეთი ხასიათდებოდა მეცნიერების კულტურის განვითარების შესაბამისი დონით.

მეცნიერების მართვა - მართვის თეორიის და საერთაშორისო გამოცდილების ეფექტური გამოყენება. შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულების მომზადება და პროცესის საკადრო უზრუნველყოფა - ახალი თაობის მეცნიერების მენეჯერების პროფესიული საზოგადოების შექმნა. საქართველოს უნივერსიტეტებში სამწუხაროდ მეცნიერების მართვა დაყვანილია ცალკეული მეცნიერებისათვის სამეცნიერო თვითმართვის უნარჩვევების შესაწავლაში და არა სამეცნიერო ორგანიზაციების და მიმართულებების მართვაში.

მეცნიერების ეკონომიკა - მეცნიერების, როგორც რთული სისტემის ეკონომიკური განვითარების სამეცნიერო უზრუნველყოფა. ეკონომიკური აზროვნების კულტურის დანერგვა და მეცნიერების გადამზადების და ასევე მათი მომსახურების სისტემების შექმნა. მეცნიერების სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ განვითარებაზე განსაკუთრებული ზრუნვა.

სამეცნიერო ეკონომიკა - ეკონომიკის ყველა დარგის სამეცნიერო სერვისებით უზრუნველყოფა და მათ განვითარებაზე ზრუნვა. დარგობრივი და დარგთაშორისი კომუნიკაციების განვითარება. ჩვენს შემთხვევაში ეს შეეხება - პრობლემების, კონნფლიქტების და კრიზისების პრევენციის, პოზიტიური ტრანსფორმაციის თუ რეაბილიტაციის პროგრამების უზრუნველყოფას.

მეცნიერების სოციოლოგია - ქართველი მეცნიერების - საქართველოში და მის გარეთ არსებული სამეცნიერო ორგანიზაციების და ცალკეული პიროვნებების კლასიფიკაცია; მონაცემთა ბაზის შექმნა; მათი ინფრასტრუქტურის აღწერა; მათი მოღვაწეობის შეფასება; მათ შესახებ ინფორმაციის განთავსება ერთიან პორტალზე; ერთიანი რუკის შექმნა და ცვლილებების ტრანსფორმაციის ფიქსაცია. ელექტრონული მონიტორინგის და ევალუაციის სისტემის შექმნა.

სამეცნიერო კომუნიკაციები და ჟურნალისტიკა - სამეცნიერო კომუნიკაციების სფეროში და ჟურნალისტიკაში კადრების მომზადება და ერთობლივი საკომუნიკაციო სისტემების, გამოცემების, ტელესივრცეების შექმნა. ტელემეცნიერების განვითარებაზე ზრუნვა. მეცნიერების ზოგადად და კონკრეტული დარგების პოპულარიზაცია საქართველოში და საქართველოს გარეთ. მეცნიერების შიდა სისტემაში და გარე სამყაროსთან ეფექტური

ინტეგრირებული კომუნიკაციების შექმნა. მეცნიერების ეკონომიკის ელექტრონიზაცია, ციფრული ეკონომიკის საფუძვლების დანერგვა.

მეცნიერების სამართალი - მეცნიერებაში არსებული ვითარების სისტემური შეფასება. არსებული შეფასების დოკუმენტის მოძიება, ანალიზი, შეფასება, ახალი დოკუმენტების შექმნა; ექსპერტიზა და ამ მასალებზე დაყრდნობით - სინთეზირება. საკანონმდებლო პოლიტიკის ეფექტური წარმოება და მუდმივი მომსახურეობა.

მეცნიერების ადვოკატირება და უფლებების დაცვა - პროფესიული კავშირების და სხვა ტიპის უფლებების და ინტერესების დაცვის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა.

მეცნიერების თავდაცვის და უშიშროების კვლევები - ცალკეული მეცნიერების, მეცნიერთა ჯგუფების და ქსელების, საქართველოს ეროვნული მეცნიერების, როგორც რთული ორგანიზაციის საშიშროებისაგან დაცვა. საშიშროებების დადგენა და ერთიანი დოკუმენტის შექმნა, რომელიც გახდება ეროვნული “საფრთხეების დოკუმენტის” ნაწილი და გამომდინარე აქედან - საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეპციის მნიშვნელოვანი კომპონენტი. მეორე მხრივ, ამ სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტის ექსპერტიზა წარმოადგენს ასევე უშიშროების პოლიტიკის მნიშვნელოვან ფრაგმენტს. განსაკუთრებით ეს ეხება ინტელექტზე „ნადირობის“ პრობლემას.

სამეცნიერო დიპლომატია - მეცნიერების საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროებში პოლიტიკის განსაზღვრა. სამეცნიერო მედიაციის და ფასილიტაციის შესაძლებლობების ამოქმედება. აკადემიური დიპლომატიის მეშვეობით არსებული კონფლიქტების და პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა. ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და გაზიარება.

სამეცნიერო ფსიქოლოგია - ბედნიერი მეცნიერი-პედაგოგი არის მაჩვენებელი საზოგადოების ჯანმრთელი განვითარების. უბედური და ლატაკი მეცნიერი-პედაგოგი ეს არის გზა ეროვნული კატასტროფისკენ და სრულ დეგრადაციამდე. სამეცნიერო ფსიქოლოგიის მთავარი მიზანია მეცნიერების განვითარების უზრუნველყოფა ფსიქოლოგიური ცოდნით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოგნიტური უნარჩვევების მართვის შესაძლებლობების ზრდას და მათ ეფექტურ გამოყენებას.

მეცნიერებათმცოდნეობის პედაგოგიკა - მეცნიერებათმცოდნეობის სფეროში საერთაშორისო დონეზე არსებული პროგრამების ანალიზი და სინთეზი. სასწავლო კურსებისათვის სილაბუსების შემუშავება და წრაფი დანერგვა. მეცნიერების ეკონომიკის და ეკონომიკური მეცნიერების საკადრო უზრუნველყოფა. მეტაპედაგოგიური ცოდნის გავრცელება და პედაგოგიური სკოლების ჯანმრთელი კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

(მიკრო და მაკრო) რეგიონული მეცნიერებათმცოდნეობა - გარდა ამ დარგობრივი მიმართულებების, მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერების განვითარება კონკრეტულ რეგიონებთან მიმართებაში და ამის მაგალითია - აფხაზეთმცოდნეობის მიმართულების

განვითარება, როგორც სხვადასხვა მეცნიერების კომპლექსური ერთობლიობა აფხაზეთის შესახებ. ამის განვითარება არის მნიშვნელოვანი განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ მიმართულებით ავტონომიურად მუშაობენ აფხაზეთის სეცესიის მომხრეები. აუცილებელია ალტერნატიული პროცესის შექმნა და ამავე დროს, სამეცნიერო დიპლომატიის ჩარჩოში მათთან ურთიერთობების განვითარება. იგივე შეეხება - საქართველოს სამეცნიერო პოლიტიკას კავკასიათმცოდნეობის, შავიზღვისპირეთის კვლევების და ა.შ. მიმართულებებს.

მეცნიერების მეთოდოლოგია - ეს არის მიმართულება, რომელიც იკვლევს სამეცნიერო პროცესების მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას. იგი წარმოადგენს ზოგადი შემეცნების თეორიის (გნოსეოლოგიის) და კონკრეტულად კი მეცნიერების ეპისტომოლოგიის - სამეცნიერო შემეცნების კვლევების მიმართულებას.

1.4 ამბივერტული მეცნიერების და განათლების როლი აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში და მშვიდობის კულტურის განვითარებაში

ამბივერტული მეცნიერების და განათლების ცნება შექმნილია 2017-2019 წლებში წმინდა ანდრიას სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სადისერტაციო ნაშრომის ჩარჩოში, რომელიც საგანგებოდ მიედგინა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.²⁵

მეცნიერების ცნება ამ მიდგომის თანახმად ხდება არა განათლების დანამატი (როგორც დღეს არის ეს წარმოდგენილი საქართველოს რეალობაში), არამედ ინოვაციური და ეფექტური განათლების პროცესის წარმოების საფუძველი.

სამეცნიერო კვლევები განიხილება განათლების ყველა საფეხურზე. ეს ხელს უწყობს სამეცნიერო აზროვნების განვითარებას და კოგნიტური უნარჩვევების უფრო სრულყოფილად გამოყენებას.

ამის ერთ-ერთი საფუძველი - თვითშემეცნების კვლევითი კულტურის განვითარება ხდება.

ადამიანის კოგნიტური და მეტაკოგნიციური შესაძლებლობების ზრდა არის შესაძლებელი შესაბამისი უნარჩვევების განვითარების მეშვეობით.

ამბივერტული განათლების პროცესი წარმოადგენს ექსტრავერსიული და ინტრავერსიული საგანმანათლებლო პროცესების სინერგიას და ქმნის ჰარმონიული ტიპის პიროვნებას, რომელსაც ძალუძს ახალ განზომილებაში შიდა და გარე რესურსების მართვა. ეს არის ადამიანი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული ეკონომიკური აზროვნება. ამ პრინციპების დანერგვა განათლების სისტემაში მოგვცემს საშუალებას 70% სასწავლო-პროფესიული

²⁵ რუსეკვი ა., „პროფესიული არჩევანის პრობლემის ზეგავლენა სტუდენტის სწავლის პროცესზე და პროფესიულ გარემოში ადაპტაციაზე“ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი. 30.01.2019. მონოგრაფია.

დეპრივაციის დონის დაწვევის და საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობის მაღალი ტემპებით ზრდის.

ამბივერტი მეცნიერისთვის კვლევის საგანი ხდება არა მხოლოდ მის გარეთ არსებული ობიექტი, არამედ პარალელურად მის შიდა სამყაროში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესებიც.

ეს მეთოდი ასევე იძლევა შესაძლებლობას რომ ჩვენ განვიხილოთ ერთ ადამიანში (მეცნიერში) არსებულ რესურსთა თაიგულის ეფექტურად მართვის საკითხი. ეს არის ინოვაცია და სცდება არსებულ ჩარჩოებს და ამითაც არის საინტერესო. მაგალითად, თუ სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერებების კუთხით, მკვლევარმა შეიძლება გამოიყენოს ერთდროულად არა მხოლოდ პოლიტიკური მეცნიერის იდენტობა, როგორც ამას ოფიციალური პროტოკოლი მოითხოვს, არამედ წარმოადგინოს ინტერდისციპლინური ან კროსდისციპლინური კვლევა, რომელსაც შექმნის „მკვლევართა“ მთელ ჯგუფს („თაიგული“) – „ფსიქოლოგი“, „საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი“, „ისტორიკოსი“, „ფილოლოგი“, „მართვის სპეციალისტი“, „მათემატიკოსი“ და ა.შ.

ამ როლთა თანამშრომლობა იძლევა უნიკალურ პირველად პროდუქტს, რომელიც ამავე დროს მოითხოვს გარე ექსპერტიზას გამომდინარე იქედან, რომ არ შეიძლება მეცნიერი თანაბრად კომპეტენტური იყოს მეტალურგიაში, ისტორიაში და ფილოლოგიაში. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერის სხვა მეცნიერებთან კომუნიკაციის უნარების და ტექნოლოგიების განვითარება.

რთული კომპლექსური სისტემები მოითხოვენ სხვადასხვა მეცნიერების ჩართულობას, ამიტომ, არის მნიშვნელოვანი, რომ მკვლევარმა შექმნას პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ვირტუალური და მარავალპროფილური ინსტიტუტის ფსიქოლოგიური მოდელი და მის შესაბამისობაში გააძლიეროს ამ „ვირტუალური ინსტიტუტის დირექტორის“ მართვის უნარები. ეს არის **ფსიქოეკონომიკური** რესურსების ეფექტურად გამოყენების საკითხი. საერთოდ ფსიქოეკონომიკა წარმოადგენს უნიკალურ დარგს, რომელსაც გააჩნია განვითარების დიდი პერსპექტივა.

ამბივერტი მეცნიერი აკვირდება პროცესს, აფიქსირებს დამატებითი ცოდნის მიღების აუცილებლობას, ხელს უწყობს საკუთარ განათლებას და ამზადებს ნიადაგს სხვისი განათლებისთვის.

ამბვერტული მეცნიერების და განათლების საფუძველი - ამბვირეტული აზროვნებაა.

2.1 პოლიტიკური პროცესების ხარისხის მართვის და შეფასების გამოყენებელი შესაძლებლობები აფხაზეთის კრიზისთან მიმართებაში

აფხაზეთის კრიზისის ქრონიკულ მოუგვარებლობას გააჩნია ბევრი მიზეზი, მაგრამ კვლევის ავტორები ამხვილებენ ყურადღებას ისეთ მიზეზზე, როგორცაა სამშვიდობო პროცესის არაეფექტური მართვა.

აფხაზეთის კრიზისის მართვის სისტემის ხარისხის ზრდის შემთხვევაში, შესაძლებელია შეიქმნას ხარისხობრივად ახალი პოლიტიკური რეალობა, რომელიც იქნება ორიენტირებული საერთო ინტერესების დაცვაზე და განვითარებაზე. მაგრამ, არის აუცილებელი, რომ ჩვენს აზროვნებაში და სამეცნიერო-პოლიტიკურ დისკურსში გაჩნდეს პოლიტიკური პროცესების მართვის ხარისხის და შეფასების ახალი კულტურა. ამისთვის კი აუცილებელია არსებული გამოცდილების და ინოვაციური ტექნოლოგიების კომპლექსური გამოყენება. განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით მეცნიერებაში არსებული და გამოყენებელი შესაძლებლობების აქტივიზაცია.

ამ პარაგრაფში ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე თუ როგორ შეუძლია მეცნიერებას გაზარდოს პოლიტიკური პროცესების მართვის ხარისხი. ამიტომ საუბარი იქნება თვით ხარისხზე და შეფასებაზე და ამ მიმართულებით არსებული კვლევების ისეთ ქვემიმართულებებზე, როგორცაა - პოლიტიკური კვალიტოლოგია და პოლიტიკური ესტიმეტოლოგია.

2.1.1 პოლიტიკური კვალიტოლოგია

კვალიტოლოგია (qualitology) - განიმარტება, როგორც მეცნიერება ხარისხის შესახებ. ამ სახით იგი შეიქმნა პოლონელი ეკონომისტების მიერ, რომლებიც ცდილობენ მის განვითარებას და აღიარებას საერთაშორისო დონეზე. იოანა მეიჯაკი, გოლინსკი და მარეკ ვლადისლავ მანტურა (Majchrzak Joanna, Goliński, Marek Wladislaw Mantura) ასე აღწერენ „კვალიტოლოგიის“ განვითარების დინამიკას: „პოლონურ ლიტერატურაში იქმნება ინტერდისციპლინური კონცეპცია, რომელიც ეხება ხარისხის შესახებ ყველა ტიპის საკითხებს და ყალიბდება როგორც „კვალიტოლოგია“ - მეცნიერება ხარისხის შესახებ. იგი განიხილება როგორც ხარისხის თაობაზე არსებული ცოდნის ორგანიზება და ერთიან სისტემაში გაერთიანება. „კვალიტოლოგიის“ ცნება გაჩნდა 1973 წელს რომუალდ კოლმანის ნაშრომებში. კვალიტოლოგიური ნაშრომები ქმნიან ხარისხის კატეგორიების პრაქტიკული გამოყენების საფუძველს არა მხოლოდ იმ აქსიოლოგიური პრობლემების მოგვარების პროცესში, რომლებიც უკავშირდება ობიექტების ღურებულებას, არამედ იმ ეპისტემოლოგიური საკითხების ამოხსნის პროცესში, რომლებსაც მივყევართ ობიექტების ხარისხობრივი მოდელების

კონსტრუირებისაკენ (Kolman 1973, 2009; Kolman et al. 2009; Mantura 2010; 2012; Borys 1980; Azgaldov et al. 2015).

ნაშრომები კვალიტოლოგიის მიმართულებით შეიძლება გავყოთ ორი მიმართულებით (ბორისი 2012), ანუ - **კვალიტომია**, როგორც ხარისხის თეორიის აღწერითი მიმართულება და **კვალიმეტრია**, როგორც ხარისხის თეორიის ფორმალური მიმართულება, რომელიც წარმოადგენს ხარისხის თეორიის რიცხობრივი (მათემატიკურ-სტატისტიკური) მეთოდების გამოყენებას²⁶.

ჩვენი აზრით, ეს ინტერდისციპლინური მიმართულება შესაძლებელია იყოს გამოყენებული პოლიტიკური პროცესების ხარისხის მართვის დროსაც. ამიტომ ვთავაზობთ მკითხველს ახალ ნეოლოგიზმს - „პოლიტიკური კვალიტოლოგია“, რომელიც წარმოადგენს შედეგზე ორიენტირებულ ინოვაციურ პოლიტიკურ ტექნოლოგიას.

პოლიტიკური კვალიტოლოგია წარმოადგენს პოლიტიკურ მეცნიერებას, რომელიც იკვლევს სხვადასხვა ტიპის **პოლიტიკური მართვის პროცესების ხარისხს**. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში კვლევების კონცენტრაცია ხდებოდა ძირითადად საარჩევნო პროცესებზე, რამაც გამოიწვია თვით კვლევების მიმართ უნდობლობა. საუბარია „დაკვეთილ“ საექსპერტო კვლევებზე.

პოლიტიკური კვალიტოლოგიის ტექნოლოგიური არსენალის განვითარება მოგვცემდა საშუალებას, რომ მოგვეხდინდა პოლიტიკური პროცესების ხარისხის განვითარებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება/რეალიზება.

ამ მიმართულებით არსებობს ქართულ-პოლონური კვლევითი ფორმატის შექმნის და შემდგომში მის განვითარების პერსპექტივა. შესაძლებელია ამ თვალსაზრისით სტრატეგიაში შეიქმნას **პოლიტიკური კვალიტოლოგიის საერთაშორისო ცენტრიც**.

2.1.2 პოლიტიკური ესტიმეტოლოგია

რთულია ვისაუბროთ ხარისხზე, თუ არ ვფლობთ შეფასების მექანიზმებს. ამიტომ ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია იმის თაობაზე თუ როგორაა მეცნიერებაში კონცენტრირებული ინფორმაცია და ცოდნა შეფასებების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს „**შეფასების მეცნიერება**“ სახელწოდებით „**ესტიმეტოლოგია**“ (estimate - "შეფასება") შეფასების თეორია საკმაოდ დასაბუთებულად გამოიყენება არა მხოლოდ ფილოსოფიურ კვლევაში, არამედ სხვა მეცნიერებებში (მენეჯმენტი, პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა და ა.შ.).²⁷

²⁶ Majchrzak, J., Goliński, M., G. & Mantura, W., M. The concept of the quality and grey system theory application in marketing information quality cognition and assessment. *Cent Eur J Oper Res* **28**, 817–840 (2020). <https://doi.org/10.1007/s10100-019-00635-y>

²⁷ Сутужко В., 2009 УДК 141.2 ББК 87.1 «Общенаучные аспекты теории оценки»

ესტიმეტოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარების მიმართულებით დღეს აქტიურად მუშაობენ უკრაინელი მეცნიერები - ევგენია მისჩუკი²⁸, ნატალია ზახოსოვა²⁹, განნა კოზაჩენკო³⁰. მათი ნაშრომები მოიცავენ ეკონომიკის და ფინანსების უსაფრთხოების განზომილებას. ეს მიმართულებები პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ უშიშროების საკითხებთან.

უშუალოდ პოლიტიკური ესტიმოლოგიის მიმართულებით, შრომები ვერ აღმოვაჩინეთ. მაგრამ, გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ გვანტერესებდა პოლიტიკური პროცესების შეფასების საკითხი და **პოლიტიკური ესტიმეტოლოგიის** განვითარების პერსპექტივები, აღმოვაჩინეთ ინფორმაცია შეფასების ისეთი სახეობებზე, როგორცაა - **პოლიტიკური პროცესების აუდიტი და ევალუაცია**.

ჰარი ჰავენსი (Harry S.Havens) ასე ხსნის განსხვავებას აუდიტსა და ევალუაციას შორის: „განსხვავება გამომდინარეობს იმ ინტელექტუალური დისციპლინიდან, რომლიდანაც შეფასების ეს ფორმები წარმოიშვა. აუდიტი - საბუღალტრო დისციპლინიდან, ხოლო ევალუაცია - სოციალური მეცნიერებებიდან. აუდიტორი ეძებს იმ კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც რაღაც კეთდება არა ისე, როგორც ეს საჭიროა. იგი ყურადღებას ანიჭებს ადმინისტრაციული ანგარიშების სიზუსტეს და ეჭვის თვალთვლით უყურებს იმ სტატისტიკურ დასკვნებს, რომელიც ემყარება მონაცემთა ერთობლიობას თუ ვერ პოულობს რეალურ შემთხვევებს, რომლებიც უნდა ამყარებდნენ საერთო დასკვნებს. ევალუატორი არ ენდობა ადმინისტრაციულ ანგარიშებს და განწყობილია საკუთარი დაკვირვებების მეშვეობით შექმნას საერთო შეხედულება იმის თაობაზე თუ რა ხდება. მისთვის უფრო ხელსაყრელია მონაცემების დიდი მოცულობა და ის არ ენდობა კონკრეტული მოვლენების მცირე რაოდენობის აღწერას იმიტომ რომ არ თვლის, რომ ის რასაც აღმოაჩენს კონკრეტულ შემთხვევაში, არის ტიპიური. რეალურ ცხოვრებაში ადმინისტრაციული ჩანაწერები, რომლებთანაც წვდომა აქვს აუდიტორს არასდროს არაა სრული და სრულიად სანდო. ხოლო ევალუატორი მეორე მხრივ ვერასდროს ვერ დააკვირდება ყველაფერს, რაზეც საჭიროა დაკვირვება. ყოველივე დისციპლინამ უნდა გამოიყენოს მეორის მეთოდები, რათა მოინახოს საერთო პრობლემების მოგვარების გზები. კონკრეტული ვითარება კარნახობს, თუ რომელი მეთოდი უფრო მოსახერხებელია კონკრეტული შემთხვევების დროს“.³¹

<https://cyberleninka.ru/article/n/obschenauchnye-aspekty-teorii-otsenki>

²⁸ Mishchuk, Ievgeniia, Development of Modern Directions of Estimatology in the Economic Security of the Enterprise (December 31, 2020). Technology audit and production reserves, 6 (4 (56)), 22-28, 2020. doi: 10.15587/2706-5448.2020.220332, Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=3763181>

²⁹ Zachosova Nataliia, 2019. "Innovative Approach In The Estimatology Of Financial Institutions Economic Security: Possibilities Of Use In Management And Regulatory Activity Within The Means Of Provision Of The State Financial Sec," Baltic Journal of Economic Studies, Publishing house "Baltija Publishing", vol. 5(2)

³⁰ Kozachenko, Ganna V. (2016) "Estimatological Aspect in the Science of Economic Security." The Problems of Economy 1:167–173.

³¹ HAVENS HARRY S., AUDIT AND EVALUATION: IS THERE A DIFFERENCE?3 BY PREPARED FOR DELIVERY TO THE ATLANTA CHAPTER ASSOCIATION OF GOVERNMENT ACCOUNTANTS OCTOBER 16, 1980

შესაბამისად ეფექტი მიიღწევა კომპლექსური შეფასებების დროს. ეს კომპლექსური შეფასებები შეიძლება განვიხილოთ როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალური განზომილებაში. თუ ჩვენ განვიხილავთ აუდიტის და ევალუაციის ტექნიკების კომპლექსურ გამოყენებას, ეს არის ჰორიზონტული განზომილება. მაგრამ თუ ჩვენ გვინდა მიღებული შედეგის ხარისხის შეფასება, ჩვენ ფაქტობრივად ვეძებთ მათი სიღრმისეული შეფასების გზებს. ანუ - „მეტაშეფასების“ შესაძლებლობებს. მეტაშეფასება გულისხმობს - „შეფასების შეფასებას“. ეს ტერმინი პირველად იყო გამოყენებული ბრიტანული წარმოშობის ავსტრალიური მეცნიერის - მიხეილ სკრივენის მიერ (1969), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა შეფასების თეორიის და პრაქტიკის განვითარებაში.³² (Uusikylä, P., & Virtanen, P., 2000).

თავის ნაშრომში „ტეზარუს ევალუაცია“ (Evaluation Thesaurus) მან განმარტა მეტაშეფასება, როგორც - „შეფასებების შეფასება“ - სხვა (ირიბი, ნეიტრალური) შემფასებლების შეფასება. აქედან გამომდინარე მ.სკრივენის მიხედვით ეს წარმოადგენს ეთიკურ და ასევე სამეცნიერო ვალდებულებას, როდესაც საუბარი მიმდინარეობს სხვების კეთილდღეობაზე. ეს შესაძლებელია და აუცილებელიცაა რომ პირველ რიგში გაკეთდეს თვით საკუთარი ნაშრომის შეფასების სტადიაზე; მაგრამ ნდობა ამის მიმართ დაბალია, შედეგები აჭარბებენ რეალობას... გამომდინარე იქედან რომ თვითშეფასების შედეგები ნაკლებადაა სანდო, როდესაც ეს გამართლებულია დანახარჯების თვალსაზრისით, სასურველია იყოს მოწვეული გარე შემფასებელი რომელიც მოახდენს მეტაშეფასებას (Scriven, M., 1991).³³

შესაძლებელია, რომ სახელმწიფო პოზიტიურად აფასებდეს თავის პოლიტიკას აფხაზეთის კრიზისის მართვის მიმართულებით, მაგრამ მონოგრაფიის ჩარჩოში ჩვენ, სამეცნიერო ცოდნაზე დაყრდნობით, ვამტკიცებთ რომ ბევრი რესურსი მის მიერ დღემდე არაა გამოყენებული. ერთ-ერთი ასეთი რესურსი არის მეცნიერების მრავალფეროვნება.

მეტაშეფასება წარმოადგენს შეფასებების სისტემატურ გაცნობას და შეფასებას რათა მოხდეს შეფასებითი პროცესების და მათი შედეგების შეფასება (Cooksy&Caracelli, 2009).³⁴ ბუსტელოსთვის (Bustelo M., 2000) კი ეს არის “შეფასების შეფასება, ... შეფასების ხარისხის კონტროლი... მეტაშეფასებას აქვს „რეფლექსიური“ მნიშვნელობა, რომელიც ცდილობს გასცეს პასუხი სკრივენის ცნობილ კითხვას „ვინ აფასებს შემფასებელს?“ ბუსტელოს აზრით, მეტაშეფასების კონცეპცია „დაკავშირებულია შემფასებლის სანდოობაზე და შეფასების სანდოობის ხარისხის ზრდაზე“.³⁵

³² Uusikylä, P., & Virtanen, P. (2000). Meta-Evaluation as a Tool for Learning: A Case Study of the European Structural Fund Evaluations in Finland. *Evaluation*, 6(1), 50–65. <https://doi.org/10.1177/13563890022209118>

³³ Scriven, M. (1991). *Evaluation Thesaurus*. Newbury Park, Sage, 228 pages.

³⁴ Cooksy, L. J and Caracelli, V. J (2009), 'Meta-evaluation in practice: Selection and application of criteria', *Journal of MultiDisciplinary Evaluation*, 6 (9), 1-15.

³⁵ Bustelo M. (2000). Metaevaluation as a Tool for the Improvement and Development of the Evaluation Function in Public Administrations, Presentation to the 2002 European Evaluation Society Conference in Seville

ნაშრომში „რატომ უნდა შევავასოთ შეფასება?“, რიჩარდ კ.ლარსონი (Richard C. Larson) და ლენი ბერლინერი (Leni Berliner) წერენ - „არსებობს უამრავი მიზეზი თუ რატომ არის საჭირო შეფასების შეფასება. ერთ-ერთი მდგომარეობს იმაში, რომ „მეტაშეფასებაში“ შესაძლებელია იყოს ინტეგრირებული ამ კონკრეტული ობიექტის შეფასებების ყველა სხვა შეფასებაც, რაც იძლევა სინთეზირებული პროექტის მიღების შესაძლებლობას“ (Larson, R., & Leni Berliner, 1983).³⁶ ყოველივე მეტაშეფასება შეიძლება ასევე დაექვემდებაროს სხვა შეფასებას, რაც წარმოადგენს ახალი რანგის შეფასებას. გარკვეულ ვითარებაში ყოველივე მომდევნო შეფასება წარმოადგენს წინა შეფასების კონტრ-შეფასებას.

2.1.3 „კონტრ-შეფასებები“ - შეფასებათა კონფლიქტები და მათი პოზიტიური ტრანსფორმაციის მნიშვნელობა

სამწუხაროდ საქართველოში და კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების სამეცნიერო შეფასებები ატარებენ ცალმხრივ და რედუქციონისტულ ხასიათს და მათი მეტაშეფასებების არსებობის შესახებ ჩვენ ინფორმაცია ვერსად მოვიძიეთ. მეტად მნიშვნელოვანია, რომ მეტაშეფასებების არარსებობის პირობებში, როგორც კავკასიაში ისე მის გარეთ, ვითარდება წარმოებული სახის „შეფასებათა კონფლიქტი“. კონფლიქტის მხარეებს გააჩნიათ თავისი სუბიექტური შეფასებები, რომლებიც არ ემთხვევა ოპონენტების შეფასებებს. უმრავლეს შემთხვევაში ეს შეფასებები არასამეცნიერო პროპაგანდისტული ხასიათისაა. მაგალითად აფხაზეთის კონფლიქტს თბილისის ხელისუფლება განიხილავს როგორც კონფლიქტს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის. რუსეთის ფედერაცია განიხილავს როგორც კონფლიქტს აფხაზეთსა და ქართველებს შორის. აფხაზეთის სეცესიონისტური ხელისუფლება განიხილავს როგორც ომს აფხაზეთსა და საქართველოს შორის, დევნილები აფხაზეთიდან განიხილავენ ამ კონფლიქტს, როგორც თბილისის ცენტრალური ხელისუფლების პერმანენტული შეცდომების შედეგს და ა.შ.

მეტაშეფასების ხარისხი ამ სიტუაციაში უნდა იყოს განპირობებული ისეთი ოსტატური პროცედურით, რომელიც შესძლებს „შეფასებათა კონფლიქტის“ პოზიტიურ ტრანსფორმაციას და შექმნის ხარისხობრივად ისეთი ახალი ტიპის შეფასებას, რომელიც იხელმძღვანელებს არა არბიტრაჟის წესით და დაადგენს ვინაა მართალი და ვინაა მტყვანი, არამედ ეცდება ჩამოაყალიბოს მეტაშეფასების ისეთი ფორმულირება, რომელიც მოიცავს წინაშეფასებების შინაარსებს.

მიუხედავად კონფლიქტური ხასიათისა, კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის „პოლიტიკური სინკრეტიზმის“ პრინციპებიდან გამომდინარე,³⁷ კონტრ-შეფასებები არა მხოლოდ თავსებადია ერთმანეთთან, არამედ მათი ერთობლიობა წარმოადგენს კონფლიქტის

³⁶ Larson, R., & Leni Berliner. (1983). On Evaluating Evaluations. Policy Sciences, 16(2), 147-163. Retrieved April 19, 2021, from <http://www.jstor.org/stable/4531975>

³⁷ 2021 Annual Conference, International Society of Political Psychology, <https://ispp.org/meetings/>

რეალისტურ სურათს და ამის საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომის ჩარჩოში შეიქმნა აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მრავალგანზომილებიანი პოლიტოლოგიური მოდელი.³⁸

უნდა ვაღიაროთ, რომ მთელ მსოფლიოში არაა შექმნილი აფხაზეთის ტიპის პოლიტიკური კრიზისების მეცნიერული დიაგნოსტიკის, შეფასების და მეტაშეფასების საერთაშორისო გამოცდილება. ამ პრობლემის თაობაზე ავტორთა მიერ იყო წარმოდგენილი კვლევა და გამოიცა წიგნი - „ფსევდოკონფლიქტები და კვაზისამშიდობო პროცესები კავკასიაში“. ამ წიგნში წარმოდგენილია „კონფლიქტების და სამშვიდობო პროცესების ევალუაციის საერთაშორისო ცენტრის“ შექმნის იდეა. ასევე შექმნილია „დიაგნოსტიკის და შეფასების ინტეგრირებული სისტემის“ პროექტი.³⁹

როგორც პოლიტიკური კვალიტოლოგიის შემთხვევაში, პოლიტიკური ესტიმეტოლოგიის მიმართულებითაც არის შესაძლებელი რომ შეიქმნას (ამ შემთხვევაში) ქართულ-უკრაინული კროს-დისციპლინური კვლევების ფორმატი და დადგეს დღის წესრიგში - პოლიტიკური ესტიმეტოლოგიის საერთაშორისო ცენტრის შექმნის იდეა.

არსებობს პერსპექტივა, რომ მოხდეს ამ ორი პროექტის ინტეგრირება და ისეთი საერთაშორისო კვლევითი სტრუქტურის შექმნა, რომელიც იქნება შეიარაღებული პოლიტიკური ესტიმეტოლოგიის და პოლიტიკური კვალიტოლოგიის ტექნოლოგიური არსენალით.

2.1.4 აფხაზეთის კრიზისის მართვისთვის საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრაქტიკული შესაძლებლობები

პირველ რიგში ჩვენ განვიხილავთ ისეთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, როგორცაა - „საკონტროლო პალატის“ ნაცვლად შექმნილი სახელმწიფო აუდიტის სამსახური (სას-ი). იგი აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით ამზადებს ანგარიშს, რომელიც გამოვლენილ ხარვეზებსა და მათი აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციებს შეიცავს. იმას თუ რა საკითხთან დაკავშირებით არის შესაძლებელი რომ მომზადდეს აუდიტი, გადაწყვეტილების მიღებას ამზადებს მის დაქვემდებარებაში არსებული შესაბამისი სტრატეგიული კვლევის გუნდი.⁴⁰ ამიტომ სას-ის მოღვაწეობის ხარისხზე საუბარი უნდა დავიწყოთ იმით, თუ როგორია ამ „გუნდის“ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, იმიტომ რომ ყოველივე შეფასებას გააჩნია თავისი ღირებულება და გამომდინარე აქედან, სას-ი შეიძლება გახდეს

³⁸ Rusetsky A., “Metacognitive theory of conflict management for building a new model of positive transformation of the Abkhazian crisis” - Post-Apocalyptic Life Era (PALE 0 2020), https://2ec6cbba-6f09-466b-8623-4b303dfd3785.filesusr.com/ugd/ff9281_ff4c919c684545798f5bdacb1352e8e0.pdf

³⁹ რუსეცკი ა., დოროხინა ო., „Псевдоконфликты и квазимиротворчество на Кавказе». თბილისი. 2009. გვერდი 42. http://hca.ge/wp-content/uploads/2013/09/Book_psevdoconflicts_Low-1.pdf

⁴⁰ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქმიანობა, <https://sao.ge/ka/about-us/Overview>

დამოკიდებული „დამკვეთზე“. სას-ის დამოუკიდებლობის ხარსხი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენადაა იგი უზრუნველყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით და ამავე დროს რამდენადაა დამოუკიდებელი სხვა პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან ან პოლიტიკური ზეგავლენის ჯგუფებისაგან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სამი სახეობიდან: ფინანსური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტის საფუძველზე, შექმნილი რეკომენდაციების საფუძველზე პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება, სოციალურ, ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, ეკონომიკისა და სხვა სფეროებში დებულობს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.“ გამომდინარე აქედან ნათლად ჩანს თუ როდენ დიდი როლი ენიჭება აუდიტის სამსახურს სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მოღვაწეობის ეფექტიანობაში და მოქალაქეების ქეთილდღეობაში.

სას-ის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს ის თუ რამდენად შეესაბამება მისი მოღვაწეობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ პრიორიტეტებს და კონკრეტულ გამოწვევებს. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გამოკვეთილ პრიორიტეტებში ფიქსირდება კონფლიქტების მოგვარება, ამ მიმართულებით სისტემური აუდიტი, ევალუაცია და მეტაშეფასებები 30 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. ეს არის არა მხოლოდ სას-ის, არამედ მთელი საზოგადოების პრობლემა.

კონფლიქტების მოუგვარებლობა გადაიქცა ნორმად, რაც თავისთავად წარმოადგენს ჩვენი პოლიტიკური აზროვნების სერიოზულ პრობლემას და **პოლიტიკური ფსიქოლოგიის** კვლევის საგანს. ის თუ როგორი განწყობა იქმნება ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის მიმართ საზოგადოებაში, დამოკიდებულია მისი მომავალი განვითარების პარადიგმა. სამწუხაროდ, საზოგადოება რომელიც არ ახდენს საკუთარი შეცდომების ადეკვატურ შეფასებას, განიცდის მათ განმეორებას. ასეთი ტიპის საზოგადოების განვითარების პროცესში ხშირად ვლინდება აგრესია და ძალადობა. მაგრამ ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში კონფლიქტების მოუგვარებლობა, ქმნის უარყოფით პრეცედენტს და იმის საშიშროებას, რომ მსგავსი პროცესები სხვა ტერიტორიებზეც გავრცელდეს. არსებულ გეოპოლიტიკურ რეალობაში, ამის ალბათობა არც თუ ისეთი მცირეა. ამით ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ სას-ის პასუხისმგებლობას და ამავე დროს მის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს. ამიტომ უნდა გავერკვეთ თუ რა შესაძლებლობები გააჩნია აუდიტის სახელმწიფო სამსახურს, რათა ზეგავლენა მოახდინოს აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე.

აქ შეიძლება გამოვყოთ შესაძლებლობების ორი ქვეკატეგორია - სას-ს პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის შესაძლებლობები. პირდაპირ შესაძლებლობებს რაც შეეხება, ალბათ

იქნებოდა ლოგიკური, რომ ისეთ პრობლემაზე, როგორც არის მოუგვარებელი აფხაზეთის კრიზისი, სახელმწიფო აუდიტს შეეფასებინა იმ უწყებების საქმიანობის ეფექტიანობა, რომლებიც ამ მიმართულებით მოღვაწეობენ. სამწუხაროდ, სას-ის აქტიობა ამ თვალსაზრისით არ სცდება აფხაზეთთან დაკავშირებული ზოგიერთი სტრუქტურის ფინანსურ აუდიტს. გამოდინარე აქედან ჩნდება კითხვა - რომელ უწყებას ეხება ამ სტრუქტურების პოლიტიკური მართვის ხარისხის კომპლექსური შეფასება? სავარაუდოთ ყოველ სახელმწიფო უწყებაში უნდა არსებობდეს **თვითშეფასების** რეგულარული დოკუმენტაცია, რომელიც უნდა განიცდიდეს შემდგომში სისტემურ მეტაშეფასებას, რათა შეიქმნას პროცესის ეფექტიანობის საერთო სურათი.

2.1.5 შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრობლემები და შესაძლებლობები

საქართველოს პირობებში, საკმარისია პრემიერ-მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ყოველივე სახელმწიფო ორგანიზაცია მოამზადებს ანგარიშს იმის თაობაზე თუ რა გააკეთეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით და ასევე რა შესაძლებლობები გააჩნიათ მათ აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციისათვის. სამწუხაროდ ასეთი მარტივი ბრძანება ჯერ არ გაცემულა.

ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ჩვენ ვთავაზობთ პრემიერ-მინისტრის აპარატს განიხილოს აფხაზეთის კრიზისის მოგვარებასთან მიაღრთებაში უწყებათაშორისო სახელმწიფო კონფერენციის ჩატარების ინიციატივა.

საქართველოში არსებობს **შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი**.⁴¹ ეს ორგანიზაცია შექმნილია როგორც განსაკუთრებული სახელმწიფო ერთეული, რომელიც წარმართავდა ამ კონფლიქტების მოგვარების პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს.

სამწუხაროდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტატუსი და ფუნქციები - დაქვეითებულია. იმის ნაცვლად რომ მას შეესრულებინა უწყებათაშორისი სახელმწიფო სტრუქტურის ფუნქცია, ის თავის სტატუსით გაუტოლდა რიგით სამინისტროებს რაც წარმოადგენს ფუნქციურ დარღვევას და ამცირებს ინტერუწყებრივი თანამშრომლობის მონიტორინგის და შეფასების შესაძლებლობებს.

იდეალურ ვითარებაში, ყოველივე სახელმწიფო უწყებას უნდა ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული როლი და გეგმა ამ კონფლიქტის მოგვარებაში და ასევე ამ გეგმის შესრულების თვითშეფასების დოკუმენტი. ხოლო სახელმწიფო მინისტრის აპარატი უნდა წარმოადგენდეს მეტაშეფასების სისტემის პირველ რგოლს და ახდენდეს

⁴¹ შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი <https://www.smr.gov.ge/>

პროცესების კორექციას და კოორდინირებას. რეალობაში კი ეს სტრუქტურა უფრო სუსტია, ვიდრე ნებისმიერი სამინისტრო იმიტომ რომ მას არ გააჩნია დეკლარირებული მიზნების მისაღწევად საკმარისი საშტატო, ტექნიკური და მატერიალური რესურსები.

ანუ ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს *ეფექტიანობის აუდიტი*. მის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აფასებს საჯარო რესურსების გამოყენებისა და მართვის ეკონომიურობას, პროდუქტიულობას და ეფექტიანობას“. მათ შორის ეს უნდა ეხებოდეს სტრატეგიაში სახელმწიფო მინისტრის აპარატსაც. ფაქტობრივად ჩვენ ვსაუბრობთ მრავალსართულიანი მონიტორინგის და შეფასების სისტემაზე, რომელიც ხარისხობრივად განსხვავებულ სისტემას წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ინოვაციური წინადადება მოდის სამეცნიერო პროექტიდან და ეს ნიშნავს იმას, რომ კრიზისის მართვის ეფექტიანობაზე დიდ ზეგავლენას შეიძლება ახდენდეს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინოვაციების და განათლების ერთიანი (STI-E) სისტემა. ის რასაც ჩვენ აქ წარმოვადგენთ, არის **მეცნიერული კვლევებით გაძლიერებული პოლიტიკური ტექნოლოგიის ინოვაციური პროდიქტი**, რომლის დანერგვაც გაზრდიდა პრობლემების მოგვარების ეფექტიანობას.

თუ როგორი უნდა იყოს კონფლიქტების და კრიზისების მართვის სისტემა საქართველოში, დამოკიდებულია STI-E სისტემაზე. ამიტომ რაც უფრო მალე მოხდება ამის გააზრება, მით ნაკლები იქნება ინსტიტუციონალური შეცდომების ფასი და უფრო ეფექტიანი იქნება სახელმწიფოს მართვის სისტემა.

2.1.6 სახელმწიფო აუდიტის როლი STI-E სისტემის განვითარებაში

რაც უფრო სუსტია STI-E სისტემა, მით უფრო სუსტია სახელმწიფო და საზოგადოება. შესაბამისად კრიზისის მართვის პროცესიც. ამიტომ თუ სას-ი ხელს შეუწყობდა თავისი აქტივობით ამ სისტემის განვითარებას, ეს ირიბად მოახდენდა პოზიტიურ ზეგავლენას კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე. და სას-ს ასეთი გამოცდილება გააჩნია. ჩვენ გავეცანით სახელმწიფო აუდიტის მიერ USAID დახმარებით, 2014 წელს შექმნილ მნიშვნელოვან დოკუმენტს – „**მეცნიერების მართვის ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშს**“.⁴²

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა კვლევამ დაადგინა, რომ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები არასრულყოფილადაა შესრულებული, უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტმა

⁴² 2014 – მეცნიერების მართვის ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, <https://sao.ge/ka/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98201911290331260ka.html>

ჩაუყარა საფუძველი 2017-2021 წლის განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტის შექმნას.

2014 წლის დოკუმენტში არსებული რეკომენდაციების შესრულება/შეუსრულებლობის ხარისხის დასადგენად, ჩვენ მივმართეთ თვით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. მნიშვნელოვანია, რომ „კანონით, აუდიტის სამსახურს გააჩნია გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე ორიენტირებული მონიტორინგის ელექტრონული სისტემა“, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ იარაღს.⁴³

სამწუხაროდ, აუდიტის ეს სერვისი წინა წლებში არ ფუნქციონირებდა და ამიტომ თუ რამდენად ეფექტიანად იყო შესრულებული მათი რეკომენდაციები, აუდიტის სამსახური ინფორმაციას არ ფლობს. სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებიც მუშაობდნენ ამ კონკრეტულ დოკუმენტზე, უწყებაში აღარ მუშაობენ და მათთან კომუნიკაცია ვერ დავამყარეთ. როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სერვისმა აგვიხსნა, რეკომენდაციების შეუსრულებლობაზე აუდიტის სამსახურს არ გააჩნია ზეგავლენის მძლავრი ბერკეტები. ამავე დროს ინფორმაცია ყოველი აუდიტის თაობაზე ყოველთვის ფიქსირდება პარლამენტის შესაბამის სამსახურში.

მეორე მხრივ, რეკომენდაციის შესრულების ხარისხი წარმოადგენს ერთ-ერთ ინდიკატორს, რომლითაც შესაძლებელია თვით ამ სამსახურის ეფექტიანობის დადგენა. გამომდინარე აქედან, აუდიტის სამსახური უნდა იყოს დაინტერესებული მისივე რეკომენდაციების შესრულებით და ასევე იმით, რომ მას ჰყავდეს ამ საქმეში მოკავშირეები.

თუ ჩვენ განვიხილავთ ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ დოკუმენტს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ დოკუმენტში არსებული რეკომენდაციების შესრულებით დაინტერესებულია მეცნიერთა საზოგადოება. მაგრამ, გამოკითხული მეცნიერებიდან ამ აუდიტის დოკუმენტის შესახებ არავის ჰქონდა ინფორმაცია. აუდიტის სამსახურის შესახებ საზოგადოებაში ცოტა რამ იციან. არც მეცნიერები და არც განათლების სექტორის წარმომადგენლები არ იცნობენ კარგად სახელმწიფო აუდიტის ფუნქციებს.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოკლებულია საზოგადოებრივ მხარდაჭერას, რაც მაჩვენებელია მისი დაბალი ლეგიტიმურობის დონის (იგულისხმება ლეგიტიმურობის არა იურიდიული, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიური კომპონენტი).

მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა რომ სახელმწიფო აუდიტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მოეხდინა ახალი სტრატეგიის წარმოდგენა და ბიუჯეტში ყოფილიყო გათვალისწინებული საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციებისთვის

⁴³ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქმიანობა, <https://sao.ge/ka/about-us/Overview>

უფრო მეტი თანხა. განსაკუთრებით ეს შეეხება მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებას კონკრეტული აუდიტორული ოპერაციების შედეგების შესახებ.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს თვით აუდიტის ეფექტიანობის (ხარისხის) შეფასების მექანიზმი. როგორც ზემოთ ავლინეთ, საერთაშორისო პრაქტიკაში ამ თვლასაზრისით ცნობილია მეტაშეფასების კულტურა.⁴⁴

აქ საუბარი არაა იმაზე თუ რამდენად ეფექტიანად ხარჯავს აუდიტის სამსახური საბიუჯეტო სახსრებს, არამედ საუბარია ზოგადად ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდაზე. საზოგადოება უნდა ხედავდეს იმას, რომ ეს სახელმწიფო უწყება ზრუნავს თავისი სერვისების გაუმჯობესებაზე. ამ სტრატეგიის შექმნისთვის აუდიტის სამსახურს გააჩნია მნიშვნელოვანი ქვესტრუქტურა - **სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი**. მიუხედავად იმისა რომ ეს არის საგანმანათლებლო პროფილის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მის მოვალეობებში ასევე დებულებით შედის - **კვლევით/ანალიტიკური, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების დაგეგმარება**.⁴⁵ გამომდინარე აქედან არის მიზანშეწონილი, რომ სახელმწიფო აუდიტის ხარისხის ზრდის მიზნით ჩატარდეს შესაბამისი კვლევა, რომელიც წარმოადგენდა პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებსაც. ამის შედეგად შეიძლება შეიქმნას **თვითშეფასების** ყოველწლიური ანგარიშიც.

შესაძლებელია, რომ შეიქმნას ჩატარებული აუდიტების შედეგად შესრულებული-არაშესრულებული რეკომენდაციების ელექტრონული პროგრამა რაც ხელს შეუწყობდა სახელმწიფო აუდიტის ციფრული თვითშეფასების სისტემის ხარისხის ზრდას.⁴⁶

ბუნებრივია რომ ამ შიდა კონტროლინგის მექანიზმის გარდა არის შესაძლებლობა რომ მოხდეს მათი მოღვაწეობის შეფასება გარედანაც. ეს შეიძლება იყოს **სამოქალაქო აუდიტის** დონეზე ან **საერთაშორისო აუდიტის** დონეზე.

აუდიტის კულტურის ზრდა საზოგადოებაში საერთო ინტერესებშია და სახელმწიფო აუდიტს აუცილებელიცაა რომ ჰქონდეს ეს განსაკუთრებული მისია გაწერილი საკუთარ ნორმატიულ დოკუმენტში. ბუნებრივია, რომ თუ თვით ეს სამსახური გახდება

⁴⁴ Larson, R., & Leni Berliner. (1983). On Evaluating Evaluations. Policy Sciences, 16(2), 147-163. Retrieved April 19, 2021, from <http://www.jstor.org/stable/4531975>

⁴⁵ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქმიანობა, <https://sao.ge/ka/about-us/Overview>

⁴⁶ „სამსახური ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე და, ყოველი წლის 1 ივნისამდე, ამზადებს და საკანონმდებლო ორგანოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.“ <https://drive.google.com/drive/u/0/folders/1U3vOCuPW5u0uONJ2p7PVbmouVPn4V011>

სამაგალითო თვითაუდიტის კულტურის დანერგვაშიც, ეს მხოლოდ გაზრდის მის ავტორიტეტს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

საზოგადოებაში სახელმწიფო აუდიტი არ უნდა განიხილებოდეს როგორც **რეპრესიების მექანიზმი**, ის არ უნდა ასრულებდეს ასევე „პოლიტიკურ დავალებებს“, არამედ ის უნდა აწარმოებდეს დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების და სახელმწიფოს ერთიან ინტერესებზე.

სამოქალაქო აუდიტის სუბიექტად შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც ცალკეული მოქალაქე (მაგალითათ დამოუკიდებელი მკვლევარი), ან ორგანიზებული ჯგუფი - სამოქალაქო ორგანიზაცია. ტრანსპარენტულობის ხარისხის ზრდა გაზრდიდა სახელმწიფო აუდიტის და შესაბამისი სახელმწიფო თუ საპარლამენტო სტრუქტურების ეფექტიანობის ხარისხს. სამოქალაქო აუდიტის სისტემების გაძლიერება ხელს შეუწყობდა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების ზრდასაც.

მაგალითად, მეცნიერების განვითარების 2014 წლის აუდიტის დოკუმენტის გარშემო არის შესაძლებელი შეიქმნას **სამეცნიერო ორგანიზაციების კოალიცია**, რომელიც იქნება დაინტერესებული ამ დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციების ინპლემენტაციით ან იქნება ახალი აუდიტის ჩატარების ინიციატორი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ რომ მეცნიერებმა მეტად იგრძნონ სოციალური პასუხისგებლობა.

მაგალითისთვის, ცხრილის მარცხენა სვეტში წარმოვადგენთ სახელმწიფო აუდიტის „2014 – მეცნიერების მართვის ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის“ დოკუმენტიდან ამონარიდს, რომელიც ნათლად წარმოადგენს დანახულ პრობლემებს. ასევე, ცხრილის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია ამ დოკუმენტის გამოყენების შესაძლებლობები აფხაზეთის კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციასთან მიმართებაში:

ცხრილი #1.

	დოკუმენტში არსებული შეფასებები	შეფასებების მიმართება აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციასთან მიმართებაში
1	სამეცნიერო სფეროში სტრატეგიული ხედვა და პრიორიტეტები განსაზღვრული არ არის	<ul style="list-style-type: none"> • აფხაზეთის სამეცნიერო სფეროს განვითარების სტრატეგია არაა განსაზღვრული. • აფხაზეთის კრიზისთან მიმართებაში არ არსებობს ეროვნული სამეცნიერო სისტემის შესაძლებლობების ანალიზი
2.	სამეცნიერო სფეროს მეორეხარისხოვანი ფუნქცია და მისი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო სფეროს მეორეხარისხოვანი ფუნქცია მჟღავნდება აფხაზეთის კრიზისის მართვასთან დაკავშირებითაც. • აფხაზეთელ მეცნიერებს უნდა ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობა მოლაპარაკებებში მონაწილეობის

		<p>მიღების თვალსაზრისით. იგულისხმება სამეცნიერო, აკადემიური, საუნივერსიტეტო დიპლომატიის ფორმატები და ასევე მათი ჩართულობა სხვა ფორმატებში.</p> <ul style="list-style-type: none"> • აფხაზეთის მეცნიერების შესაძლებლობების და პრობლემების ანალიზი და შეფასება.
3.	სამეცნიერო სფეროს მართვაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სისუსტეები	<p>აფხაზეთის მეცნიერების მონიტორინგის და შეფასების სისტემა საერთოდ არ არსებობს.</p> <p>საქართველოს მეცნიერებათა საერთო სისტემაში არანაირად არ ჩანს აფხაზეთის მეცნიერება.</p>
4.	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების ინტეგრაცია	<p>როგორ აისახა ეს პროცესი აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის ტრანსფორმაციაზე - არაა შეფასებული</p>
5.	ინტეგრაციის ფორმა არ არის განსაზღვრული, ხოლო ღონისძიებები არასაკმარისია	<p>ფაქტობრივად არ არსებობს STI სისტემის და E სისტემის ეფექტიანი თანამშრომლობის სისტემა და ხდება პირველის უხეში დაქვემდებარება მეორესთან, რაც ვერანაირად ვერ იქნება ეფექტიანი.</p>
6.	ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციის ღონისძიებები არასაკმარისია	<ul style="list-style-type: none"> • აფხაზეთის სამეცნიერო ინფრასტრუქტურის აღრიცხვა როგორც თვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე დევნილობაში მყოფი ორგანიზაციები არაა შეფასებული. • ოპტიმიზაცია შეიძლება შეეხებოდეს გახლეჩილი საზოგადოების ორივე მხარის სამეცნიერო სტრუქტურებს და მიმდინარეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ხელშეწყობით. • შესაძლებელია სამეცნიერო დიპლომატიის შესაძლებლობების ამოქმედებაც.
7.	სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტების ქონების განკარგვა და მისი განახლება	<ul style="list-style-type: none"> • აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქონების აღრიცხვა. • თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა მეცნიერების განვითარებისათვის. • ქონების აღრიცხვის, დაცვის და განახლების მიზნით დონორების შესაძლებლობების აკუმულირება
8.	არსებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და მისი გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • შეფასება არსებული ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების და მისი გამოყენების და განახლების სტრატეგიის შექმნა (დევნილი

		სტრუქტურების დონეზე) და „სამეცნიერო დიპლომატიის“ ფორმატში
9.	უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციის ეფექტი უმნიშვნელოა	<ul style="list-style-type: none"> • უმაღლესი განათლების ეფექტიანობის ზრდის მიზნით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი რესურსების გაძლიერების სტრატეგია და არსებულ კვლევით ცენტრებთან ეფექტიანი სტრატეგიის განსაზღვრა. • აფხაზეთის სხვა უმაღლესი სასწავლებლების რეანიმაციის პოლიტიკის გატარება. • აფხაზეთელი მეცნიერების სრულყოფილი და ღირსეული ინტეგრაცია ეროვნულ და საერთაშორისო სისტემებში • აფხაზეთის STI-E ერთიანი სისტემის სტრატეგიის და მოქმედების პროგრამის შექმნა.
10	სამეცნიერო საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსების გამოყენება არასრულია	<ul style="list-style-type: none"> • აფხაზეთის მეცნიერების განვითარებისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო დაფინანსების სტრატეგიის შექმნა. • საფინანსო პოლიტიკის მონიტორინგის და შეფასების სისტემის სრულყოფილი ამოქმედება. • სასურველია რომ დღის წესრიგში დადგეს არასაბიუჯეტო დაფინანსების საკითხიც.

ეს ცხრილი ეყრდნობა 2014 წლის დოკუმენტს და მოითხოვს განახლებას, მაგრამ იგი წარმოადგენს დისკუსიის საფუძველს და ამ მიმართულებით შესაძლებელია დამატებითი კვლევის ჩატარება. მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდი შესაძლებლობები გააჩნია მაღალ კვალიფიცირებულ დონეზე შედგენილ შეფასების დოკუმენტს უშუალოდ აფხაზეთის კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციისათვის.

დღის წესრიგში დგება არა მხოლოდ შეფასების დოკუმენტის ხარისხი, არამედ მისი გამოყენების ხარისხის შეფასების საკითხიც.

როგორც დამოუკიდებელი მკვლევარებისთვის ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო აუდიტის მიმართ იყოს განსაკუთრებული დამოკიდებულება გამომდინარე იქედან, რომ თუ ხდება ამ დოკუმენტის იგნორირება, ჩვენი ტიპის კვლევებსაც არ ექნება ღირებულება და ეფექტი.

როგორც ზემოთ წარმოვადგინეთ, განსაკუთრებულ და სტრატეგიულ ინტერესს შეიძლება წარმოადგენდეს პოლიტიკური კრიზისების და სამშვიდობო პროცესების მართვის სისტემის სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორისი აუდიტის და შეფასების სისტემის შექმნა. მაგალითად, შესაძლებელია ჩატარდეს ამ სფეროს შედარებითი აუდიტი/ევალუაცია საქართველოში და უკრაინაში არსებული პოლიტიკური კრიზისების მართვის მიმართულებით.

აუდიტის კულტურა საქართველოში მოითხოვს კომპლექსურ განვითარებას. აუცილებელია ამ მიმართულებით სპეციალური კადრების მომზადება. უნდა არსებობდეს **დარგობრივი აუდიტის და ევალუაციის სისტემა**. მნიშვნელოვანია ასევე **პრობლემური საკითხების მართვის აუდიტის და ევალუაციის კომპლექსური სისტემის** დანერგვა.

იქნება სასარგებლო, თუ მომავალ კლასიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში გაჩნდება **პოლიტიკური კვალიტოლოგიის და პოლიტიკური ესტიმეტოლოგიის** მიმართულებები და ისეთი სპეციალიზაციები, როგორიცაა: **პოლიტიკის აუდიტორი, პოლიტიკის ევალუატორი და ა.შ.**

2.2 (P-STI-E) სისტემის ცნება და მისი შესაძლებლობები აფხაზეთის კრიზისის მართვაში

აფხაზეთის კრიზისის მოუგვარებლობის მთავარი შეცდომები მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს:

- აფხაზეთის კრიზისის რთული სისტემის ინტერდისციპლინური სამეცნიერო დიაგნოზი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ამ კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციის პროცესს.
- სამშვიდობო პროცესების ხარისხის და ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი.
- გამოუყენებელი შესაძლებლობების შეფასების დოკუმენტი.

ამ ყველაფრის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ განათლების და მეცნიერების ბლოკი ვერ/არ ახდენდა ამ პროცესის კვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფას. პოლიტიკური კრიზისების მართვას სჭირდება სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ინოვაციური და საგანმანათლებლო ხელშეწყობა. ანუ მათი უზრუნველყოფა ერთიანი STI-E სისტემით.

„განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021)“ დოკუმენტში, არის ახლებურად დანახული „განათლება-მეცნიერების“ სისტემის შესაძლებლობები. დოკუმენტში, განათლებასთან ერთად განიხილება არა ცალკე მეცნიერების, არამედ - მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების (STI) ერთიანი სისტემა. არსებობს შესაბამისი მოქმედების პროგრამა და მის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლები ეკისრებათ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA). მაგრამ არსებობს ამ პროცესის მართვის პრობლემებიც. GITA ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, მაშინ როდესაც, სტრატეგიის დოკუმენტის ტექსტში ვკითხულობთ - „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის განხორციელებას საერთო კოორდინაციას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც განხორციელების პროცესში ითანამშრომლებს სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან, აკადემიურ და ბიზნესს წრებთან. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით,

გათვალისწინებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას⁴⁷.

ამ პროცესის მართვისთვის შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიის ყოველწლიური სამოქმედო გეგმებისა და მისი შესრულების შუალედური და წლიური ანგარიშების შემუშავებაზე⁴⁸.

სტრატეგიის შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ხოლო მეთოდოლოგიურ დახმარებას - გაეროს განვითარების „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (UNDP PAR), რაც ითვალისწინებს საექსპერტო დახმარებას შეფასების პროცესისა და მეთოდიკის დაგეგმვაში.⁴⁹

„2019 წლის შუალედური ანგარიშის“ ანალიზმა გვაჩვენა, რომ შეფასების პროცესში არაა გათვალისწინებული (ან არ ჩანს დოკუმენტში) STI-E სისტემის დარგობრივი კომპონენტები. მაგალითად - „პოლიტიკის მეცნიერების“ სფერო. ეს არის შედეგი იმის, რომ ამ სფეროს არავინ არ უწევს ღირსეულ პატრონაჟს.⁵⁰ გვაქვს იმედი, რომ 2022-2030 წლების განმავლობაში ამ მიმართულებით იქნება მიღებული შესაბამისი გადამწყვეტი ზომები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი STI-E ერთიანი სისტემის როლი **ეროვნული მამტაბის პრობლემების** მოგვარების მიმართულებით. კონკრეტულად კი პოლიტიკური კრიზისების და კონფლიქტების მოგვარების თაობაზე.

„პოლიტიკური ტექნოლოგიების“ სფერო წარმოდგენილია საქართველოში კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებით და „ფრილანსერებით“ და მას არ გააჩნია გამოკვეთილი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა. მათი აქტიობა ორიენტირებულია ძირითადად არჩევნებზე. არც საგანამანათლებლო სისტემაში არაა ეს მიმართულება ღირსეულად წარმოდგენილი.

⁴⁷ განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, <http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf>

⁴⁸ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4904435?publication=0>

⁴⁹ განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021-ის განხორციელების შუალედური შეფასება <https://www.mes.gov.ge/uploads/files/gan-strat-shualeduri-shefaseba.pdf>

⁵⁰ Ibid

რაც შეეხება „პოლიტიკურ ინოვაციებს“, ეს ცნება პოლიტიკურ და სამეცნიერო დისკურსში არა საკმარისადაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციებში არ განიხილება ჰუმანიტარული და სოციალური, სახელდობრ - პოლიტიკური მეცნიერებების პროექტები.

ან GITA-ამ უნდა შეცვალოს თავისი პოლიტიკა, ან უნდა ცალკე შეიქმნას **სოციალური და ჰუმანიტარული ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტო**. შეიძლება ასევე დაარსდეს **პოლიტიკური ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტოც**.

მეორე ფუნდამენტურ ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიები და ინოვაციები განიხილება კომერციულ განზომილებაში და არ განიხილება არაკომერციული პროგრამების ჩარჩოში. ასევე არ განიხილება როგორც პოტენციური დამკვეთი სახელმწიფო. გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტომ აიღოს გეზი სამსექტორიან ეკონომიკაზე და არა მხოლოდ ბიზნესზე. საუბარია GITA-ს ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაზე.

სტრატეგიაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ საჭიროა „მეცნიერების ინსტიტუციური, სტრუქტურული, საფინანსო და სამართლებრივი მექანიზმების და ინსტრუმენტების/პროგრამების განახლება და გაძლიერება, ასევე სისტემის მოდერნიზაცია“. არის აუცილებელი პოლიტიკის მეცნიერებების, ტექნოლოგიების, ინოვაციების და განათლების მუდმივმოქმედი პროგრამის („PSTIEP“) შექმნა და სტრატეგიის რეალიზაციის ხელშეწყობა ამ დარგის მიმართულებით. ასევე, შესაბამისი ნორმატიული აქტის მიხედვით, უნდა შეიქმნას **პოლიტიკის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო**.⁵¹

მეტად მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიაში აღნიშნულია განათლების და მეცნიერების სისტემების სიღრმისეული თანამშროლობის აუცილებლობა საუნივერსიტეტო პროგრამებთან და ამის თაობაზე წარმოდგენილია შემდეგი კრიტიკული მოსაზრებები: „უნივერსიტეტების აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, აგრეთვე, უნივერსიტეტების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალი არასაკმარისად აქტიურად არის ჩართული კვლევისა და სწავლების პროცესში და სამეცნიერო კვლევის კომპონენტები ნაკლებად არის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია **კვლევითი უნივერსიტეტების** გრძელვადიანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტრატეგიების განხორციელებისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის“.

დოკუმენტში ასევე აღიარებულია, რომ „ნაკლებად ხდება ქვეყნისთვის სტრატეგიულ დარგებში არსებული სამეცნიერო რესურსების გამოყენება, **პრიორიტეტული საკვლევი**

⁵¹ პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 აგვისტოს №680/ი ბრძანებაში 2020 წლის 11 დეკემბერს შეტანილი ცვლილები, <https://eqe.ge/res/NewFolder%205/%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20N1212278.pdf>

თემების განსაზღვრა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი ტექნოლოგიური ტრანსფერისა და კვლევის კომერციალიზაციის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ შეუძლებელია ფუნდამენტური კვლევების გაძლიერების გარეშე“.

ამის ფონზე ზოგ უნივერსიტეტში ბაკალავრიატის დონეზე ჯერ კიდევ გრძელდება სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის ხელოვნური შეზღუდვა რაც გამოიხატება იმაში, რომ სტუდენტები ან არ ასრულებენ სადიპლომო კვლევით ნაშრომებს, ან ამ ნაშრომების შექმნას იწყებენ მე-8 სემესტრში. საგულისხმოა, რომ 2019 წლის სტრატეგიის შუალედურ ანგარიშში სამეცნიერო კომპონენტის ჩართულობა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროცესში, განსხვავებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისა, წარმოდგენილი არაა.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე არსებული საკვალიფიკაციო სამეცნიერო ნაშრომები წარმოდგენენ ეროვნული ინტელექტუალური კაპიტალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ამიტომ მის მიმართ დამოკიდებულება უნდა იყოს განსაკუთრებული. მაგალითად, ამ სისტემაში არსებული ნაშრომები აფხაზეთის მიმართულებით დღესაც წარმოადგენენ ღირებულებას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ ნაშრომების შექმნა მიიღებს გეგმაზომიერ ხასიათს, შესაბამისად მათგან მიღებული ეკონომიკური და პოლიტიკური ეფექტიც იქნება ბევრად უფრო დიდი.

სტრატეგიის დოკუმენტში გამახვილებულია ყურადღება „**საზოგადოებრივი გამოწვევების** მოგვარებაზე კვლევის განვითარებისა და ინოვაციების გზით“. ეს ნიშნავს იმას, რომ (STI-E) სისტემა განიხილება როგორც ამ გამოწვევების (მათ შორის პოლიტიკური კრიზისების) მოგვარების ერთ-ერთი სტრატეგიული რესურსი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პროცესში სკოლის მოსწავლეების ჩართულობასაც. 24.04.2021 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეგიდით თბილისის 23-ე და 48-ე სკოლების წარმომადგენლებთან ჩატარდა „დიპლომატიური თამაშები“. მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეებმა წარმოდგინეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკუთარი გეგმა. თავის თავად ეს ინიციატივა წარმოადგენს სკოლებში STI-E სისტემის პოპულარიზაციის მექანიზმსაც.

მნიშვნელოვანია რომ „განათლების და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში (2017-2021)“ გამახვილებულია ყურადღება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეცნიერების პოპულარიზაციის აუცილებლობაზე და აღიარებულია, რომ „ამჟამად არსებული განათლების სისტემა ნაკლებად უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინოვაციური აზროვნებისა და სამეცნიერო კვლევების კულტურის განვითარების წახალისებას, რაც თავის მხრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოსული ახალგაზრდების კვლევის უნარებისა და ინოვაციური აზროვნების დეფიციტს განაპირობებს“. ეს ინფორმაცია გვარწმუნებს ჩვენ იმ აზრში, რომ საბაკალავრო განათლების სტადიაზე STI კომპონენტი უფრო აქტიურად უნდა იყოს ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროცესში.

ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რიგ სამეცნიერო დარგებთან ერთად, დოკუმენტში რამოდენიმეჯერ გამახვილებულია ყურადღება „საქართველოს კულტურული და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციაზე ორიენტირებულ მიმართულებებზე“ რაც წარმოადგენს ასევე პოლიტიკის მეცნიერებების კვლევის საგანსაც.

„ქვეყნის წარმატებული განვითარებისთვის, ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში, აუცილებელი ფაქტორია ინოვაციური და კრიტიკული აზროვნება და საზოგადოების სწორი დამოკიდებულება მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორის მიმართ“. სტრატეგიულ დოკუმენტში (STI) ეკო-სისტემის ცნება დანახულია ასე:

- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები;
- საქართველოს პარლამენტი;
- ბიზნესსექტორი და პროფკავშირები;
- დონორი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

სასურველია, რომ აქაც იყოს გამოყენებული სამსექტორიანი მოდელი - სახელმწიფო; ბიზნესი; სამოქალაქო საზოგადოება და ასევე დანახული მისი პოლიტიკური განზომილება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვისაც რომ იყოს დანახული აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების შესაბამისი მოდელი. უნდა იყოს გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ახალმა სტრატეგიამ უნდა იმუშაოს კონტროლირებად და არაკონტროლირებად ტერიტორიებზე და ასევე საქართველოს საზღვრებ გარეთაც.

პოლიტიკის მეცნიერებების კვლევების ერთ-ერთ სეგმენტს წარმოადგენს პოლიტიკის ადმინისტრირების საკითხიც. მნიშვნელოვანია ამ ჭრილში იყოს მიცემული არსებული სტრატეგიის რეალიზაციის შეფასება, დადგინდეს ხარვეზები და გამოიკვეთოს წარმატებები.

მიუხედავად დოკუმენტის შინაარსობრივი ღირებულებისა არც საპარლამენტო შესაბამისი კომიტეტის და არც სამინისტროს ბრენდში, მიზნებში, ამოცანებში და ორგანიზაციულ სტრუქტურაში (STI) სისტემა ჯერ არ ფიგურირებს. ზოგადად საკანონმდებლო სივრცეშიც შეინიშნება გარკვეული შეუთავსებლობა. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება იმ კანონებს, რომლებიც არეგულირებენ ამ სტრატეგიას:

- მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონი,
- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი,
- ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონი,
- გრანტების შესახებ საქართველოს კანონი
- განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი.

თუ განიხილება ერთიანი STI სისტემა, მაშინ სასურველია, რომ ან მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების შესახებ იყოს ერთიანი კანონი, ან კი სამი ცალკე კანონი. გაუგებარია, რატომ არის ტექნოლოგიები მეცნიერებასთან, ხოლო ინოვაციები - ცალკე.

STI სისტემის ერთიანი განვითარება ხელს შეუწობს ძლიერი საზოგადოების და ერის ჩამოყალიბებას და სხვადასხვა ტიპის პრობლემების მართვას. ამიტომ ეს პროცესი უნდა დაჩქრდეს.

2017-2021 წწ დოკუმენტი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ არსებულ პრობლემატიკას და იმ ფაქტს, რომ ეს ხდება „ახალი STI სისტემის შენელებული განვითარების გამო“. უფრო მეტიც, დოკუმენტში წარმოდგენილია „პოსტსაბჭოთა განათლების სისტემის“ კრიტიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტის ავტორები ემიჯნებიან საბჭოთა და პოსტსაბჭოთა განათლებას და განიხილავენ ამ დოკუმენტს, როგორც „მესამე თაობის“ ახალი პოლიტიკური ეპოქის წარმონაქმნს. გვაქვს იმედი, რომ 2022-2030 წლის რედაქცია იქნება ბევრად უფრო ძლიერი და გაითვალისწინებს ჩვენს მონოგრაფიაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს.

2.3 განათლების და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის როლი აფხაზეთის კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციაში

2.3.1 საქართველოს პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტის როლი

როდესაც ჩვენ დავიწყეთ ამ თემაზე მუშაობა, რამოდენიმე კოლეგამ გვკითხა - რა შუაშია პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტი, ხომ არსებობენ ის ორგანიზაციული ერთეულები, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ აფხაზეთის კრიზისის საკითხი. რა თქმა უნდა არსებობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენი შეხედულებები იმის თაობაზე, თუ რა კავშირშია აფხაზეთის კრიზისთან ზემოთ ხსენებული კომიტეტი. მიგვაჩნია, რომ ასეთი საერო მნიშვნელობის პრობლემებთან მიმართებაში პარლამენტის ყოველი კომიტეტი უნდა ჰქონდეს განსაზღვრული თავისი როლი და კონკრეტული ამოცანები.

კომიტეტი წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციულ ერთეულს, რომელიც პასუხს აგებს ერის და მისი პოლიტიკური ელიტის განათლების და ინტელექტის დონეზე. ფაქტობრივად, ეს არის ერის „ეროვნულ ტვინზე“ და კოლექტიურ აზროვნებაზე პასუხისმგებელი ერთეული. ამიტომ თუ ფიქსირდება რაიმე სფეროში ცოდნის დეფიციტის პრობლემა, კომიტეტი ვალდებულია მოახდინოს ამაზე რეაგირება. 30 წლის განმავლობაში თუ ვერ გვარდება პრობლემა, ესეიგი არსებობს სერიოზული მიზეზები, რასაც სჭირდება არა ზედაპირული, არამედ სისტემური მეცნიერული (!) შეფასება.

განათლების ობიექტად უნდა წარმოვიდგინოთ არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეები და უნივერსიტეტის სტუდენტები, არამედ მთლიანად მთელი საზოგადოება და მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომლებიც. თუ რამდენად იქნება ორგანიზებული პარლამენტის და სამეცნიერო ელიტის ურთიერთობა, დამოკიდებულია კომიტეტის მუშაობაზეც.

„აფხაზეთის ჩიხთან“ მიმართებაში (ისევე როგორც სხვა მწვავე პრობლემებთან მიმართებაში) კომიტეტი უნდა აგებდეს პასუხს ეროვნული და თუ საჭიროა საერთაშორისო ინტელექტის მობილიზებაზე და მისი რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე.

აფხაზეთი პრობლემატიკა უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც კომიტეტის პრიორიტეტი და უნდა იყოს განსაზღვრული ის შესაძლებლობები, რომელიც კომიტეტს გააჩნია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გამოუყენებელი პოლიტიკური ტექნოლოგიის გამოყენება, როგორცაა სამეცნიერო და პოლიტიკური ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციები და მრგვალი მაგიდები.

კომიტეტმა უნდა გამოიჩინოს სტრატეგიული ინიციატივა რათა დაანახოს საზოგადოებას განსაკუთრებული როლი მეცნიერების და განათლების პრობლემური საკითხების მოგვარებაში.

2.3.2 საქართველოს პარლამენტი და აფხაზეთის ჩიხის პრობლემა

არავისთვის არაა საიდუმლო, რომ პარლამენტის ლეგიტიმურობის ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ადეკვატურადაა მის ფრაგმენტაციაში წარმოდგენილი ერის სოციალური სტრუქტურა.

კვლევამ გვაჩვენა, რომ თუ 1991-2004 წლებში დევნილები და აფხაზეთში მცხოვრები უნიონისტები (ტერიტორიული მთლიანობის მომხრეები) იყვნენ წარმოდგენილნი საქართველოს პარლამენტში 14-15 დეპუტატით და არსებობდა „აფხაზეთის ფრაქცია“, 2004-2021 წლებში ისინი, როგორც სოციუმი, საერთოდ არარაიან წარმოდგენილნი. 2020 წლის მოწვევის პარლამენტში კი აფხაზეთიდან წარმომავლის მხოლოდ ერთი დეპუტატია „ქართული ოცნებიდან“ - ლევან მგალობლიშვილი. სამწუხაროდ, პოლიტიკური პარტიების დონეზეც კი არ განიხილება აფხაზეთელების ინტეგრაცია საარჩევნო სიებში და დევნილთა სოციუმი ამ საკითხს სერიოზულად განიხილავს. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი სახელმწიფოსა და დევნილებს შორის არსებული უნდობლობის.

1991-2004 წწ საქართველოს პარლამენტში არსებული „აფხაზეთის ფრაქცია“ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააუქმა. როგორც იხსენებენ აფხაზეთიდან დევნილი პოლიტიკოსები - ჯემალ გამახარია და ვახტანგ ყოლბაია, მიუხედავად თხოვნისა, რომ სიმბოლურად „თორმეტი ცარიელი სკამი“ მაინც დაეტოვებინად, ხელისუფლება ამაზე არ წავიდა. იგეგმებოდა ასევე დევნილი ხელისუფლების სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების განადგურებაც, მაგრამ როგორც ჩანს ამის გაკეთება ვერ გახდეს. როგორც პოლიტიკოსები იხსენიებენ, ზედაწოლა იყო დასავლელი პარტნიორებისგანაც. ისინი თვლიდნენ, რომ დევნილები ხელს უშლიან კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ამიტომ შეიქმნა დევნილების დანარჩენ

საზოგადოებაში „გათქვების“ სტრატეგია. ამას მხარს უჭერდა არა მხოლოდ დასავლეთი, არამედ რუსეთიც და აფხაზეთის სეცესიონისტური ნაწილი.⁵²

აფხაზეთიდან დევნილები დარჩნენ ყველანაირი მხარდაჭერის გარეშე. ეს ანტიდემოკრატიული და ანტიჰუმანური პოლიტიკა იყო შეფუთული როგორც დემოკრატიული და პროგრესიული პოლიტიკა. განსაკუთრებული პასუხისგებლობა ამაზე აკისრიათ იმ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს, რომლებმაც ამ „პოლიტიციდს“⁵³ დაუჭირეს მხარი.

კვლევამ დაგვიდასტურა, რომ გრძელდება აფხაზეთის შიდა კონფლიქტის ერთ-ერთი სუბიექტის პოლიტიკური განადგურება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებას, რომელიც განსაზღვრავს კონფლიქტის და სამშვიდობო პროცესის ხუთ პოლიტიკურ სუბიექტს - დე-ფაქტო ხელისუფლება აფხაზეთში; აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლება; საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება; რუსეთის ფედერაცია და გაერო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ 4 მსხვილი სუბიექტი გაერთიანდა ერთი - ყველაზე სუსტის წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, 2021 წლის გადასახედიდან დევნილებმა შეინარჩუნეს გარკვეული პოზიციები. ასეთი დამოკიდებულება იყო განპირობებული იმით, რომ დევნილთა სოციალური წარმოდგენილია როგორც ყველაზე „აგრესიული“ მონაწილე. მაგრამ სინამდვილეში, დევნილთა უმრავლესობა იყო და არის მომხრე ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების და ამის ბევრი მტკიცებულება არსებობს.

2008 წლის ომის შედეგად აფხაზეთის პოლიტიკური პროცესიდან ასევე განიდევენა გაერო, ხოლო ევროკავშირის მოქმედება განისაზღვრა მხოლოდ კონტროლირებადი ტერიტორიის პერიმეტრში. გამომდინარე აქედან პროცესში დარჩა 3 სუბიექტი.

ეს ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი განიცდის პოლიტიკურ დისკრიმინაციას და პოლიტიკურ დევნას. ფაქტობრივად როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასევე - დევნილობაში მყოფნი წარმოადგენენ **პოლიტიკურ უმცირესობას** და მათ პოლიტიკურ უფლებებს არავინ იცავს. ისინი არ წარმოადგენენ არც ეთნიკურ და არც რელიგიურ უმცირესობას და მათ არ ჰყავთ „ზურგი“ არც საქართველოში და არც საზღვრებს გარეთ.

მაგრამ განსაკუთრებული როლი ამ თვალსაზრისით უნდა ითამაშოს განათლების და მეცნიერების კომიტეტმა. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ მიზნობრივი ინფორმაციით და ცოდნით უზრუნველყოფა სჭირდება პირველ რიგში პოლიტიკოსებს - საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს. პოლიტიკური განათლების და მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ

⁵² 06.05.2021. - მეცნიერება და ინოვაცია ალექსანდრე რუსეცკისთან ერთად. საქართველოს პარლამენტი აფხაზეთის გარეშე. გადაცემის სტუმრები: ჯემალ გამახარია და ვახტანგ ყოლბაია. <https://www.youtube.com/watch?v=wqV6ZKnT61o>

⁵³ Rummel, R. J. (1994). "Politicide: the murder of any person or people by a government because of their politics or for political purposes.", Death by government. New Brunswick, N.J: Transactions Publishers.

ამოცანას წარმოადგენს პოლიტიკოსების და პოლიტიკური პროცესების მომარაგება ახალი ცოდნით. **კომიტეტმა უნდა შეასრულოს სასიცოცხლო ხიდის როლი პარლამენტსა და STI-E სისტემას შორის.**

საქართველოს პარლამენტს სჭირდება მისი მოღვაწეობის სამეცნიერო ექსპერტიზა. იგულისხმება პოლიტიკური ექსპერტიზა. ესეც პოლიტიკის მეცნიერების ამოცანას წარმოადგენს.

2.3.3 კომიტეტის სხვა ფინქციები და მოვალეობები

კომიტეტი ხელს უწყობს საკანონმდებლო პოლიტიკის განსაზღვრას გენათლების და მეცნიერების მიმართულებით. კომიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და სახელმწიფო პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ფიქსირდება შემდეგი სტრატეგიული მოვალეობები⁵⁴:

- კანონპროექტების შემუშავება;
- სახედამხედველო საქმიანობის განხორციელება;
- აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებზე საპარლამენტო კონტროლი;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა;
- საპარლამენტო საქმიანობის გამჭვირვალობა და მასში საზოგადოების ჩართულობა.

იქნებოდა მეტად მნიშვნელოვანი, თუ შეიქმნებოდა კომიტეტის მისსია, რომელიც განსაზღვრავდა მეცნიერების და განათლების განსაკუთრებულ როლს საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაში. არსებობს აუცილებლობა, რომ ნათლად გამოჩნდეს მისი როლი თავდაცვის, უშიშროების და განვითარების კონტექსტში. სახელდობრ ეს შეეხება კონფლიქტების და კრიზისების რთული სისტემების მართვის პოლიტიკას.

გარდა კომიტეტის ოპერატიული ინტენსიური მოღვაწეობისა, არაა გამოკვეთილი მისი ჰორიზონტალური (ბილატერალური და მულტილატერალური) თანამშრომლობის პოლიტიკა სხვა 15 საპარლამენტო კომიტეტთან.

მნიშვნელოვანია ასევე კომიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის განზომილება, რომელიც განეკუთვნება საპარლამენტო დიპლომატიის მიმართულებას და გულისხმობს კომიტეტის თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან. კომიტეტი ამ თვალსაზრისით შეიძლება გახდეს საერთაშორისო სამშვიდო კონფერენციის „**ცოდნა მშვიდობისათვის**“ ინიციატორი, რომელიც დააყენებდა დღის წესრიგში მეცნიერების და

54

<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/133994/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

განათლების როლს კონფლიქტების მოგვარებაში, სტრატეგიული მშვიდობის დამყარებაში, რეგიონული და გლობალური სტაბილურობის დამყარებაში.

როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე მეცნიერების და განათლების შესაძლებლობები ამ მიმართულებით არასაკმარისად არის გამოყენებული, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

როგორც საზედამხედველო ორგანო, კომიტეტს აქვს შესაძლებლობა რომ გააკონტროლოს შესაბამისი სტრუქტურები და მოითხოვოს მათგან სტრატეგიული მშვიდობის მშენებლობის მიზნით სამეცნიერო და განათლების დიპლომატიის სხვადასხვა ქვემიმართულებების ამოქმედება. საკითხი შეეხება აკადემიურ, სამეცნიერო, საუნივერსიტეტო, სასკოლო დიპლომატიას.

კომიტეტის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს კონცენტრირებული ცოდნის კაპიტალის, ცოდნის ეკონომიკის განვითარებაზე და სისტემური რეფორმების საკადრო უზრუნველყოფაზე.

თუ რამდენად იყო წარმატებული კომიტეტის მუშაობა წინა წლების განმავლობაში, და რამდენად კომპლექსურად მოიცავდა ყველა სფეროს, უნდა არსებობდეს შესაბამისი არსებული ანგარიშების შეფასების დოკუმენტი, მაგრამ ასეთი, სამწუხაროდ ვერ მოვიძიეთ. აღარაა საუბარი იმაზე, რომ მეცნიერების მიმართულებით არც ცალკე ანგარიში არ არსებობს და არც არსებულ წლიურ ანგარიშებში ცალკე არ არის გამოყოფილი ქვეანგარიშის შესაბამისი სტრუქტურა.

კომიტეტი უნდა იყოს დაინტერესებული საკუთარი ფუნქციონირების ხარისხის ზრდით, ამიტომ აუცილებელია არა მხოლოდ თვითშეფასების რეტროსპექტიული ანალიზის არსებობა, არამედ გარე შეფასებების სტიმულირება და მათი ანალიზი. ამისთვის არსებობს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ხარისხის შეფასების სხვა ინსტრუმენტები.⁵⁵

სამწუხაროდ, ამ ცენტრის კვლევებში, განათლების და მეცნიერების მიმართულებით ინფორმაცია პარლამენტის საიტზე არ მოიპოვება.⁵⁶

კომიტეტის „თემატურ მოკვლევებში“ არცერთი არ ეხება „მეცნიერებას“, რაც ასევეა მაჩვენებელი დაბალი ინტერესის და მეცნიერების პატრონაჟის ნაკლებობის.

კონტროლის ფუნქცია გულისხმობს არა მხოლოდ გარე სისტემების კონტროლს, არამედ უპირველესყოვლისა თვითკონტროლის მექანიზმების ამოქმედებას.

⁵⁵ <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/148776/kvleviti-centris-debuleba.pdf>

⁵⁶ <http://www.parliament.ge/ge/kvleviti-centri/kvlevebi/0/10.htm>

დოკუმენტში პარლამენტი არის წარმოდგენილი როგორც „განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგის“ პარტნიორი. მისი ფუნქციაა საქართველოს განათლების და მეცნიერების, ტექნოლოგიებისა, ინოვაციების (STI) სისტემის მართვის სისტემის საკანონმდებლო რეგულირების ხელშეწყობა. კომიტეტის ანგარიშებში არაა საკმარისად დაფიქსირებული ინფორმაცია STI სისტემასთან დაკავშირებით. გაურკვეველია თუ რამდენად თავსებადია კომიტეტის აპარატის სტრუქტურა განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტის სტრუქტურასთან.

მიუხედავად იმისა, რომ 2019-2021 წლების განმავლობაში, კომიტეტი ზოგადად იყო საკმაოდ აქტიური, მეცნიერების, ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით არის არაპროპორციულად მცირე აქტიობა.

თითქმის არაფერია გაკეთებული მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით. ეს ცნება (განსხვავებით „კულტურის პოპულარიზაციისაგან“ საერთოდ არ იყო წარმოდგენილი არც ერთ დოკუმენტში“). არაა საუბარი STI სისტემის პოპულარიზაციაზე.

მცირე რამაა გაკეთებული მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების სფეროში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოებებთან ურთიერთობების მიმართულებითაც. აქ არის აუცილებელი დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან თანამშრომლობის განვითარება (!), გამომდინარე იქედან, რომ ტექნოლოგიების და ინოვაციების პოლიტიკას რეალურად ფარავს ეკონომიკური ბლოკი.

კომიტეტის საანგარიშო დოკუმენტებიდან არ ჩანს, რომ მეცნიერების მიმართულებაზე კონკრეტული პირები ან სამუშაო ჯგუფი ყოფილიყოს მიმაგრებული.

არასაკმარისადაა წარმოდგენილი საპარლამენტო კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის ფუნქცია, მექანიზმები და რეალური შედეგები. ეს განსაკუთრებით შეეხება კომიტეტის აქტიობას მეცნიერების მიმართულებით.

არანაირად არაა ასახული 2014 წლის სახელმწიფო აუდიტის დოკუმენტის შედეგებზე რეაგირება. აღარაა საუბარი მის განახლებაზე.

გამომდინარე ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან, 2020 წლის 10 დეკემბერს, კომიტეტის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს, ქალბატონ თეა წულუკიანს გადაეგზავნა კვლევის ჩარჩოში შექმნილი შემდეგი წინადადება: „განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის აპარატში შეიქმნას სპეციალური კონსულტანტთა შტატი, რომელიც პატრონაჟს გაუწევდა მეცნიერების, ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით კომიტეტის აქტიობებს, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციას“.

სამწუხაროდ ამ ინიციატივაზე არანაირი რეაგირება არ ყოფილა. კომიტეტის ხელმძღვანელთან კი შეხვედრა ვერ შედგა. 2021 წლის 19 მარტს დაინიშნა საქართველოს კულტურის, სპორტისა

და ახალგაზრდობის მინისტრად. უფლებამოსილების შესრულებას 2021 წლის 22 მარტს შეუდგა.⁵⁷

ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ განიხილება კომიტეტთან სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის საკითხი, რაც არის წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ან მოახდენს პროცესის განვითარებას, ან საერთოდ გაანადგურებს ინოვაციური ტრანსფორმაციის პოლიტიკას. ყველაფერია დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გააზრებულად მოხდება ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ზოგადად საპარლამენტო არჩევანმდე 6 თვით ადრე და მისი არჩევის შემდეგ 6 თვის შემდეგ მისი ნაყოფიერება მცირდება. სახელმწიფო მოხელეების სწრაფი გადაადგილება ან ჩანაცვლება ხდის პრაქტიკულად შეუძლებელს კომიტეტსა და საექსპერტო საზოგადოებას შორის თანამშრომლობას. როგორც წესი აპარატი რჩება, მაგრამ ეს სტრუქტურა არაა უფლებამოსილი რაიმე გადაწყვეტილებები მიიღოს. აპარატის თანამშრომლები განიცდიან პერმანენტულ სტრესს, რომელიც დაკავშირებულია სტრუქტურის შესაძლო ტრანსფორმაციასთან და მათ დასაქმებასთან. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დგება საპარლამენტო კომიტეტების აპარატების მდგრადი მუშაობისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნის საკითხი.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს საპარლამენტო ოპოზიციის ბოიკოტი. ეს ყველაფერი ხელს უწყობს პოლიტიკური სისტემების მართვის კრიზისის განვითარებას და ხელისუფლების ლეგიტიმაციის დონის დაქვეითებას. ერთი და იგივე დეპუტატები აკომპლექტებენ სხვადასხვა კომიტეტებს, რაც ვერ შექმნის ვერანაირად საქმიან ატმოსფეროს. აქ იკვეთება ასევე საპარლამენტო კომიტეტების განსაკუთრებული როლი, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული პარტიების მხრიდან როდესაც ისინი აკომპლექტებენ თავის საარჩევნო სიებს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში, საქართველოს არ ძალუძს მეტი ყურადღების გამახვილება აფხაზეთის და ცხინვალის კრიზისებზე.

კომიტეტის ფუნქციონირებას განსაზღვრავს შესაბამისი დებულება.⁵⁸

დებულების I თავის მე-3 მუხლში ჩვენ ვხვდებით გაურკვეველ ფრაზას - „კომიტეტის საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევს პარლამენტის თავჯდომარე“. თუ საუბარია კომიტეტზე, მას კოორდინირებას უნდა უწევდეს კომიტეტის თავჯდომარე და არა პარლამენტის თავჯდომარე. კომიტეტის თავჯდომარის პოზიციების გაძლიერება ხელს შეუწყობს კომიტეტის ეფექტიანობის ზრდას, ხოლო პარლამენტის თავჯდომარესთან მისი აქტიური თანამშრომლობა, საწინდარია ინტერსაკომიტეტო თანამშრომლობის.

დებულების II თავის 1 მუხლში წარმოდგენილია კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. კომიტეტის ეფექტიანობის დასადგენად აუცილებელია ამ

⁵⁷ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად თეა წულუკიანი დაინიშნა. საქართველოს მთავრობა (2021-19-03). ციტირების თარიღი: 19 მარტი, 2021.

⁵⁸ <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/149609/ganatileba-komiteti-debuleba.pdf>

მიმართულებების ანალიზი. ყიველივე ეს მიმართულება შეიძლება დავაკავშიროთ აფხაზეთის კრიზისის მოგვარებას. სამწუხაროდ, ანგარიშების გადამოწმება ვერ მოხერხდა გამომდინარე იქედან, რომ საიტის ეს ნაწილი 2021 წლის აპრილ-მაისის თვეში იყო სრულიად ბლოკირებული.

2021 წლის აპრილის თვიდან დაფიქსირდა აქტიურობის ზრდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტის რამოდენიმე სხდომაზე დაფიქსირდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების მოსახლეობის განათლების პრობლემატიკა. დაფიქსირდა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით გადადგმული ნაბიჯები“. სამწუხაროა, რომ მეცნიერებასთან მიმართებაში აქტიობა კვლავ დაბალი იყო.

დღის წესრიგში დგება საკითხი თუ როგორ უნდა რეაგირებდეს საქართველოს STI სისტემა COVID-19-იდან მომავალი საფრთხეების პრევენციაზე. კომიტეტის მხრიდან ამ მიმართულებით დაინტერესება დაფიქსირებული არაა. იგივე შეეხება მეცნიერების როლის განსაზღვრას სხვა პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში.

გამომდინარე იქედან, რომ კომიტეტი ფარავს მეცნიერებასა და განათლებას, ბუნებრივად ისმის კითხვა - რატომ არ ხდება პასუხისგებლობის გადანაწილება კომიტეტის წევრებს შორის ამ ორი მიმართულებით. ან რატომ არ შეიძლება რომ კომიტეტის თავჯდომარეებს შორის იყოს გამიჯნული პასუხისგებლობა ორივე მნიშვნელოვანი მიმართულებებით. ან თუ ეს ყველაფერი ხდება, რატომ არ ჩანს?

კომიტეტის საიტზე დევს როგორც კომიტეტის, ასევე მისი აპარატის დებულებები, მაგრამ არაა დაფიქსირებული, თუ კომიტეტის და აპარატის რომელი ქვესისტემა ან რომელი კონკრეტული მოხელეა პასუხისგებელი მეცნიერების მიმართულებაზე.

2.4 საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს როლი აფხაზეთის კრიზისის მართვაში

განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021) თანახმად, ჩვენ განვიხილავთ მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინოვაციების (STI) და განათლების (E) ერთიანი სისტემის შესაძლებლობებს აფხაზეთის კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით, სამინისტროს გააჩნია დღემდე გამოუყენებელი რესურსების დიდი სიმრავლე და ამ რესურსების გამოყენებას კი სჭირდება უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური ნება. გვაქვს იმედი, რომ მისი მოქმედება გადავა აქტიურ ფაზაში და იგი გახდება სამშვიდობო პროცესის რეალური მონაწილე - სუბიექტი. ამ შემთხვევაში, მისი მხრიდან უნდა განცხადდეს, რომ იგი მხარს უჭერს ამ პროცესის უზრუნველყოფას მის განკარგულებაში არსებული განათლების და მეცნიერების სერვისებით.

უპირველესყოვლისა, მის არეალში მყოფი ორგანიზაციების და კერძო პირების კლასტერი შეიძლება გახდეს მონაწილე სამეცნიერო და განათლების დიპლომატიის ისეთი მიმართულებების, როგორცაა: საუნივერსიტეტო დიპლომატია, სასკოლო დიპლომატია, აკადემიური დიპლომატია და ა.შ.

ჩვენი კვლევითი ჯგუფის მიერ (სამინისტროსთან არსებული შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის მხარდაჭერით), შექმნილი მეტადიპლომატიის კონცეპცია წარმოადგენს შესაძლებლობას, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დიპლომატიის სახეობებისა იყოს გამოყენებული სხვა სპეციალიზაციებიც. არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ ეს ინოვაციური პროდუქტი იყოს დანერგული საგანმანათლებლო პრაქტიკაში. ამისთვის კი აუცილებელია, რომ კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში იყოს შეტანილი შესაბამისი ცვლილებები და დამატებები.

სამინისტრო მოიაზრება სტრატეგიაში, როგორც სამშვიდობო პროცესების ინტელექტუალური და საკადრო დონორი. სამინისტროს პოლიტიკა უნდა გახდეს ადაპტირებული ამ კონფლიქტების და კრიზისების მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან. ახალი სამშვიდობო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა უნდა გულისხმობდეს უსდ-ს პროგრამებში ახალი ცვლილებების ინიცირებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას პოლიტიკური პროცესების შეფასების და დიაგნოსტიკის კონტექსტში. ამ თვლასაზრისით უნდა შეიქმნას შესაბამისი პროგრამები და მოხდეს კონკურსების ან ტენდერების მეშვეობით კონკრეტული სახელმწიფო დაკვეთების გამოცხადება.

მნიშვნელობა აქვს ასევე იმას, რომ კვლევის ჩარჩოში შექმნილია აფხაზეთის კრიზისის პოლიტოლოგიური მოდელი. და ასევე მისი ერთ-ერთი კომპონენტის („სეცესიონისტები“- „უნიონისტები“) მათემატიკური მოდელი.⁵⁹ სამინისტრო უნდა იყოს დაინტერესებული იმაში, რომ მოხდეს მისი პროგრამების ჩარჩოში შექმნილი ინოვაციური პროდუქციის პოპულარიზაციით და დანერგვით. დიდი მნიშვნელობა აქვს სამინისტროს მხარდაჭერით შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის მეშვეობით კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების მიღწევას.

თვით ფონდი და სამინისტროს სისტემაში არსებული სხვა ორგანიზაციული ერთეულებიც წარმოადგენენ სამშვიდობო პროცესის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რესურსს, რომელსაც სჭირდება შესაბამისი შეფასება.

⁵⁹ Chilachava T., Pochkhua G., Rusetsky A., Mathematical model of secession of the region
https://2ec6cbba-6f09-466b-8623-4b303dfd3785.filesusr.com/ugd/ff9281_22e0a28d311144e484af8c92a1d42758.pdf

ამ თვლასაზრისით მისასალმებელია ფონდის ახალი პოლიტიკა და სასურველია რომ ცალკე იყოს გამოყოფილი კონფლიქტების, კრიზისების და კატასტროფების მიმართულებით კვლევების კლასტერი.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შესაძლებლობები (მეცნიერების განვითარების კუთხით) ძალზე შეზღუდულია და უნდა მოხდეს მათი გაზრდა. პოლიტიკური ელიტის მხრიდან, მეცნიერება განიხილება როგორც განათლების დანამატი და არა როგორც გამოკვეთილი და ავტონომიური ყურადღების ობიექტი. ამის დამადასტურებელია - ნორმატიულ დოკუმენტებში და სახემლმწიფო უწყებებში წარმოადგენილი ინსტიტუციონალური დისპროპორცია.

სამწუხაროდ, მსგავსი ვითარება აისახება უმაღლესი განათლების სისტემაზეც, რომელშიც მეცნიერების ადგილი მინიმუმამდეა დაყვანილი. ამის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში არსებობს **განათლების მენეჯერების პროფესიული კლასტერი**, მაგრამ არ არსებობს **STI-სისტემის მენეჯერების პროფესიული კლასტერი**. ეს არის ფუნდამენტური შეცდომა, რომელიც დაშვებულია განათლების პოლიტიკის დაგეგმარების და იმპლემენტაციის სფეროში. **STI-სისტემის მენეჯმენტი** არც კი არის შეტანილი როგორც პროფესიული მიმართულება კვაკიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში რაც არ უწყობს ხელს „განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის“ დოკუმენტის ეფექტიან იმპლემენტაციას.

სამინისტროს სტრუქტურა ბოლო დრომდე არ იყო კონგრუენტული საპარლამენტო სტრუქტურისა რაც ასევე იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების არა ჰარმონიული განვითარების მაჩვენებელი. სასიამოვნოა, რომ 2021 წლის 22 მარტიდან „განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს“ ცალკე გამოეყო კულტურის კომიტეტი. სამინისტროც წარმოდგენილია 2021 წლის აპრილის ვითარებით, როგორც „საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.“

ასევე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სამინისტროს სტრუქტურა არ შეესაბამება STI სისტემას, რომელიც შეიცავს სამ ავტონომიურ მიმართულებას - მეცნიერებას, ტექნოლოგიებს და ინოვაციას. არარის გასაგები თუ როგორ უნდა მოახდინოს სამინისტრომ ამ პირობებში „განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის“ (2017-2021) იმპლემენტაცია. არის იმედი, რომ ახალ სტრატეგიულ დოკუმენტში ეს პრობლემა იქნება გათვალისწინებული. ჩვენი აზრით, განათლების და მეცნიერების მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მთლიანად უნდა ფარავდეს STI-სისტემას. მაგრამ დღეს - ტექნოლოგიებს და ინოვაციებს ფარავს ეკონომიკის სამინისტრო.⁶⁰

აქედან გამომდინარე, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ინოვაციური და საგანმანათლებლო (STI-E) ეკო-სისტემა ფაქტობრივად ექვემდებარება ამ ორ სამინისტროს, მარგამ არ ჩანს რომ

⁶⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, www.gita.gov.ge

არსებობდეს ინტერ-უწყებრივი მართვის სისტემა და რაიმე მექანიზმები. ამავე დროს, თუ სწორად იქნება წარმოდგენილი ამ ორი სამინისტროს თანამშრომლობის პრაქტიკული მექანიზმები, შეიძლება მივიღოთ არაორდინალური ეკონომიკური შედეგები.

ამ მიმართულებით ჩვენ ურჩევთ მათ „ცოდნის ეკონომიკის ერთიანი სტრატეგიის“ დოკუმენტის შექმნაზე ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას.

როგორც წინა პარაგრაფებში იყო აღნიშნული, პოლიტიკური ტექნოლოგიები და ინოვაციები ამ ეტაპზე არ/ვერ აღიქმება როგორც GITA-ს ინტერესების სფერო. საერთოდ TI სისტემა განიხილება როგორც ტექნიკური მეცნიერების არეალი, რაც ასევე წარმოადგენს **კოგნიტურ შეცდომას**.

სამინისტროს დაქვემდებარებაშია ასევე **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**,⁶¹ რომელიც ქმნის დარგობრივ საბჭოებს, რათა მოახდინოს კონკრეტული მიმართულებებით საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტების დადგენა, რაც მეტად მნიშვნელოვანია სამშვიდობო და ანტიკრიზისული პროგრამების ფორმირების თვალსაზრისით. და იმ შემთხვევაში თუ ეს საბჭოები, შესაბამისი ცირკულარის მიხედვით გაითვალისწინებენ ამ მიმართულებით მუშაობის აქტივიზაციის აუცილებლობას და წარმოადგენენ შესაბამის ხედვებს, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი.

ძირითადად საბჭოები კომპლექტდება არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებით რაც ამცირებს ინოვაციური პოტენციალის გამოყენებას. ამავე დროს, „ხარისხის ცენტრის“ მხრიდან გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი და დაიწყო დარგობრივი საბჭოების წევრების შერჩევის პროცესი.⁶²

ამ დარგობრივი საბჭოების არსებობა წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაკმარისს რესურსს, რომელიც აუცილებელია სამშვიდობო პოლიტიკის საკადრო უზრუნველყოფისათვის. მონოგრაფიაში არის წარმოდგენილი სხვა აუცილებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.

არსებობს სახელმწიფო, კერძო და არაკომერციულ ორგანიზაციათა სიმრავლე, რომელიც უნდა წარმოადგენდეს STI-E ეკოსისტემას და მათი აღწერა და ეფექტურობის საკითხი დამატებითი კვლევის საგანია. ამ ორგანიზაციებს გააჩნიათ დიდი პოტენციალი. სამინისტროსთან უნდა არსებობდეს მათი განვითარების სტრატეგიული პროგრამა და შესაბამისი ფონდები. სამინისტრომ მფარველობა უნდა გაუწიოს სამოქალაქო საზოგადოების იმ ყველა სემინარს, რომელთანაც პარტნიორობა ხელს შეუწყობდა სამინისტროს მიზნების განხორციელებას.

სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ამოცანას უნდა წარმოადგენს **პოლიტიკის STI-E ორგანიზაციების ეკო-სისტემის** შესწავლა და მათთან ეფექტიანი თანამშრომლობის აწყობა.

⁶¹ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, <https://eqe.ge/ka>

⁶² „იწყება დარგობრივი საბჭოების წევრების შერჩევა“, <https://eqe.ge/ka/posts/482/itsqeba-dargobrivi-sabchoebis-tsevrebis-shercheva>

სასურველია, რომ ამ მიმართულებით შეიქმნას დამოუკიდებელი ერთეული იმიტომ რომ ასეთი ორგანიზაციების რაოდენობა საკმაოდ დიდია.

ის თუ როგორი იქნება STI-E სისტემის მომავალი სახელმწიფო მართვის სისტემა, დამოკიდებულია პოლიტიკის კვლევების ისეთ მიმართულებაზე, როგორცაა **სახელმწიფო პოლიტიკის ადმინისტრირება**. ეს კიდევ ერთხელ გვაჩვენებს თუ როგორი ღრმა ურთიერთკავშირი არსებობს ჩვენს მიერ განხილულ სისტემებს შორის.

კრიზისების და სამშვიდობო პროცესების ეფექტიანობის ზრდის პოლიტიკაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სამინისტროს ორმხრივ და მრავალმხრივ კავშირებს სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სისტემებთან.

სამინისტროს მოქმედების არეალში არის ათასობით მეცნიერი, ტექნოლოგი, ინოვაციური, პედაგოგი, განათლების სხვადასხვა სფეროების და რანგის ადმინისტრაციის თანამშრომელი, სტუდენტი და მოსწავლე. ამ ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის სწორი მობილიზების შემთხვევაში არის შესაძლებელი დიდი წვლილის შეტანა (მაგალითად) აფხაზეთის კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციაში.

აფხაზეთის კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციას ასევე ხელს შეუწყობდა აფხაზეთის STI-E ერთიანი ეკო-სისტემის აღწერა და მისი მართვის მექანიზმების შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ არსებობს შესაბამისი ორგანიზაციები აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე და ასევე - დევნილობაში მყოფი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები. 2022-2030 წლის გაერთიანებული სტრატეგიის განახლებულ დოკუმენტში სასურველია რომ იყოს გამახვლებული ყურადღება ამ ეკო-სისტემის განვითარებაზე. იგივე შეეხება ცხინვალის რეგიონსაც.

2.5 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების როლი რთული კრიზისების მართვაში (აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მაგალითზე)

გამომდინარე იქედან, რომ კვლევა ემდგვნება კონკრეტულად აფხაზეთის პოლიტიკურ კრიზისს და მის მართვაში პოლიტიკის მეცნიერებების გამოყენებას. მონოგრაფიის ამ ნაწილში, ჩვენ ვეცდებით წარმოვადგინოთ თუ რამდენადაა განვითარებული პოლიტიკის მეცნიერებების შესაძლებლობები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების თანასაზოგადოებაში.

2.5.1 აკადემიის ცნება და მისი კავშირი აფხაზეთთან

საინტერესოა, რომ თვით ცნება „აკადემიის“ წარმოშობა უკავშირდება აფხაზეთის ანტიკურ ისტორიას, რაც წარმოადგენს ინტერესს როგორც ისტორიის, ასევე პოლიტიკური ფსიქოლოგიის, პოლიტიკური ლინგვისტიკის და პოლიტიკური კონფლიქტოლოგიისთვისაც.

აკადემია უმაღლესი სასწავლებლის აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც მომდინარეობს პლატონის მიერ დაფუძნებული ფილოსოფიის სკოლიდან, ათენში, დაახლოებით ძვ.წ. 385

წელს წმინდა ზეთისხილის ბაღში.⁶³ აკადემიად გარდაიქმნა დაახლოებით ძვ.წ. მე-6 საუკუნეში, დაუკავშირდა რა ეპიკურ ათენელ გმირს, ლეგენდარულ აკადემოსს.⁶⁴

აქ საინტერესოდ ჩანს, რომ „აკადემიის ბაღი“ შეიძლება ასოცირდებოდეს „მშვიდობასთან“, ხოლო მისი განადგურება - „ომთან“ და „იარაღთან“. ანუ - წმინდა ცოდნის ბაღი იყო გამოყენებული რომაელების მიერ საბრძოლო იარაღის შექმნისთვის. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩვენს მიერ იყო გამოყენებული თბილისის „არსენალის“ მთაზე ახალი „აკადემქალაქის“ მოდელირების პროცესში. ჩვენი პროექტი საპირისპირო ხასიათისაა და გულისხმობს იარაღის საცავების ადგილი აკადემიურ საზოგადოებას ჩაბარდეს.

სოხუმის (დიოსკურიის) დაარსება - დიოსკურებს უკავშირდება. ლეგენდის მიხედვით, არგონავტები დიდ შტორმში მოჰყვნენ და გადარჩენის შემდეგ დაინახეს ცაზე ამოსული ორი ტყუპი ვარსკვლავი. სიმბოლურად ამ ორ ვარსკვლავს ტყუპი-ძმების არგონავტების - კასტორის და პოლიდეკის საპატივცემლოდ „ტყუპების თანავარსკვლავედი“ დაარქვეს, ხოლო მოგვიანებით, დღევანდელ ქალაქ სოხუმს - დიოსკურია დაარქვეს. არსებობს ასევე ლეგენდა რომლის მიხედვითაც „ტყუპების თანავარსკვლავედში“ ადგილი ძმებს - ზევსმა მიუჩინა, მათი ურთიერთსიყვარულის და ურთიერთპატივისცემის გამო. ბრძოლაში სიკვდილის შემდეგ, კასტორი ლოცულობდა, რომ ძმას - პოლიდეკუსს შეერთებოდა. ჯილდოს სახით ასეთი გულწრფელი ძმური სიყვარულისთვის, ზევსმა დიოსკურიების გამოსახულება ცაზე დაადგინა ტყუპების თანავარსკვლავედში.⁶⁵

ძველ საბერძნეთში დიოსკურები მოგზაურთა და მეზღვაურთა მფარველად ითვლებოდნენ. მათ განსაკუთრებით პატივს სცემდნენ სავარაუდოდ სამშობლოში - სპარტაში, სადაც ისინი სახელმწიფოს დამცველებად ითვლებოდნენ. დიოსკურიის კულტი მიღებულ იქნა ძველ რომშიც. აქ ისინი პირველ რიგში სამხედრო ვაჟკაცობის პერსონაჟად ითვლებოდნენ.

ამავე დროს, ეს ორი ძმა, ასევე „მშვიდობის სიმბოლოდაც“ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი დისკურსი ეძღვნება ღმერთების და ადამიანების ურთიერთობას. ლეგენდის თანახმად, ერთი ტყუპის ცალი - ზევსისგან გაჩნდა და უკვდავი იყო, ხოლო მეორე ძმა ადამიანისაგან, და ის მოკვდავი იყო. მათი ურთიერთობა კი ადამიანების და ღმერთების ურთიერთპატივისცემის სიმბოლოდ შეიძლება ჩავთვალოთ, რაც წარმოადგენს მეტად დიდ სიბრძნეს.

ასეთივე სიბრძნე არის ჩაქსოვილი ბერძნული მითოლოგიის კიდევ ერთ პერსონაჟში, - პრომეთეს შვილში - **დეკალიონში**. იგი, მამისგან განსხვავებით პატივისცემას გამოხატავდა

⁶³ Аппиан. Римская история, XII, 30

⁶⁴ Шичалин Ю.А., Новая философская энциклопедия, https://gufo.me/dict/philosophy_encyclopedia

⁶⁵ Трубачев О. Н.. Indoarica в Северном Причерноморье / Ответственные редакторы Л. А. Гиндин к И. Б. Еськова. — М.: Наука, 1999. — С. 320. — 1000 экз. — ISBN 5-02-011675-0. http://apsnyteka.org/2857-trubachev_indoarika_v_severnom_prichernomorie_1999.html

ადამიანების და ღმერთების მიმართ, ამიტომაც (ბერძნული მითის თანახმად) წარღვნის შემდეგ, გადარჩა მხოლოდ დევკალიონი და მისი ცოლი პირა.⁶⁶

ეს ყურადსაღებია იმ ადამიანებისთვის, ვინც თავს სოხუმელად თვლის იმიტომ რომ ეს ქალაქი ოდიდგანვე წარმოადგენდა პოლიკულტურალიზმის და ტოლერანტობის სიმბოლოს.

დიოსკურები, ჰერკულესთან, იასონთან და ძველი ბერძნული მითოლოგიის სხვა გმირებთან ერთად კოლხეთში გაემგზავრნენ გემით "არგო"^{67, 68, 69, 70}.

ამ მოგზაურობიდან, ძველი ბერძნული ლეგენდების თანახმად, მათ არეს ძველი მიიტანეს მშობლიურ სპარტაში⁷¹.

ზუსტად დიოსკურებთანაა დაკავშირებული ანტიკელი გმირის - აკადემოსის სახელი. აკადემოსი (ბერძნ. Ἀκადῆμος) — ატიკელი გმირი, რომელმაც დიოსკურებს თეზევსისაგან მოტაცებული ელენეს ადგილსამყოფელი ასწავლა. თეზევსის სახელი უკავშირდება საქართველოსთვის ისეთ საინტერესო პოლიტიკურ კულტურას როგორცაა უნიტარიზმის სახეობა - სინოიკიზმი. აქ შეიძლება ვეძებოთ ფუძე იმ უნიკალური ცნების, როგორცაა - „თანასაზოგადობა“. მაგალითად - აკადემიების თანასაზოგადობა.

სინოიკიზმი (ბერძნ. synoikismos<synoikizo — ერთად დავასახლებ), დამოუკიდებელი დასახლებების ან ქალაქების ერთიან პოლისად გაერთიანების პროცესი ძველ საბერძნეთში. სინოიკიზმის შედეგად ისპობოდა ტომობრივი განკერძოება, იქმნებოდა ცენტრალური მმართველობის ორგანოები და ერთიანი ეკონომიკური საფუძველი. იზრდებოდა დაქუცმაცებული ტომებისა და თემების სამხედრო ძლიერება. ცნობილია ათენის ირგვლივ ატიკის ცალკეული თემების გაერთიანება - სინოიკიზმი, რომელსაც ტრადიცია მეფე თეზევსს (დაახლოებით ძვ. წ. XIII ს.) მიაწერს, სინამდვილეში სინოიკიზმი ხანგრძლივი პროცესი იყო და მთელი IX-VIII საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა.⁷²

სინოიკიზმი განსხვავდება მეტროპოლისაგან იმით, რომ ურთიერთობა პროცესის მონაწილეებს შორის არის უფრო სიმეტრიული და თანაბარი.

⁶⁶ რუსევი ა., დოროხინა თ., "არქიპელაგი კავკასია - მითები თუ პოლიტიკური რეალობა" (2009)

⁶⁷ Аполлоний Родосский. Аргонавтика (рус.) / Перевод и примечания Г. Ф. Церетели. — Тбилиси: Мецниереба, 1964. — 1000 экз.

⁶⁸ Гигин. Мифы / Перевод с латинского, комментарий Д. О. Торшилова под общей редакцией А. А. Тахо-Годи. — СПб.: Алетейя, 2000. — 360 с. — (Античная библиотека). — ISBN 5-89329-198-0.

⁶⁹ Аполлодор. Мифологическая библиотека / Перевод, заключительная статья, примечания, указатель В. Г. Боруховича. — Л.: Наука, 1972.

⁷⁰ Флакк В.. Аргонавтика. Книга первая / под общей редакцией А. В. Подосинова. — М.: Импаэто, 2013. — 104 с. — ISBN 978-5-7161-0252-1.

⁷¹ Павсаний. Описание Эллады / Перевод С. П. Кондратьева под редакцией Е. В. Никитюк. Ответственный редактор проф. Э. Д. Фролов.. — СПб.: Алетейя, 1996. — ISBN 5-89329-006-2.

⁷² ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 9, გვ. 373-374, თბ., 1985



ისტორიულ პერიოდში ქალაქის კედლის გარეთ, ათენელები აჩვენებდნენ აკადემოსის საფლავს. საფლავის გარს ერტყა ეგრეთ წოდებული აკადემიის წმინდა ჭალა, რომლის სახელწოდება გმირის სახელთანაა დაკავშირებული. ძვ. წ. IV საუკუნეში ამ ჭალაში. ფილოსოფოსი პლატონი ლექციებს უკითხავდა თავის მსმენელებს. პლატონის ამ სკოლას აკადემია ეწოდა. აქედან მომდინარეობს აკადემიის სახელიც.⁷³

მნიშვნელოვანია, კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ გაითქვა სახელი მე-III ს. მე- II ნახევარში. მისი ცენტრი კი ბიჭვინთა იყო.

ეს ყველაფერი დამატებით პასუხისმგებლობას ანიჭებს როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებას. საერთაშორისო აკადემიურმა საზოგადოებამ უნდა გააერთიანოს თავისი შესაძლებლობები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის.

2.5.2 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების თანასაზოგადოებაში არსებული ვითარების მიმოხილვა

მნიშვნელოვანია, რომ მონოგრაფიის ეს ფრაგმენტი მომზადდა მაშინ, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 2021 წლის თებერვალში აღნიშნავდა 80-ი წლისთავს. 50 წლის განმავლობაში (1941-1990 წწ) აკადემიამ იარსება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიების ერთიან სისტემაში და ამ წლებს უკავშირდება მეცნიერების სწრაფი ტემპებით განვითარება. განსაკუთრებით ეს შეეხება ტექნიკური მეცნიერებების მიმართულებებს.

1990-2020 წლებში საქართველოში ფიქსირდება ტექნიკური მეცნიერებების ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილის განადგურება და ამ ეკონომიკურად და პოლიტიკურად რთულ ვითარებაში, უფრო მოქნილი აღმოჩნდა ჰუმანიტარული მეცნიერების სექტორი. მეცნიერებათა აკადემიამ გადაიტანა ჯერ პოსტსაბჭოთა ნგრევების პირველი ტალღა

⁷³ Академ, афинский герой, давший имя высшим школам, 4.07.2013

- 1991-1994, ხოლო მეორე ეტაპზე - 2003-2011 მეცნიერებათა აკადემია გადაურჩა „ლიბერალური“ ეკონომიკის რეპრესიებს.⁷⁴

მიუხედავად იმისა, რომ დღესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაძლებლობები ჯერ კიდევ ხელოვნურად შეზღუდულია, სმეა ცდილობს დაიბრუნოს ზეგავლენის სფეროები, რაც გამოიხატება მის საკანონმდებლო ინიციატივებში და ასევე სხვა მრავალფეროვან საქმიანობაში. სმეა ცდილობს რომ აღადგინოს მისი უფლებები და შესაძლებლობები, მაგრამ ეს პროცესი მათთვის და სამეცნიერო საზოგადოებისთვის სასურველი ტემპებით არ/ვერ მიმდინარეობს.

სამწუხაროდ, დაინტერესებული ძალების მიერ მოხდა აკადემიის ხელოვნური დისტანცირება პოლიტიკისგან, რაც გულისხმობს ჯანმრთელი სამეცნიერო პოლიტიკური დემოკრატიული კრიტიკის ჟანრის დისკრიმინაციას.

2.5.3 საქართველოს აკადემიათა თანასაზოგადოების ცნება და სოციოლოგია

დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 663 ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებაშიც ფიქსირდება ცნება „აკადემია“, ამიტომ ჩვენი კვლევის ობიექტად წარმოვიდგინეთ „საქართველოს აკადემიათა თანასაზოგადოება“. ტერმინ „თანასაზოგადოებას“ ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ისეთ ურთიერთობას, რომელიც განპირობებულია საერთო საშიშროებების და ინტერესების არსებობით, მათი გაცნობიერებით და ერთობლივი მოქმედებით.

ამ ორგანიზაციების უმრავლესობა ფიქტიურ ხასიათს ატარებს. მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს ფუნქციონირებას და ეს სეგმენტი ორგანიზაციული ეფექტიანობის თვალსაზრისით შესწავლილი არარის, რაც მოითხოვს ყურადღებას და შესაბამისი კვლევითი პროექტის არსებობას.

საქართველოს ორგანიზაციათა რეესტრის მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე, შეიქმნა ასეთი სურათი.

663 აკადემიიდან - მხოლოდ 40 შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო აკადემიათ.⁷⁵

მათ შორის მხოლოდ 2 აკადემია არის სახელმწიფოს მიერ აღიარებული ეროვნული სტატუსით და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით სარგებლობს.

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
- საქართველოს სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემია

პოლიტიკის მეცნიერებებთან უშუალოდ დაკავშირებულია:

⁷⁴ რუსეცკი ა., „საუნივერსიტეტო რეფორმა ეკონომიკური ფსიქოლოგიის კონტექსტში“, კსუ-ს სამეცნიერო ჟურნალი, 2014

⁷⁵ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?m=new_index

- პოლიტიკის მეცნიერებების ეროვნული აკადემია
- საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა და პოლიტოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია
- აპოლონ დარასელია და საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია

შიდა რეგიონულ სამეცნიერო პოლიტიკასთან დაკავშირებულია:

- ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
- აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

(როგორც ქვევით იხილავთ, სოხუმში ფუნქციონირებს ასევე სეცესიონისტურად განწყობილი მეცნიერების მიერ შექმნილი აკადემია).

საერთაშორისო რეგიონულ პოლიტიკასთან დაკავშირებულია:

- კავკასიის საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია
- კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემია

საქართველოში სახელმწიფო აკადემიების გარდა არსებობს არაკომერციული-საზოგადოებრივი და კომერციული-კერძო აკადემიების ორი კლასტერი - არაკომერციული (30) და შპს (10).

მიუხედავად იმისა, რომ მინიჭებული აქვთ სტატუსი: “აქტიური“, მათი უმრავლესობა ან არ არსებობს ან წარმოადგენს სუსტ ორგანიზაციულ ერთეულს.

2.5.4 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაძლებლობების ანალიზი

გამომდინარე იქედან, რომ ნაშრომი ეხება აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მოგვარებას, გვაქვს პატივი განვიხილო ამ პროცესში სმეა-ს განსაკუთრებულ როლთა სიმრავლე პოლიტიკის მეცნიერებების განვითარების და პრობლემური საკითხების მართვის საკითხში.

როგორც მონოგრაფიის სხვა ფრაგმენტებშია აღნიშნული, ამ კრიზისის მოგვარებაში განსაკუთრებული როლი აკისრია მეცნიერებას და სახელდობრ - პოლიტიკის მეცნიერებებს.

იმ შემთხვევაში თუ სმეა გააქტიურებს მეცნიერების ამ მიმართულების განვითარებას, ეს გამოადგება არა მხოლოდ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას, არამედ საქართველოს მრავალწახნაგოვანი პოლიტიკური კრიზისის პოზიტიურ ტრანსფორმაციასაც.

იმ შემთხვევაში, თუ სმეა გააქტიურებს პოლიტიკის მეცნიერების პოპულარიზაციას, გაიზრდება მისი ავტორიტეტი საზოგადოებაში და ასევე მისი შესაძლებლობებიც.

ჩატარებულმა კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ სმეა-ს სტრუქტურაში და პრიორიტეტებში პოლიტიკის მეცნიერებები დღეს სამწუხაროდ სუსტადაა წარმოდგენილი. რაოდენობრივი სურათი გამოიყურება ასე:

აკადემიის საკადრო და ინსტიტუციონალური სისტემა ⁷⁶	რაოდენობა	პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორების რაოდენობა
აკადემიკოსები	67	0
წევრ-კორესპონდენტები	19	0
საპატიო წევრები	7	0
სტიპენდიანტები	10	0
უცხოელი საპატიო წევრები	87	2
სამეცნიერო პრემიების ტიპი	3	0
ჟურნალი „მაცნე“	15 ნომერი (2017-2020)	3 სტატია
ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია	41	0
ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო.	27	0

აღსანიშნავია, რომ ზევით ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ასევე არსებობს გარდაცვლილ აკადემიკოსთა მონაცემთა ბაზა - „მემორიალი“, რომელშიც არც ქართველი და არც უცხოელი პოლიტიკის მეცნიერი წარმოადგენელი არაა. ეს შეიძლება გავამართლოთ იმით რომ ეს მეცნიერება საქართველოში ავტონომიური სახით ჩამოყალიბდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, იგი ცარიელა ადგილზე არ შექმნილა. ახალი თაობის პოლიტოლოგია ჩამოყალიბდა „პარტიული ისტორიის“, „პოლიტეკონომიის“ და სხვა სპეციალობების ბაზაზე.

ამავე დროს, იქნება სამართლიანი, რომ ავღნიშნოთ - მოქმედი აკადემიკოსების გარკვეული ნაწილი აქტიურად იყო და არის ჩართული არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ პოლიტიკის კვლევებში და (მიუხედავად სხვა პროფილის სამეცნიერო სტატუსისა) უდაოდ წარმოადგენენ ქართული პოლიტიკური მეცნიერების ელიტის ბირთვის ღირსეულ ფრაგმენტს.

2.5.4.1 უცხოელი საპატიო წევრები

87 უცხოელი საპატიო წევრიდან მხოლოდ ორია ოფიციალურად დაკავშირებული პოლიტიკის მეცნიერებებთან.

- **ჯონსი სტივენსი** - პოლიტოლოგია და სოციოლოგია - მასაჩუსეტსი - 2010 წლის 29 ივნისი - საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

⁷⁶ <http://science.org.ge/>

- **სტარი ს.ფედერიკი** - პოლიტიკური მეცნიერებანი - აშშ - ვაშინგტონი - 2015 წლის 2 აპრილი - საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება⁷⁷

პირველი ამერიკელი წარმოდგენილია როგორც „პოლიტოლოგია და სოციოლოგიის“, ხოლო მეორე, როგორც - „პოლიტიკური მეცნიერებების“ მიმართულებების წარმომადგენელი.

უცხოელი საპატიო წევრის რესურსი შეიძლება იყოს უფრო ეფექტიანად გამოყენებული აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში. ეს სტატუსი შეიძლება იყოს კარგი მასტიმულირებელი როგორც უცხოელი პოლიტიკის მეცნიერებების ასევე პოლიტიკოსების მიმართულებით.

კვლევის შედეგად შეიქმნა იმ უცხოელი მეცნიერების მონაცემთა ბაზა, რომლებიც მუშაობენ აფხაზეთის მიმართულებით, რაც იძლევა შესაძლებლობას მათთან ეფექტიანი კომინუკაციების დამყარების. აკადემიათა თანასაზოგადეობისთვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი ამ საეთაშორისო კონტაქტების ეფექტიანი გამოყენება.

2.5.4.2 ყოველწლიური ანგარიშები

2019 წლის გამოცემულ ანგარიშში წარმოდგენილ პრიორიტეტებში სამწუხაროდ არ იყო წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერების მნიშვნელოვანი როლი და როგორც ქვევით მოყვანილ ტექსტში ვკითხულობთ: „აკადემია, ამავე დროს, თვითონ წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას. აქ სამეცნიერო განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების სახით წარმოდგენილია თანამედროვე მეცნიერების ყველა დარგი. აკადემიის წევრები ნაყოფიერად იკვლევენ მათემატიკის, საბუნებისმეტყველო დარგების (ფიზიკის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის), გამოყენებითი მექანიკის, მშენებლობის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, მართვის პროცესების, ქიმიური ტექნოლოგიების, ჰუმანიტარული დარგების (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხ ელოვნებათმცოდნეობა, ეკონომიკა, სამართალი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია) აქტუალურ პრობლემებს, რომლის შედეგები საერთაშორისო დონეზეა აღიარებული.“⁷⁸

პოლიტიკის მეცნიერებისთვის იქნება სასიამოვნო, რომ 2021 წლის ანგარიშში იყოს ღირსეულად აღნიშნული ამ ჩამონათვალში პოლიტიკის მეცნიერებების როლი საზოგადოების განვითარებაში.

2.5.4.3 კომისიები და კომიტეტები

⁷⁷ უცხოელი წევრები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, http://science.org.ge/?page_id=2552

⁷⁸ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, წლიური ანგარიში 2019, თბილისი 2020, <http://science.org.ge/wp-content/uploads/2020/10/Angarishi2019.pdf>

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით არაა წარმოდგენილი სტრუქტურაში არც ერთი კომიტეტი და არც ერთი კომისია.

ამ დარგის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე იქნება მეტად მნიშვნელოვანი, რომ 2021 წელს ასეთი ერთეული დაარსდეს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგის აკადემიკოსები, წევრ-კორესპონდენტები და სტიპენდიანტები არ გვყავს, აკადემიაში არიან ადამიანები, რომლებიც შესძლებდნენ ამ მიმართულების შექმნის და გაძლიერების ხელშეწყობას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში არ არის არცერთი პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორი, მაგრამ, რამოდენიმე აკადემიკოსის პირად მონაცემებში არის დაფიქსირებული, რომ ისინი პოლიტოლოგები არიან.⁷⁹

განსაკუთრებით დიდი როლი ამ მიმართულებით შესაძლებელია ითამაშოს სმეა-ს ვიცე-პრეზიდენტმა, გამოჩენილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა როინ მეტრეველმა.

2.5.4.4 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცხადებული პრემიების ჩამონათვალი

- ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია – მათემატიკის დარგში
- ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია – გეოლოგიის დარგში
- თინათინ წერეთლის სახელობის პრემია – სამართალმცოდნეობის დარგში

როგორც ვხედავთ პოლიტიკის მეცნიერებებთან დაკავშირებით პრემია არ არის, რაც ნიშნავს იმას, რომ უახლოვეს სტრატეგიაში შესაძლებელია რომ იგი არსებობდეს. აკადემიკოს ომარ გოგიაშვილის ნაშრომებში ნათლად არის გამოკვეთილი ქართული პოლიტიკური აზროვნების და საქართველოს ეროვნული პროექტის ავტორების ფენომენი. ჩვენი მოკრძლებული აზრით, ასეთი პრემია სასურველია რომ იყოს საზოგადო მოღვაწის - დიმიტრი ყიფიანის სახელობის, რომელიც წმინდანათაა შერაცხული და მინიჭებული აქვს „სამშობლოსთვის თავდადებულის“ სტატუსი.

მნიშვნელოვანია საქართველოში პოლიტიკის მეცნიერებების განვითარების ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა. ეს პროდუქტი მომავალში წარმოადგენს პოლიტიკის მეცნიერებათმცოდნეობის უნიკალურ საგანძურს. სამწუხაროა, რომ დღემდე პოლიტიკის მეცნიერების სფეროში ქართველი მოღვაწეების სახელი დავიწყებას მიეცა.

2.5.4.5 სმეა-ს კონფერენციების როლი პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საქმეში

კვლევის ჩარჩოში შემუშავდა პროექტი - „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-სკოლა „აფხაზეთის კონფლიქტი: სამეცნიერო ინოვაციები მშვიდობის მშენებლობაში“. საქართველოს

⁷⁹ ომარ გოგიაშვილი, <http://www.nplg.gov.ge/bios/ka//00002113>

მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიის მხარდაჭერით 2020-2021 წწ ჩატარდა (on-line) სკოლა-კონფერენციების ციკლი.⁸⁰

მეტად მნიშვნელოვანია, რომ სმეა-ს რეგულარულ გეგმაში იყოს წარმოდგენილი პოლიტიკური კრიზისების მიმართულებით კონფერენციების ტიპის აქტიობა. მცდარია ის აზრი რომ პანდემიამ ხელი შეუშალა მეცნიერების აქტიობას. შეიქმნა შესაძლებლობა, რომ მინიმალური დანახარჯებით ჩატარდეს on-line საერთაშორისო კონფერენციები. ჩვენს მიერ არის მომზადებული ასეთი კონფერენციების გეგმა-გრაფიკი, რომელიც შეგვიძლია წარუდგინოთ სმეა-ს ხელმძღვანელობას.

2.5.4.6 მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე“

ჩვენ გავანალიზეთ ბოლო 4 წლის განმავლობაში დაბეჭდილი სტატიები და აღმოვაჩინეთ, რომ პოლიტიკის მეცნიერებებს შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ სამი სტატია. აფხაზეთის თემატიკაზე - არცერთი.

2021 წლიდან გვაქვს იმედი, რომ სმეა-ს სარედაქციო პოლიტიკაშიც მოხდება ცვლილებები, და პოლიტიკის მეცნიერებას დაეთმობა სისტემური ყურადღება და შესაბამისი საგამომცემლო სივრცე.

ამავე დროს, პროექტის ჩარჩოში, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ჩვენს მიერ არის მომზადებული ახალი სამეცნიერო გამოცემის - „აფხაზეთის კვლევების“ პროექტი. იქნება სასურველი, რომ სმეა-მ მხარი დაუჭიროს ამ პროექტის რეალიზაციას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებული პროექტის ჩარჩოში შექმნილია ტელე-გადაცემა „მეცნიერება და ინოვაციები“⁸¹ და საქართველოს სამეცნიერო ჟურნალისტიკის ფედერაციის პროექტი. განსაკუთრებული მხარდაჭერა ამ კვლევებს აღმოუჩინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა, ისტორიის დოქტორმა - მერი გაბედავამ.

გვაქვს ასევე იმედი რომ სმეა-ს სარედაქციო პოლიტიკის გუნდი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას ჩვენს მიერ შემუშავებულ პროექტებში და ასევე ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორცაა „სამეცნიერო დიპლომატია და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომები“.

2.5.4.7 სამეცნიერო განყოფილებები და მათი შესაძლებლობები

ქვემოთ წარმოდგენილია სმეას ცხრა სამეცნიერო განყოფილება.

⁸⁰ www.rav2021.com

⁸¹

<https://salte.ge/Actor/%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%a5%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%93%e1%83%a0%e1%83%94-%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%a1%e1%83%94%e1%83%aa%e1%83%99%e1%83%98/>

1. მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება
2. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება
3. საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება
4. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება
5. ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება
6. ფიზიოლოგიის და მედიცინის განყოფილება
7. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება
8. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება
9. ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

ცხრავე განყოფილების სამეცნიერო ინტერესები გადაიკვეთება პოლიტიკის მეცნიერებასთან. და ცხრავე განყოფილებას უნდა ჰქონდეს სტრატეგიული ინტერესი, რომ შეიქმნას პოლიტიკური მეცნიერების ცალკე განყოფილება, რომელიც ითანამშრომლებს დანარჩენ განყოფილებებთან. ამ თვლასაზრისით გამოვხატავთ მზადყოფნას წარუდგინოთ ამ განყოფილების წარმომადგენლებს კვლევის ჩარჩოში შემუშვებული ინოვაციური მიდგომები, რომლებიც გულისხმობენ მათ განსაკუთრებულ მონაწილეობას ისეთ კონკრეტულ საკითხში, როგორცაა აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება“, რომელიც დაკომპლექტებულია ქართული სამეცნიერო ელიტის საუკეთესო წარმოდგენლებით, მასში არანაირად არაა წარმოდგენილი პოლიტიკური მეცნიერებების ქვემომართულება, რომელიც თავის თავში მოიცავს უამრავ საზოგადოებისთვის სასიცოცხლო ქვემომართულებას. ეს კიდევ ერთხელ გვაჩვენებს - პოლიტიკის მეცნიერებების განყოფილების შექმნის აუცილებლობას.⁸²

2.5.4.8 აკადემიის სამშვიდობო პოლიტიკა რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე

მიუხედავად პოლიტიკისგან დემონსტრაციული დისტანცირებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აკეთებს სამშვიდობო ხასიათის მნიშვნელოვან განცხადებებს, რაც აჩვენებს იმას, რომ აკადემიამ შეიძლება შეასრულოს არაფორმალური დიპლომატიური მისიაც არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზეც. ამის ნათელი მაგალითია აზერბაიჯან-სომხეთის 2020 წ. ომთან დაკავშირებით წარმოდგენილი განცხადება⁸³:

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ამ მიმართულებით აკადემიას ექნება უფრო დიდი გასაქანი თუ პოლიტიკური მეცნიერებების ისეთი მიმართულება, როგორცაა საერთაშორისო

⁸² საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, http://science.org.ge/?page_id=4377

⁸³ მიმართვა სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტებს (ოქტომბერი 26, 2020) - <http://science.org.ge/?p=8291>

ურთიერთობები ან უშიშროება, პროფესიულ დონეზე ხელს შეუწყობს სემა-ს საგარეო პოლიტიკის გატარებას.

აკადემიკოს გივი ღამბაშიძესთან ერთად მიმდინარეობს „კავკასიის მეცნიერებათა აკადემიის“ პროექტის მოდელირება. ეს ინიციატივა ეკუთვნის ცნობილ მეცნიერს ნიკო მარს. კავკასიის სამეცნიერო ელიტებს შორის თანამშრომლობა შექმნიდა საერთო რეგიონული უშიშროების პოლიტიკის და „კავკასიის თანასაზოგადოების“ მოდელის შექმნის წინაპირობას. მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის, „კავკასიის ფონდის“ და სხვა ორგანიზაციების არსებული გამოცდილების გაზიარება. კავკასიური განზომილება მეტად მნიშვნელოვანია აფხზეთის და ცხინვალის კრიზისებთან მიმართებაში. საკითხთა სიმრავლე შესაძლებელია რომ გადაწყდეს მხოლოდ რეგიონულ განზომილებაში.

2.5.4.9 აფხაზეთის სამი აკადემიის ფენომენი

სამწუხაროდ, სმეა-ს არ გააჩნია აფხაზეთის მიმართულებით სტრუქტურული ერთეული. სმეა-ს სუსტ რგოლს წარმოადგენს მისი ლეგიტიმაციის დონე აფხაზეთთან მიმართებაში. ამავე დროს ასეთი ტიპის ერთეულები დამოუკიდებლად არსებობენ და სმეა-ს და მათი ურთიერთობების მოდელი ჰგავს აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მოდელს. ამიტომ, გაჩნდა მოსაზრება, რომ ამ მიმართულებით შეიქმნას ექსპერიმენტული პროექტი, რომლის პოზიტიური რეალიზაციის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება გამოცდილების გამოყენება პოლიტიკურ სისტემებს შორის თანამშრომლობისათვის. ქვემოთ წარმოგიდგინებთ ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას.

1997 წლის 26 მარტს სოხუმში შეიქმნა **აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია**.⁸⁴

მისი შექმნა ნიშნავდა აფხაზ მეცნიერთა იმ ნაწილის „გამარჯვებას“, რომელიც საქართველოდან გამოყოფის მომხრე იყო. საქართველოს მიერ ლიოალური „ეთნიკურ აფხაზთა“ ინტელექტუალური ელიტა აღმოჩნდა „თამაშგარეშე მდგომარეობაში“. 2020 წლისათვის ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად იმყოფება რუსეთის ფედერაციის ქოლგის ქვეშ.

ამავე 1997 წელს - თბილისში, აფხაზეთის (დევენილობაში მყოფი მეცნიერების და უზენაესი საბჭოს თავჯდომარის - თამაზ ნადარეიშვილის ინიციატივით) შეიქმნა **აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია**, რომელმაც გააერთიანა დევენილობაში მყოფი მეცნიერები. (მოგვიანებით სახელწოდება გახდა - **აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**). ხოლო პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, 2010 წელს, საპატრიარქოს მფარველობით შეიქმნა **ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია**. არც ერთი ამ ორი აკადემიიდან არაა სახელმწიფო ბიუჯეტზე. არის იმედი, რომ ამ ორ აკადემიას შორის ურთიერთობები აღდგება და მოხდება მათი სრული ან ფედერალური ტიპის გაერთიანება.

⁸⁴ <http://anra.info/about/history.html>

მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს სმეა-ში არ არის არც ერთი აფხაზეთელი მეცნიერი, და ეს მაშინ, როდესაც ზოგადად ქართულ მეცნიერებაში მათი ხვედრითი წილი მეტად მნიშვნელოვანია. ეს მეტად სენსიტიური საკითხია და მოითხოვს დამატებით სერიოზულ ანალიზს. თუ „სოხუმელ“ კოლეგებს ჰყვათ მფარველი მოსკოვში, „აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების“ მფარველი არავინაა. ამ მიმართულებით, პროექტის ჩარჩოში ჩატარდა განსაკუთრებული კვლევები და მომზადებულია რეკომენდაციების პაკეტი. თუ ეროვნულ დონეზე არ იქნება გადადგმული ქმედითი ნაბიჯები, რეკომენდაციების ერთ-ერთ პუნქტში წარმოდგენილია „**დევნილი მეცნიერების საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის**“ პროექტი. თუ იქნება პოლიტიკური ნება, შესაძლებელია აფხაზეთის გაერთიანებული აკადემია გახდეს ამ მეცნიერთა მასპინძელი, რაც უფრო გაზრდის მის ავტორიტეტს და ლეგიტიმაციის დონეს.

სტრატეგიაში, გახლეჩილი საზოგადოების ინტელექტუალურ ელიტებს შორის ეფექტური კომუნიკაციის შექმნას სჭირდება სიღრმისეული გააზრება და არა ნაჩქარევი და პოპულისტური გადაწყვეტილებები.

ეს ნიშნავს იმას, რომ სმეა-მ ერთის მხრივ შიძლება მოირგოს მედიატორის როლი, ხოლო მეორეს მხრივ, გარე პარტნიორების მხარდაჭერით - შექმნას კონსულტაციების და მოლაპარაკებების მრავალსართულიანი ფორმატი:

- „დევნილობაში მყოფ აფხაზეთელებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები“
- „სოხუმელ“ კოლეგებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები
- სმეა-ს და აფხაზეთის გახლეჩილ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამკუთხედი
- „მოსკოველ“ კოლეგებთან ურთიერთობა
- კავკასიური ფორმატი
- შავი ზღვის ფორმატი
- ევროპული, ევრაზიული, ევროატლანტიკური და სხვა საერთაშორისო განზომილებები.

სმეა-ს ამ სტრატეგიის რეალიზაციაში სერიოზულ როლს ითამაშებდნენ პოლიტიკის მეცნიერების შესაბამისი მიმართულების და რანგის სპეციალისტები.

ჩვენ ვართ იმ აუცილებლობის წინაშე, რომ სმეა-თან შეიქმნას ძლიერი „**საგარეო საქმეების და მედიაციის ერთეული**“, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი პოლიტიკური მეცნიერების - საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან კომპეტენტური ინფორმაციით და რჩევებით.

2.5.4.10 აჭარის რეგიონული ცენტრის სპეციფიკა და გამოცდილება აფხაზეთისთვის

შიდა რეგიონული პოლიტიკის თვლასაზრისით, სმეა-ს აქვს ძალიან კარგი გამოცდილება და საკმაოდ სერიოზული შედეგები. 2019 წლის ანგარიშში აღმოვაჩინეთ, რომ სმეა-ს აჭარის რეგიონული ცენტრის მიერ იყო წარმოებული ამ მიმართულებით კომპლექსური კვლევები.

„პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით კვლევები ჩატარდა გლობალური პოლიტიკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის, პოსტსაბჭოთა ქვეყნების, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე. გამოქვეყნდა სამეცნიერო შრომები საჯარო პოლიტიკის მიმართულებით, ისინი ეხება: საჯარო მმართველობის, სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის, სოციალური პოლიტიკის, პოლიტიკური ლიდერის ფენომენის კვლევას, სახელმწიფო პროგრამების ანალიზს, კონფლიქტების ინსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო-პოლიტიკურ კომუნიკაციას“.⁸⁵

გვაქვს იმედი, რომ აჭარის რეგიონული ცენტრის ეს აქტიობა გახდება პრიორიტეტული აკადემიის ეროვნული სტრუქტურისთვისაც.

აჭარის ცენტრის აქტიური ფუნქციონირება ადასტურებს იმას, რომ პოლიტიკური რეგიონალიზმის მიმართულებით უნდა მოხდეს სერიოზული ტრანსფორმაციები. რეგიონალიზმი უნდა იყოს წამოიწილი როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის სფეროებში და აისახოს აკადემიის სამეცნიერო კვლევებში და ორგანიზაციულ პოლიტიკაშიც.

2.5.4.11 აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის როლი სმეა-ს სტრატეგიაში

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2019 წლიდან სმეა აქტიურად იბრძვის იმისთვის რომ მიიღოს მის დაქვემდებარებაში კვლევითი ინსტიტუციების დაარსების უფლება. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების არც ერთი ნაწილის ინტერესი მეცნიერებათა აკადემიაში წარმოდგენილი არაა და არის იმედი, რომ ამ მიმართულებით სიტუაცია კარდინალურად შეიცვლება. სმეა-ს გააჩნია ის უნიკალური ავტორიტეტი, რომელიც წარმოდგენილია მისი ინტელექტუალური საგანძურით, რომელიც შესძლებს აფხაზეთის გახლეჩილი აკადემიური საზოგადოების ეტაპობრივ დაბრუნებას საქართველოს ერთიან აკადემიურ სივრცეში.

გვაქვს დიდი იმედი, რომ სმეა-ს პოლიტიკა აფხაზეთმცოდნეობის მიმართულებით 2021 წლიდან გაფართოვდება, გასცდება ეთნოგრაფიული ტიპის კვლევების ჩარჩოს და იქნება წარმოდგენილი ჰოლისტური, ანუ კომპლექსური აფხაზეთმცოდნეობით.

მწშენლოვანია მაგ თვლასაზრისით, რომ სმეა-ს სტრუქტურაში - ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებობული - **აფხაზური ენისა და ლიტერატურის კომისიის** გარდა შეიქმნება სხვა კვლევითი ერთეულები, რომლებიც დემოკრატიული პრინციპებიდან

⁸⁵ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, წლიური ანგარიში, 2019, - გვ215 - <http://science.org.ge/wp-content/uploads/2020/10/Angarishi2019.pdf>

გამომდინარე სისტემურად წარმოადგენენ აფხაზეთის ლინგვისტურ და ზოგადად ეთნო-კულტურულ მრავალფეროვნებას.

მნიშვნელოვანია ამ კომისიის 2019 წლის ანგარიშში წარმოდგენილი რამოდენიმე ფრაზა⁸⁶ - „ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ დაფუძნებული პროგრამის – „გავიცნოთ აფხაზეთი“ ფარგლებში აფხაზურ მხარესთან ერთად გადაიღო სამეცნიერო-პოპულარული დოკუმენტური ფილმი „ანიხა“ (სალოცავი)...“

აქ გამოყენებული ზოგიერთი ეთნოცენტრისტული ტერმინი წარმოადგენს პოლიტიკის მეცნიერების (სახელდობრ - პოლიტიკური ფსიქოლოგიის და პოლიტიკური ლინგვისტიკის) თვალსაზრისით დიდ ინტერესს და ნამდვილად მოითხოვს სამეცნიერო ექსპერტიზას.

არსებობს მოსაზრება, რომ ზუსტად აკადემიური საზოგადოების დონეზე დაიწყო აფხაზეთის და მთლიანად საქართველოს რეინტეგრაციის პროცესი. სმეა-ს ადგილი კი ამ პროცესის ავანგარდში უნდა ვიგულისხმოთ.

არის იმედი რომ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სპეციალური სტატუსით აჭარის რეგიონული ცენტრის სტრუქტურის გარდა დაიწყებს ფუნქციონირებას აფხაზეთის შესაბამისი ერთეულიც.

2.5.4.12 ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სმეა-ში ასევე არსებობს - ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია. ამ კომისიის საპატიო თავჯდომარეა - **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი - ილია II.**

კომისიაში გაერთიანებულია საზოგადოების ბევრი საინტერესო სახე, მაგრამ, არცერთი პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორი. და ამავე დროს არცერთი სპეციალისტი აფხაზეთიდან.

ჩვენ გვაქვს დიდი იმედი, რომ მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ უშუალოდ ამ კომისიას წარუდგინოთ ჩვენი მოსაზრებები პოლიტიკის მეცნიერების როლის თაობაზე და იმ საფრთხის შესახებ, რომელიც იმალება მეცნიერების ამ მიმართულების არასრულყოფილი გამოყენების ჩრდილში.

ამ კომისიის ფორმატში განიხილება საკითხები, რომელიც ნამდვილად შეეხება პოლიტიკის მეცნიერებას, მაგალითად, 2019 წლის ანგარიშიდან ვხედავთ, რომ კომისიამ წარმატებულად

⁸⁶ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, წლიური ანგარიში, 2019, 206 გვ., <http://science.org.ge/wp-content/uploads/2020/10/Angarishi2019.pdf>

ჩაატარა 12 სხდომა, რომლიდან ნახევარი პირდაპირ ეხებოდა და წარმოადგენდა პოლიტიკის მეცნიერების სფეროს.

- 16 იანვარი. „ქართველი და ქისტი მოსახლეობის ურთიერთობები და პრობლემები“ (მომხსენებელი იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პანკისის ხეობის უხუცესი ზაურ გუმაშვილი);
- 1 მარტი. „სატრანსპორტო გზის მშენებლობა პანკისის გავლით“ (მომხსენებლები: აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე, პროფესორი ზაურ გუმაშვილი);
- 17 აპრილი. „საქართველოს სახელმწიფო დროშა უნდა შეიცვალოს“ (მომხსენებელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო ჯაველიძე);
- 22 მაისი. „ერთიანი საგზაო სატრანსპორტო სისტემის ზოგიერთი პრობლემა“ (მომხსენებელი აკადემიკოსი ზაურ შილაკაძე);
- 24 ივნისი. „მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულება და აჭარის პრობლემები“ (მომხსენებელი პროფესორი უჩა ოქროპირიძე);
- 3 ოქტომბერი. „კავკასიის თანამედროვე ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები“ (მომხსენებელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი);

ეს კი ნიშნავს იმას, რომ პრობლემური საკითხების მინიმუმ 50% პირდაპირ განეკუთვნება პოლიტიკის მეცნიერების კომპეტენციას.

გვაქვს იმედი, რომ 2021 წლიდან კომისიის შემადგენლობაში გაჩნდებიან პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტები რაც კიდევ უფრო გაზრდის ამ ერთეულის ეფექტიანობას. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ ასეთ კომისიაში იყვნენ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლები. გამოვხატავთ იმედს, რომ ამ პრობლემურ საკითხებს შორის აფხაზეთის პრობლემატიკა დაიკავებს ღირსეულ ადგილს. იქნება მეტად სასიამოვნო თუ საერთოდ 2022 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მიუძღვნის აფხაზეთს. ხოლო 2023 წელს - ცხინვალის რეგიონს. საერთოდ ყოველივე წელს კონკრეტულ პრობლემას თუ მიუძღვნის იქნება მეტად მნიშვნელოვანი. ეს მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა და მოგვცემს შესაძლებლობას რომ მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლებმა გაამახვილონ ყურადღება აფხაზეთის პრობლემატიკაზე. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები წარმოადგენენ ამ თვალსაზრისით პრაქტიკულ რესურსს.

2.5.4.13 აკადემიასთან არსებული „ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო“

სამწუხაროდ ამ საბჭოში არა მხოლოდ პოლიტიკის მეცნიერებების, არამედ სოციალური მეცნიერების არც ერთი სპეციალისტი ჯერ-ჯერობით არაა წარმოდგენილი.

გვაქვს იმედი, რომ 2021 წლიდან ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო შეარჩევს საბჭოს წევრებად პოლიტიკური მეცნიერების წრიდან ღირსეულ კანდიდატურებს. ჩვენ მზად ვართ

წარუდგინოთ საბჭოს გაეროს რეზოლუცია „2250“⁸⁷ შესახებ ჩვენს მიერ მომზადებული მოსაზრებები, რომელიც შეეხება ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და სამშვიდობო პროცესებში. სახელდობრ ეს შეეხება ახალგაზრდა მეცნიერების როლს.

ასევე ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ გაეროს რეზოლუციის ახალი პროექტი, რომელიც შეეხება მეცნიერების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და სამშვიდობო პროცესებში. ამ მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები საქართველოს და მეგობარი ქვეყნების დიპლომატიური კორპუსების და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებთან.

2.5.4.14 სმეა-ს ექსპერტიზის როლი სამშვიდობო პროცესებში

როგორც არის აღნიშნული სმეა-ს 2019 წლის ანგარიშში, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შედეგების, აგრეთვე, სახელისუფლებო უწყებების მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პროექტების ექსპერტიზას.

ეს არის ის უნიკალური რესურსი, რომელიც სამწუხაროდ არაა სრულყოფილად გამოყენებული აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მოგვარებისთვის. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შექმნილი მონაცემების ბაზა შესაძლებელია იყოს საინტერესო მეცნიერებათა აკადემიისათვის რათა მოხდეს აფხაზეთის კრიზისის მიმართულებით არსებული სამშვიდობო პროცესის სამეცნიერო ექსპერტიზა.

სმეა-ში სამეცნიერო ექსპერტიზის მიმართულების არსებობა მისასაღმებელია, გამომდინარე იქედან, რომ წარმოადგენს მეცნიერებათმცოდნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ამიტომ ჩვენს პროექტში შემუშავებული მეცნიერებათმცოდნეობის ინსტიტუტის არსებობა ღებულობს ამ კონტექსტში უფრო დიდ მნიშვნელობას და პერსპექტივას. უპირველესყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ იგივე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მოხდეს არსებული სამეცნიერო აქტივობების ინტერდისციპლინური ექსპერტიზა, ამ პროცესის შეფასება და ეფექტიანობის ზრდა.

2.5.4.15 პოლიტიკური მეცნიერების და სმეა-თან დაკავშირებული ისტორიული შტრიხები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2000 წლის 27 იანვრის დადგენილებით, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი შეიქმნა აკადემიის სისტემაში არსებული ორი

⁸⁷ Security Council, Unanimously Adopting Resolution 2250 (2015), Urges Member States to Increase Representation of Youth in Decision-Making at All Levels, <https://www.un.org/press/en/2015/sc12149.doc.htm>

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების – საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრისა და ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის– შერწყმის საფუძველზე.⁸⁸

2006 წელს მიმდინარე რეფორმების შედეგად პოლიტოლოგიის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციას. 2010 წელს პოლიტოლოგიის ინსტიტუტი გადავიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში.

ასეთი ტიპის გადაადგილება არაა ნორმალური და ნიშნავს იმას, რომ ერთი უნივერსიტეტი ხდება პოლიტიკის მეცნიერების სფეროში დომინირებული სტრუქტურა.

ამან მიიყვანა მეცნიერების ეს სექტორი არსებულ მდგომარეობამდე და სამწუხაროდ, იამზე, რომ ეს სტრატეგიული მიმართულება აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში არავინ აგებს პასუხს.

მიუხედავად ამისა პარალელურად შეიქმნა მსგავსი ინსტიტუციები და კვლევითი ცენტრები როგორც სხვა უნივერსიტეტებში, ასევე დამოუკიდებელ სივრცეშიც. ამიტომ, მართებული იქნება არა ძველი სისტემის აღდგენა, არამედ სმეა-ს სისტემაში ამ ინსტიტუციონალური სტრუქტურების კოორდინირების ხელშეწყობა. ასევე იქნებოდა მნიშვნელოვანი, რომ განვითარდეს მათი ქსელური თანამშრომლობის სისტემაც. ამ თვალსაზრისით იქნებოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკის მეცნიერებების ეროვნული აკადემიის იდეის რეანიმაცია.

2.5.5 აკადემიური დიპლომატია - ისტორია, რეალობა და პერსპექტივები

ჩვენ შეგვიძლია დავაფიქსიროთ, რომ გელათის და იყალთოს აკადემიები შუა საუკუნეებიდან წარმოადგენდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტებს და იქნება მეტად მნიშვნელოვანი, რომ ამ მიმართულებით ჩატარდეს დამატებითი კვლევები და გამოიცეს ქართული აკადემიური დიპლომატიის ისტორია. ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში და პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში წარმოადგენდნენ ამ საერთაშორისო პოლიტიკის სახეს საქართველოს საზღვრებს გარეთ.

როგორც აღინიშნა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ შეიძლება ბევრი მიმართულებით შეასრულოს მედიატორის ფუნქცია, ანუ გააერთიანოს სხვადასხვა პოლიტიკური გავლენების ქვეშ მყოფი მეცნიერები ერთ სივრცეში. თუ მოხერხდება მათ შორის კომუნიკაციის აწყობა, ეს მოგვცემს საშუალებას შეიქმნას ახალი დონის ლეგიტიმაციის ეროვნული ინტელექტუალური პროდუქტი, რომელიც განსაზღვრავს პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში ეროვნულ პოლიტიკას. ეს არის მდგრადი ეკონომიკის განვითარების საფუძველი და ამის მაგალითი შეიძლება გახდეს აფხაზეთის პოლიტიკური

⁸⁸ პოლიტოლოგიის ინსტიტუტი შეიქმნა აკადემიის სისტემაში, <http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/politologiis-instituti-809>

კრიზისი. ბუნებრივია, ეს არის შესასრულებლად მეტად რთული, მაგრამ არ წარმოადგენს უტოპიას.

კვლევის ჩარჩოში შექმნილია აკადემიური დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრის მოდელი, რომლის მიზანია ამ პროცესების მართვაში მონაწილეობის მიღება; ამ მიმართულებებით კომპლექსური კვლევების გაგრძელება და ფასილიტაცია. მნიშვნელოვანია, რომ ქართველ წმინდანებში ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთად-ერთი აკადემიკოსი. მისი ერთი მხრივ პრინციპულობის და მეორეს მხრივ დიპლომატიური უნარების შედეგია ის, რომ საქართველომ შეინარჩუნა ეროვნული საგანძური. ამიტომ განიხლება საკითხი, რომ ამ ცენტრს მიენიჭოს წმინდა ექვთიმე (თაყაიშვილის) სახელი.

კვლევების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს მეცნიერებათა აკადემიების სრული სიმრავლე, მათ შორის არსებული დამოკიდებულებები და მათი მართვის და თვითმართვის ოპტიმალური მოდელის შექმნის შესაძლებლობა.

2.5.6 მეცნიერებათა აკადემიების თანასაზოგადოების განვითარების პარადიგმა საქართველოში

საბჭოთა აკადემიის ცენტრალიზებული სისტემის დაშლა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სხვადასხვანაირად წარიმართა.

მნიშვნელოვანია აქ რუსეთის ფედერაციაში არსებული ვითარება. აქ ერთი აკადემიის ნაცვლად შეიქმნა ჯერ ექვსი. შემდგომში ორის დაბრუნება მოხერხდა ისევ „დედა-აკადემიაში“. ეს შეეხება მედიცინის და სოფლის მეურნეობის აკადემიებს. მნიშვნელოვანია, რომ განზე დარჩა დღეისთვის ოთხი აკადემია, რომელიც არაკომერციული, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციის ტიპს წარმოადგენს (ანუ - სახელმწიფო - არაკომერციული ორგანიზაციების ტიპი). ესენი არიან:

რუსეთის მეცნიერებათა აკადემია და სამი დარგობრივი აკადემია:

- რუსეთის განათლების აკადემია;
- არქიტექტურის და სამშენებლო მეცნიერებების აკადემია;
- რუსეთის სამხატვრო აკადემია.

საქართველოში ბიუჯეტზეა მხოლოდ ორი ერთეული:

- საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემია
- საქართველოს აგრარული აკადემია

გასაგებია, რომ საქართველოსთვის აგრარული სექტორი დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს, მაგრამ მისი განსხვავებული სტატუსი შეიძლება იყოს განხილული როგორც სხვა სამეცნიერო მიმართულების დისკრიმინაცია. მეორეს მხრივ ეს არის მაჩვენებელი ამ დარგში მოღვაწე

ადამიანების მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობის და ლობირების უნარის. გამომდინარე აქედან, მომავალში სავარაუდოა ტრანსფორმაციის რამოდენიმე ვარიანტი:

1. სტატუს კვოს შენარჩუნება.
2. ორი აკადემიის შერწყმა.
3. არსებულ დარგობრივი და ტერიტორიულ აკადემიების აუდიტი (აკრედიტაცია) და სტატუსის განსაზღვრა.
4. იმ დარგებში ახალი აკადემიების შექმნა, რომელშიც ჯერ არაა შექმნილი.
5. საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის და ამ აკადემიების თანამშრომლობის განვითარების მიზნით - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ფედერაციის დაარსება.

საზოგადოებრივი აკადემიები. გარდა სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებისა, რუსეთის ფედერაციაში შექმნილია საზოგადოებრივი სამეცნიერო აკადემიების კლასტერი. ისინი წარმოადგენენ მოქალაქეების ნებაყოფლობით გაერთიანებებს და ექვემდებარებიან შესაბამის საკანონმდებლო აქტებს. მათ შორის ისინი ნაწილობრივად სარგებლობენ ფედერალური ბიუჯეტის შესამდებლობებიდან შესაბამისი სატენდერო თუ საგრანტო პოლიტიკის ჩარჩოში.

საქართველოში ეს პროცესი უკონტროლოა. ამ სტატუსის აკადემიები პოლიტიკურ ცნობიერებაში ჯერ არ არსებობენ, მაგრამ ფაქტობრივად მოქმედებენ. ეს მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ისინი არსებობენ, მაგრამ არ არიან კარგად ინფორმირებულები იმის თაობაზე თუ როგორ უნდა იმართებოდეს მსგავსი ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურები. ეს განაპირობებს მათ სისუსტეს. ეს შეეხება საზოგადოებრივ - არაკომერციული ტიპის ორგანიზაციებს. ამავე დროს, ზოგი ორგანიზაციის შექმნის იდეა ეფუძნებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს, მაგრამ იურიდიული ფორმა აქვთ შპს. როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს ისინი (ერთეულების გარდა) არ წარმოადგენენ ეკონომიკური თვალსაზრისით წარმატებული ორგანიზაციებს ტიპს.

საგანმანათლებლო აკადემიები. მესამე კატეგორია აკადემიების წარმოადგენენ საგანმანათლებლო ტიპს. ანუ ისინი ხელს უწყობენ არა იმდენად კვლევების, რამდენადაც - განათლების და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. რა თქმა უნდა ეს კვლევებთანაც არის დაკავშირებული, მაგრამ დომინაცია აქ არის პიროვნების საკვალიფიკაციო სტატუსის ამაღლება, ანუ საუნივერსიტეტო განათლების შემდეგი საფეხურის კონტექსტი. ოფიციალურად, იგი არ აღემატება არც ინსტიტუტის და არც უნივერსიტეტის სტატუსს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტული ორგანიზაციის ავტორიტეტიდან და ინერციიდან გამომდინარე, ისინი წარმოადგენენ უფრო ავტორიტეტულ ორგანიზაციულ ერთეულებს საგანმანათლებლო სივრცეში. აქვე არის აღსანიშნავი, რომ ამის წინ განხილული სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული და საზოგადოებრივი აკადემიები არ გამორიცხავს განათლების კომპონენტს. ამ სეგმენტში ჩვენ გვხვდება როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივი და კერძო სამართლის სუბიექტები. მაგალითად, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს

ეროვნული თავდაცვის აკადემია⁸⁹ წარმოადგენს ტიპიურ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს, იგივე შეეხება შსს აკადემიას⁹⁰.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს დიპლომატიური აკადემია. ასეთი ტიპის სტრუქტურა იყო შექმნილი როგორც კერძო ორგანიზაცია (შპს), მაგრამ ვერ ასეთი ტიპის სტრუქტურის არსებობა დაამშენებდა საქართველოს როგორც მეცნიერების, ასევე განათლების სისტემას.

სირთულეს წარმოადგენს ის, რომ, პოლიტიკის მეცნიერების სხვა დარგებსაც შეექმნებათ სტრატეგიაში სურვილი რომ ჰქონდეთ საკუთარი აკადემია. შესაძლებელია აღდგეს ასევე „უშიშროების აკადემია“. გამომდინარე აქედან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური მეცნიერებების ეროვნული აკადემია უნდა წარმოადგენდეს ფედერატიულ სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს ქვედარგობრივ აკადემიებს. და ეს სავარაუდოთ გარდაუვალია.

2.5.7 პოლიტიკის მეცნიერებების ეროვნული აკადემია

ქართველი მეცნიერის, გურამ აბესაძის ინფორმაციით, 90-ნი წლების დასაწყისში იყო რეგისტრირებული პოლიტიკის მეცნიერების ეროვნული აკადემია, მასში იყო გაერთიანებული ბევრი მეცნიერი და ასევე პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ, შემდგომში, ამ ორგანიზაციამ შეწყვიტა არსებობა.

ორგანიზაციათა რეესტრში ჩვენ აღმოვაჩინეთ რომ ასეთი სახელწოდებით ორგანიზაცია დღესაც არსებობს. იგი არის წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილ ცხრილშიც. სამწუხაროდ ინტერნეტში ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ვერანაირი ინფორმაცია ამ აკადემიის რეალურ არსებობის თაობაზე. მას არ გააჩნია არც საიტი და არც ფეის-ბუკი.

სამწუხაროა, რომ ასეთი დარგობრივი ერთეული დაფიქსირებულია რეესტრში, მაგრამ არ არსებობს რეალობაში.

პოლიტიკის მეცნიერებების ეროვნული აკადემიის დონეზე შესაძლებელია იყოს მაღალ დონეზე განხილული როგორც კვლევების, ასევე განათლების პოლიტიკის სტრატეგია. ეს მოაწესრიგებდა საქართველოში არსებულ ქაოსს ბევრი მიმართულებით. ამავე დროს გასათვლასისწინებელია, რომ პოლიტიკური კონფლიქტი საკმაოდ ღრმადაა გამჯდარი პოლიტიკის მეცნიერების სოციუმში. ეს არის სირთულე და გამოწვევა, მაგრამ თუ ქვეყანა შესძლებს ამ სირთულის დაძლევას, ის ბევრი პრობლემის მოგვარებას მოახერხებდა. ეს კი პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური სისტემების მართვის კვლევის საგანია.

იმისთვის რომ განისაზღვროს პოლიტიკის მეცნიერების მიმართ „აკადემიების“ სასურველი პოლიტიკა, აუცილებელია ღრმად და შინაარსიანად შევისწავლოთ საერთაშორისო

⁸⁹ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, <https://eta.edu.ge/>

⁹⁰ საქართველოს შსს-ს აკადემია, <http://policeacademy.gov.ge/ka/about-the-academy/about-us>

გამოცდილება. ეს ასევე დაგვეხმარება რომ მოვახდინოთ ამ პარადიგმის განვითარების სცენარების პროგნოზირება და საქართველოს ინტერესებისათვის ოპტიმალურ სცენარზე შეთანხმება. ბუნებრივია, რომ ჩვენს მიერ ნაშრომში წარმოდგენილი „აკადემიური დიპლომატიის“ ცნება ამ თვალსაზრისით იძენს სულ უფრო და უფრო დიდ და ღირებულ მნიშვნელობას.

საქმე მდგომარეობს იმაში, რომ ისეთი კონკრეტული საკითხების გატანა საერთაშორისო არენაზე, როგორცაა მაგალითად აფხაზეთის კრიზისის საკითხი შესაძლებელი ხდება ასეთი ტიპის ინსტიტუციების გამოყენებითაც. მაგრამ ამისთვის აუცილებელია, რომ საქართველოში არსებულ ორგანიზაციულ სტრუქტურებს ჰქონდეს შესაბამისი სახე.

საერთაშორისო არენაზე მას შეიძლება ჰყავდეს სერიოზული პარტნიორები. მაგალითად აშშ-ში არსებული არაკომერციული ორგანიზაცია **პოლიტიკური მენიერებების აკადემია (APS)**. იგი ხელს უწყობს⁹¹:

- პოლიტიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევას,
- სწავლებას
- პროფესიულ განვითარებას.
- აქვეყნებს ჟურნალებს,
- მასპინძლობს აკადემიურ კონფერენციებს
- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამებს
- ეწევა პოლიტიკური ინსტიტუტების, საჯარო პოლიტიკის პროცესების სამეცნიერო დაკვირვებას
- პოლიტიკური განათლების კულტურის განვითარებას
- პარტისიპაციული დემოკრატიის განვითარებას

მნიშვნელოვანია ასევე რომ აშშ-ში არსებობს ამერიკის პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების აკადემიაც. იგი დაარსდა 1889 წელს და წარმოადგენს ამ მიმართულების ორგანიზაციების ერთ-ერთ ყველაზე „რარიტეტულ“ ორგანიზაციას.⁹²

მაგრამ მასზე გამოცდილია - 1795 წლიდან საფრანგეთში მოღვაწე „მორალის და პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემია“. თვითონ სახელწოდებიდან ნათლად ჩანს თუ რა საინტერესოა ასეთი ტიპის ორგანიზაციასთან თანამშრომლობა განსაკუთრებით პოლიტიკური ეთიკის, კულტურის, აზროვნების და სხვა საკითხებზე. პოპულარულია მისი ყოველწლიური „დეკემბრის შეხვედრები“, რომლებზეც ხდება განვლილი წლის შეჯამება; სხვადასხვა პრიზით მეცნიერების დაჯილდოვება და მომავალი წლის პროგრამის წარდგენა.⁹³

⁹¹ <https://www.psqonline.org/BoardDirectors.cfm>

⁹² <https://www.aapss.org/about-us/history/>

⁹³ The Académie des Sciences Morales et Politiques, <https://academiesciencesmoraletespolitiques.fr/>

გამომდინარე ქართული მენტალობიდან და სახელდობრ-სტუმარმასპინძლობიდან, იქნება სავესებით ლოგიკური, რომ თბილისში დაარსდეს პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში მოღვაწე აკადემიების მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრი.

2.6 საერთაშორისო დონეზე არსებული პოლიტიკის მეცნიერების სფეროში მოღვაწე პროფესიული გაერთიანებები

საერთაშორისო და უცხო ქვეყნების პროფესიული გაერთიანებების მოკლე ჩამონათვალი:

- International Political Science Association - ipsa.com
- International Association for Political Science Students - <https://www.iapss.org/>
- American Political Science Association - www.apsanet.org
- The Political Studies Association - www.psa.ac.uk
- Midwest Political Science Association - www.mpsanet.org
- European Political Science Association - www.epsanet.org
- Australian Political Studies Association - auspsa.org.au
- WPSA Western Political Science Association - www.wpsanet.org
- European Consortium for Political Research - ecpr.eu
- The Canadian Political Science Association -- cpsa-acsp.ca
- ISA: The International Studies Association - www.isanet.org
- Asian Political and International Studies Association - www.apisa.org
- Southern Political Science Association - spsa.net
- Swiss Political Science Association - www.svpw-assp.ch
- Northeastern Political Science Association (NPSA) - www.northeasternpsa.com
- Georgia Political Science Association: GPSA gpsa-online.org (USA) (მნიშვნელოვანია, რომ მათი ბორდის წევრია საქართველოს წარმომადგენელი გაეროში, ცნობილი ქართველი დიპლომატი, ბატონი ვახა იმნაძე)
- Russian Political Science Association -- www.rapn.ru › index-e
- German Political Science Association (GPSA) - DVPWwww.dvpw.de ›
- Political Studies of the Polish Academy of Sciences <https://politic.edu.pl/about-us/>

პოლიტიკის მეცნიერებების მართვის საკითხში მნიშვნელოვანია იყოს აქტიურად გამოყენებული საერთაშორისო ორგანიზაციების შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით კი უპირველეს ყოვლისა - პროფესიული გაერთიანებები. ყოველივე ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციას გააჩნია თავისი საინფორმაციო და ანალიტიკური შესაძლებლობები. მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იყოს აქტიურად ჩართული ამ თვალსაზრისით გლობალურ საზოგადოებაში. ცალკეულ მეცნიერებს თუ ორგანიზაციებს გააჩნიათ ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება, მაგრამ, ამავე დროს პრობლემას წარმოადგენს მათ შორის არსებული კომუნიკაციები და კორპორატიულობის დაბალი დონე.

2.7 საქართველოში არსებული პოლიტიკური მეცნიერების სფეროში არსებული პროფესიული გაერთიანებები:

- საქართველოს პოლიტიკის მეცნიერებების ასოციაცია - თავჯდომარე - მალხაზ მაცაბერიძე
- საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაცია - ვეფხია გულედანი

გარდა ამ პროფესიული გაერთიანებებისა არსებობს ანალიტიკური ცენტრების სიმრავლე, რომლებმაც შესაძლებელია რომ მიიღონ აქტიური მონაწილეობა პოლიტიკის მეცნიერების განვითარებაში. მით უმეტეს რომ ყოველივე მათთაგანი წარმოადგენს ვიწრო და მნიშვნელოვან მიმართულებას ან სეგმენტს.

მაგალითად:

- პოლიტოლოგიის ინსტიტუტი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - მალხაზ მაცაბერიძე.
- პოლიტიკის საქართველოს ინსტიტუტი **Georgian Institute of Politics (GIP)** - Kornely Kakachia – Director; <http://gip.ge/>
- პოლიტიკის მეცნიერებების თბილისის სკოლა - არმაზ ახვლედიანი
- პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი - თამარ კვიციანი
- **Caucasus Institute for Peace, Democracy and Development-** Gia Nodia, <http://www.cipdd.org/>
- **Georgian Center for Strategy and Development (GCSd)** - Levan Dolidze - Chair of the Board; Giorgi Gogvadze – Director, Member of the Board. <http://gcsd.org.ge/>
- **Georgian Foundation for Strategic and International Studies (Rondeli Foundation)** Eka Metreveli – President; www.gfsis.org/
- **Georgia’s Reforms Associates (GRASS)** – Founders: Sergi Kapanadze, Elene Khoshtaria, Paata Gaprindashvili – Director. <https://grass.org.ge/>
- **The Levan Mikeladze Foundation** - Archil Gegeshidze executive director - <http://mikeladzefoundation.org/>
- **The Europe-Georgia Institute (EGI)** George Melashvili is the founder of the Europe-Georgia Institute (EGI) <https://egi.ge/en/egi-main>
- **Georgian Strategic Analysis Center (GSAC)** - Zura Agladze, Tornike Sharashenidze, Giorgi targamadze, <https://gsac.ge/>
- **International Centre for Geopolitical Studies** - Tengiz Pkhaladze, <http://www.icgs.ge/>
- დავით დარჩიაშვილი - რუსეთის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი, დირექტორი
- მამუკა არეშიძე - სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის“ ხელმძღვანელი
- ვახტანგ მასიაია - საქართველოს გეოსტრატეგიული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი, ხელმძღვანელი
- ბადრი ნაჭყებია - ტერორიზმის და პოლიტიკური ძალადობის ცენტრი
- საქართველოს პოლიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაციის თავჯდომარე - რამაზ საყვარელიძე
- ილია ვეკუას სახელობის პოლიტიკური კვლევების მათემატიკური ლაბორატორია - თემური ჩილაჩავა.

არსებობს პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში **ფრილანსერების** ინსტიტუტი. საქართველოში შეიძლება ამ მიმართულებით გამოვიყენოთ შემდეგი პიროვნებები:

1. ხათუნა ლაგაზიძე
2. გია ხუხაშვილი
3. ვაკა გორგილაძე
4. სოსო მანჯავიძე
5. ირაკლი გოგავა
6. ირაკლი ტაბლიაშვილი და ა.შ.

ძალიან საინტერესოა პოლიტიკური სატირის და იუმორის ჟანრი

სამწუხაროდ, იმდენად მაღალი დონეა სიძულვილის, რომ პოლიტიკური ანეკდოტების ჟანრი პრაქტიკულად არ არსებობს. ამავე დროს განვითარებული ტელესატირა და პოლიტიკური ანიმაციის ჟანრი.

ასევე მეტად საინტერესოა უცხოეთში მოღვაწე ქართველი პოლიტოლოგების შსადლებლობების ანალიზი. მაგალითად - ცნობილი დიპლომატი კახა იმნაძე ერთდროულად - გეორგიის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის წევრია და საქართველოს ელჩი გაეროში.

2.8 აკადემიური თანასაზოგადოების სარედაქციო პოლიტიკა და პოლიტიკის მეცნიერების საკითხი

1. სამეცნიერო ჟურნალი „ქართული პოლიტიკა“ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის სადოქტორო სკოლა. <http://www.georgianpolitics.com/koncepcia/>
2. სამეცნიერო ჟურნალი „პოლიტოლოგოსი“ - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

ისევე, როგორც მეცნიერების სხვა სფეროებში, პოლიტიკის მეცნიერებაშიც, სამეცნიერო გამოცემების პრობლემა სერიოზულად დგას. აქ გამოსავალი უნდა ვეძებოთ ამ ჟურნალების გამსხვილების პოლიტიკაში. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. ერთი მხრივ ეს შეიძლება მოგვეჩვენოს სისუსტეთ, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ მოხდება სტრატეგიული ინიციატივის წარმოდგენა, შესაძლებელია საქართველო და თბილისი ამ თვალსაზრისითაც მოექცეს შესაბამისი საერთაშორისო პროცესების ავანგარდში.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ამ მიმართულებით პროექტის ჩარჩოში შეიქმნა ამ პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული სამეცნიერო გამოცემების ფედერაციის დაარსები იდეა და ერთიანი პოლიტიკის შემუშავების საკითხი.

თავი III

3. „ერის ხერხემალი“ - კლასიფიკაციების ეროვნული ჩარჩო და მისი „როლი“ აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მოუგვარებლობაში

კლასიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს დოკუმენტი წარმოადგენს „ერის ხერხემალს“. განათლების და მეცნიერების სამინისტროს ძალუმს ისე წარმართოს თავისი პოლიტიკა, რომ ამ დოკუმენტში შეტანილმა ცვლილებებმა შექმნან ახალი თაობის პროფესიონალთა ისეთი ელიტა, რომელიც შეიტანს გადამწყვეტ როლს პოლიტიკური კრიზისების ეფექტიან მართვაში.

დოკუმენტს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისათვის. დოკუმენტი განსაზღვრავს თუ რა პროფილის სპეციალისტებს ვამზადებთ პირველ რიგში იმისთვის რომ ქვეყანა იყოს დაცული სხვადასხვა სახის კატაკლიზმებისაგან და კრიზისებისგან. მათ შორის ეს ეხება კრიზისების და სამშვიდობო პროცესების მომარაგებას შესაბამისი კომპეტენციის კადრებით.

3.1 კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს 2010 და 2019 წლის დოკუმენტების შედარებითი ანალიზი (პოლიტიკის მეცნიერებების ჭრილში)

პოლიტიკის მეცნიერების სისტემის ეფექტიანობის ზრდის მიზნით მოვახდინეთ კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი ფრაგმენტის ანალიზი და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ რეკომენდაციების პაკეტი, რომლის შესახებაც მივაწოდეთ ინფორმაცია საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის კლასიფიკაციების განვითარების სამსახურს, რის შედეგადაც შეიქმნა კლასტერული აკრედიტაციის - პოლიტიკის მეცნიერებების დარგობრივი კლასიფიკატორის შექმნის ინიციატივა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის დოკუმენტი წარმოადგენს უფრო პროგრესულ დოკუმენტს, ვიდრე 2010 წლის დოკუმენტი. მნიშვნელობა აქვს თვით იმ ფაქტს, რომ მიმდინარეობს დოკუმენტის პერმანენტული ტრანსფორმაცია და ამისთვის იქმნება დარგობრივი საბჭოების სახით მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რესურსი. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ბევრი კრიტიკული შენიშვნისა, ჩვენ ვაფიქსირებთ ხარისხის ზრდის მიმართულებით პოზიტიურ დინამიკას.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ითვალისწინებს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს. დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარი და

პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად.⁹⁴

რჩება დღის წესრიგში თვით დოკუმენტის სახელწოდების საკითხი. გამოკითხული მეცნიერები - ფილოლოგები თვლიან, რომ სიტყვა „ეროვნული“, უფრო მიეკუთვნება ტერმინ „ჩარჩოს“ ვიდრე - „კვალიფიკაციას“. ჩვენ ვამახვილებთ ამ ნიუანსზე ყურადღებას გამომდინარე იქედან, რომ ამ სტრატეგიული და უნიკალური მნიშვნელობის დოკუმენტის შინაარსი უნდა იყოს გასაგები არა მხოლოდ გამოცდილი განათლების ან მეცნიერების მართვის მენეჯერებისათვის ან აკადემიური პერსონალისთვის, არამედ პირველ რიგში აბიტურიენტებისთვის, სტუდენტებისთვის, მათი ოჯახებისთვის, დამსაქმებლებისათვის და დონორებისთვის. მაგრამ აქვე უნდა დავაფიქსიროთ, რომ ფილოლოგების აზრს არ ეთანხმებიან იურისტები. ისინი თვლიან, რომ სანამ დოკუმენტში არის წარმოდგენილი სიტყვათა ეს წყობა, უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ წყობით.

ჩვენ შევადარეთ რამოდენიმე ქვეყნის ანოლოგიურ დოკუმენტების სახელწოდებებს და დავრწმუნდით რომ ქართულ ვერსიაში სერიოზული ხარვეზია.

3.1.1 დოკუმენტის ეფექტიანობის შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი

რომ უკეთესად გავერკვეთ თუ რა ზეგავლენას შეიძლება ახდენდეს ეს დოკუმენტი პოლიტიკური კრიზისების მართვაზე და მათ მოუგვარებლობაზე, უნდა განვიხილოთ შესაბამისი ნორმატიული ბაზის ისეთი ფუნდამენტური დოკუმენტები, როგორცაა:

- 2010 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #120/ნ, 10/12/2010⁹⁵
- 2019 - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, ბრძანება №69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი⁹⁶.

კვლევის ინტერესს წარმოადგენს ამ დოკუმენტების სტრუქტურაში არსებული პოლიტიკური მეცნიერებების ფრაგმენტის თავსებადობა იმ რეალურ პრობლემებთან და მათ მოგვარებასთან, რომელიც საქართველოში არსებობს. ამიტომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ის თუ როგორ რეაგირებს დოკუმენტი „ბაზრის“ მოთხოვნილებებზე, არამედ იმაზეც თუ რამდენად შეესაბამება დოკუმენტი უშიშროების პოლიტიკის კონტექსტსაც. საბაზრო ურთიერთობის მთავარი სუბიექტი - კერძო საკუთრებაა. მარგამ გარდა კერძო საკუთრებისა, არსებობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების სხვადასხვა ფორმა და ყოველივე ეს ფორმა უნდა იყოს ისევე თანაბრად დაცული, როგორც ჩვენ ვცდილობთ დღეს დავიცვათ კერძო საკუთრების ინტერესები. ანუ, ჩვენ გთავაზობთ, რომ რედუქციონისტული და

⁹⁴ <https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho>

⁹⁵ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ #120/ნ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 10/12/2010, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?publication=0>

⁹⁶ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, ბრძანება №69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი⁹⁶, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4480034?publication=0>

იდეოლოგიზირებული (ე.წ. „ბაზარზე“ ორიენტირებული) მიდგომა იყოს ჩანაცვლებული - ჰოლისტიური, სამართლიანი და სინერგიული მიდგომით. არ შეიძლება რომ ერის აზროვნება, მეცნიერება და განათლების სისტემა დაექვემდებაროს ცალკეულ იდეოლოგიურ ნარატივებს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ტერმინი „ბაზარი“ უნდა გავიაზროთ უფრო ფართედ ვიდრე „კომერციული ბაზარი“.

საბჭოთა წარსულმა გვაჩვენა, რა ზარალი შეიძლება მიაყენოს ეკონომიკას კერძო საკუთრების იგნორირებამ და დისკრიმინაციამ. ამიტომ ნებისმიერი ტოტალიტარული ტიპის რედუქციონიზმი და ფავორიტიზმი - მიუღებელია.

აქედან გამომდინარე იკვეთება პოლიტიკის მეცნიერებების განსაკუთრებული როლი თვით განათლების პოლიტიკის შეფასების და ფორმირების კონტექსტში.

ამიტომ თუ დოკუმენტში არსებობს გარკვეული ხარვეზი, ეს არის დამსახურება არა მხოლოდ იმ პროფესიონალთა ჯგუფის, რომელიც დოკუმენტს ადგენდა, არამედ ყველა დარგის წარმომადგენლისა, რომელიც უნდა იზიარებდეს პასუხისგებლობას ასეთი მნიშვნელობის დოკუმენტის შექმნაზე.

პირველ რიგში ჩვენ გავანალიზებთ თვით დოკუმენტში წარმოდგენილი „კლასიფიკატორის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები“.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანი⁹⁷

- ა) ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციათა ურთიერთკავშირის აღწერა;
- ბ) სტუდენტების, დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალისათვის არსებული კვალიფიკაციების გაგების გაადვილება;
- გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში;
- დ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება;
- ე) სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბების საფუძვლის შექმნა;

⁹⁷ ცხრილი #8 უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანი
<http://mes.gov.ge/uploads/News/kvalifikaciebis%20charchoebi.pdf>

ვ) საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესაძარობის უზრუნველყოფა, ასევე კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთალიარების პროცესის გაადვილება;

ზ) სტუდენტების მობილობის წახალისება და ხელშეწყობა;

თ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვლში არანაირად არაა წარმოდგენილი შეფასების ის კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ შევძლებდით - საზოგადოებაში არსებულ პრობლემებთან და მათ მოგვარებასთან მიმართებაში არსებული კლასიფიკატორის შესაძლებლობების შეფასებას.

თუ ჩვენ ვივარაუდებთ იმას, რომ განათლების სისტემა უნდა ქმნიდეს სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებაზე მზრუნველ კვალიფიცირებულ სპეციალისტებს, მაშინ ჩვენ უნდა გავერკვეთ თუ რა ტიპის პრობლემები არსებობს და რა პროფილის სპეციალისტები უნდა მოვამზადოთ. ანუ - საუბარია ბაზრის კვლევაზე - მარკეტინგზე.

ამ თვალსაზრისით ჩვენ უნდა დავვერდნოთ ასევე სახელმწიფოში არსებულ ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ეროვნულ პრიორიტეტებს.

განვითრებული ეკონომიკური სისტემა შედგება სამი სექტორისაგან და შესაბამისი ინსტიტუტებისაგან - ესაა სახელმწიფო; ბიზნეს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ამ სამ სექტორში უწევთ მოღვაწეობა მომავალ პროფესიონალებს და ეს სამი სექტორი არც ერთ ცალკეულ სექტორამდე არ უნდა დაიყვანებოდეს. 2019 წლის დოკუმენტში უდაოდ იკვეთება ამ თვალსაზრისით პოზიტიური დინამიკა. ამიტომ ყოველ სექტორთან მიმართებაში დოკუმენტს უნდა ჰქონდეს განვითრებული შესაბამისი „მგრძნობიარობა“.

საქართველოში არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი შეფასებითი ხასიათის დოკუმენტები, როგორცაა:

- „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010–2013 წ.წ. დოკუმენტი“ - საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 707 2010 წლის 2 სექტემბერი ქ. თბილისი⁹⁸
- „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი⁹⁹. „კანონის მე-20 მუხლის პირველმა პუნქტმა განსაზღვრა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვასთან დაკავშირებული საკითხები“. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „კრიზისული სიტუაცია არსებობს მაშინ, როდესაც ვითარება საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს და საჭირო ხდება პრემიერ-მინისტრის მიერ პოლიტიკური

⁹⁸ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 707 2010 წლის 2 სექტემბერი ქ. თბილისი <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/TAD-GEO.pdf>

⁹⁹ საქართველოს პარლამენტი 04.03.2015; ვებგვერდი, 23/03/2015; 130000000.05.001.017637 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=10>

გადაწყვეტილებების მიღება“. წინამდებარე „კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ შემუშავების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა საქართველოს კანონს „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“.

„აღნიშნული კანონის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი ახორციელებს ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების კოორდინაციას“.

ჩვენ ვერსად ვერ დავაფიქსირეთ თუ როგორ აისახება ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები განათლების და მეცნიერების ერთიან სისტემაზე. ჩვენ ვაფიქსირებთ მრავალსახოვანი პოლიტიკური კრიზისების არსებობის პრობლემატიკას და შესაბამისი კატეგორიის და კვალიფიკაციის პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტების არა საკმარის არსებობას.

ტერმინოლოგიური გაურკვეველობა „უშიშროების“ და „უსაფრთხოების“ ტერმინებთან მიმართებაში აისახა იმაშიც, რომ შეიქმნა არეული და გაურკვეველი პოლიტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს უშიშროების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სეგმენტებს.

ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ - „აღნიშნული პროცესის კოორდინაცია ხორციელდება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – კრიზისული სიტუაციების მართვის ეროვნული ცენტრის მეშვეობით“.¹⁰⁰

ჩვენ გავეცანით ამ ცენტრის ფუნქციონირებას და დავრწმუნდით, რომ იგი კონცენტრირებულია „ტექნოგენურ“ კატასტროფებზე და გამომდინარე აქედან ვერანაირად ვერ ფარავს პოლიტიკური (და სხვა ტიპის სოციალური) კრიზისების პრობლემატიკას.

ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტში კი უსაფრთხოების ტერმინის ქვეშ იგულისხმება ის, რასაც ზოგადად ფარავს ტერმინი - „უშიშროება“. მათ შორის ეს ეხება პოლიტიკურ პროცესებს.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები¹⁰¹

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა
 - 1.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია
 - 1.2. რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა
2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება.
3. ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება
4. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება

¹⁰⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4280083?publication=0>

¹⁰¹ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx>

5. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრება და ევროკავშირში ინტეგრაცია
 - 5.1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრება
 - 5.2. ევროკავშირში ინტეგრაცია
6. თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში
7. საგარეო კავშირების განმტკიცება
 - 7.1. ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა
 - 7.2. უკრაინასთან თანამშრომლობა
 - 7.3. თურქეთთან თანამშრომლობა
 - 7.4. მსოფლიოს სხვა რეგიონების ქვეყნებთან თანამშრომლობა
 - 7.5. მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორუმები
 - 7.5.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
 - 7.5.2. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)
 - 7.5.3. ევროპის საბჭო
8. საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა
9. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა
10. ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა
11. განათლების პოლიტიკა
12. სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა
13. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა
14. ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა
15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
16. დემოგრაფიული პოლიტიკა
17. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა
18. დიასპორებთან ურთიერთობის პოლიტიკა

ამ (ცუდათ სტრუქტურირებული) დოკუმენტის მე-11 პუნქტში, რომელიც „განათლების პოლიტიკას“ განმარტავს, წარმოდგენილია ზოგადი ფრაზები, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე თუ რამდენად და როგორ უნდა პასუხობდეს იგი არსებულ რისკებს, გამოწვევებს და საფრთხეებს. „მეცნიერება“ საერთოდ არანაირად არაა მოხსენიებული რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ დოკუმენტის შემოქმედთა დამოკიდებულებას მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების მიმართ.

ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს იმ სტრუქტურების მხრიდან, რომლებიც ამ საკითხებთან მიმართებაში მუშაობენ, არანაირი დაკვეთა მეცნიერების და განათლების მართვის ბლოკისკენ არაა წარმოდგენილი. ასეთი პოლიტიკა თავის თავად წარმოადგენს უპასუხისგებლობის მაგალითს და რეალურ საფრთხეს. გამომდინარე აქედან ნათლად ჩანს ჩვენს მიერ წარმოდგენილი პრობლემის სისტემური ხასიათი და სახელმწიფო უშიშროების პოლიტიკის სრული კრაზი.

ასევე კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ავლნიშნოთ მეცნიერების და განათლების განსაკუთრებული როლი და პასუხისგებლობა თავდაცვის და უშიშროების პოლიტიკის ბლოკის მუშაობის ევალუაციასთან და მათ საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, ქვემოთ წარმოდგენილ ანალიზში უფრო ნათლად შეიძლება დავინახოთ, რომ არსებული „2019 წლის დოკუმენტი“ წარმოდგენილ „საშიშროებებს“ ვერანაირად ვერ ფარავს, რაც ნიშნავს იმას, რომ განათლების პოლიტიკა არ შეესაბამება ეროვნული უშიშროების პოლიტიკის სფეროში არსებულ რისკებს, გამოწვევებს და საფრთხეებს და ასეთი სახით თვითონ წარმოადგენს პრობლემას და საშიშროებას (!). ასეთი ტიპის და დონის უშიშროების სისტემა არის შედეგი შესაბამისი დონის განათლების და მეცნიერების სისტემის.

დოკუმენტი - „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, თვითონ წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას და მოითხოვს ტრანსფორმაციას.

ერთის მხრივ ამოცანაა - თავდაცვის და უშიშროების სისტემის მონიტორინგის; ევალუაციის და საკადრო უზრუნველყოფისთვის პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა.

მეორეს მხრივ კი ამ ამოცანის გადაწყვეტისთვის - მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინოვაციების და განათლების სისტემის ადეკვატური მობილიზება.

3.1.2 2010 და 2019 წლებში პოლიტიკის მეცნიერებების სტრუქტურის შედარებითი ანალიზი

2010 წლის დოკუმენტში პოლიტიკის მეცნიერებები (პოლიტოლოგია) წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი სპეციალობა/სპეციალიზაციით. დოკუმენტში ტერმინები - „პოლიტოლოგია“ და „პოლიტიკის მეცნიერებები“ გათანაბრებულია ერთმანეთთან. როგორც კვლევამ დაგვიდასტურა, სხვადასხვა ქვეყანაში ამ საკითხის მიმართ არის განსხვავებული დამოკიდებულება და ამ მიმართულებით კვლევები გრძელდება.

3.1.2.1

0702 პოლიტიკის მეცნიერებები (პოლიტოლოგია) (2010 წლის დოკუმენტის მიხედვით):

- 070201 შედარებითი პოლიტიკა
- 070202 ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები
- 070203 კონფლიქტოლოგია
- 070204 უსაფრთხოების კვლევები

ოთხივე სპეციალობის სახელწოდება სამართლიან ეჭვს იწვევდა და მოითხოვდა სერიოზულ რევიზიას.

2019 წელს ჩატარებული ცვლილებების შედეგად, მივიღეთ შემდეგი სურათი:

3.1.2.2 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები Political Sciences and Civics

როგორც განიმარტება დოკუმენტში, იგი „შეისწავლის მმართველობასა და პოლიტიკურ პრინციპებს ან პრაქტიკას. მოიცავს მოქალაქეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესწავლასაც“.

როგორც ვხედავთ - „პოლიტიკურ მეცნიერებებს“ (თანაბარი სტატუსით) ემატება „მოქალაქეობრიობის საფუძვლები“ და სტრუქტურა გამოყოფილია ასე:

- 0312.1.1 პოლიტიკის მეცნიერება Political Science
- 0312.1.2 საერთაშორისო ურთიერთობები International Relations.
- 0312.2.1 დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა Diplomacy and International Politics
- 0312.2.2 უსაფრთხოების კვლევები Security Studies
- 0312.2.3 ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები Nationalism and Ethnicity Studies
- 0312.2.4 ევროპული ინტეგრაცია European Integration.

განათლების მენეჯერისთვის, შესაბამის პროგრამების ხელმძღვანელებისათვის ან მითუმეტეს, მომავალი (ბაკალავრებისათვის, მაგისტრებისთვის თუ დოქტორებისთვის), რომლებიც ღებულობენ გადაწყვეტილებას თუ რა პროფესია და რა სპეცილობა აირჩიონ ან საით გააგრძელონ თავისი პროფესიული განვითარება, ასეთი ტიპის დოკუმენტები უნდა წარმოადგენდნენ ნათელ სურათს და ხელს უწყობდნენ პროფესიის არჩევანთან ან განვითარებასთან დაკავშირებული გაურკვევლობების მოხსნას.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ ორი დოკუმენტის შესაბამისი ფრაგმენტების უფრო დეტალურ და კრიტიკულ ანალიზს.

3.1.2.3 0312 „პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები“

როგორც ხედავთ, 2019 წელს სახელწოდებაში დაემატა „მოქალაქეობრიობის საფუძვლები“, მაგრამ ეს არანაირად არ არის ასახული ქვემიმართულებების სტრუქტურაში. თავის თავად „მოქალაქეობის საფუძვლები“ შეიძლება წარმოადგენდეს პოლიტიკური კვლევების და განათლების ინტერესს, მაგრამ არ არის მიზანშეწონილი, რომ ეს ქვესისტემა ერთ დონეზე დავაყენოთ „პოლიტიკის მეცნიერებებთან“. ეჭვს იწვევს საერთოდ თარგმნის სისწორე. „civics“ ითარგმნება როგორც „მოქალაქეობრიობა“ და განიმარტება როგორც პიროვნების გააზრებული და ნებაყოფლობითი ზნეობრივ-პოლიტიკური იდენტობა. ამიტომ პოლიტიკურ მეცნიერებასთან ერთად ასეთი „კუპაჟი“ ჩვენ გვაბრუნებს მე-XVIII-XIX საუკუნის საფრანგეთში, სადაც პოლიტიკა და მორალი განიხილებოდნენ როგორც ერთი რანგის ურთიერთშემავსებელი ცნებები. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, ასეთი სახელწოდება იწვევს გაურკვევლობას და სამართლიან კრიტიკას.

კვლევამ დაადასტურა, რომ ცვლილებების ავტორებმა გამოიყენეს UNESCO მიერ შექმნილი საერთაშორისო დოკუმენტი (სადაც ეს ხარვეზი ასევე ფიგურირებს). ის რომ ეს ტერმინი ასეა გამოყენებული საერთაშორისო და ავტორიტეტულ ორგანიზაციაში არ ნიშნავს იმას, რომ უნდა

იყოს პირდაპირ გადმოტანილი ქართულ ეროვნულ დოკუმენტში. მით უმეტეს, ნათლად ჩანს, რომ ცვლილებების ავტორებმა ისარგებლეს სახელწოდებით, მაგრამ ჩამონათვალში „მოქალაქეობის საფუძვლები“ (თუ „მოქალაქეობრიობა“) არანაირად არაა წარმოდგენილი.

ყოველივე ქვეყანას გააჩნია თავისი სპეციფიკური პრობლემები და გარემო. განათლების სისტემა ამაზე უნდა რეაგირებდეს და ამისთვის არსებობს სპეციალური პროცედურები და ინსტიტუციები. საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სხვა ქვეყანაში შექმნილი დოკუმენტი შესაძლებელია იყოს მაგალითის და ანალიზის საფუძველი და ეს აუცილებელიც არის, მაგრამ სინთეზი უნდა ემყარებოდეს ეროვნულ, სახელმწიფოებრივ ინტერესს პირველ რიგში და ამის შემდეგ უწევდეს ანგარიშს უცხო ქვეყნების თუ საერთაშორისო საზოგადოების გამოცდილებას და მათ სურვილებს, სტანდარტებს თუ მოთხოვნებს.

ქვემოთ ნაჩვენებია UNESCO-ს დოკუმენტის ძირითადი შინაარსის პროგრამები და კვალიფიკაციები¹⁰²:

პოლიტიკური მეცნიერებები და მოქალაქეობრიობა

- სამოქალაქო საზოგადოება
- ადამიანის უფლებები
- საერთაშორისო ურთიერთობები
- მშვიდობისა და კონფლიქტების შესწავლა
- პოლიტიკური ისტორია
- პოლიტოლოგია
- საჯარო პოლიტიკის კვლევები

ქართულ დოკუმენტში „სამოქალაქო საზოგადოების“, „ადამიანის უფლებების“ შესახებ არაფერია წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, პოზიტივს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეს საკითხი დოკუმენტის სათაურში მაინც რაღაც სახით დაფიქსირდა რაც იძლევა კონსტრუქციული კრიტიკის და მომავალში ამ მიმართულების ღირსეულად წარმოდგენის და განვითარების შესაძლებლობას. საქართველოს დოკუმენტის დიზაინი და UNESCO-ს დოკუმენტის დიზაინი ფუნდამენტურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ჩვენ მივესალმებით, რომ გარდა „მოქალაქეობრიობის საფუძვლებისა“, მომავალ დოკუმენტში იყოს უკეთ განსაზღვრული „სამოქალაქო საზოგადოების“ როლიც.

აშშ პოლიტიკური აზროვნების თანახმად, საზოგადოება 3-სექტორიანი ეკონომიკური მოდელით¹⁰³ განისაზღვრება და მოქალაქეების დასაქმება გადანაწილებულია სექტორების მიხედვით შემდეგი პროცენტულობით:

¹⁰² INTERNATIONAL STANDARD CLASSIFICATION OF EDUCATION Fields of education and training 2013 (ISCED-F 2013), p. 17 Detailed field descriptions, <https://eqe.ge//res/docs/isced-f-detailed-field-descriptions-en.pdf>

¹⁰³ Русецкий А.. «Роль неприбыльных организаций в развитии экономики» 1998. CAF (Материалы для треннгов) Библиотека Хельсинкской Гражданской Ассамблеи

- სახელმწიფო - 9%
- ბიზნესი - 75%
- სამოქალაქო საზოგადოება (ნონ-პროფიტი) -16%

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის სამოქალაქო საზოგადოების კვლევების ცენტრის მონაცემებით, 2019 წლის მოხსენების თანახმად, აშშ-ს არაკომერციული ორგანიზაციებში მუშობს დასაქმებულთა 10%. ხოლო 2016 წლის მონაცემებით დასაქმებულთა რაოდენობა ამ სექტორში 12.3 მილიონ ადამიანს შეადგენდა.¹⁰⁴

ეს მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მომავალმა სპეციალისტებმა განსაზღვრონ თუ რომელ სექტორში აქვთ სურვილი რომ დასაქმდნენ. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი სტატისტიკა დღეისთვის არ არსებობს, ამავდროს სამოქალაქო საზოგადოების სექტორი 2018 წლის 10 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანახმად მოიცავს 24 042 ორგანიზაციას, რაც პატარა ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი რესურსია.¹⁰⁵

საქართველოში ამ სექტორსაც სჭირდება მართვა და შესაბამისი კატეგორიის სპეციალისტების მომზადება. აქ აღსანიშნავია, რომ სექტორს გააჩნია საკადრო თვითუზრუნველყოფის შესაძლებლობები არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების სახით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ მესამე სექტორს წარმოადგენენ არა მხოლოდ არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციები, არამედ - პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, რელიგიური ორგანიზაციები. ანუ - ყველა, ვინც არაა დასაქმებული სახელმწიფო ბიუჯეტის და კერძო ბიზნესის სივრცეში - წარმოადგენს ეკონომიკის მესამე სექტორს.

ეს ფენომენი სამწუხაროდ არც 2019 წლის დოკუმენტში არანაირად არ აისახება. ეს სექტორი სერიოზულ ზეგავლენას ახდენს როგორც ეკონომიკაზე, ასევე პოლიტიკაზე.

სამწუხაროდ საქართველოში განსხვავებით აშშ-დან ამ სექტორში არაა წარმოდგენილი არც საგანმანათლებლო უმაღლესი სასწავლებლები. ეს არის ფუნდამენტური პრობლემა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს კომერციულ ორგანიზაციებს და რაც მთავარია არ ხდება „არაპოპულარული“ მაგრამ საჭირო პროფილებით სპეციალისტების მომზადება. ამ პრობლემის წამოწევის მცდელობა ჰქონდა ქართველ მეცნიერს, ეკონომიკის დოქტორს, თსუ-ს პროფესორს ინგა ბალარჯიშვილს. მის მიერ გამოქვეყნდა სტატია და ასევე მომზადებულია შესაბამისი სილაბუსი, მაგრამ მისი დანერგვა თსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე ვერ/არ მოხერხდა.¹⁰⁶

¹⁰⁴ The 2019 Nonprofit Employment Report (2019), <http://ccss.jhu.edu/publications-findings/?did=507>

¹⁰⁵ 2018 წლის 10 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ბაზა, https://csogeorgia.org/storage/app/media/organisation_list.pdf

¹⁰⁶ ბალარჯიშვილი.ი., „სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური ასპექტები“. სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, სექტემბერი, 2011.

ასევე არაა სასამოვნო. რომ მშვიდობის კვლევებიც 2019 დოკუმენტში არ შევიდა არანაირი სახით, ხოლო კონფლიქტის კვლევები გადაიტანეს „სოციოლოგია და კულტურის კვლევებში“.

3.1.2.4 პოლიტიკური ფილოსოფია

მეცნიერებაში პარალელურად თანაარსებობს პოლიტიკური თეორიის ორი აკადემიური მიმართულება: პოლიტიკური ფილოსოფია (ნორმატიული პოლიტიკური თეორია) და პოლიტიკის მეცნიერებები (პოლიტოლოგია). მიუხედავად იმისა რომ ორივე ამ მეცნიერებას გააჩნია კვლევების დამოუკიდებელი ველი, მათ შორის არის გადაკვეთის დიდი სივრცე. პოლიტიკური ფილოსოფიის¹⁰⁷ ხარისხი განსაზღვრავს ზოგადად არსებული პოლიტიკური აზროვნების მდგომარეობას.

როგორც 2010 წლის დოკუმენტიდან¹⁰⁸ ნათლად ჩანს პოლიტიკური ფილოსოფიის სპეციალიზაციები არაა წარმოდგენილი, რაც ნიშნავს იმას რომ საქართველოში 2019 წლამდე მზადდებოდნენ ზოგადად პოლიტიკური ფილოსოფიის სპეციალისტები - 100602 პოლიტიკის ფილოსოფია (ფილოსოფიის მიმართულება). ხოლო 2019 წლის განახლებულ დოკუმენტში ეს მიმართულება საერთოდ ამოღებულია დოკუმენტიდან. შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ არაა დანახული მისი ფუნდამენტური როლი და მისია.

პოლიტიკური ფილოსოფიის სპეციალისტები საქართველოს სჭირდება და ჩვენი აზრით, უნდა არსებობდეს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა. ეს არის პოლიტიკის მეცნიერებების და ფილოსოფოსების ინტერესთა გადაკვეთის სფერო. ეს სჭირდება სახელმწიფოს მაგრამ არ წარმოადგენს კომერციულ ინტერესს, ამიტომაც სავარაუდოთ ეს მიმართულება დოკუმენტიდან გაქრა.

3.1.2.5 პოლიტიკური ფსიქოლოგია

¹⁰⁷ პ.ფ. იკვლევს კონკრეტული საკამათო პოლიტიკური მოვლენების მნიშვნელობას, მაგ., ადამიანური „მე“-ს ბუნებას ან მორალური პასუხისმგებლობის გაგებას. უდავოა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი პ.ფ-სა და მორალის ფილოსოფიას შორის, რამეთუ ორივე მათგანი ითვალისწინებს ფასეულობების შესახებ ჩვენი შეხედულებების ბუნების კვლევას. შესაბამისად, როდესაც გნოსეოლოგიური მოსაზრების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ ფილოსოფიას არ ეხება ეს ნორმატიული საკითხები, საფუძველს მოკლებულად გამოცხადდა თვით პ.ფ-ც. თანამედროვე პ.ფ. საკმაოდ წარმატებულად ვითარდება, უკუგდებულ იქნა გნოსეოლოგიური დასკვნა, რომელიც ერთ დროს მისთვის ფატალური აღმოჩნდა. პ.ფ. ცდილობს ერთდეროულად გაიაზროს ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, გააანალიზოს და გვიჩვენოს, რა უნდა გაკეთდეს. თანამედროვე პ.ფ-ს თავისი კონტექსტი აქვს, გასული დროის ფილოსოფოსები კი მარადიული ჭეშმარიტებების ახსნას ცდილობდნენ. დღეს ადამიანთა ცხოვრების პირობების პოლიტიკური შედეგების კვლევისას ორივე ზემოთ აღწერილი მიდგომა სათანადოდ ავსებს ერთმანეთს. <http://dictionary.css.ge/content/political-philosophy>

¹⁰⁸ ეროვნული საკვალთმცოდნეო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ #120/ნ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 10/12/2010, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?publication=0>

ეს სპეციალობა 2010 წლის დოკუმენტში ცალკეა წარმოდგენილი - 070706 პოლიტიკური ფსიქოლოგია (ფსიქოლოგიის მიმართულება).¹⁰⁹ ხოლო 2019 წლის დოკუმენტში ის საერთოდ გაქრა. პოლიტიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტები სჭირდება საქართველოს განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქვეყანა იმყოფება საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის პირობებში. ეს მიმართულება წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერების და ფსიქოლოგიის გადამკვეთ სივრცეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ის აკავშირებს ერთმანეთთან პოლიტიკურ ფილოსოფიას პოლიტიკური მეცნიერებების კვლევების სხვადასხვა მიმართულებებთან. პოლიტიკური ფილოსოფიის და პოლიტიკური ფსიქოლოგიის ამოგდებას სასწავლო პროგრამებიდან გამოიწვია რიგ ექსპერტებში დამსახურებული პროტესტი. მაგალითად, ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი - რამაზ საყვარელიძე ეთანხმება იმ აზრს რომ ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად აუცილებელია **პოლიტიკური ფსიქოლოგიის ეროვნული საზოგადოების** შექმნა. მეტად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკური ფსიქოლოგიის მიმართ მსოფლიოში ინტერესი იზრდება და ამიტომ ხელი უნდა შეეწყოს მის განვითარებას საქართველოშიც.

არის მნიშვნელოვანი, რომ ეს მიმართულება აღმოჩნდა დაუცველი, მათ შორის იმ პროფესიონალებისაგან, რომლებსაც ამ მიმართულებით ჰქონდათ შექმნილი სილაბუსები, გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები რის საფუძველზეც ისინი კითხულობდნენ ლექციებს. მათთან საუბრის შედეგად დაგვრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ არ აქვთ არავითარი ინტერესი რომ ეს მიმართულება აღდგეს. ასეთი შემთხვევები სხვა საგნებთან მიმართებაშიც ფიქსირდება. ტექნოლოგია არის ასეთი. ფინანსდება მსხვილი გრანტი, ამ გრანტის ჩარჩოში „იქმნება“ შესაბამისი პროდუქტი, და გრანტის ვადის ამოწურვის შემდეგ ხდება მისი სწრაფი და მშვიდი გარდაცვალება. ამავე დროს ქვეყანა რჩება სპეცილისტების გარეშე. ეს არის არატიპიური დივერსია.

ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაციაში იქმნება საინფორმაციო ჯარები და სამხედრო კონტინგენტებს აძლიერებენ **სამეცნიერო ასეულებით** (როტებით). ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შესაბამისი ძალოვანი სტრუქტურები ამას ვერ აცნობიერებენ. ასეთი თავდაცვის და უშიშროების სისტემა წარმოადგენს ქვეყნისთვის ორმაგ საშიშროებას.

3.1.2.6 საერთაშორისო ურთიერთობები

მკითხველისთვის გაუკრვეველია რითი განსხვავდება შემდეგი ორი მიმართულება:

- 0312.1.2 საერთაშორისო ურთიერთობები International Relations.
- 0312.2.1 დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა Diplomacy and International Politics

¹⁰⁹იხილეთ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტი, https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/charcho.pdf

საერთაშორისო ურთიერთობები არსებობს ნებისმიერ სფეროში და აქ ნათლად უნდა იყოს გამოყოფილი თუ რა სეგმენტზეა საუბარი - ეს შეეხება მხოლოდ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს (ტრადიციული მიდგომა) თუ წარმოადგენს დივერსიფიცირებულ მოდელს და გულისხმობს სხვა ტიპის სოციალური ინსტიტუტების საერთაშორისო ურთიერთობებსაც (ინოვაციური მიდგომა)? საერთაშორისო ურთიერთობები ასევე შესაძლებელია იყოს პოლიტიკური ხასიათის, მაგრამ ამავე დროს შეიძლება იყოს ეკონომიკური, სამოქალაქო, კრიმინალური და ა.შ.

ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ჟურნალ „პოლიტოლოგოსში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობის სპეცილისტების მომზადების პრობლემატიკა საქართველოში.¹¹⁰

გარდა ამისა, შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა სილაბუსი - „მეტაპოლიტოლოგია - დიპლომატიის სპეციალობები“, რომელიც დაინერგა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში. სილაბუსი განკუთვნილია მე-5 სემესტრის სტუდენტებზე. მზადდება გამოსაქვეყნებლად შესაბამისი მონოგრაფია „მეტადიპლომატიის პროფესიათა სამყარო“.

3.1.2.7 საშინაო და საგარეო პოლიტიკის სპეციფიკა საქართველოსთვის

პოლიტიკური მეცნიერება უნდა იკვლევდეს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას, ასევე მათ შორის არსებულ დამოკიდებულებებს. ამავე დროს, არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება ისეთ სპეციფიკურ მოვლენას, როგორცაა - აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე არსებული დე-ფაქტო სახელმწიფო წარმონაქმნები.

არსებული კვლევის ჩარჩოში ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მაგალითად ესტონეთში - ტარტუს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „დე-ფაქტო სახელმწიფოებების კვლევების ცენტრი“¹¹¹. ეს არის პრობლემა სეცესიონიზმის, დეზინტეგრაციის და მოითხოვს ისეთივე კვლევებს, როგორც ინტეგრაციული პროცესები - უნიონიზმი.

სადისერტაციო კვლევის ჩარჩოში შეიქმნა ახალი მეტადიპლომატიის კონცეპცია, რომელმაც ჩაანაცვლა ადრე ჩვენს მიერ წარმოდგენილი პოლიდიპლომატიის კონცეპცია. კვლევამ დაამტკიცა, რომ დიპლომატები ღებულობენ მონაწილეობას არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის წარმოებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლების ჩრთულობა შერეული კონფლიქტების მოგავრების პროცესშიც სადაც საუბარია კვაზი-სახელმწიფოებებზე, დე-ფაქტო მთავრობებზე, აღიარებულ, ნახევრად აღიარებულ, არ აღიარებულ სახელმწიფო წარმონაქმნებზე, საპროტესტო პოლიტიკურ

¹¹⁰ რუსეკვი ა., „პოლიდიპლომატიის კონცეპცია და საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის ინოვაციური საგანმანათლებლო საფუძვლები“, „პოლიტოლოგოსი“ N1 – 2019. გვ 151

¹¹¹ De Facto States Research Unit, <https://defactostates.ut.ee/home-0>

ჯგუფებზე და მეამბოხეებზე. განათლების პოლიტიკა უნდა ადეკვატურად რეაგირებდეს იმ რეალობებზე, რომლებშიც იმყოფება საქართველო. ტერმინი მეტადიპლომატია უკეთესად გამოხატავს ამ ცნების მრავალფეროვნების შინაარსს და წარმოდგენს დიპლომატიასთან მიმართებაში - მეტამეცნიერების მოდელს.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ „საშინაო პოლიტიკის“ სპეციალიზაციები იყოს უფრო ნათლად წარმოდგენილი, რაც არის ასევე მომავალი „დარგობრივი კლასიფიკატორის“ ამოცანა.

3.1.2.8 პოლიტიკური კონფლიქტოლოგია

2010 წლის დოკუმენტში „კონფლიქტოლოგია“ (070203) შეიძლება (მხოლოდ გარკვეულ წილად) იყოს განხილული როგორც პოლიტიკური თეორიის ნაწილი. მაგრამ, მისი სრული დაქვემდებარება, ისე, როგორც ეს იყო წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ეროვნულ ჩარჩოში - დაუშვებელია.

სამწეხაროდ, 2019 წლის დოკუმენტში „კონფლიქტოლოგია“ საერთოდ ამოიღეს პოლიტიკური მეცნიერებებიდან (რაც არის სერიოზული შეცდომა) და გადაიტანეს „სოციოლოგია და კულტურის კვლევებში“ (ახალი ნომერი - 0314.2.2 „კონფლიქტოლოგია“). როგორც ჩანს აქ მოხდა აღრევა ორი ტერმინის - „სოციალური მეცნიერებები“ და „სოციოლოგია“. აქ შეიძლება იყოს წარმოდგენილი ცალკე სპეციალიზაცია - „კონფლიქტის სოციოლოგია“. რაც შეეხება ზოგადად „სოციალურ კონფლიქტებს“, შესაძლებელია მათი ქვეკატეგორიებს გადაწილება შესაბამისი პროფილების მიხედვით.

მაგალითად იქნებოდა უპრიანი რომ გვესაუბრა კონფლიქტოლოგიის და პოლიტიკური მეცნიერების გადამკვეთ ქვესისტემაზე - **პოლიტიკურ კონფლიქტოლოგიაზე**. ანუ **პოლიტიკური კონფლიქტების კვლევებზე**. იმედია არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ საქართველოში ყველა პოლიტიკური კონფლიქტი მოგვარებულია და ჩვენ **პოლიტიკური კონფლიქტების მართვის სპეციალისტები** არ გვჭირდება. ზაგადად პოლიტიკური კონფლიქტები განეკუთვნებიან სოციალურ კონფლიქტებს. ამიტომ სოციალური კონფლიქტების სხვა მიმართლების სპეციალისტების მომზადება წარმოადგენს არანაკლებად მნიშვნელოვან ამოცანას. იგივე შეეხება ბუნებაში არსებულ სხვა ტიპის კონფლიქტებს რაც უნდა იყოს წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამის ქვესისტემებში.

ანუ ამ თვლასაზრისით ამოცანა უნდა იყოს უკეთ გამოკვეთილი რაც ნიშნავს იმას რომ ჩვენ უნდა ვამზადებდეთ: **პოლიტიკური კონფლიქტების სპეციალისტებს**. ამავე დროს სასურველია რომ იყოს წარმოდგენილი სპეციალიზაციების სპექტრიც - მაგალითად: საერთაშორისო პოლიტიკური კონფლიქტების სპეციალიზაცია; შიდა კონფლიქტების სპეციალიზაცია; შერეული კონფლიქტების სპეციალიზაცია და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ იქ სადაც იკვლევენ კონფლიქტებს, მშვიდობასაც იკვლევენ. ამიტომ ამ მიმართულებითაც აუცილებელია სპეციალისტების მომზადება. სამშვიდობო პროცესები წარმოადგენენ საკმაოდ რთულ

სისტემას, რომელსაც სჭირდება პროფესიული კადრებით უზრუნველყოფა და არა ისე, როგორც ეს ხდება ჩვენს რეალობაში. პარადოქსს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სპეციალიზაცია პრაქტიკაში მოქმედებს, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, ამის მაგალითია - „იურიდიული მედიაცია“, ამავე დროს არ ვითარდება მედიაციის სხვა მიმართულებები, მათ შორის - **პოლიტიკური მედიაცია**. 2020-2021 წლის მოვლენებმა არა მხოლოდ დაამტკიცეს ამ მიმართულების არსებობის აუცილებლობა საქართველოში, არამედ დაგვანახეს, რომ პოლიტიკურ მედიაციას ქვეყანაში ეწევიან გარე ძალები, რაც არაა მისაღები არც ზნეობრივ და არც პოლიტიკურ ჭრილში. ასეთი ტიპის მოქმედებები აძლიერებს საქართველოს, როგორც „არამდგრადი დემოკრატიული ქვეყნის“ იმიჯს.

3.1.2.9 „ნაციონალიზმის და ეთნიკურობის“ სპეციალობა

სპეციალობა (070202 – 2010 ან 0312.2.3 - 2019) „ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები“. თვით სახელწოდება არარის გასაგები. არსებობს ნაციონალიზმის სხვადასხვა სახეობა - ეთნიკური, კონფესიური, ეკონომიკური, რეგიონული და ა.შ. მისი დაყვანა მხოლოდ ერთთან - „ეთნიკურობასთან“, წარმოადგენს ტიპიურ რედუქციონიზმს. ნაციონალიზმის კვლევები აუცილებელია რომ იყოს წარმოდგენილი ცალკე და ეთნოპოლიტიკური კვლევები - ცალკე. ეთნიკური კვლევები კონფლიქტოლოგიასთანაც იკვეთება და კვლევის საგანია - ეთნიკური კონფლიქტები (ეთნო-კონფლიქტოლოგია).

ასევე ტერმინი „ეთნიკურობის კვლევები“ იწვევს ბევრ კითხვას და ამ მიმართულების მიმართ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კვალიფიცირებული აზრი. აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ ხდება „ეთნიკურობის“ თემის გამოკვეთა და არა რელიგიურის. მსოფლიო პრაქტიკაში ეს ორი პრობლემა ერთ დონეზე განიხილება. ამის მაგალითია - „ეთნო-რელიგიური მედიაციის საერთაშორისო ცენტრის არსებობა“.¹¹²

ნაციონალიზმის ისეთი სახეობა, როგორცაა - „ეკონომიკური ნაციონალიზმი“. პოლიეთნიკურ საზოგადოებაში არის მეტად მნიშვნელოვანი. ამ ტიპის იდეოლოგიის განვითარება წარმოადგენს სამშვიდობო პოლიტიკის რესურსს. ასევე საინტერესოა ამ თვალსაზრისით სამოქალაქო (ზეეთნიკური) ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი. ინტერესს წარმოადგენს ზეეროვნული - რეგიონული ნაციონალიზმი (მაგალითად - კავკასიური). მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის პოლიკულტურალიზმის კვლევები; პოლიკულტურული (შერეული) ოჯახების კვლევები; შემწყნარებლობის (ტოლერანტობის) კვლევები; ეთნოცენტრიზმის კვლევები; იდენტობის კვლევები და ა.შ. ნაციონალიზმი არარის მხოლოდ პრობლემა, მისი გარკვეული სახეობები წარმოადგენენ განვითარების რესურსს.

¹¹² The International Center for Ethno-Religious Mediation (ICERM), <https://www.icermediation.org/about-us/>

3.1.2.10 „შედარებითი პოლიტიკა“

2010 წლის დოკუმენტში იყო წარმოდგენილი 070201 „შედარებითი პოლიტიკა“.

ტერმინი „შედარებითი პოლიტიკა“ შეგვიძლია ორნაირად გავიგოთ. უპირველეს ყოვლისა „შედარებითი პოლიტიკა“ წარმოადგენს პოლიტიკის მეცნიერებების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას და მასში შედის ბევრი ქვემიმართულება. ეს მიმართულება გაბრიელ ა.ალმონდის მიერ არის დაარსებული და ჰყავს ბევრი მიმდევარი.

მეორე მხრივ, „პოლიტიკის შედარებითი ანალიზი“ წარმოადგენს კომპერატიული ანალიზის ერთ-ერთ ტექნიკას და გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერებაში და მათ შორის პოლიტიკის მეცნიერებებში. სასურველია, რომ პოლიტიკური კვლევების მეთოდოლოგიის მიმართულება იყოს შექმნილი ცალკე და სხვა მიმართულებებთან ერთად მოიცავდეს კომპერატივის ტექსტსაც. წიგნში „პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები“ (მეექვსე გამოცემა). ჯანეტ ბუტოლფ ჯონსონი, ჰ.ტ. რეინოლდსი, ჯეისონ დ. მაიკოფთან ერთად საკმაოდ ფართედ არის წარმოდგენილი კვლევის მეთოდები და მეტად მნიშვნელოვანია სისტემური ხედვის ჩამოყალიბების და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების თვლასაზრისით.¹¹³

3.1.2.11 პოლიტიკური ტექნოლოგიები და ინოვაციები

დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებულ და მოთხოვნად პოლიტიკური ტექნოლოგიების მიმართულებას, რომელიც აერთიანებს ამ მიმართულებით უამრავ ვიწრო სპეციალიზაციას. ეს საკმაოდ პერსპექტიული მიმართულებაა და ინტერესი განპირობებულია პოლიტიკურ ბაზარზე არსებული გამოკვეთილი მოთხოვნილებებით. არსებობს პოლიტიკური ტექნოლოგიების ვიწრო მიმართულებების ფართე სპექტრი, რომელიც დოკუმენტში არანაირად არაა წარმოდგენილი.

ამ მიმართულების არსებობა მომავალ დოკუმენტში არის აუცილებელი იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი უნდა იყოს თავსებადი „განათლების და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში 2017-2021“ და განახლებულ ვარიანტში წარმოდგენილი STI (მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები) მიდგომისა.¹¹⁴

საქართველოს სჭირდება პოლიტიკური ტექნოლოგიების სკოლა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.

რაც შეეხება „ინოვაციურ პოლიტიკას“, საქართველოს სჭირდება სპეციალისტები ინოვაციურ პოლიტიკაში, რომლებიც გაზრდიან ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალს. ინოვაციების განხორციელება არის შესაძლებელი ნებისმიერ სფეროში და ეს შეეხება უშუალოდ პოლიტიკის წარმოებასაც. პოლიტიკური ან/და გეოპოლიტიკური ინოვაცია არის

¹¹³ Johnson Janet Buttolph, Reynolds H. T. with. Mycoff Jason D, Political Science Research Methods Sixth Edition, Copyright © 2008 by CQ Press, a division of SAGE, 2013 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

¹¹⁴ სამინისტროს სტრატეგია, <https://mes.gov.ge/content.php?id=7755&lang=geo>

საფუძველი სტრატეგიული ინიციატივის. ამ მიმართულებით აქტიურად მუშობს კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია.¹¹⁵

როგორც „პოლიტიკური ტექნოლოგიები“, ასევე „პოლიტიკის ინოვაციები“ შესულია მსოფლიოს წამწყვანი უნივერსიტეტების პროგრამებში როგორც გამოკვეთილი სპეციალიზაცია.

3.1.2.12 ევროპოცენტრიზმის პრობლემა პოლიტიკის მეცნიერებებში

არაა საკამათო, რომ საქართველოსთვის ევროპულ სამყაროსთან თანამშრომლობა წარმოადგენს სტრატეგიულ ამოცანას. იმიტომ მაინც რომ წარმოადგენს ამ სამყაროს ნაწილს. ამავე დროს, საქართველოს სჭირდება სხვა - არაევროპული განზომილების მიმართ მკაფიო პოლიტიკის ჩამოყალიბება. ქართველი ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე მანანა გაბაშვილი თავის ნაშრომებში საინტერესოდ აღწერს ქართული სამეფო ოჯახების განათლების პროცესს. მისი აზრით ეს პროცესი იყო ჰარმონიული და არა ცენტრირებული რომელიმე გეოპოლიტიკურ სისტემაზე, რაც აძლევდა მათ საშუალებას ეწარმოებინათ ეფექტურად როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკა. როგორც წერს ავტორი „ბაგრატიონთა მმართველობის ხანგრძლივობის საფუძვლად განათლებაც უნდა მივიჩნიოთ“.¹¹⁶

ასევე მნიშვნელოვანია მის მიერ წარმოდგენილი ხედვა, რომელშიც ის საგანმანათლებლო პოლიტიკას უკავშირებს საქართველოს გეოგრაფიას და გეოპოლიტიკას. იგი აღწერს დავით კურაპალატის მიერ საქართველოს გაერთიანების და ერის კონსოლიდაციის პროცესში თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მეცნიერების და განათლების როლი. განსაკუთრებულად აღნიშნავს გიორგი მერჩულის აზრს თუ რაოდენ დიდი იყო ამ პროცესში გრიგოლ ხანცდელის როლი.¹¹⁷

მისი ნაშრომები იმსახურებენ უფრო მეტ ყურადღებას გამომდინარე იქედან, რომ წარმოადგენენ მეცნიერებათმცოდნეობის და განათლების ისტორიის ბრწყინვალე მაგალითს.

¹¹⁵ კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია

<http://research.ciu.edu.ge/page/index/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90?lang=ge>

¹¹⁶ გაბაშვილი მ., „განათლების მნიშვნელობა და როლი შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკაში“/“ქართველოლოგია“2020/აკადემიკოს გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. გვ.31-32

¹¹⁷ გაბაშვილი მ., „განათლება და დავით კურაპალატის პოლიტიკა“. სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, თბილისი, 2008.

მათში კარგადაა გამოკვეთილი განათლებასა და პოლიტიკურ პროცესებს შორის არსებული დამოკიდებულებები საქართველოს რთული ისტორიის რეტროსპექტივაში.

ევროპულ სამეცნიერო დისკურსში არსებობს უამრავი ნაშრომი, სადაც ევროპოცენტრიზმი წარმოდგენილია როგორც კოგნიტური პრობლემა. ევროპოცენტრიზმი წარმოადგენს რედუქციონისტული აზროვნების ტიპურ მაგალითს. ასეთი მიდგომა არ შეიძლება იყოს ნორმალური განსაკუთრებით იმ ქვეყნისთვის, რომელიც გეოგრაფიულად წარმოადგენს ევროპის და აზიის ცენტრს; დიდი ახლოაღმოსავლეთის სუბ-რეგიონს; ჩრდილოეთ-სამხრეთის ან დასავლეთ-აღმოსავლეთის განზომილებათა გადაკვეთის ცენტრს; შავი ზღვა-კასპიის ზღვის რეგიონების ცენტრს; ევრაზიის კონტინენტის ცენტრს. აღარაა საუბარი საქართველოს პერეფერიულ გეოპოლიტიკურ როლებზე.

საქართველო - თვით ევროპაა, და თეზისი - „ევროპისკენ მისწრაფება“ - ალოგიკურია თავის შინაარსში. ამავე დროს საქართველოს მიმდებლობა, როგორც ევროპის ნაწილის არაა კარგად ჩამოყალიბებული ევროპული ქვეყნების სამეცნიერო-პოლიტიკურ დისკურსში.¹¹⁸

ამიტომ საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკა უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც პერეფერიული, ასევე ცენტრისტული განზომილებების მიხედვით („არქიპელაგი კავკასია - მითები თუ რეალური პოლიტიკა“).¹¹⁹ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ მილიონობით ეთნიკურად ქართველი გეოგრაფიულად აღმოჩნდა არაევროპულ კულტურულ სივრცეში და მათი ინტერესების არ გათვალისწინება - დაუშვებელია. ასევე საგულისხმოა, რომ მათი უმრავლესობა ისლამის მიმდევრები არიან. სპეციალობა 0312.2.4 „ევროპული ინტეგრაცია“ მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისია იმისთვის რომ ჩვენ კონფორტულად ვიგრძნოთ თავი საერთაშორისო გეოპოლიტიკურ სივრცეში. ნაწილობრივად ეს მიმართულებები წარმოდგენილია ინტერდისციპლინურ კვლევებში. როგორც შემდეგ იხილავთ, ეს „ევროპული ინტეგრაცია“ შეიძლება იყოს დანახული როგორც „ინტეგრაციული კვლევების“ ერთ-ერთი ქვე-სისტემა.

არ შეიძლება, რომ განატლების სისტემამ ხელი შეუწყოს პრო-ევროპული და ანტი-ევროპული ძალების დაპირისპირებას და არსებული კონფლიქტის გაღრმავებას. სახელმწიფო საგანამანათლებლო და სამეცნიერო პოლიტიკა უნდა იყოს დაცული სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების ზეგავლენისგან - პოლიტიკური და იდეოლოგიური ლობიზმიდან.

3.1.2.13 0388 ინტერდისციპლინური კვლევები

წარმოგიდგენთ დოკუმენტში არსებულ ჩამონაღვალს.

¹¹⁸ რუსეცკი ა., თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის პრობლემები შეზღუდული სახელმწიფოების დაცვაში, პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ჟურნალი, 2007

¹¹⁹ Русецкий А., Дорохина О., «Архипелаг Кавказ – мифы и реал-политик», Кавказский институт региональной безопасности, 2009

- 0388.1.1 ევროპისმცოდნეობა
- 0388.1.2 ამერიკისმცოდნეობა
- 0388.1.3 ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები.
- 0388.2.1 ბრიტანეთის კვლევები /ბრიტანეთისმცოდნეობა
- 0388.2.2 გერმანიისმცოდნეობა
- 0388.2.3 კავკასიის კვლევები
- 0388.2.4 ევრაზიისა და კავკასიის კვლევები
- 0388.2. 5 რუსეთისმცოდნეობა
- 0388.2.6 საბჭოთა კვლევები.

პუნქტები 2.1, 2.2 განეკუთვნება 1.1 და გაურკვეველია თუ რატომ არის კონცენტრაცია ამ ორ ქვეყანაზე და არა მაგალითად საფრანგეთზე, რომელიც განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში გამოხატავს ასეთ აქტიობას კავკასიის რეგიონში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

2.5 (რუსეთმცოდნეობა) და 2.6 (საბჭოთა კვლევები) განეკუთვნება 2.4 - ევრაზიულ კვლევებს. „კავკასიური კვლევები“ უნდა იყოს წარმოდგენილი დამოუკიდებლად გამომდინარე იქედან რომ ევრაზიული კვლევების ნაწილს წარმოადგენს.

კავკასიური კვლევების განსაკუთრებულ კომპონენტს წარმოადგენს „პოლიტიკური კავკასიოლოგია“ ან „კავკასიის პოლიტიკური კვლევები“. ნაშრომის ჩარჩოში შექმნილია წარმოებული პროექტი, რომელიც ამ საკითხს საგანგებოდ მიეძღვნა.¹²⁰

პრინციპში, ევროპათმცოდნეობა უნდა ექვემდებარებოდეს ევრაზიულ კვლევებს, ისევე როგორც აზიადმცოდნეობა. ამ თვლასაზრისით კავკასიის ცალკე გამოყოფა მართებულია. იმიტომ რომ ეს ბუფერული ტიპის რეგიონია და განეკუთვნება როგორც ევროპას, ასევე აზიას. სამწუხაროდ, ევრაზიის ცნების ხსენება იწვევს ბევრი კოლეგის გარიზიანებას და ასოცირდება ანტიევროპულ აზროვნებასთან. საქართველო - როგორც ავრაზიის ცენტრი, უნდა წარმოადგენდეს „ევრაზიული დიალოგის“ სივრცეს. „ევრაზიული დიალოგი“ განეკუთვნება „ცივილიზაციათა დიალოგის“ ფილოსოფიას და იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას პოლიტიკურ აზროვნებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მომავალ დოკუმენტში იყოს გამიჯნული - ქვეყანათმცოდნეობა და რეგიონთმცოდნეობა. ასევე ლოგიკურია რომ ცალკე იყოს წარმოდგენილი კონტინენტალური განზომილებები.

ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური კვლევების მთელი კლასტერი, რომელიც აძლიერებს პოლიტიკის მეცნიერებებს საერთოდ არაა წარმოდგენილი. ამიტომ მომავალ

¹²⁰ „კავკასიის პოლიტიკური კვლევები - რეგიონული თანამშრომლობის შესაძლებლობები მოუგვარებელი კონფლიქტების პირობებში“, https://2ec6cbba-6f09-466b-8623-4b303dfd3785.filesusr.com/ugd/ff9281_d8ecd1b4e03b4d6392416479eb9329c3.pdf

დოკუმენტში უნდა იყოს გამოკვეთილი პოლიტიკის მეცნიერების სხვა მეცნიერებებთან თანამშრომლობის შედეგად გამოკვეთილი სინთეზირებული დარგები. მაგალითად - პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური ფსიქოლოგია და ა.შ.

3.1.2.14 ინტეგრაციული პროცესების კვლევები

რთულია გავერკვეთ რითი განსხვავდება საგანი 0312.2.4 „ევროპული ინტეგრაცია“, 0388.1.1 „ევროპამცოდნების საგნისგან“. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, „ევროპული ინტეგრაცია“ უნდა წარმოადგენდეს „ევროპამცოდნების“ ერთ-ერთ ქვესისტემას. ანუ „ევროპამცოდნობა“ - როგორც სპეციალობა, ხოლო „ევროინტეგრაცია“ - როგორც ერთ-ერთი სპეცილიზაცია. ამავე დროს ის წარმოადგენს ინტეგრაციული პროცესების კვლევის საგანსაც. ინტეგრაციონიზმი ან უნიონიზმი ღირსია იმის, რომ მას მიეძღვნას ცალკე მოდული ყველანაირი ცენტრიზმების გარეშე. განხილულ დოკუმენტებში არათანაბრად და არასრულყოფილად არის წარმოდგენილი საქართველოს ინტეგრაციული სტრატეგიები.

საინტერესოა, რომ საერთოდ არაა წარმოდგენილი „ევროატლანტიკური ინტეგრაცია“. ეს პოლიტიკური თვალსაზრისით გარკვეული გამოწვევაა და რთულია ამ შემთხვევაში ავტორების მოტივაციის დადგენა. როდესაც სახელმწიფო კურსი ორიენტირებულია NATO-ზე, და ამ ორგანიზაციას გააჩნია საკმაოდ დიდი და ძლიერი მართვის აპარატი, ამ მიმართულებით სპეციალისტების მომზადება არის აუცილებელი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საერთოდ არაა არავითარი ვექტორი ამ ბლოკზე ინტეგრაციის. ამ მიმართულების ამოკვეთა კი არა - გაფართოვებაა საჭირო. საუბარია სხვა ანალოგიურ სტრუქტურებზე, მაგალითად - „საერთო უშიშროების ხელშეკრულებაზე“, „სუამზე“ და ა.შ. ყველა ამ მიმართულებებით საქართველოს სჭირდება სერიოზული მრავალპროფილიანი სპეციალისტები.

სამწუხაროა, რომ ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკა (სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით) არანაირად არ ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ეროვნული კადრების მომზადებას.

განსაკუთრებით საგანგაშოა დოკუმენტში „ზღვის განზომილებების“ არარსებობა. მნიშვნელოვან შეცდომას წარმოადგენს სამეზობლო პოლიტიკის რაკურსის არასრულყოფილება. არაა გამოკვეთილი ზღვის არცერთი მეზობელი - ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა, რუსეთი და თურქეთი. სამეზობლო პოლიტიკა ორიენტირებულია მხოლოდ ხმელეთის მეზობლებზე. ეს პოლიტიკური კოგნიციის პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს და არ ეხება მხოლოდ შავი ზღვის განზომილებას. პოლიტიკური დისკურსიდან ამოკვეთილია კასპიის ზღვის რეგიონიც. როდესაც აზერბაიჯანი და სომხეთი წარმოადგენენ შავი ზღვის ქვეყნებს, საქართველო არანაირად არაა წარმოდგენილი კასპიის ფორმატებში. აღარაა საუბარი სხვა საღვათ განზომილებებზე და ქართულ ისტორიულ პოლიტიკურ მენტალობაზე.

ეს არის გარკვეული სახიფათო სიმპტომი. საუბარია კონკრეტულ გეოპოლიტიკურ გეგმაზე („სერბული ვარიანტი“), რომელიც გულისხმობს საქართველოსგან ზღვის ნაპირის მოწყვეტას და მის სრულ გახმეღებებს. სამწუხაროა, მაგრამ საქართველოს განათლების პოლიტიკის ბლოკი ამ დოკუმენტის შესაბამისობაში ამ გეგმის აქტიურ თანამონაწილეთ შეიძლება წარმოვიდგინოთ. და ეს არის იმის დამსახურება, რომ განათლების, მეცნიერების და უშიშროების პოლიტიკა საქართველოში ერთმანეთთან თავსებადი არაა.

როდესაც საქართველოში არსებობს თურქოლოგიის, არმენოლოგიის, ირანოლოგიის და ა.შ. სერიოზული კვლევების ტრადიცია ის არა მხოლოდ სრულყოფილად არ ფასდება, არამედ ხდება ამ მიმართულების დისკრიმინაცია. ეს ძირს უთხრის ქართველოლოგიურ კვლევებსაც გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ისტორიის თაობაზე წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი სამეზობლოს ისტორიულ წყაროებშიც უნდა ვეძებოთ, აღარაა საუბარი იმ საინფორმაციო მასივებზე რაც დღეს იქმნება. განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა მოითხოვდეს ამ ქვეყნების ტერიტორიებზე არსებული საქართველოს ყოფილი ტერიტორიები, მათი მოსახლეობა და კულტურული მემკვიდრეობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაშიც განათლების პოლიტიკა არაა თავსებადი მიღებული სტრატეგიული სახელმძღვანელო დოკუმენტების მიმართაც.

გაურკვევლადაა წარმოადგენილი სპეციალობა (0388.1.3 **ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები**), მაგრამ არაა წარმოდგენილი შორეული აღმოსავლეთის კვლევები. ეს მაშინ, როდესაც რეალური ეკონომიკური და პოლიტიკური კომუნიკაცია ჩინეთთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და ა.შ. წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს. აღარაა საუბარი „აბრეშუმის გზის“ პროექტში საქართველოს როლზე.

ნათლად ჩანს რომ დოკუმენტის შედგენის პროცესში არ ღებულობდნენ მონაწილეობას პოლიტიკური გეოგრაფიის და გეოპოლიტიკის სპეციალისტები. ასეთი სპეციალობები საერთოდ არაა წარმოდგენილი ამ დოკუმენტებში, რაც ასევეა ამცირებს მათ ღირებულებას.

3.1.2.15 უშიშროების თუ უსაფრთხოების სპეციალისტები?

2019 წლის დოკუმენტში ჩნდება - 070204 „უსაფრთხოების კვლევები“. სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკურსში მიმდინარეობს სერიოზული შერკინება ამ ტერმინის თაობაზე. ტრადიციულად „უსაფრთხოების სპეციალისტი“ ასოცირდება ტექნიკური საფრთხეების სფეროსთან.

როდესაც საკითხი პოლიტიკურ სფეროებს მოიცავს აქ სასურველია რომ იყოს საუბარი **უშიშროების პოლიტიკის სპეციალისტებზე ან/და (უკიდურეს შემთხვევაში) პოლიტიკური უსაფრთხოების სპეციალიზაციაზე**. ვიწრო სპეციალიზაციებად კი შეიძლება იყოს წარმოდგენილი მაგალითად - პოლიტიკური რისკების სპეციალიზაცია, პოლიტიკური პროგნოზირების სპეციალიზაცია და სხვა. ამის შესახებ არსებობს ქართველი მეცნიერების არაერთი ნაშრომი, მაგალითად - ჰენრი კუპრაშვილის წიგნი „ეროვნული უსაფრთხოება თუ

ეროვნული უშიშროება“.¹²¹ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხების ევალუაცია/აუდიტში მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური მეცნიერების საერთაშორისო ასოციაციის¹²² კომპეტენტურმა საზოგადოებამ. საბოლოო ჯამში ნათლად უნდა ჩანდეს სპეციალიზაციები: სამოქალაქო უშიშროება; სახელმწიფო უშიშროება, ეროვნული უშიშროება; საერთაშორისო უშიშროება და ა.შ. ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი მერი გაბედავა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთან ინტერვიუში სამართლიანად აღნიშნავს - „როდესაც არსებობს მსოფლიოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, ამას მაინც უნდა გაუწიოთ ანგარიში და ადეკვატურად გამოვიყენოთ ტერმინები“.

სხვა წარმოებული პრობლემაა - საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებს შორის აბსოლუტური შეუთავსებლობის საკითხი. აღმასრულებელი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტს. მაგრამ ტერმინი „უშიშროება“ როგორც ჩანს შეტანილია „შავი ტერმინების საბჭოთა სიაში“, რაც წარმოადგენს ასევე კოგნიტური ხასიათის პრობლემას.

საქართველოში არსებული ქრონიკული პოლიტიკური კრიზისების არსებობა უკავშირდება საკადრო კრიზისს და შესაბამისი პროფილების პოლიტიკის მეცნიერების და სპეციალისტების არარსებობას.

პროფესიული საზოგადოება არაა შესაბამისად ორგანიზებული. პროფესიული გაერთიანებები და შესაბამისი სტრუქტურები სახელმწიფოს, ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების სექტორებში არ ახდენენ ამ მიმართულებით პოლიტიკის შეფასებას, დაგეგმარებას და ზოგადად მართვას. არ არსებობს კომპეტენტური კვლევები, რომლებიც ერთი მხრივ წარმოადგენდნენ პოლიტიკის სფეროში არსებულ პრობლემებს, ხოლო მეორე მხრივ ამ პრობლემების მართვისთვის შესაბამისი სპეციალობების ადამიანების მომზადების სტრატეგიას.

შეგვიძლია დავასკვნათ რომ პოლიტიკური მეცნიერებების დარგში, ისევე როგორც სხვა სამეცნიერო/საგანმანათლებლო მიმართულებებში საქართველოში არ არსებობს სისტემური ხედვა და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული სტრატეგია. პროცესი მიმდინარეობს სპონტანურად და ქაოტურად. ცალკეულ ქვემიმართულებებს ეძლევათ გასაქანი, ცალკეულს არა. ეს არის ტიპური უპასუხისმგებლო, რედუქციონისტული ან გაუაზრებელი ქმედებების ჯაჭვი, რომელიც საბოლოო ჯამში წარმოადგენს სახელმწიფოს და საზოგადოების მიმართულებით გამოკვეთილ დივერსიას.

ამ პრობლემაზე პასუხისმგებელი - სხვა სტრუქტურებთან ერთად, პირველ რიგში - „ეროვნული ტვინი“ - განათლების და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტია. მნიშვნელოვანია კლასიფიკაციების ეროვნულ ჩარჩო

¹²¹ კუპრაშვილი ჰ., „ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება“. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014, https://gtu.ge/Library/Pdf/El_wignebi/erovnuli_us.pdf

¹²² The International Political Science Association (IPSA), <https://www.ipsa.org>

დოკუმენტში საგანგები ცვლილებების შეტანა და პოლიტიკის მიმართულებით დარგობრივი კლასიფიკატორის შექმნა.

3.2 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი“¹²³

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამები პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს კრიზისების და სამშვიდობო პროცესების მართვის საკითხს.¹²⁴ ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას რუსთაველის ფონდის მოღვაწეობაზე პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით. ამ მიზნით კი განვიხილავთ ფონდის- „სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორს“.¹²⁵ იგი ხელს უწყობს კლასიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს ხარისხის ზრდას და მასთან ერთად, მეტა-ჩარჩო კლასიფიკატორის შექმნის პერსპექტივას.

ამავე დროს აუცილებელია, რომ მოხდეს ამ დოკუმენტის შინაარსის და დიზაინის სერიოზული დარგობრივი და სისტემური რედაქცია. სასურველია რომ მომზადდეს შესაბამისი დარგობრივი კლასიფიკატორი, რათა მოხდეს წარმოდგენილი სქემის ადეკვატური განმარტება.

კლასიფიკატორის მე 5.6 პუნქტში წარმოდგენილია „პოლიტიკური მეცნიერებანი“ შემდეგი პოზიციებით:

- პოლიტიკური მეცნიერებანი;
- საჯარო მართვა;
- ორგანიზაციული თეორია

სამწუხაროდ ეს პუნქტი დარჩა შეუცვლელი 2019 წლის 29 მაისის N 60 ბრძანების განახლებულ დოკუმენტშიც. ამ დოკუმენტთან მიმართებაში შეიქმნა კონკრეტული კითხვები და რეკომენდაციები.

თუ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ დოკუმენტში არის ტერმინი „პოლიტიკის მეცნიერებები“, ამ დოკუმენტში გამოყენებულია ტერმინი „პოლიტიკური მეცნიერებანი“. აქ აუცილებელია, რომ ეროვნულ დონეზე მოხდეს შეთანხმება და იყოს გამოყენებული ამ სიმრავლიდან ერთი ტერმინი.

- „პოლიტიკური მეცნიერებები“
- „პოლიტიკური მეცნიერება“
- „პოლიტიკის მეცნიერებანი“

¹²³ ბრძანება N 200 11.10.2016 - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ.

¹²⁴ <https://rustaveli.org.ge/geo/konkursebi-da-programebi>

¹²⁵ <https://rustaveli.org.ge/geo/klasifikatori>

- „პოლიტიკის მეცნიერებები“

განსხვავებები ორ სტრატეგიულ დოკუმენტში ქმნიან გაურკვევლობას რაც მოითხოვს ადეკვატურ რეაგირებას. ჩვენ კვლევაში (დროებით) ვიყენებთ ტერმინს „პოლიტიკის მეცნიერებები“. ამავე დროს ვთვლით საჭიროდ, რომ მომავლისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული ტერმინი „პოლიტიკის კვლევები“, რომელიც გულისხმობს ამ სფეროში არსებული სამეცნიერო და არასამეცნიერო, მარგამ მეცნიერებისათვის საინტერესო ცოდნის ერთობლიობას. ყველა „პოლიტიკის კვლევა“ არაა სამეცნიერო. ამიტომ ტერმინი „პოლიტიკის მეცნიერებები“ უნდა წარმოადგენდეს „პოლიტიკის კვლევების“ ქვესისტემას.

ამავე დროს, თუ ჩვენ ვიყენებთ ზემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს მრავლობით რიცხვში - „თეორიები ან კვლევები“, მაშინ ჩვენ ის სიმრავლე უნდა ადეკვატურად განვსაზღვროთ, თან დაურთოდ განმარტებითი დოკუმენტი ან მიუთითოთ ის წყარო, რომელიც განმარტავს ამ ტერმინთა მნიშვნელობას.

კლასიფიკატორის ეს ფრაგმენტი არ ითვალსიწინებს „განათლების და მეცნიერების 2017-2021 წწ ერთიან სტრატეგიას“, მასში არაა ნახსენები პოლიტიკის ტექნოლოგიების და ინოვაციების კომპონენტი.

შოთა რუსათველის სამეცნიერო ფონდის „სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორში“ „პოლიტიკის მეცნიერებათა“ 5.6 პუნქტი - შეიცავს საკუთარ თავს და კიდევ ორ დამატებით ელემენტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის კოგნიტური შეცდომა სხვა ქვეყნების ჩარჩოებშიც ფიქსირდება. სასურველია შეიცვალოს სახელწოდება, ან შინაარსი.

ამ ჩამონათვალში წარმოდგენილი ორი ქვემიმართულება: „საჯარო მართვა“ და „ორგანიზაციული თეორია“ - აუცილებელია მომავალში განვიხილოთ როგორც „ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ დოკუმენტის დანამატი, იმიტომ რომ ეს ორი პოზიცია იქ საერთოდ არაა წარმოდგენილი. ამავე დროს საჭიროა ამ პოზიციების ადეკვატური განმარტება და კორექცია.

„ორგანიზაციების თეორია“ განეკუთვნება სოციოლოგიას ან/და ინტერდისციპლინური თეორიების კატეგორიას. იგი იკვლევს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების წარმოშობას, განვითარებას და ადმინისტრირებას. ამიტომ აქ უნდა იყოს დაზუსტებული, რომ საკითხი ეხება პოლიტიკური ორგანიზაციების თეორიას ან ორგანიზაციების თეორიების პოლიტიკურ ასპექტებს. ამ თვალსაზრისით, ეს შეიძლება იყოს მომავალი სტრატეგიული დოკუმენტისთვის საინტერესო დანამატი. ეს კომპონენტი შეიძლება შეეხებოდეს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას, მაგრამ (!) არა არსებული ფორმით.

უნივერსიტეტების დონეზე საკმაოდ პოპულარულია საგანი „საერთაშორისო ორგანიზაციები“, რომელიც ნაწილობრივად ამ მიმართულების ქვესისტემას წარმოადგენს, მაგრამ არანაირად არ არის წარმოდგენილი არც ერთ დოკუმენტში. შეგიძლიათ ქვემოთ

იხილოთ, რომ ბელორუსიის სტრატეგიულ დოკუმენტში „საერთაშორისო ორგანიზაციები“ რამოდენიმე განზომილებაშია წარმოდგენილი.¹²⁶

არაა გასაგები თუ რატომ არ არის „სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორში“ წარმოდგენილი (გაშლილი) პოლიტიკის მეცნიერებების დანარჩენი პრიორიტეტული კვლევის სფეროები და ასევე რა მოტივაციები და არგუმენტები არსებობდა როდესაც იქმნებოდა ეროვნულ დოკუმენტთან არაშეჯერებული მიმართულებების ჩამონათვალი. ამავე დროს, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ფონდის ავტონომიური პოლიტიკა ამ თვლასაზრისით თამაშობს პოზიტიურ როლს, იმიტომ რომ ერთი მხრივ ახდენს არსებული ხარვეზების შევსებას, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის პოზიტიურ კონფლიქტს და შესაბამისი დისკუსიის შესაძლებლობას.

გამომდინარე იქედან რომ საუბარია განათლების და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ ორ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე - ესაა შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერების ეროვნული ფონდი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ამ მიმართულებით მათი თანამშრომლობა განაპირობებს მეცნიერების და განათლების ერთიანი სისტემის მომავალს.

3.3 საქართველოში და უცხოეთში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი

3.3.1 საქართველოში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი

მიუხედავად კლასიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში არსებული გაურკვევლობებისა, უნივერსიტეტები (ზოგ შემთხვევაში) ცდილობენ რომ საგანამანათლებლო პროცესები იყოს გარემოს ცვლილებებთან უფრო ადაპტირებული. ეს გამოიხატება იმაში, რომ მათ პროგრამებში წარმოდგენილი პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა არის უფრო ფართედ წარმოდგენილი. ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას იმ სავარაუდო ხარვეზებზე და შეცდომებზე, რომლებიც ეხება პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამების მართვას.

3.3.1.1 საუნივერსიტეტო სერვისებთან არსებულ ინფორმაციასთან წვდომის პრობლემა

იმისთვის, რომ ჩვენ მოგვეხდინა საქართველოს უსდ - სისტემაში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების საგანამანათლებლო პროგრამების თაობაზე არსებული ინფორმაციის ანალიზი, ჩვენ ვეცადეთ გვეპოვა ამის თაობაზე ერთიანი ინფორმაცია. ელექტრონულ სივრცეში ჩვენ ერთიანი მონაცემები იმის თაობაზე ვერ აღმოვაჩინეთ და 2020 წლის 2 ოქტომბერს მივმართეთ კითხვით სამინისტროს „ცხელ ხაზს“. ასეთი ტიპის ინფორმაცია მათ არ ჰქონდათ და გადაგვამისამართეს შიდა სამსახურთან, რომელმაც ანალოგიურად შემოგვთავაზა საიტზე

¹²⁶ Систематизированный указатель специальностей, направлений специальностей, специализаций и квалификаций высшего образования, https://www.abiturient.by/spec_table/table6

არსებული უნივერსიტეტების აკრედიტაცია/ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია, ხოლო როდესაც განვუმარტეთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია აქაც არ მოიპოვებოდა გადაგვამისამართეს ორგანიზაციაში - "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა".¹²⁷ ელექტრონული წერილი-მოთხოვნის საფუძველზე ჩვენ მივიღეთ მათგან პასუხი,¹²⁸ რომელშიც პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამების ჩამონათვალი არ ასახავდა სრულ სურათს. მაგალითად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამა არის შესული ჩამონათვალში, ხოლო საბაკალავრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ - არა. ასევე არაა შესული მათ ჩამონათვალში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა - „საერთაშორისო ურთიერთობები და უსაფრთხოება“. ამავე დროს, შესულია ჩამონათვალში თბილისის „ღია უნივერსიტეტის“ სამაგისტრო პროგრამა - „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება“. გაურკვეველია განათლების სამინისტროსთან არსებული ორგანიზაციული ერთეული რატომ ანიჭებს პრიორიტეტს ერთ უნივერსიტეტს, ხოლო მეორეს პროგრამების შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებს. იმედია, რომ ეს ფავორიტიზმი არის მექანიკური შეცდომა - უხარისხო მომსახურება და არა ეკონომიკური ან პოლიტიკური დაინტერესების შედეგი.

ასეთი პასუხი შეიძლება ასევე აიხსნას იმით, რომ სამინისტროში „საერთაშორისო ურთიერთობები“ არ განიხილება როგორც პოლიტიკის მეცნიერებების შემადგენელი ქვემომართულება. იგივე შეეხება „საჯარო მართველობას“ და ა.შ.

ცხრილი #3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისგან მიღებული ინფორმაცია პოლიტიკის მეცნიერებებში არსებული საუნივერსიტეტო პროგრამების თაობაზე

30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დოქტორანტურა
30008	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი
30008	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა
30028	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	დოქტორანტურა
	30036 ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ბაკალავრიატი

¹²⁷ <https://emis.ge/m/?fbclid=IwAR3tEaDLrPugKOyLlh4GPO3Zj-5wOUDny7Z1aOWd5ZbUCY0oouC8S46pP1k>

¹²⁸ წერილი MES 7 20 0001005211, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სისტემა, 19/10/2020

30011	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი
30024	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა

„საჯარო მართვლობა“ წარმოადგენს პოლიტიკის ადმინისტრირების საგანს და ამიტომ უნდა იყოს წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერებების და ადმინისტრირების ერთიან პროგრამაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კანადის გამოცდილება.¹²⁹

რაც შეეხება „საერთაშორისო ურთიერთობებს“ აქ არის ორი მიდგომა. ან უნდა განიხილებოდეს როგორც პოლიტიკური მეცნიერებების ქვემომართულება ან უნდა იყოს გამოკვეთილი „საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები“ როგორც ქვემომართულება. ეს შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც თეორიას ისევე - ადმინისტრირებას.

ცხრილი #4. ზემოთ წარმოდგენილი უნივერსიტეტების პროგრამების სახელწოდებები, საკვალიფიკაციო კოდები და კვალიფიკაციის სახელწოდებები

პროგრამა	კალიფიკაციის კოდი	კვალიფიკაცია
პოლიტიკის მეცნიერება	0702	პოლიტიკის მეცნიერება
კონფლიქტების ანალიზი და მართვა	070203	კონფლიქტოლოგია
პოლიტიკის მეცნიერება	0702	პოლიტიკის მეცნიერება
ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები	070202	ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები
პოლიტიკის მეცნიერება	0702	პოლიტიკის მეცნიერება
პოლიტიკის მეცნიერებები	0702	პოლიტიკის მეცნიერება
პოლიტიკის მეცნიერებები	0702	პოლიტიკის მეცნიერება
პოლიტიკის მეცნიერება	0702	პოლიტიკის მეცნიერება
პოლიტიკური მეცნიერებები	0702	პოლიტიკის მეცნიერება
პოლიტიკის მეცნიერებები	0702	პოლიტიკის მეცნიერება
ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება	070204	უსაფრთხოების კვლევები

დოკუმენტის ჩამონათვალში შესულია „კონფლიქტოლოგია“, რომელიც საკვალიფიკაციო ეროვნულ ჩარჩოს დოკუმენტის 2019 წლის ვერსიაში უკვე ამოღებული იყო და გადატანილი „სოციოლოგიის და კულტურის კვლევებში“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვთვლით, რომ „კონფლიქტოლოგიის“ ნაწილი, სახელდობრ - „პოლიტიკური კონფლიქტოლოგია“ უნდა იყოს

¹²⁹ Canadian Research and Development Classification 2019, Fields of research, <https://www.sshrc-crsh.gc.ca/funding-financement/nfrf-fnfr/crdc-ccrd-eng.aspx?wbdisable=true>

წარმოდგენილი „პოლიტიკის მეცნიერებებში“, ოფიციალურ დოკუმენტებს შორის აქ ფიქსირდება არათავსებადობა.

2021 წლის მარტში, კვლევამ დაადგინა, რომ „ერთიანი გამოცდების გვერდზე“ არსებობს გარკვეული შესაძლებლობები იმისთვის, რომ მომხმარებელმა მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე თუ სად შეუძლია მიიღოს განათლება, მათ შორის პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით. მაგრამ ამისთვის აუცილებელია რომ მან გაიაროს რეგისტრაცია და გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი. ამიტომ ამ მონაცემთა ბაზასთან წვდომა არის შეზღუდული და ორიენტირებულია აბიტურიენტებზე.¹³⁰

იმისთვის რომ დაგვეჩვენა „პოლიტიკის მეცნიერების“ უფრო ვრცელი სურათი საგანმანათლებლო სივრცეში, შევქმენით შესაბამისი პროგრამების ერთიანი ბაზა. ეს ინფორმაცია იყო აუცილებელი იმისთვის, რომ ნებისმიერი განათლების დონის ადამიანს, რომელსაც აქვს სურვილი გაანალიზოს ამ სფეროში არსებული ვითარება ან მიიღოს განათლება, ჰქონდეს ამ ელემენტარულ ინფორმაციასთან წვდომის შესაძლებლობა კონცენტრირებული სახით, ანუ არ ჰქონდეს განათლების სერვისების ბაზარზე არსებულ ინფორმაციასთან წვდომის შეზღუდვა - დეპრივაცია.

ეს დოკუმენტი მოითხოვს დახვეწას, მაგრამ ის ბევრად უფრო სრულყოფილია ვიდრე ოფიციალურ დონეზე მიღებული ინფორმაცია.

ცხრილი #5. პოლიტიკის მეცნიერებების - საბაკალავრო; სამაგისტრო და სადოქტორო (BA, MA, Doctoral) პროგრამების „საგზაო რუკა“

N	უნივერსიტეტი	პროგრამა
	001 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	BA 0010105 თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამები: ა) ეთნოლოგია; ბ) ხელოვნებათმცოდნეობა; გ) კულტურის კვლევები; დ) ისტორია; ე) არქეოლოგია; ვ) კავკასიოლოგია (ქართულენოვანი); ზ) ამერიკისმცოდნეობა; თ) არაბისტიკა; ი) ირანისტიკა; კ) თურქოლოგია; ლ) ებრაისტიკა-არამეისტიკა; მ) არმენოლოგია; ნ) ასირიოლოგია; ო) ფილოსოფია; პ) ქართული ფილოლოგია; ჟ) ინგლისური ფილოლოგია; რ) გერმანული ფილოლოგია; ს) ფრანგული ფილოლოგია; ტ) ესპანური ფილოლოგია; უ) იტალიური ფილოლოგია, ფ) კლასიკური ფილოლოგია; ქ) ბიზანტიური ფილოლოგია; ღ) ახალი ბერძნული ფილოლოგია; ყ) რუსული ფილოლოგია (ქართულენოვანი); შ) სკანდინავიური ფილოლოგია; ჩ) სახვითი ხელოვნება; ც) ტელე-კინო ხელოვნება 0010106 კავკასიოლოგია (რუსულენოვანი) 0010121 თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამები: ა) სოციალური მუშაობა, ბ) საზოგადოებრივი გეოგრაფია, გ) სოციოლოგია, დ) პოლიტიკის მეცნიერება

¹³⁰ <https://online.naec.ge/ueereg/entrants/entrantsdefault.aspx>

		<p>0010122 საერთაშორისო ურთიერთობები</p> <p>MA</p> <ul style="list-style-type: none"> • კავკასიოლოგია • კავკასიოლოგია (რუსულენოვანი) • ამერიკისმცოდნეობა • რუსეთისმცოდნეობა • არაბისტიკა • ასიოლოგია • ირანისტიკა • გენდერის კვლევა • პოლიტიკის მეცნიერება • სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა • ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები • დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა • ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი) • კონფლიქტების ანალიზი და მართვა • პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება • საჯარო მმართველობა (ინგლისურენოვანი, ქართულენოვანი კომპონენტებით) • მიგრაციის მართვა • ევროპისმცოდნეობა <p>PHD</p> <ul style="list-style-type: none"> • "პოლიტიკის მეცნიერება" • "გენდერის კვლევა" • "საერთაშორისო ურთიერთობები" • "კონფლიქტების ანალიზი და მართვა"
	<p>003 - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი</p>	<p>BA</p> <ul style="list-style-type: none"> • 0030136 საერთაშორისო ურთიერთობები • 0030137 საერთაშორისო ურთიერთობები (რუსულენოვანი) • 0030158 საჯარო მმართველობა • 0030161 ევროპისმცოდნეობა • 0030166 მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება <p>MA</p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ურთიერთობები • საჯარო მმართველობა (რუსულენოვანი) • საჯარო მმართველობა • ევროპისმცოდნეობა <p>PHD</p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ურთიერთობები
	<p>009 - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>MA</p> <ul style="list-style-type: none"> • ამერიკისმცოდნეობა • ამერიკისმცოდნეობა • საჯარო მმართველობა

010 სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		<p>0100102 1. სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები); 2. ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 3. თავისუფალი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 4. საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა)</p> <p>https://naec.ge/uploads/postData/tn_file_CNOBARI-18-AGVISTO.pdf gv.268</p> <p>MA - პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები) პოლიტიკის მეცნიერების რელიგიის კვლევები.</p> <p>საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება საზოგადოებრივი ურთიერთობები საჯარო სამართალი და პოლიტიკა Naec - https://naec.ge/#/ge/post/1364 გვ.123</p> <p>PHD</p> <p>სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა</p> <ul style="list-style-type: none"> • ისტორიის დოქტორი (PhD in History) • კულტურის კვლევების დოქტორი (PhD in Cultural Studies) • პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი (PhD in Political Science) • სოციოლოგიის დოქტორი (PhD in Sociology) <p>*ფილოლოგიის დოქტორი (PhD in Philology) *ფსიქოლოგიის დოქტორი (PhD in Psychology) ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (PhD in History of Art) არქეოლოგიის დოქტორი (PhD in Archeology)</p>
012 სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი		<p>BA</p> <ul style="list-style-type: none"> • 0120124 საერთაშორისო ურთიერთობები • 0120123 პოლიტიკის მეცნიერებები <p>https://naec.ge/uploads/postData/tn_file_CNOBARI-18-AGVISTO.pdf gv.314</p> <p>MA –</p> <ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკის მეცნიერებები • საერთაშორისო ურთიერთობები <p>Naec - https://naec.ge/#/ge/post/1364 გვ.143</p>
014 სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი		<p>BA</p> <ul style="list-style-type: none"> • 0140110 საჯარო მმართველობა (ქ. ახალქალაქი) • 0140111 საჯარო მმართველობა (ქ.ახალციხე)
020 - შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი		<p>BA</p> <p>0200108 საერთაშორისო ურთიერთობები</p> <p>MA</p> <p>საერთაშორისო ურთიერთობები</p>
033 - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი		<p>BA</p> <p>0330105 საჯარო მმართველობა და პოლიტიკა (ქ. თბილისი) 0330106 საჯარო მმართველობა და პოლიტიკა (ქ. ბათუმი)</p> <p>MA</p> <p>საჯარო მმართველობა და პოლიტიკა (ქართულ-გერმანული ერთობლივი)</p>

		PHD <ul style="list-style-type: none"> პოლიტიკის მეცნიერება
	036 შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	BA 0360102 საერთაშორისო ურთიერთობები
	064 - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	BA 0640101 ამერიკისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი) 0640116 საერთაშორისო ურთიერთობები 0640117 საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი) 0640119 საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობა MA <ul style="list-style-type: none"> ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი) საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა (ინგლისურენოვანი) PHD <ul style="list-style-type: none"> ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა, ერთადერთი საქართველოში,
	071 სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	BA 0710107 საჯარო მმართველობა
	085 - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	BA 0850103 საერთაშორისო ურთიერთობები MA ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობები
	088 შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	BA <ul style="list-style-type: none"> 0880106 საერთაშორისო ურთიერთობები 0880107 პოლიტიკის მეცნიერება https://naec.ge/uploads/postData/tn_file_CNOBARI-18-AGVISTO.pdf gv.469
	097 სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	BA 0970102 საჯარო მმართველობა
	114 სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	BA 1140107 ევროპისმცოდნეობა 1140112 თურქეთისმცოდნეობა 1140121 საერთაშორისო ურთიერთობები 1140123 საჯარო მმართველობა
	115 - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	BA 1150105 საერთაშორისო ურთიერთობები MA საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება PhD - პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

	120 - შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	BA 1200104 საერთაშორისო ურთიერთობათა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა MA <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა • ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები PHD საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
	121 - შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	BA 1210103 აღმოსავლეთმცოდნეობა 1210115 პოლიტიკის მეცნიერებები 1210117 საერთაშორისო ურთიერთობები 1210120 საჯარო მმართველობა MA საჯარო მმართველობა საერთაშორისო ურთიერთობები PHD პოლიტიკის მეცნიერებები
	122 - შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	BA <ul style="list-style-type: none"> • 1220111 საჯარო მმართველობა • 1220112 დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები • 1220115 1. ევროპისმცოდნეობა, 2. ისტორია, 3. ინგლისური ფილოლოგია, 4. ქართული ფილოლოგია MA <ul style="list-style-type: none"> • დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები • საჯარო მმართველობა PHD საერთაშორისო ურთიერთობები
	133 - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	BA 1330106 საჯარო მმართველობა MA საჯარო მმართველობა
	142 - ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი"	BA 1420107 საჯარო მმართველობა MA საჯარო მმართველობა.
	145 - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	BA 1450105 საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები MA საჯარო მმართველობა

152 შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	BA 1520106 საერთაშორისო ურთიერთობები
153 ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	1530105 პოლიტიკური მეცნიერებები BA https://naec.ge/uploads/postData/tn_file_CNOBARI-18-AGVISTO.pdf gv.732 MA <ul style="list-style-type: none"> • საჯარო მმართველობა • ადგილობრივი თვითმმართველობა • საჯარო პოლიტიკა • საერთაშორისო ურთიერთობები PHD სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა აცხადებს მიღებას შემდეგ მიმართულებებზე: <ul style="list-style-type: none"> • საჯარო მმართველობა • პოლიტიკური მეცნიერებები • ფსიქოლოგია
154 - ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	MA თურქეთისმცოდნეობა
155 - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	BA 1550103 თავდაცვა და უსაფრთხოება MA თავდაცვის ანალიზი
171 შპს - ევროპის უნივერსიტეტი	BA 1710101 საერთაშორისო ურთიერთობები
172 შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	BA 1720102 საერთაშორისო ურთიერთობები
181 შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი	BA 1810102 საერთაშორისო ურთიერთობები
182 შპს მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტი	1820105 საერთაშორისო ურთიერთობები
183 ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	BA -1830103 პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) https://naec.ge/uploads/postData/tn_file_CNOBARI-18-AGVISTO.pdf gv.793

ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია პოლიტიკის მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებულ პირთათვის. იგი წარმოადგენს ინტერესს არა მხოლოდ პოტენციური სტუდენტებისთვის, არამედ ასევე პროგრამის ხელმძღვანელებისათვის, განათლების მართვის მენეჯერებისათვის და პოლიტიკოსებისთვის.

ამ დოკუმენტის ანალიზის შედეგად ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ საქართველოს უსდ-სისტემაში არსებული პოლიტიკური მეცნიერებების პროგრამების სტრუქტურა რიგ შემთხვევაში არ ემთხვევა კლასიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში წარმოდგენილ სისტემას. მიღებულმა ინფორმაციამ დაგვარწუნა კიდევ ერთხელ იმაში, რომ აუცილებელია გამართული დარგობრივი საკვალიფიკაციო ეროვნული ჩარჩოს დოკუმენტის შექმნა და მის შესაბამისობაში საუნივერსიტეტო პროგრამების ელექტრონული მონაცემების ბაზის შექმნა, რაც წარმოადგენს თავის თავად ინოვაციურ პროდუქტს, რომელიც ხელს შეუწყობს განათლების და მეცნიერების სისტემის ციფრიზაციის პროცესს. ამ მიზნით ჩვენ ვაპირებთ რომ შევიტანოთ წინადადება GITA-ში, რათა მოხდეს ამ პროექტის რეალიზაცია.

3.4 უცხოეთში არსებული პოლიტიკის მეცნიერებების საუნივერსიტეტო პროგრამების ანალიზი

საქართველოში პოლიტიკის მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით, ჩვენ შევისწავლეთ ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილება.

მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა (სახელდობრ UNESCO-ს მხრიდან), უნივერსალური სტანდარტები ამ მიმართულებით არაა დადგენილი არც გლობალურ და არც ევროპულ განზომილებაში. სხვადასხვა ქვეყანაში წარმოდგენილია შესაბამისად მათი ნაციონალური ხედვები. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ამ მიმართულებით უნივერსიტეტების საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამები. მონოგრაფიის ამ ნაწილში ჩვენ წარმოგიდგინთ შერჩეული უნივერსიტეტების პროგრამების ავტონომიურ დიზაინს და ვეცდებით ამოვიღოთ ისეთი საინტერესო მიმართულებები, რომელიც საქართველოს საგანმანათლებლო/სამეცნიერო სერვისებში არაა საკმარისად წარმოდგენილი. ასევე განხილულია ამ საკითხთან მიმართებაში მათი ეროვნული მიდგომები.

მაგალითად, კანადაში „პოლიტიკის მეცნიერებები“ და „პოლიტიკის ადმინისტრირება“ გაყვანილია თანაბარ რანგში, რაც წარმოადგენს საქართველოსთვის დიდ ინტერესს. დოკუმენტში The Canadian Research and Development Classification (CRDC) 2019¹³¹ წარმოდგენილი ინფორმაცია ჩვენ გადავიტანეთ ცხრილში, რათა უფრო კომპაქტურად გამოჩნდეს განსხვავება ამ ორ ქვემიმართულებას შორის.

¹³¹ The draft research classification standard, tentatively titled the Canadian Research and Development Classification (CRDC) 2019, Canadian Research and Development Classification 2019, <https://www.sshrc-crsh.gc.ca/funding-financement/nfrf-fnfr/crdc-ccrd-eng.aspx?wbdisable=true>

ცხრილი #6. ////

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებები (RDF50601 - Political science)	პოლიტიკის ადმინისტრირების მიმართულებები (RDF50602 - Policy and policy administration)
RDF5060101 - კანადის პოლიტიკა და მართველობა	RDF5060201 - მკვიდრი (აბორიგენული) მოსახლეობის კვლევები
RDF5060102 - ადგილობრივი პოლიტიკა	RDF5060202 - კანადის სიმართლისა და შერიგების კომისიასთან დაკავშირებული კვლევები
RDF5060103 - პოლიტიკური თეორია	RDF5060203 - ხელოვნება და კულტურული პოლიტიკა
RDF5060104 - შედარებითი პოლიტიკა	RDF5060204 - კომუნიკაციების და მედიის პოლიტიკა
RDF5060105 - საერთაშორისო ურთიერთობები	RDF5060205 - დანაშაულის პოლიტიკა
RDF5060106 - პოლიტიკური მეთოდოლოგია	RDF5060206 - საზოგადოებრივი უსაფრთხოების პოლიტიკა
RDF5060107 - პოლიტიკური სფეროების კვლევები	RDF5060207 - კიბერ უსაფრთხოების პოლიტიკა
RDF5060108 - სპეციალიზირებული პოლიტიკა (Specialized politics)	RDF5060208 - ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა
RDF5060109 - პოლიტიკური ქცევა და არჩევნების კვლევები	RDF5060209 - საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების პოლიტიკა
RDF5060110 - სოციალური მოძრაობები და დემოკრატია	RDF5060213 - ჯანმრთელობის პოლიტიკა
RDF5060111 - კოსმოსური პოლიტიკა - (space politics)	RDF5060210 - ეკოლოგიური პოლიტიკა RDF5060211 - განათლების პოლიტიკა
RDF5060199 - სხვა.	RDF5060212 - გარემოსდაცვითი პოლიტიკა RDF5060214 - სახელმწიფო ადმინისტრაცია - (Public administration)
	RDF5060215 - საჯარო პოლიტიკა
	RDF5060216 - კვლევითი, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკა
	RDF5060217 - სოციალური პოლიტიკა
	RDF5060218 - ტურიზმის პოლიტიკა
	RDF5060219 - ურბანული პოლიტიკა
	RDF5060220 - მუშაობის პოლიტიკა
	RDF5060299 - სხვა.

კანადური მოდელი არის საკმაოდ საინტერესო საქართველოსთვის გამომდინარე იქედან, რომ აქ არის აღნიშნული ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, როგორცაა მკვიდრი ძირძველი (აბორიგენული) მოსახლეობის მიმართ არსებული პოლიტიკა და ასევე კანადის ფრანგულენოვანი და ინგლისურენოვანი მოსახლეობის თანამშრომლობის მიმართულებით

არსებული პოლიტიკის საკითხები.¹³² ეს კი ნიშნავს იმას, რომ კანადელები ზრუნავენ საკუთარი პრობლემების მართვაზე, ამისთვის ამზადებენ კვლევებს, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს და კვალიფიცირებულ სპეციალისტებს. ეს არის ის ფუნდამენტური მიდგომა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას სამწუხაროდ არა საკმარისად გააჩნია. სამართლებრივ ველშიც განიხილება არა მხოლოდ უმრავლესობის და უმცირესობის პრობლემატიკა, როგორც საქართველოში, არამედ აბორიგენული ნაწილი მოსახლეობის არ მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობებს. ეს დივერსიფიცირებული მიდგომაა და საქართველოსთვის ძალიან საინტერესო შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამ გამოცდილების გაზიარებას.

კანადურ მოდელში უნიკალურია ასევე გაყოფა პოლიტიკის მეცნიერების ორ ნაწილად - თეორიული და გამოყენებითი. პირველ ბლოკში წარმოდგენილია თვით მეცნიერება და კვლევები, ხოლო მეორე ბლოკში - მართვა, ადმინისტრირება. ამავე დროს ეს არ ნიშნავს რომ მეორე ბლოკი „გამოშიგნულია“ კვლევებისაგან. ამ მოდელში კარგად არის დანახული ამ ორივე მიმართულების ურთიერთშეხებაზე ორიენტაცია. საქართველოსთვის საინტერესოა ასევე (RDF5060202 - კანადის სიმართლისა და შერიგების კომისიასთან დაკავშირებული გამიცდილების კვლევა).

ამავე დროს, მოდელის სისუსტეს წარმოადგენს ის, რომ არ არის გამოკვეთილი პოლიტიკის არასახელმწიფოებრივი სუბიექტების სიმრავლე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფენომენს პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ რეალობაში.

მომავალი ქართული დოკუმენტისთვის უდაოდ იქნება უფრო ადეკვატური რომ იყოს წარმოდგენილი თეორიულ და გამოყენებით განზომილებების ყველა ქვემიმართულება. სამაგალითოა, რომ ცალკეა გამოყოფილი „კვლევების და ტექნოლოგიების პოლიტიკა“, რასაც საქართველოში მხოლოდ „განათლების და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში“ თუ ვნახავთ. ბუნებრივია, რომ ცალკეული უნივარსიტეტები დოკუმენტში წარმოადგენილ მთელ მოცულობას ვერ აიღებენ საკუთარ თავზე. მაგალითად, **ტორონტოს უნივერსიტეტში**¹³³, პოლიტიკის მეცნიერებები არის წარმოდგენილი ასე:

- პოლიტიკის თეორია
- კანადის სახელმწიფო
- საერთაშორისო ურთიერთობები
- შედარებითი პოლიტიკა
- განვითარების კვლევები

¹³² Canadian Research and Development Classification 2019, Fields of research, <https://www.sshrc-crsh.gc.ca/funding-financement/nfrf-fnfr/crdc-ccrd-eng.aspx?wbdisable=true>

¹³³ Areas of Study, Political Science courses. University of Toronto, <https://politics.utoronto.ca/undergraduate/curriculum/areas-of-study/>

ინტერესს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „განვითარების კვლევები“ ძირითად დოკუმენტში არაა წარმოდგენილი, რაც ნიშნავს უნივერსიტეტის ავტონომიურობის ხარისხს. განვითარების კვლევები წარმოადგენენ საქართველოსთვის მნიშვნელოვან ინოვაციას. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მიერ შექმნილ კონფლიქტების მეტაკოგნიციურ მართვის თეორიაში¹³⁴ განვითარების კვლევებს ჩვენ ვიყენებთ კრიზისების, კონფლიქტების, სამშვიდობო პროცესების კონტექსტში. პოლიტიკური ფსიქოლოგიის თვლასაზრისითაც, ჩვენს მიერ არის გამოყენებული კვლევაში ერის პოსტტრავმული განვითარების ფენომენიც.

კანადისგან განსხვავებით, აშშ უმაღლესი განათლების სისტემას გააჩნია ამ მიმართულებით უფრო მარტივი დიზაინი.¹³⁵ ამავე დროს ეს სიმარტივე აჩენს დამატებით კითხვებს და ინტერპრეტაციებს.

პოლიტოლოგია

44.0401 საჯარო ადმინისტრაცია

44.0501 საჯარო პოლიტიკის ანალიზი

44.9999 საჯარო მმართველობისა და სოციალური სამსახურის პროფესიები, სხვა

45.0901 საერთაშორისო ურთიერთობები და საქმეები

45.1001 პოლიტიკური მეცნიერება და მთავრობა, ზოგადი

45.1002 ამერიკის მთავრობა და პოლიტიკა (შეერთებული შტატები)

45.1099 პოლიტიკური მეცნიერება და მთავრობა, სხვა

აქ დავაკვირდეთ რომ ცალკე გამოყოფილია - „**პოლიტიკური მეცნიერება და მთავრობა**“. მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ს განათლების სისტემა თვლის რომ ამ მიმართულებით უნდა მზადდებოდნენ სპეციალისტები. ეს შეიძლება იყოს „პოლიტიკური მეცნიერებების GR-სპეციალისტების“ მომზადების პროგრამა, ან მთავრობაში მოღვაწე მოხელეები, რომლებთაც ავალაიათ ეს მიმართულება. ეს უნიკალური გამოცდილება ასევე გასათვალისწინებელია ქართული კლასიფიკაციების ჩარჩოს დიზაინის შექმნის პროცესში. აშშ-ს პოლიტიკაში ბევრი სხვადასხვა დარგი, რომელსაც ჩვენ მივაკუთვნებთ პოლიტიკის მეცნიერებებს, გადადის სხვა სოციალურ მეცნიერებებში. ამიტომ ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა თუ როგორ იქნება დანახული ქართულ რეალობაში „პოლიტიკის მეცნიერებების“ და „სოციალური მეცნიერებების“ ურთიერთდამოკიდებულებანი. მაგალითად:

სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები (Other social sciences)

¹³⁴ Rusetsky A., Metacognitive theory of conflict management for building a new model of positive transformation of the Abkhazian crisis Conference proceedings, Post-Apocalyptic Life Era (PALE 0 2020), https://2ec6cbba-6f09-466b-8623-4b303dfd3785.filesusr.com/ugd/ff9281_ff4c919c684545798f5bdacb1352e8e0.pdf

¹³⁵ აშშ-ს მეცნიერების ეროვნული ფონდის მონაცემები და ინტეგრირებული Postsecondary განათლების მონაცემთა სისტემა, (2015). <https://www.nsf.gov/statistics/2015/nsf15321/pdf/tab11.pdf>

05.0101 აფრიკული კვლევები
05.0102 ამერიკის / შეერთებული შტატების კვლევები / ცივილიზაცია
05.0103 აზიის კვლევები / ცივილიზაცია
05.0104 აღმოსავლეთ აზიის კვლევები
05.0105 ცენტრალური / შუა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევები
662 დემოგრაფია / მოსახლეობის კვლევები
05.0106 ევროპული კვლევები / ცივილიზაცია
05.0107 ლათინური ამერიკის კვლევები
05.0108 ახლო და შუა აღმოსავლეთის კვლევები
05.0109 Pacific Area / Pacific Rim Studies
05.0110 რუსეთის კვლევები
05.0111 სკანდინავიის კვლევები
05.0112 სამხრეთ აზიის კვლევები
05.0113 სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევები
05.0114 დასავლეთ ევროპული კვლევები
05.0115 კანადური კვლევები
05.0116 ბალკანოლოგია
05.0117 ბალტიის კვლევები
05.0118 სლავოლოგია
05.0119 კარიბის კვლევები
05.0120 ურალ-ალთაური და ცენტრალური აზიის კვლევები
05.0121 თანამეგობრობის კვლევები
05.0122 რეგიონალური კვლევები (აშშ, კანადური, უცხოური)
05.0123 ჩინოლოგია
05.0124 ფრანგულმცოდნეობა
05.0125 გერმანისტიკა
05.0126 იტალიის კვლევები
05.0127 იაპონიის კვლევები
05.0128 კორეისტიკა
05.0129 პოლონეთის კვლევები

05.0130 ესპანური და იბერიული კვლევები

05.0131 ტიბეტური კვლევები

05.0132 უკრაინის კვლევები

05.0199 ტერიტორიის შესწავლა, სხვა

05.0201 წლის აფრო-ამერიკული / შავკვლევები

05.0202 ამერიკელი ინდოელი / მშობლიური ამერიკული კვლევები

05.0203 ესპანური-ამერიკელი, პურტო – რიკოელი და მექსიკურ – ამერიკული / ჩიკანოს კვლევები

05.0204 ისლამური კვლევები

სამწუხაროა, რომ არც საქართველო, არც კავკასია, არც შავი ზღვა არც კასპიის ზღვის რეგიონული კვლევები აშშ-ს (ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის) კვლევების და განათლების სტრატეგიაში არანაირად არ არის წარმოდგენილი. ეს ერთი მხრივ არის შედეგი მათი მცირე ინტერესის, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს დიპლომატიური კორპუსის, ქართული დიასპორის და განათლების ბლოკის საერთაშორისო პოლიტიკის სისუსტის მაჩვენებელი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ განათლების და მეცნიერების პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკური კვლევების განუყოფელ და ფუნდამენტურ ნაწილს და ეს უნდა მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი საქართველოს ახალ დოკუმენტში.

სამაგიეროდ ძალიან თვალშისაცემია რომ გარდა „რუსეთის კვლევების“ ცალკე გამოყოფილია - „ურალ-ალტაის კვლევები“. თვალში გვხვდება, რომ გამოკვეთილია ინტერესი ისლამის კვლევებთან მიმართებაში, ხოლო სხვა რელიგიური მიმართულებები წარმოდგენილი არაა.

არაა სისტემატიზირებული და კლასიფიცირებული - **ქვეყანათმცოდნეობა; რეგიონმცოდნეობა; კონტინენტმცოდნეობა** და ა.შ. ასეთი არეული მოდელი საქართველოს ნამდვილად ვერ გამოადგება.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მნიშვნელობის სახელმწიფოსთან მიმართებაში გააქტიურდეს როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური დიპლომატიური არხების მოქმედება. განსაკუთრებით ეს ეხება აკადემიური, სამეცნიერო, საუნივერსიტეტო დიპლომატიის მიმართულებებს.

ამ თვალსაზრისით იქნება მეტად მნიშვნელოვანი **საქართველო-აშშ ყოველწლიური კონფერენციის** ორგანიზება. საინტერესო იქნებოდა - აშშ-ს პოლიტიკის მეცნიერებების სკოლის ქართველი წარმომადგენლების აქტიურობა.

რაც შეეხება აშშ-ს ცალკეულ უნივერსიტეტებს, მაგალითად, **პიტსბურგის უნივერსიტეტს**¹³⁶ (აშშ) პოლიტიკის მეცნიერებების დეპარტამენტის სტრუქტურა გამოიყურება ასე:

- ამერიკის პოლიტიკის სუბველები (ქვემიმართულებები)

¹³⁶ <https://www.polisci.pitt.edu/fields-study>

- შედარებითი პოლიტიკა (განსაკუთრებით ძლიერია ლათინოამერიკული და ევროპული კვლევების ქვემომართულებები)
- პოლიტიკის თეორია
- მსოფლიოს პოლიტიკა

ასევე ორი დამატებითი მიმართულებაა:

- სოციალური მასების პოლიტიკური ბიხევიორიზმი
- პოლიტიკური მეთოდოლოგია

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „შედარებითი პოლიტიკა“ და „პოლიტიკური მეთოდოლოგია“ აქ არის მკაფიოდ გამოყოფილი, რაც საქართველოს დარგობრივი კლასიფიკატორისთვისაც მეტად სასარგებლო იქნებოდა.

არაა გამოკვეთილი პოლიტიკური ფსიქოლოგია, მაგრამ არის მისი ერთ-ერთი „ქვემომართულება“ - „სოციალური მასების პოლიტიკური ბიხევიორიზმი“.

აშშ-ს სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტში¹³⁷ წარმოდგენილია საინტერესო მიდგომა. პოლიტიკის სპეციალობის ბაკალავრიატზე სტუდენტებს ამზადებენ იმ მიზნით, რომ შემდგომში გააგრძელონ სწავლა:

- **იურიდიული მიმართულებით** და დასაქმდნენ - იურისტებად, ბიზნესმენებად, სახელმწიფო მოხელეებად და სხვა მიმართულებებით.
- **საერთაშორისო ურთიერთობების** სპეციალიზაციით, რათა გააგრძელონ კარიერა დიპლომატიის სფეროში, იმუშაონ საგარეო საქმეთა სამინისტროში და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

როგორც ვხედავთ აქ ნათლად არის გაყოფილი საშინაო და საგარეო განზომილებები თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბიზნესის მიმართულებით შესაძლებელია იყოს განხილული ორივე განზომილება. სამწუხაროდ, არასახელმწიფოებრივი სექტორი აქაც არ ჩანს გამოკვეთილად და ალბათ ნაწილდება ამ ორ მიმართულებაში.

თვითონ მართვის პრინციპია საინტერესო. საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო განათლების კონკრეტულ მიმართულებებს, რაც რათქმა უნდა ეყრდნობა გააზრებულ დაგეგმარებას.

ახალ მეხიკოს უნივერსიტეტის (აშშ)¹³⁸ ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ არის დადგენილი შემდეგი კლასიფიკაციები:

პოლიტიკის მეცნიერებები და მართველობა

1472

- შედარებითი მართველობა (Comparative Government)
- მართველობა (Government)
- სამართლებრივი სისტემები (legal Systems)

¹³⁷ <https://cola.siu.edu/politicalscience/undergraduate/specializations/>

¹³⁸ NSF Codes for Classifications for Research (Source: National Science Foundation <https://osp.unm.edu/pi-resources/nsf-research-classifications.html>)

- პოლიტიკური ეკონომია (Political Economy)
- პოლიტიკური მეცნიერება (Political Science)
- პოლიტიკის თეორია (Political Theory)

როგორც ვხედავთ, ეს ჰგავს კანადის მოდელს, მაგრამ თანმიმდევრობა გვაჩვენებს, რომ ყურადღება არის გამახვილებული „პოლიტიკურ ეკონომიკაზე (პოლიტეკონომია)“ რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში ინტერდისციპლინურ ბლოკში შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი.

პოლიტიკის თეორია არის ბოლო ბლოკში რაც გვაჩვენებს დამოკიდებულებას თეორიის და პრაქტიკის მიმართ. ანუ მოდელი საინტერესოა, მაგრამ საკმაოდ ქაოტური.

„პოლიტიკური მეცნიერება“ არის ცალკე გამოყოფილი, რაც ასევე ქმნის კოგნიტური ხასიათის გაურკვევლობებს.

ფინეთში¹³⁹ საინტერესოაა წარმოდგენილი ამ პოლიტიკის მეცნიერების კვლევითი ველები

611 პოლიტიკის მეცნიერებები

6111 სახელმწიფო ადმინისტრირება

6112 საერთაშორისო ურთიერთობები

6113 პოლიტოლოგია

როგორც ვხედავთ - **პოლიტოლოგია წარმოდგენილია როგორც პოლიტიკური მეცნიერებების ქვემომართულება.**

პოლიტიკურ მეცნიერებათა მუდმივმოქმედი სასწავლო და სამეცნიერო პერსონალი ყურადღებას ამახვილებს კვლევის თემებზე, მათ შორის შემდეგზე¹⁴⁰:

- პოლიტიკური მონაწილეობა და ამომრჩეველთა ქცევა
- პოლიტიკისა და მმართველობის ინსტიტუტები
- დემოკრატია და თანასწორობა
- საჯარო პოლიტიკა და მათი ინსტრუმენტები, შედეგები და შეფასება
- ეროვნული და გლობალური სამოქალაქო მოძრაობები და ორგანიზაციები
- Genderi და პოლიტიკა
- პოლიტიკური კომუნიკაცია
- გლობალური პოლიტიკური ეკონომიკა
- მსოფლიო პოლიტიკის თეორია

როგორც ვხედავთ აქ თანაბარი რანგითაა წარმოდგენილი პოლიტიკური მეცნიერება; საჯარო ადმინისტრირება და სერთაშორისო ურთიერთობები. ამით განსხვავდება ეს მოდელი კანადურისგან. მაგრამ კანადურში საერთაშორისო ურთიერთობები ფაქტობრივად გადანაწილებულია პოლიტიკურ მეცნიერებებზე და პოლიტიკურ ადმინისტრირებაზე, რაც უფრო მისაღებია საქართველოსთვის.

¹³⁹ Research field classification, https://www.aka.fi/tutkimusalaluokitus_en

¹⁴⁰ <https://www.helsinki.fi/en/faculty-of-social-sciences/research/disciplines-and-research/political-science>

ფინურ მოდელშიც პოლიტოლოგია ცალკე არის წარმოდგენილი რაც ასევე აჩენს კითხვებს. სახელდობრ - რითი განსხვავდება „პოლიტიკის მეცნიერებები“ „პოლიტოლოგიისგან“? თუ ერთი და იგივეა - რატომ მეორდება? თუ ერთი და იგივე არ არის რითი განსხვავდება და როგორ ავსებს ერთი მეორეს? თუ ერთი მეორეს ნაწილია, მაშინ როგორია მათ შორის დამოკიდებულება? ეს პრობლემა როგორც ხედავთ საერთაშორისო ხასიათისაა და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თუ რომელ სტრატეგიას მიჰყვება ამ საკითხთან მიმართებაში. ამ გაურკვევლობის შემცირებისთვის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის და პოლიტიკური კვლევების ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა შესაბამისი კვლევითი ჯგუფი, რომელმაც დააყენა ეს საკითხი **პოლიტიკის მეცნიერებების საერთაშორისო ასოციაციის** (International Political Science Association)¹⁴¹ დღის წესრიგშიც, გამომდინარე იქედან, რომ იგი საერთაშორისო განზომილების პრობლემას წარმოადგენს.

სლოვენიაში პოლიტიკის მეცნიერებები შეიცავენ შემდეგ მიმართულებებს და მათი ეროვნული დიზაინი ამ თვალსაზრისით არის საკმაოდ ორიგინალური:¹⁴²

5.06 Political science პოლიტიკის მეცნიერება

5.06.01 Politology (პოლიტოლოგია)

5.06.02 International relations (საერთაშორისო ურთიერთობები)

5.06.03 Communication science (კომუნიკაციის მეცნიერებები)

5.06.04 Defence science (თავდაცვის მეცნიერებები)

„პოლიტოლოგია“ ისევ ექვემდებარება „პოლიტიკის მეცნიერებას“, „საერთაშორისო ურთიერთობები“ არის ცალკე გამოყოფილი და მათთან ერთ რანგში ჩნდება „კომუნიკაციების მეცნიერებები“ და „თავდაცვის მეცნიერებები“.

მნიშვნელოვანია, რომ „კომუნიკაციებს“ სლოვენელები განსაკუთრებით ყურადღებას ანიჭებენ. საქართველოსთვის ეს უდაოდ არის გასათვალისწინებელი და უნდა მოინახოს ფორმა ამ მიმართულების ჩართვის ეროვნულ სტრატეგიაში. მაგრამ, ამავე დროს შესაძლებელია, რომ იყოს დაზუსტებული, რომ საკითხი შეეხება „პოლიტიკურ კომუნიკაციებს“.

მეტად მნიშვნელოვანია „თავდაცვის კვლევების“ ბლოკი. საქართველოსთვის ეს ფუნდამენტური პრობლემაა და ამაზე კვლევები რეალურად არ მიმდინარეობს.

საქართველოს მოდელისთვის იქნებოდა უკეთესი რომ ყოფილიყო გამოკვეთილი ასევე „პოლიტიკური უშიშროების კვლევები“ - როგორც ცალკე ქვემიმართულება.

¹⁴¹ International Political Science Association, <https://www.ipsa.org/>

¹⁴² <https://www.arrs.si/en/gradivo/sifranti/sif-vpp.asp>

ძალიან ორიგინალური და საინტერესოა ბელორუსის სისტემა, რომელშიც არა მხოლოდ განხილულია კომუნიკაციების მიმართულება, არამედ მას დაექვემდებარა პოლიტიკის მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულება და მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობები.

23.01 კომუნიკაციები

23.01.01 - საერთაშორისო ურთიერთობები

23.01.01.01 - საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია

23.01.01.02 - საერთაშორისო ორგანიზაციები

23.01.01.03 - საერთაშორისო კავშირების ორგანიზება

23.01.01.04 - საერთაშორისო და ევროპული ინტეგრაცია

23.01.01.05 - საერთაშორისო ურთიერთობები სამხედრო სფეროში

23.01.02 - კულტურათაშორისი კომუნიკაციების ლინგვისტური უზრუნველყოფა (მიმართულებების მიხედვით)

23.01.02.01 - კულტურათაშორისი კომუნიკაციების ლინგვისტური უზრუნველყოფა (საინფორმაციო მომსახურება)

23.01.02-01.01 - კომპიუტერული რეკლამა

23.01.02-01.02 - ტექსტების ანალიტიკური დამუშავება

23.01.02-01.03. - ელექტრონული კომუნიკაციების სისტემები

23.01.02-02 - კულტურათაშორისი კომუნიკაციების ლინგვისტური უზრუნველყოფა (საერთაშორისო ტურიზმი)

23.01.02.01 საინფორმაციო-ანალიტიკური მოღვაწეობა

23.01.02-02.02 - ექსკურსიამძღოლობა

23.01.02-03 - კულტურათაშორისი კომუნიკაციების ლინგვისტური უზრუნველყოფა (საზოგადოებასთან ურთიერთობა)

23.01.02-03.01 - საინფორმაციო-ანალიტიკური მოღვაწეობა

23.01.02-03.02 - კომუნიკაციური ტექნოლოგიები

23.01.02-03.03 - სარეკლამო საქმე

23.01.02-03.04 - იმიჯის ფორმირება

23.01.02-04 - კულტურათაშორისი კომუნიკაციების ლინგვისტური უზრუნველყოფა (საგარეოპოლიტიკური ურთიერთობები)

23.01.02-04.01 - საინფორმაციო-ანალიტიკური მოღვაწეობა

23.01.02-04.02 - ურთიერთობების ტექნოლოგიები

23.01.02-04.03 -პოლიტიკური სტილისტიკა

23.01.02-04 - კულტურათაშორისი კომუნიკაციების ლინგვისტური უზრუნველყოფა
(საგარეოეკონომიკური ურთიერთობები)

23.01.02-05.01 საინფორმაციო-ანალიტიკური მიღვაწეობა

23.01.02-05.02 ბიზნესის კომუნიკატიური ტექნოლოგიები

23.01.03 - ლინგვოქვეყანადმცოდნეობა

23.01.03.01 - ახლო და საშუალო აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკა

23.01.03.02 - ახლო და საშუალო აღმოსავლეთის ლინგვოქვეყანადმცოდნეობა

23.01.03.03 - შორეული აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკა

23.01.03.04 - შორეული აღმოსავლეთის ლინგვოქვეყანადმცოდნეობა

23.01.04 - ფსიქოლოგია (აქ არ გავაკეთებთ ჩამონათვალს უბრალოდ ავღნიშნავთ რომ

პოლიტიკური ფსიქოლოგია და სამხედრო ფსიქოლოგია არაა წარმოდგენილი)

23.01.05 - სოციოლოგია. (აქ სხვა სოციოლოგიის მიმართულებებთან ერთად არის წარმოდგენილი - „პოლიტიკური სოციოლოგია“, „სამხედრო სოციოლოგია“, „რელიგიის სოციოლოგია“, „რეგიონული სოციოლოგია“ და ა.შ.)

23.01.06 - პოლიტოლოგია (მიმართულებების მიხედვით)

23.01 06-01 - პოლიტოლოგია (პოლიტიკურ-სამართლებრივი მიქმედებები)

23.01 06-01 01 - პოლიტიკური ძალაუფლება და პოლიტიკური სისტემები

23.01 06-01 02 - სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, ორგანოები, ინსტიტუტები

23.01 06-01 03 - პოლიტიკა და სახელმწიფო მართველობა

23.01 06-01 04 - საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები

23.01.06-02 - ალბათ ამოკვეთილია

23.01.06-3 - პოლიტოლოგია (პოლიტიკური მენეჯმენტი)

23.01.07 ინფორმაცია და კომუნიკაციები (გაშლილი არაა)

23.01.08 ჟურნალისტიკა (წარმოდგენილია მიმართულებების მიხედვით, მათ შორის

დიდ ინტერესს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ეს მოდელი მორგებულია ავტორიტარული მართველობის სისტემას და მოითხოვს გარკვეულ დემოკრატიზაციას და ტრანსპარენტულობის ხარისხის ზრდას განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორცაა - უშიშროების პოლიტიკა.

გერმანიაში, მათი დისციპლინის მაღალი კულტურის დონიდან გამომდინარე, მათი მოდელი არის უფრო მეცნიერული თვალსაზრისით დახვეწილი. ასეა წარმოდგენილი მათთან სოციალური მეცნიერებები.¹⁴³

- სოციოლოგიური თეორიები
- ემპირიული სოციალური კვლევები
- კომუნიკაციის მეცნიერებები
- პოლიტიკის მეცნიერებები

თვით სოციალური მეცნიერებები შედის - სოციალური და ბიხევიორისტული კვლევების სისტემაში, რომელიცაა სოციალური და ემპირიული კვლევების დისციპლინის ქვეკომპონენტი.

გერმანიის ფედერალური სტატისტიკის ოფისის მიერ გამოყენებული სწავლებისა და კვლევის დარგებისა და საგნების კლასიფიკაციის სისტემაში საინტერესოაა წარმოდგენილი - რეგიონული კვლევები¹⁴⁴

- აფრიკა
- ლათინო ამერიკა
- ახლო და შუა აღმოსავლეთი
- ჩრდილოეთ ამერიკა
- ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპა
- აღმოსავლეთ აზია
- აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა
- სამხრეთ აზია
- სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ოკეანეთი

აქ დიდ ინტერესს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გერმანიის ინტერესების სფერო არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაა, არამედ - „სამხრეთ - აღმოსავლეთი ევროპაცაა“. საქართველოსთვის ეს უნდა იყოს მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ კავკასია (გარკვეულ კვლევებში) წარმოადგენს ამ რეგიონის ნაწილს. საქართველოს ასევე უნდა ჰქონდეს გეოგრაფიული სივრცეების თავისი საკუთარი აღქმა. ეს განაპირობებს ეროვნულ პოლიტიკურ მენტალობას და კულტურას.

ორიგინალურად გამოიყურება „პოლიტიკური მეცნიერება“

- პოლიტიკური მეცნიერება (ზოგადი)
- საერთაშორისო პოლიტიკა,
- საერთაშორისო ურთიერთობები

¹⁴³ DFG Classification of Scientific Disciplines, Research Areas, Review Boards and Subject Areas (2016-2019) https://www.dfg.de/download/pdf/dfg_im_profil/gremien/fachkollegien/amtsperiode_2016_2019/fachsystematik_2016-2019_en_grafik.pdf

¹⁴⁴ Classification system of teaching and research fields and subject areas used by the Federal Statistical Office https://www.dfg.de/download/pdf/dfg_im_profil/zahlen_fakten/programm_evaluation/faechersystematik_stabu_en.pdf

- პოლიტიკური განათლება

დიდ ინტერესს წარმოადგენს აქ „პოლიტიკური განათლება“, რომელიც სხვაგან არ გვხდება და მეტად საინტერესო შეიძლება იყოს საქართველოს ახალი დოკუმენტისთვის.

სოციალური მეცნიერება¹⁴⁵:

- სოციალური მეცნიერება (ზოგადი)
- დემოგრაფია
- სოციალური მეცნიერებები
- სოციოლოგია

აქაც ჩნდება გარკვეული კითხვები დეფინიციების განმარტებებთან მიმართებაში.

ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში¹⁴⁶ პოლიტიკის მეცნიერებები არის წარმოდგენილი შემდეგნაირად:

- ავსტრალიის მართვის პოლიტიკა
- მოქალაქეობა
- მართვის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი
- უშიშროების კვლევები
- გარემოსდაცვითი პოლიტიკა
- აზიისა და წყნარი ოკეანის მართვის პოლიტიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ახალი ზელანდიის მართვის პოლიტიკა
- პოლიტიკური თეორია და პოლიტიკური ფილოსოფია
- პოლიტიკის მეცნიერების სხვა კლასიფიკაციები

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი საკამოდ ქაოტურია, აქ არის საინტერესო შემდეგი რამ.

1. გათვალისწინებულია საერთაშორისო პოლიტიკის სამეზობლო რეგიონული პოლიტიკა, ანუ კარგად აცნობიერებენ უშუალო გეოპოლიტიკურ გარემოს. ეს საქართველოს 2019 წლის დოკუმენტში არის პირწმინდათ განადგურებული წინა დოკუმენტებთან შედარებით.
2. ფიგურირებს მოქალაქეობრიობა როგორც კვლევების განსაკუთრებული მიმართულება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, და საქართველოს 2019 წლის ბოლო რედაქციაში ეს მიმართულება არის დაფიქსირებული მაგრამ არაა განმარტებული.
3. წარმოდგენილია პოლიტიკური თეორია და პოლიტიკის ფილოსოფია.

¹⁴⁵ Classification system of teaching and research fields and subject areas used by the FederalStatisticalOffice
https://www.dfg.de/download/pdf/dfg_im_profil/zahlen_fakten/programm_evaluation/faechersystem_atik_stabu_en.pdf

¹⁴⁶ 1297.0 - Australian and New Zealand Standard Research Classification (ANZSRC),
 2008 <https://www.abs.gov.au/ausstats/abs@.nsf/Latestproducts/17DC1A688895C0C1CA257418000538FC?opendocument>

4. უნიკალურია, რომ ეს არის ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ერთობლივი პოლიტიკის დოკუმენტი, რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ კავკასიის რეგიონულ ჩარჩოზე.

5. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო პუნქტში დატოვეს სხვა მიმართულებების დამატების შესაძლებლობა.

იაპონური მოდელი წარმოადგენს - კატეგორიების, სფეროების, დისციპლინების და კვლევის სფეროების ჩამონათვალს¹⁴⁷. პოლიტიკა შედის - სოციალური მეცნიერებებში და მოიცავს ორ კომპონენტს:¹⁴⁸:

- პოლიტიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები

აქაც საინტერესოა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები გამიჯნულია რატომღაც პოლიტიკისგან.

რუსეთი

OKSO - განათლების მიღებისათვის არსებობს სპეციალობების რუსეთის გაერთიანებული კლასიფიკატორი OK 009-2016. მასში შედის განათლების საფეხურების ცალკე გამოყოფილი სტრუქტურა¹⁴⁹

5 საზოგადოებრივი მეცნიერება -

5.41.00.00 პოლიტოლოგია და რეგიონალური კვლევები:

- 5.41.03.01 საგარეო რეგიონული კვლევები 665 0312
- 5.41.03.02 რუსეთის რეგიონალური კვლევები 665 0312
- 5.41.03.03 აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევები 665 0312
- 5.41.03.04 პოლიტოლოგია 665 0312
- 5.41.03.05 საერთაშორისო ურთიერთობები 665 0312
- 5.41.03.06 საჯარო პოლიტიკა და სოციალური მეცნიერებები 665 0312

5.41.04.01 საგარეო რეგიონული კვლევები 767 0312

5.41.04.02 რუსეთის რეგიონალური კვლევები 767 0312

5.41.04.03 აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევები 767 0312

5.41.04.04 პოლიტიკის მეცნიერება 767 0312

¹⁴⁷ List of Categories, Areas, Disciplines and Research Fields, <https://www.jica.go.jp/english/countries/oceania/c8h0vm00009r53xl-att/annex5.pdf>

¹⁴⁸ List of Categories, Areas, Disciplines and Research Fields (1) Grants-in-Aid for Scientific Research FY2015 List of Categories, Areas, Disciplines and Research Fields <https://www.jica.go.jp/english/countries/oceania/c8h0vm00009r53xl-att/annex5.pdf>

¹⁴⁹ ОКСО: 5.41.00.00 — Политические науки и регионоведение, VI Раздел VI. Направления подготовки высшего образования - подготовки кадров высшей квалификации по программам подготовки научно-педагогических кадров в аспирантуре, <https://classifikators.ru/okso/5.41.00.00>

5.41.04.05 საერთაშორისო ურთიერთობები 767 0312

5.41.06.01 პოლიტოლოგია და რეგიონული კვლევები 768 0312

როგორც ვხედავთ, რუსეთში, პოლიტიკის მეცნიერებები განიხილება **საზოგადოებრივი მეცნიერების** კლასტერში, მაგრამ გამოიყენება გამაერთიანებელი ტერმინი - „პოლიტოლოგია და რეგიონალური კვლევები“. მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომ განიხილება როგორც შიდა რეგიონები, ასევე გარე რეგიონების კვლევები. ინტერესს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ მათ დოკუმენტში გამოყენებულია ერთდროულად „პოლიტიკის მეცნიერება“ და „პოლიტოლოგია“.

ჩინეთში ვაფიქსირებთ საკმაოდ საინტერესო ხედვას, რომელიც უნდა იყოს გათვლასწინებული საქართველოს რეალობაშიც. მაგალითად, **ცინჰუას უნივერსიტეტის** (Tsinghua University) სოციალურ მეცნიერებათა სკოლა წარმოდგენილია შემდეგი დეპარტამენტებით და ინსტიტუტებით¹⁵⁰:

- სოციოლოგიის დეპარტამენტი
- პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
- ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
- ეკონომიკის ინსტიტუტი
- სამეცნიერო ტექნოლოგიისა და საზოგადოების ინსტიტუტი

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აქ „სამეცნიერო ტექნოლოგიების“ ფაქტორის გათვლასწინება.

პეკინის (Peking University) სოციალურ მეცნიერებათა განყოფილება¹⁵¹

- საერთაშორისო კვლევების სკოლა
- მთავრობის სკოლა
- სამართლის სკოლა
- მარქსიზმის სკოლა
- ახალი მედიის სკოლა
- ინფორმაციის მართვის დეპარტამენტი
- განათლების სამაგისტრო სკოლა
- სოციოლოგიის დეპარტამენტი
- ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციის სკოლა
- ფიზიკური აღზრდის დეპარტამენტი

¹⁵⁰ https://www.tsinghua.edu.cn/en/index/Schools___Departments.htm

¹⁵¹ <http://english.pku.edu.cn/academics.shtml>

ჩინურ პოლიტიკურ მენტალობაში დომინირებს მარქსისტული იდეოლოგია. იქნება სასარგებლო, რომ საქართველოს მომავალ სტრატეგიულ დოკუმენტში თანაბრად ფიგურირებდეს იდეოლოგიების კვლევების მიმართულება.

შანხაის პოლიტიკურ მეცნიერებათა და სამართლის უნივერსიტეტის (Shanghai University of Political Science and Law)¹⁵² საბაკალავრო პროგრამას აქვს ასეთი დიზაინი.

- საერთაშორისო პოლიტიკა
- საერთაშორისო ეკონომიკა და ვაჭრობა
- ჩინური ენის სწავლება სხვა ენების მოსაუბრეებისთვის
- სამართლის მეცნიერება
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ეკონომიკა და ფინანსები
- მაუწყებლისა და ტელევიზიის დირექტორი (სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი)
- მაუწყებლობისა და ტელევიზიის დირექტორი (ფოტოგრაფია და კამერის გადაღება)

სამაგისტრო პროგრამას კი ასეთი:

- საერთაშორისო ბიზნესი
- საერთაშორისო პოლიტიკა და საერთაშორისო კანონის უზენაესობა
 - საერთაშორისო სამართალი
 - სამართლის თეორია
 - ეკონომიკური სამართალი
 - კანონი გარემოს დაცვისა და რესურსების დაცვის შესახებ

მნიშვნელოვანია რომ საქართველომ გაითვალისწინოთ ჩინური მოდელის კონცენტრაცია ეკონომიკასა და ბიზნესის მიმართულებით. ასევე საინტერესოა პოლიტიკური „მას-მედიის ბლოკი“, როგორც სააგიტაციო-პროპაგანდისტული ინსტრუმენტი. როგორც ვხედავთ, ჩინური სისტემა საკმაოდ პრაგმატულია, და შესაძლებელია მისი გამოცდილების გამოყენება. მაგალითად მნიშვნელოვანია იდეოლოგიური კომპონენტის ინტეგრაცია საქართველოს მომავალ კლასიფიკატორში. ასევე საქართველოსთვის აუცილებელია, რომ ლინგვისტური უმცირესობების განათლების ოპტიმალური მოდელის შექმნა და სახელმწიფო ენის სწავლება.

თურქეთში ანკარის უნივერსიტეტის (Ankara university) პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი წარმოდგენილია შემდეგი დეპარტამენტებით:

- შრომის ეკონომიკა და ინდუსტრიული ურთიერთობები

¹⁵² <http://shupl.admissions.cn/course>

- ეკონომია
- ბიზნესი
- ფინანსები
- პოლიტიკა და ეკონომიკა
- პოლიტიკური მეცნიერებების და საჯარო ადმინისტრირება
- საერთაშორისო ურთიერთობები

პოლიტიკური მეცნიერებისა და საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის განყოფილებები და ამ დეპარტამენტებთან არსებული მეცნიერების ფილიალები კი შემდეგია:

მენეჯმენტის მეცნიერებები

- პერსონალის მენეჯმენტი
- მენეჯმენტის ფსიქოლოგია
- საჯარო ადმინისტრაცია

იურიდიული მეცნიერებები

- სამოქალაქო სამართალი და ვალდებულებების სამართალი
- კერძო სახელმწიფოთა სამართალი
- ადმინისტრაციული სამართლის
- სისხლის სამართალი
- ადამიანის უფლებები

პოლიტიკა და სოციალური მეცნიერებები

- კონსტიტუცია
- პოლიტიკური ქცევა
- პოლიტიკური თეორია
- სოციოლოგია
- თურქეთის პოლიტიკური ისტორია

ქალაქის, გარემოს დაცვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა

- ურბანული პოლიტიკა

გარემოსდაცვითი პოლიტიკა

- შედარებითი პოლიტიკა
- გენდერული კვლევები

განყოფილებას, რომელიც ასევე წარმოადგენს ანკარის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პოლიტიკურ მეცნიერებათა და საზოგადოებრივ მმართველობას,

აქვს შემდეგი სამაგისტრო პროგრამები მაგისტრის დონეზე დისერტაციის, მაგისტრის დისერტაციის გარეშე, სადოქტორო და ინტეგრირებული დოქტორის დონეზე:

- მაგისტრი პოლიტიკაში
- პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი
- მენეჯმენტის მეცნიერებათა მაგისტრი
- დოქტორის ხარისხი მენეჯმენტის მეცნიერებებში
- ქალაქისა და გარემოს დაცვის მეცნიერებათა მაგისტრი
- დოქტორის ხარისხი ურბანულ და გარემოს დაცვის მეცნიერებებში

გალათასარაის უნივერსიტეტის¹⁵³ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
- ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი
- ეკონომიკის დეპარტამენტი
- პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

გირესუნის უნივერსიტეტი¹⁵⁴ კი ფიგურირებს - ეკონომიკისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განყოფილებებია:

- ეკონომიკა
- ბიზნესი
- საერთაშორისო ურთიერთობები
- პოლიტოლოგია და საჯარო ადმინისტრირება
- ეკონომეტრიკა
- ფინანსები

დეპარტამენტი პოლიტოლოგია და სახელმწიფო მმართველობა

- ურბანიზაცია და გარემოსდაცვითი კვლევები
- პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებები
- მენეჯმენტის მეცნიერება
- იურიდიული მეცნიერება

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

- პოლიტიკური ისტორია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საერთაშორისო სამართალი

თურქეთის გამოცდილება საქართველოსთვის არის საინტერესო იმით, რომ წარმოდგენილია საკმაოდ მარტივი და პრაგმატული სქემა. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს - „ადამიანის

¹⁵³ <https://gsu.edu.tr/en/academic/faculty-members-research-assistants/faculties>

¹⁵⁴ <http://iibf.giresun.edu.tr/tr/page/tarihce/3791#>

უფლებების“, „გენდერის“, „ურბანიზაციის და გარემოსდაცვის“, „კონსტიტუციის“, „პოლიტიკური ქცევის“, „თურქეთის პოლიტიკური ისტორიის“ მიმართულებები.

სომხეთში საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა დაარსდა 1990 წელს და შეინარჩუნა ეს სტატუსი 1998 წლამდე (1990 წ. - აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ხოლო 1991 - 1992 სასწავლო წლიდან - ისტორიის ფაკულტეტზე). 1993 წელს გაიხსნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და ისტორიის კათედრა საგანმანათლებლო პროექტების შესაქმნელად და პროცესის ორგანიზების მიზნით, რომელსაც შემდეგ ეწოდა **საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის კათედრა**. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ფაკულტეტი ჩამოყალიბდა 1998 წლის 16 სექტემბერს, საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის საფუძველზე. **პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრა**, რომელიც იმ დროს ფილოსოფიის ფაკულტეტის სტრუქტურაში ფუნქციონირებდა, შეუერთდა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს. ამ ფაკულტეტის სტრუქტურაში ამჟამად ფუნქციონირებს სამი განყოფილება: **საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია და საზოგადოებრივი მენეჯმენტი**. ეს ფაკულტეტი ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს დიპლომატიური სამსახურის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რესპუბლიკის სამთავრობო ორგანოების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების ანალიტიკური და კვლევითი განყოფილებებისათვის. ფაკულტეტი შედგება შემდეგი კათედრებისაგან¹⁵⁵:

- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის კათედრა,
- დიპლომატიური სამსახურისა და კომუნიკაციის კათედრა
- პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პროცესების კათედრა
- პოლიტიკურ მეცნიერებათა თეორიისა და ისტორიის კათედრა,
- საზოგადოებრივი მენეჯმენტის კათედრა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საზოგადოების მართვის“ გამოყოფა როგორც ცალკე მიმართულების. ასევე „პოლიტიკის ისტორიის კვლევები“. სომხეთს ახასიათებს მინიმალური დეკლარირება და არადეკლარირებული პოლიტიკის ეფექტიანი წარმოება განსაკუთრებით დიასპორალური პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების და პოლიტიკური ლობიზმის მიმართულებით.

აზერბაიჯანის ხაზარის უნივერსიტეტში, პოლიტოლოგია წარპადგენილია როგორც **ჰუმანიტარულ, საგანმანათლებლო და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის**¹⁵⁶, „პოლიტოლოგიის და ფილოსოფიის“ მიმართულებაში ისეთ მიმართულებებთან ერთად, როგორცაა:

- ენები და ლიტერატურა

¹⁵⁵ <http://ysu.am/faculties/en/International-Relations/section/about>

¹⁵⁶ <http://khazar.org/en/item/19>

- ინგლისური ენა და ლიტერატურა
- მუსიკა და სახვითი ხელოვნება
- ფსიქოლოგია
- ისტორია და არქეოლოგია
- განათლება

მასში გაერთიანებულია შემდეგი პროგრამები:

- პოლიტოლოგია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ტერიტორიის შესწავლა (ევროპა)

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და ეკონომიკის ფაკულტეტზე ექვსი დეპარტამენტი¹⁵⁷:

- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
- მსოფლიო ეკონომიკის დეპარტამენტი
- დიპლომატიის დეპარტამენტი და თანამედროვე ინტეგრაციული პროცესები
- ეკონომიკისა და მენეჯმენტის დეპარტამენტი
- მათემატიკური ეკონომიკის განყოფილება
- პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის განყოფილება

აზერბაიჯანის გამოცდილებიდან განსაკუთრებულ ინტერესს შეიძლება წარმოადგენდეს „**ინტეგრაციული პროცესების**“ მიმართულების გამოყენება. საქართველოსგან განსხვავებით, აქ არარის ევროპოცენტრიზმის პრობლემა და ისინი ცდილობენ სხვადასხვა პროცესების თანაბარ შესწავლას. შესაძლებელია ინტეგრაციული პროცესების კვლევებთან ერთად საქართველოს დარგობრივ კლასიფიკატორში წარმოვადგინოთ დეზინტეგრაციული პროცესებიც. როგორც ვხედავთ ორივე ეს კომპონენტი წარმოადგენს პოლიტიკური პროცესების კვლევების ქვემიმართულებებს. მნიშვნელოვანია, რომ იყოს გამოკვეტილი შესაბამისი იდეოლოგიური მიმდინარეობები - უნიონიზმი, სეცესიონიზმი, სეპარატიზმი და ირედენტიზმი.¹⁵⁸

¹⁵⁷ http://iril.bsu.edu.az/en/content/text_about_departments_471#.X9Cxx9gzbiU

¹⁵⁸ რუსეცი ა., სეცესიონისტები და უნიონისტები საქართველოში: გზა საზოგადოებებსშორისი დიალოგიდანეროვნულ შეთანხმებამდე. 2007; რუსეცი ა., ფსევდო-კონფლიქტები და კვაზისამშვიდობო პროცესები კავკასიაში, 2009

თავი IV

4.1 მეცნიერების განვითარების გენეზისი და პარადიგმები

სამეცნიერო დისკურსში არსებობს კრიტიკული აზრი იმის თაობაზე, რომ მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა (არისტოტელედან - დღემდე), პოლიტიკური მეცნიერება ჯერ კიდევ პერმანენტული განვითარების და ჩამოყალიბების გზაზე დგას.

მეცნიერების ისტორიის სპეციალისტის - **ტომას კუნის (აშშ) წიგნი - „სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა“** წარმოადგენს ნაშრომს, რომელშიც ჩამოყალიბებულია მეცნიერების განვითარების მისესული ხედვა. ტ.კუნის აზრით არსებობს „ნორმალური მეცნიერება“, რომელიც კონკრეტული კვლევის დროს ეყრდნობა მანამდე არსებულ ცოდნას და ცდილობს *რთული ამოცანების* მოგვარებას. მაგრამ, მისი აზრით, როდესაც ჩნდება „ანომალია“, ანუ ამოუხსნელი ამოცანა, მაშინ ჩნდება ალტერნატიული თეორიების სიმრავლე და ურთიერთსაწინააღმდეგო სკოლები. ამ დაპირისპირების შედეგად „ნორმალური მეცნიერება“ უახლოვდება კრიზისს.¹⁵⁹

ტ.კუნის ამ მოსაზრებებს რომ დავეყრდნოთ, პოლიტოლოგიაში არსებული „ანომალიები“ დღეს წარმოდგენილია არა მხოლოდ გარე სამყაროში არსებული პრობლემებით, არამედ მეცნიერების შიგნით შექმნილი იმ ვითარებით, რომელიც გამოწვეულია მეცნიერების ამ დარგის მართვის პრობლემებით. ამის დასტური კი თვით მეცნიერების სახელწოდებასთან - მთავარ ბრენდთან და მის სტრუქტურასთან მიმართებაში არსებული გაურკვევლობების სიმრავლეა.

პოლიტიკის მეცნიერებების პრობლემატიკა შეიძლება იყოს განხილული როგორც საერთაშორისო, ასევე ლოკალურ- ნაციონალურ დონეზე.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ჯერ კიდევ 1948 წელს UNESCO-ს მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კოლოკვიუმის შედეგად შექმნილ სარეკომენდაციო დოკუმენტში, მონაწილე ქვეყნებს ურჩიეს რომ შეეტანათ „პოლიტიკის მეცნიერება“¹⁶⁰ უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ფაქტობრივად ნიშნავდა მეცნიერების საერთაშორისო აღიარებას.¹⁶¹

¹⁵⁹ Кун Т. Структура научных революций / Пер. с англ. И. З. Налетова; Общ. ред. и послесл. С. Р. Микулинского и Л. А. Марковой. — 2-е изд. — М.: Прогресс, 1977. — 300 с. — (Логика и методология науки).

¹⁶⁰ History - Prologue: Political Science, a Postwar Product (1947-1949) <https://www.ipso.org/history/prologue#4>

¹⁶¹ Ebenstein, W. (1948). Toward International Collaboration in Political Science: A Report on the UNESCO Project, "Methods in Political Science". American Political Science Review, 42(6), 1181-1189. doi:10.2307/1950621

ჩვენი აზრით - „ნორმალური მეცნიერების“ სინონიმად შესაძლებელია ჩავთვალოთ ტერმინი - „საბაზისო მეცნიერება“. ხოლო „ანომალიების“ შედეგად ჩვენ ვღებულობთ ახალი რანგის რთულ - „კომპლექსურ სისტემას“, რომელსაც შესაძლებელია დავარქვათ **მეტამეცნიერება**. ანუ - „პოლიტიკის მეტამეცნიერება“ ან „მეტაპოლიტოლოგია“.

4.2 მეტაპოლიტოლოგიის მორფოლოგია

კვლევამ დაგვიდასტურა, რომ ტერმინი „პოლიტოლოგია“ სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება როგორც „პოლიტიკის მეცნიერების“ ან „პოლიტიკის მეცნიერებების“ იდენტური ტერმინი; ან როგორც მათი სუბსისტემა; ან როგორც მათი ზესისტემა. ასეთი დამოკიდებულება ქმნის გაურკვევლობის მაღალ ხარისხს.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები ატარებენ **მორფოლოგიურ** ხასიათს რის შედეგადაც ჩვენ უნდა ვაღიაროთ ამ მეცნიერებების კომპლექსური სისტემის **ამორფული** მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს მისი სტრუქტურის „საბოლოო“ ჩამოყალიბებას.

უპირველესყოვლისა, ამ პრობლემის მოგვარებისთვის აუცილებელია, რომ ჩვენ გამოვიყენოთ მეცნიერებათმცოდნეობა, კონკრეტულად კი - **პოლიტიკის მეცნიერებათმცოდნეობა**. მისი მეშვეობით, ჩვენ უნდა მოვახდინოთ არსებული შეხედულებების **ანალიზი**, ანუ - ამორფული სისტემის კომპონენტების დადგენა და ამის შემდეგ - ახალი **დიზაინის** შექმნა და მასში ამ კომპონენტების ინტეგრირება.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ მეცნიერებამ (როგორც ბავშვმა) განიცადა სერიოზული ზრდა და მისი ორგანიზმი ვეღარ ეტევა არსებულ „ტანისამოსში“, რაც განაპირობებს ახალი დიზაინის და ზომის ტანსაცმლის შეკერვის აუცილებლობას.

„მეტაპოლიტოლოგიაში“ ეტევა „პოლიტოლოგიაც“, „პოლიტიკის მეცნიერებებიც“ და ის სხვა სამეცნიერო და არასამეცნიერო ცოდნის კაპიტალი, რომელიც ამ ორ ქვესისტემაშიც არ/ვერ შედის.

მეტამეცნიერებას ჩვენ არ განვმარტავთ როგორც არამეცნიერებას ან ანტიმეცნიერებას. მაგრამ იგი შეიცავს როგორც სამეცნიერო, ასევე მეცნიერებისათვის საინტერესო არასამეცნიერო ცოდნას. მეცნიერებისაგან განსხვავებით- მეტამეცნიერება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაა მეცნიერება, არ წარმოადგენს რედუქციონისტული ტიპის მეცნიეროცენტრისტულ სისტემას. ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შგვიძლია ვისაუბროთ რედუქციონისტულ და ჰოლისტურ პოლიტიკურ მეცნიერებაზე. ჰოლისტული მეტაპოლიტილოგია შემეცნების პროცესში იყენებს ცოდნის მიღბის არა მხოლოდ მეცნიერულ არხებს.

4.3 “მეტაპოლიტოლოგია“ საერთაშორისო სამეცნიერო დისკურსში

ტერმინი „მეტაპოლიტოლოგია“ (განსხვავებული და მიახლოებული შინაარსით) არის დაფიქსირებული სხვადასხვა ნაშრომებში და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში. მაგალითად, იგი საინტერესოაა წარმოდგენილი ვ.ა.კანკეს სტატიის - „ისტორიის სწავლება მეტამეცნიერების ჭრილში“ რუსეთის ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა აკადემიის მრჩევლის, რუსეთის ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრის, იურისტის - ს.ი.ივენტიევის რეცენზიაში.¹⁶² რეცენზენტი აღიარებს რომ მეტამეცნიერება არ ითვლება ტრადიციულ სამეცნიერო ცოდნათ, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს არაა ღირებული ცოდნა. ავტორის აზრით ფილოსოფია განიხილება როგორც მეტამეცნიერება, რომელიც იყოფა მეტაფიზიკათ (ფიზიკის ფილოსოფია), მეტაპედაგოგიკა (პედაგოგიკის ფილოსოფია), მეტამათემატიკა (მათემატიკის ფილოსოფია), მეტაპოლიტოლოგია (პოლიტოლოგიის ფილოსოფია), მეტაგეოგრაფია (გეოგრაფიის ფილოსოფია), მეტაფსიქოლოგია (ფსიქოლოგიის ფილოსოფია), მეტაისტორია (ისტორიის ფილოსოფია) და ა.შ. ავტორი რატომღაც არ განსაზღვრავს ისეთ ცნებას, როგორცაა „მეტაფილოსოფია“, ანუ მისი მოდელის მიხედვით, ეს უნდა ჟღერდეს როგორც - „ფილოსოფიის ფილოსოფია“. ჩვენი აზრით, **მეტამეცნიერება არაა მხოლოდ - „მეცნიერება - მეცნიერებაზე“, გამომდინარე იქედან, რომ იტევს საქუთარ თავში როგორც მეცნიერებას, ასევე არამეცნიერულ ცოდნასაც. ანუ ესაა მეცნიერება - „მეცნიერებაზე და არამეცნიერებაზე“.**

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არსებული პრობლემატიკა გამომდინარეობს იქედან, რომ დღემდე არსებული სამეცნიერო ტერმინოლოგია ვეღარ ერევა მეცნიერების განვითარების ტემპებს და მოითხოვს ახალი ნეოლოგიზმების ისეთ ორგანიზებულ ნაკადს, რომელიც მოგვცემს **ახალი ფორმის სისტემების** შექმნის შესაძლებლობას და „ცოდნის კაპიტალის“ ღირსეულ და ორგანიზებულ განთავსებას ახალ სივრცეებში. ამ ტერმინოლოგიის ახალი სიმრავლე უნდა იყოს წარმოდგენილი **ახალ პროფესიულ ტეზაურუსში.** მეტაპოლიტოლოგიური ტეზაურუსის შექმნა წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის ამოცანას.¹⁶³

თვითონ ვ.ა. კანკე, გამოცემაში „ისტორია, ფილოსოფია და სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგია“ მიიღის შემდეგ აქტუალურ დასკვნამდე - „პოლიტოლოგიური ეთიკა - მეტაპოლიტოლოგიის შუაგულია. სამწუხაროდ, ამ მოცემულობამ ვერ მიიღო შესაბამისი თემატიზაცია პოლიტიკური ეთიკის სახელმძღვანელოებში“.¹⁶⁴ „ეთიკა ჯერ კიდევ შემოდის პოლიტოლოგიაში გარედან - ფილოსოფიის მხრიდან. უაღესად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს თვით პოლიტოლოგიური მეცნიერების ეთიკური შინაარსის და პერსპექტივების გამოკვეთა. ამ ფონზე ნამდვილად იზრდება ახალი კვლევების ჩატარების აუცილებლობა“.¹⁶⁵

¹⁶² Рецензия на статью В.А. Канке «Преподавание истории в свете метанауки» (E-mail: kanke@obninsk.ru) 23 февраля 2018 г.

¹⁶³ Канке В.А. Теория обучения и воспитания. – М.: Юрайт, 2015. – 297 с.

¹⁶⁴ Канке В.А. История, философия и методология социальных наук https://studme.org/64748/filosofiya/istoriya_filosofiya_i_metodologiya_sotsialnyh_nauk

¹⁶⁵ https://studme.org/64809/filosofiya/kontseptsiya_obschestvennogo_vybora_etika

მისი ეს მოსაზრება ძალიან მნიშვნელოვანია. ნებისიერი სისტემის სიმდგრადის ერთ-ერთი მაჩვენებელი - ღირებულებებია. უნდა გავიხსენოთ, რომ პოლიტიკის და მორალის კვლევები XVIII-XIX საუკუნეებში განიხილებოდა პარალელურ რეჟიმში რასაც ამტკიცებს დღემდე შემორჩენილი მეცნიერთა საზოგადოებრივი გაერთიანებების სახელწოდებები (მაგალითად - მორალის და პოლიტიკის ინსტიტუტი საფრანგეთში).

სხვა რუსი მეცნიერის, ნ.ვ.მანოხინას აზრით - „მეტამეცნიერების განსხვავებულ თვისებას წარმოადგენს ტრანსდისციპლინური სისტემური მიდგომის გამოყენება, რიმელსაც გაჰყავს მათი მეთოდოლოგიური საფუძველი უფრო მაღალ დონეზე და იძლევა ახალ და ზოგჯერ საკმაოდ მოულოდნელ შედეგებს“.¹⁶⁶

ა.ლევკინის აზრით, იმდენად დიდია შემთხვევითი მოვლენების რაოდენობა, რომ მათ თავსებადობას ერთიან სისტემაში ვერავენ მოახერხებს. ამიტომ „მეტაპოლიტოლოგიამ“ უნდა უზრუნველყოს სპონტანური თვითორგანიზება ყველანაირი სტრატეგიის გარეშე.¹⁶⁷ მაგრამ ამ შემთხვევაში მეტაპოლიტოლოგია წარმოადგენს ამორფულ სისტემას, რომლის შესაძლებლობები არის ბევრად შეზღუდული.

შედარებისთვის წარმოვიდგინოთ ორი სურათი. ერთ სურათზე წიგნები განთავსებულია თაროებზე, ხოლო მეორე სურათზე ისინი ყრია კუთხეში. ბუნებრივია, რომ მეორე შემთხვევაში მკვლევარმა შეიძლება ვერც კი მიაგნოს ამ მომენტში საჭირო ლიტერატურას.

უკრაინაში მოღვაწე ცნობილი გერმანელი ექსპერტი ანდრიას უმლანდი თავის ნაშრომში რუსეთის პოლიტიკის ინსტიტუციური ცვლილების აღწერის მიზნით ასევე იყენებს ტერმინს „ისტორიული მეტაპოლიტოლოგია“. ის ცდილობს დაინახოს რუსეთში არსებული ავტორიტარული მართვის მოდელი ისტორიულ რეტროსპექტივაში.¹⁶⁸

ძალიან საინტერესოაა წარმოდგენილი **კონცეპტუალური გადასვლების თეორია**. ა.უმლანდის მიხედვით, არის მკაფიოდ გასმული ხაზი სუბ-თეორიებსა და მეტათეორიებს შორის. სუბთეორიის საგანს წარმოადგენს გარკვეული ტიპის სოციალური ურთიერთობები, ხოლო მეტათეორიის კვლევის საგანს - სუბმეცნიერება. მაგალითად, პოლიტოლოგია სწავლობს ადამიანების პოლიტიკურ ქცევებს, ხოლო მეტაპოლიტოლოგია - თვით პოლიტოლოგიას. მეტათეორიები აუცილებელია იმისთვის, რომ გახადონ უფრო გასაგები

¹⁶⁶ Манохина Н.В. Метасистема как объект институционального анализа // Вестник Международного института экономики и права. – 2014. – № 1 (14). – С.7-16

¹⁶⁷ Левкин А. - Русский Журнал / Обзоры / Политическая мысль
www.russ.ru/culture/politmis/20040616.html - Дата публикации: 16 Июня 2004

¹⁶⁸ Умланд А., „Реставрационный и революционный империализм в политическом дискурсе сегодняшней России: сдвиг постсоветского идеологического спектра вправо и антизападный поворот Кремля“. ИДЕОЛОГИЯ И ПОЛИТИКА ИДЕОЛОГИЯ И ПОЛИТИКА IDEOLOGY AND POLITICS, 2017 Foundation for Good Politics, p 12-58
ISSN 2227-6068

სუბთეორიების შინაარსი და ხელი შეუწყონ მათ განთავისუფლებას სხვადასხვა წინამდებებებისაგან.¹⁶⁹

მნიშვნელოვანია, რომ ანდრეას უმლანდი განიხილავს ასევე შუალედურ - „მეზო დონებს“ და ცდილობს გადაიყვანოს მსჯელობა ბინარული „სუბ-მეტა“ სისტემიდან სამგანზომილებიან მოდელში - „სუბ-მეზო-მეტა“.

ჩვენს შემთხვევაში, სუბ-სისტემაა - „პოლიტოლოგია“. მეზო-სისტემაა - მეტაპოლიტოლოგია, ხოლო მეტა-სისტემაა - მეცნიერებათმცოდნეობა.

მეტამეცნიერება ცოტა უფრო მეტია, ვიდრე სუბმეცნიერების კვლევა. ანუ მეტაპოლიტოლოგია არ იკვლევს მხოლოდ პოლიტოლოგიას, არამედ იკვლევს **პოლიტიკური ცოდნის** სხვა კატეგორებსაც. მეტამეცნიერება იძლევა შესაძლებლობას, რომ ერთი და იგივე საგნის კვლევა ჩავატაროთ მასში შემავალი სხვადასხვა მეცნიერებების მეთოდოლოგიების გამოყენებით და ეს იძლევა უნიკალურ შედეგს. ჩვენ ასევე ვიზიარებთ ა. უმლანდის აზრს და მიგვაჩნია, რომ „რთულ (კომპლექსურ) სისტემაში“ მიმდინარეობს წარმოებული სისტემების შექმნის მუდმივი პროცესი. ჩვენი აზრით, „სუბ-სისტემებში“, როგორც საბაზისო ერთეულებში მიმდინარეობს ორმხრივი პარალელური „დივერსიფიკაცი-ინტეგრაციის“ პროცესი და იქმნება ახალი განზომილებების სინთეზირებული სისტემები.

შესაძლებელია არა მხოლოდ ამ პროცესის დაკვირვება, არამედ ახალი წარმოებული სისტემების შექმნის პროგნოზირება და მათი განვითარების ტემპების რეგულირება. გამომდინარე აქედან შესაზღვრელია ვისაუბროთ პოლიტიკური ცოდნის შექმნის და განვითარების პროცესის მართვაზე და შესაბამისი პროფესიული მიმართულების სპეციალისტების მომზადებაზე - (პოლიტიკური ცოდნის მართვის სპეციალისტი).

სამეცნიერო დისკუსიაში ხშირად გვხვდება ტერმინი „პოლიტიკის მეცნიერება“, „პოლიტიკის მეცნიერებები“, უფრო იშვიათათ - „პოლიტოლოგიური მეცნიერებები“. ამით ხაზი ესმევა იმ ფაქტს, რომ პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით ერთდროულად მუშაობს სხვადასხვა მეცნიერებათა სიმრავლე. ის თუ როგორ დავინახავთ ამ სიმრავლეს, დამოკიდებულია ჩვენი მოდელირების და დიზაინის უნარჩვევებზე.

თვითონ ტერმინი „მეცნიერება“ სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. მაგალითად, სხვადასხვა სამეცნიერო სპეციალობების გამოყენების დროს: მეცნიერების დარგი; მეცნიერებათა ჯგუფი; ცალკეული მეცნიერება.¹⁷⁰

¹⁶⁹ Инновационные модели и механизмы управления модернизационным развитием (компаративистский анализ российского и китайского опыта) [Текст] : монография / под науч. ред. М.Ю. Захарова и А.В. Пацулы; Государственный университет управления ; Кафедра философии ГУУ ; Кафедра социологии и психологии управления ГУУ. 2-е изд., стер. – М. : Издательский дом ГУУ, 2017. – 401 с.

¹⁷⁰ https://studme.org/64755/filosofiya/sotsialnye_nauki

მათემატიკური და კომპიუტერული მოდელების მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ამ პროცესის მაქსიმალური კონტროლი და მართვა.

4.4 ქართული მეტაპოლიტოლოგიური სკოლის მედიატორული რესურსი

ცხრილში წარმოდგენილია რუსეთის და დასავლეთის სკოლების შესაბამისი ხედვები. არც ერთი ეს სისტემა არაა სრულყოფილი და ამავე დროს, საქართველო იძულებულია რომ გაუწიოს ანგარიში ამ ორივე სამეცნიერო პოლიტიკურ კულტურას. ამის ფონზე ჩნდება ბუნებრივი სურვილი, რომ შეიქმნას საკუთარი ახალი თაობის და დიზაინის პროდუქტი.

	რუსეთის ფედერაცია	ინგლისურენოვანი ქვეყნები
1	პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია; პოლიტოლოგიური მეცნიერების ისტორია და მეთოდოლოგია	პოლიტიკური თეორია
2	პოლიტიკური ინსტიტუტები, პროცესები და ტექნოლოგიები	პოლიტიკური ინსტიტუტები
3	პოლიტიკური კულტურა და იდეოლოგია	პოლიტიკური იდეოლოგიები
4	საერთაშორისო ურთიერთობების, გლობალური და რეგიონული განვითარების პოლიტიკური პრობლემები	საერთაშორისო ურთიერთობები
5	პოლიტიკური რეგიონალისტიკა და ასევე ეთნოპოლიტიკა	სახელმწიფო მართველობა
6	კონფლიქტოლოგია	
7		პოლიტიკური სოციოლოგია
8		პოლიტიკური სისტემები
9		პოლიტიკური ცხოვრება (მაგალითად არჩევნები; პოლიტიკური პარტიები...)
10		საზოგადოებრივი აზრი ¹⁷¹ .
11		პოლიტიკის მეცნიერებები, ანუ სტრატეგიები, რომლებიც ეხება ეკონომიკის, კულტურის, პედაგოგიკის,

¹⁷¹ United Nations Educational, Scientific and Cultural Organization. Proposed International Standard Nomenclature for Fields of Science And Technology. URL: unesdoc.unesco.org/images/0008/000829/082946eb.pdf

	ჯანდაცვის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების მართვას ¹⁷²
--	---

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური პროცესების ქართული მოდელირების სკოლა შესაძლებელია განსხვავდებოდეს რუსული და დასავლური მოდელირების სკოლებისაგან, იგი ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და მას სურს მათ შორის არსებული მეთოდოლოგიური ხასიათის კონფრონტაციის რეგულირება.

„მეტაპოლიტოლოგია“ წარმოადგენს კომპლექსურ (რთულ) სისტემას (complex system), რომელიც შეიცავს პოლიტიკის კვლევებს და ასევე ინტერდისციპლინური, ტრანსდისციპლინური და პარასამეცნიერო კვლევების მთელ სისტემას.

წარმოდგენილ მოდელში, შეგვიძლია განვიხილოთ არა მხოლოდ ორგანოზომილებიანი „ბილატერალური კლასტერი“ (პოლიტიკის ფილოსოფია, პოლიტიკის სოციოლოგია და ა.შ.), არამედ მულტი-ინტერდისციპლინური ტიპის მიმართულებები. ამის მაგალითია - სამგანზომილებიანი კლასტერი **პოლიტიკის ფსიქო-ლინგვისტიკა**.

ჩვენ განვიხილავთ მეცნიერებაში არსებული და პოლიტიკის კვლევაზე ორიენტირებული შესაძლებლობების სიმრავლეს: სტრატეგიულ რესურსს - **მეტაპოლიტოლოგიურ არსენალს**.

„არსენალი“ წარმოადგენს იმ სივრცეს სადაც ინახება „იარაღი“. ხოლო იარაღის სხვადასხვა სახეობაში იგულისხმება სხვადასხვა მეცნიერული ან არამეცნიერული ცოდნა და მეთოდი. შესაბამისად, თუ ჩვენ უზრუნველყოფთ ამ ცოდნის რესურსების მობილიზებას და ეფექტიან მართვას, შევძლებთ კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე მათ კონცენტრაციას. წარმოდგენილი მიდგომა ნათლად გვაჩვენებს, რომ არსებული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები ულევია, შესაბამისად პრობლემა არის არა თვით პრობლემა, არამედ ის, რომ ჩვენ არ გვაქვს მისი მოგვარების და მართვის შესაძლებლობებთან წვდომის და გამოყენების უნარები. მათ შორის პირველ რიგში - კოგნიტური უნარები. ეს მიდგომა წარმოადგენს გამომდინარე აქედან, **კომპლექსური (რთული) სისტემების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის** ერთ-ერთ კონკრეტულ შედეგს - ახალ პოლიტიკურ ტექნოლოგიას - **„მეტაპოლიტოლოგიურ არსენალს“**, რომელიც რთული ამოცანების ამოხსნის პროცესში იყენებს - **„მეტაპოლიტოლოგიური კვლევების დიზაინის მეთოდს“**.

თუ რამდენ და რა ტიპის პოლიტიკური ცოდნის, კვლევითი ტექნოლოგიების თუ მეთოდების სიმრავლეს აირჩევს ამ არსენალიდან მკვლევარი, დამოკიდებულია მის გემოვნებაზე, ინტუიციაზე და მატერიალურ შესაძლებლობებზე.

¹⁷² https://studme.org/64796/filosofiya/istoriya_filosofiya_metodologiya_politologii#443

არის მნიშვნელოვანი, რომ ეს მიდგომა პრაქტიკულად არის გამოყენებული აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციისათვის, რაც წარმოადგენს საინტერესო შუალედურ შედეგებს.

დღის წესრიგშია - მეტაპოლიტოლოგიის აკადემიის შექმნის აუცილებლობა, როგორც ორგანიზაციის რომელიც პერმანენტულად გააგრძელებს ამ მიმართულებით კვლევით საქმიანობას საერთაშორისო დონეზე.

რაც შეეხება აფხაზეთის კრიზისს, ამ რესურსების ეფექტიანი გამოყენება იქნება შესაძლებელი თუ შეიქმნება სვიმეონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტი, როგორც მიზნობრივი ორგანიზაცია, რომელიც მოახდენს არსენალის რესურსების გამოყენებას კონკრეტულად აფხაზეთის კრიზისის მოგვარებისთვის და აფხაზეთის განვითარებისათვის.

გარდა უკვე არსებული პოლიტიკის მეცნიერების განვითარების რედუქციონისტული ტიპის (თეოლოგიურ, ნატურალისტურ, სოციალურ და რაციონალურ-კრიტიკულ) პარადიგმებისა, არსებობს ჩვენს მიერ შემოთავაზებული ახალი - ჰოლისტური ტიპის მეტაპოლიტოლოგიური პარადიგმის პროექტი. იგი აღიარებს ზემოთ ჩამოთვლილი არსებული რედუქციონისტული პარადიგმების არსებობას და ათავსებს მათ ერთიან სისტემაში. იგი - სისტემაცენტრირებულია და უპირისპირდება არა ცალკეულ პარადიგმებს, არამედ - რედუქციონისტულ მიდგომას, რომელიც მათ შორის კონფრონტაციულ ხასიათს ატარებს.

მაგრამ გარკვეულ ვითარებებში (მარტივ და დახურულ სისტემებში), რედუქციონისტულ მიდგომებს გააჩნიათ უპირატესობები. ამიტომ, რედუქციონიზმსა და ჰოლისტურ მიდგომებს შორის არსებულ დაპირისპირებას აგვარებს სინერგიული მიდგომა.

მეტაპოლიტოლოგიური პარადიგმა წარმოადგენს ჰოლისტური, სინკრეტული, სინერგიული და მეტაკოგნიციური ტიპის ახალი თაობის პარადიგმას.

4.5 მეტაპოლიტოლოგიის მეთოდების სინერგიული ხასიათი

არსებობს პოლიტიკის მეცნიერებების მეთოდების სიმრავლე. და სხვადასხვა მეცნიერები და მიმდინარეობები (სკოლები) აქაც ემხრობიან რედუქციონისტულ მიდგომას.

- ზნეობრივ-ნორმატიული - იდეალებზე ორიენტირებული მეთოდი.
- ისტორიული მეთოდი - რეფლექსიურ აზროვნებაზე ორიენტირებული მეთოდი (მას ასევე მაკიაველისეულ მეთოდს ემახიან).
- სოციოლოგიური მეთოდი, რომელიც ორიენტირებულია სოციუმის სოციოლოგიის და პოლიტიკის ურთიერთკავშირების კვლევაზე.

- ანტროპოლოგიური მეთოდი, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების, როგორც სოციუმის მთავარი ერთეულის განსაკუთრებულ და სპეციფიკურ თვისებებზე.
- ინსტიტუციური მეთოდი, რომელიც განიხილავს პოლიტიკის მართვის სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციურ - სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს.
- ბიხევიორისტული მეთოდი იკვლევს პიროვნების და ჯგუფების პოლიტიკურ ქცევებს. მან შექმნა პოლიტიკის რაოდენობრივი კვლევების საფუძველი.
- შედარებითი ანალიზის მეთოდი ქმნის ამ მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაციის შედარების შესაძლებლობას, ან უფრო მარტივ შემთხვევებში ახდენს მსგავს პოლიტიკურ სისტემებში მიმდინარე პროცესების შედარებას. მან ჩაუყარა საფუძველი სისტემურ მეთოდს.

როგორც პარადიგმების შემთხვევაში, მეთოდებშიც დომინირებს რედუქციონისტული განწყობა. მაგრამ, მე-XX საუკუნის 50-ნ წლებში კვლევის მეთოდთან მიმართებაში შეიქმნა სისტემური პოლიტიკური აზროვნების საფუძველი. მეთოდების სიმრავლე წარმოადგენს მთავარ ღირებულებას. წარმატებას შეიძლება წარმოადგენდეს მეთოდების პარალელური გამოყენება და შემდგომში, შედარებითი ანალიზის მეთოდის შედეგად მიღებული მონაცემების სინთეზი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი ტიპის მეთოდებს კომპლექსური კონფლიქტების და კრიზისების კვლევების დროს. ამაზე არის აგებული ჩვენს მიერ შექმნილი კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის საფუძველი, რომელიც აფართოვებს შედარებითი ანალიზის მეთოდის შესაძლებლობებს. თუ რედუქციონისტები ირჩევენ ერთ მეთოდს, ჰოლისტები ცდილობენ გამოიყენონ მეთოდების სისტემა. აქაც შეიძლება საუბარი მათ შორის სინერგიაზე.

დიდ ინტერესს წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო და არასამეცნიერო მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზი და ეს გამომდინარეობს იქედან, რომ ჩვენ განვიხილავთ **ცოდნის სხვადასხვა ტიპს**, როგორც ფაქტობრივად არსებულ ინფორმაციულ რეალობას, რომელიც მოითხოვს ყურადღებას. ხშირად ეს ანომალიები ატარებენ პოლიტიკურ პარაფსიქოლოგიურ ხასიათს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს - ნოსტრადამუსის, ბულგარელი ვანგას თუ სხვა პერსონაჟების პროგნოზები ან ვოლფ მესინგის ტიპის ფენომენალური ადამიანების მოქმედებები და მათი ზეგავლენა ისეთ ისტორიულ პიროვნებებზე, როგორც იყო მე-XX საუკუნის აღიარებული პოლიტიკური ფიგურა - სტალინი. ამავე კატეგორიას განეკუთვნებიან ე.წ. „კონსპირაციული თეორიები“, ასტროლოგიური პროგნოზები ან პოლიტიკური მისტიციზმის კონცეპციები და ა.შ.

განსაკუთრებულ როლს კოგნიციურ (შემეცნების) პროცესში და პოლიტიკური ცოდნის კაპიტალის შექმნაში თამაშობს რელიგია, ხელოვნება, კულტურა და იდეოლოგია.

ასევე ცოდნის დიდ მასივს წარმოადგენენ ჯერ არ შემდგარი პოლიტიკური თეორიები და კონცეპციები. ყოველივე ამცოდნის მიმართ შესაზღებელია იყოს გამოყენებული რეცაიკლინგის მექანიზმი, რომელიც გულისხობს მათგადამუშვებას და ახალი ღირებული პროდუქტის მიღებას.

მეტაპოლიტოლოგიური კვლევების დიზაინის მეთოდი ამ რეცაიკლინგსაც გულისხმობს. მაგალითად ის იყენებს შედარებითი ანალიზის მეთოდს არა მხოლოდ აღიარებული საემეცნიერო მეთოდების შედეგად მიღებული ინფორმაციის შედარების პროცესში, არამედ - ასიმეტრიულ სქემაში, როდესაც ჩვენ ვადარებთ ამ სქემით მიღებულ ინფორმაციას - არასამეცნიერო ცოდნით მიღებულ ინფორმაციასთან. კოგნიციური ეფექტი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მიღწეული ლოგიკური, რაციონალური შემეცნების და დივერგენტული - შემოქმედებითი შემეცნების შედეგების შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

4.6 მეტაპოლიტოლოგიური არსენალის სტრუქტურა

ზემოთ წარმოდგენილი ამოცანების გადაწყვეტისთვის პირველ რიგში უნდა ავაგოთ მეტაპოლიტოლოგიური არსენალის სტრუქტურა:

1. პოლიტიკური ცოდნის მართვის ცენტრი წარმოადგენს არსენალში არსებული კაპიტალის მართვის „ტვინს“მ „სიბრძენს“ (სოფოსს). მეტაპოლიტოლოგიის (პოლიტიკური ცოდნის) მენეჯმენტი - წარმოადგენს მეტაპოლიტოლოგიის და მეცნიერებათმცოდნეობის გადაკვეთის სივრცეს და იკვლევს მეტაპოლიტოლოგიის სისტემაში არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებს და აკვირდება მათი განვითარების პარადიგმას. მნიშვნელოვანია რომ ამ მიმართულებითაც მომზადდნენ - მეტაპოლიტოლოგიის მართვის სპეციალისტები. მათ შესაძლებელია ჰქონდეთ სხვადასხვა სპეციალიზაციები და ვიწრო სპეციალიზაციები.

ეს არის სამეცნიერო სერვისი, რომელიც ემსახურება მეტაპოლიტოლოგიის სისტემის მდგრად განვითარებას და აკავშირებს მას გარე სამყაროსთანაც. ამ კვლევების მეშვეობით მიმდინარეობს არა მხოლოდ დაკვირვება და ცვლილებების ფიქსაცია, არამედ პრიორიტეტების განსაზღვრა და მეტაპოლიტოლოგიის სხვადასხვა მიმართულებების და ერთიანი სისტემის ჰარმონიული განვითარება. ეკონომიკური თვალსაზრისით საუბარია პოლიტიკური ცოდნის რესურსების ეფექტიან მართვაზე.

მეტაპოლიტოლოგიის მართვის სპეციალისტები შესაძლებელია მომზადდნენ სადოქტორო პროგრამების ჩარჩოებში და მომავალში გახდნენ ამ სფეროში მოქმედი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების მართვის უმაღლესი კვალიფიკაციის მენეჯერები. შესაძლებელია, რომ ამით დაინტერესდნენ პოლიტიკური ფილოსოფიის სპეციალისტები, გამომდინარე იქედან რომ საქართველოს პირობებში მათ დაკარგული

აქვთ ეგზისტენციური მისია, რაც გამოხატულია იმაშიც, რომ ეს კვლევების მიამართულება კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში აღარ არსებობს.

2. **ზოგადი პოლიტოლოგია** - წარმოადგენს მეტაპოლიტოლოგიის ბირთვს (ბაზისს) და პოლიტიკის სუბიექტებთან და ობიექტებთან მიმართული სამეცნიერო კვლევების სიმრავლეს. აქ კონცენტრირებულია რაფინირებული, დროით გამოცდილი სამეცნიერო პოლიტიკის ცოდნის კაპიტალი.

იგი ემსახურება როგორც მეცნიერებას, ასევე საგანმანათლებლო პროცესს და გვაძლევს სხვადასხვა სიღრმის სპეციალიზაციის კადრების მომზადების შესაძლებლობას.

არესტოტელეს განმარტების მიხედვით, პოლიტიკა, ეს არის სახელმწიფოს მართვის ხელოვნება. ამიტომ პოლიტოლოგიის კვლევის მთავარი ობიექტი ეს არის „მენეჯმენტ-არტი“- სახელდობრ - მართვის ხელოვნება, ხოლო კვლევის საგანი - საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტიპის ისეთი ორგანიზაცია, როგორცაა - „სახელმწიფო“ და ყველაფერი რაც მასთან არის კავშირში. თუ როგორი ტიპისაა ეს ორგანიზაცია და როგორი უნდა იყოს მისი მართვის ფორმები, არსებობს აზრთა და იდეათა სიმრავლე, რომელიც ქმნის იდეოლოგიების ნაირსახეობებს. ამ იდეოლოგიების უკან კი არის ღირებულებების სიმრავლე, რომელსაც სწავლობს **პოლიტიკური აქსეოლოგია**.

მაგალითად ტოტალიტარული აზროვნებისთვის ტერმინი სახელმწიფო და საზოგადოება ერთი და იგივეს ნიშნავს. ამის კარგი მაგალითი - საბჭოთა კავშირი იყო. დემოკრატიულ ღირებულებებში, სახელმწიფო არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც გამოხატავს და იცავს საზოგადოების ინტერესებს. ტერმინი „სახელმწიფო“ შეიძლება განიხილებოდეს ასევე როგორც სხვადასხვა ხარისხის სუვერენიტეტის მქონე „ქვეყანა“, ანუ - მოიცავდეს ამორფული და ორგანიზებული სოციალური სისტემების და მათ შორის არსებული ურთულესი კომუნიკაციების ერთობლიობას.

დღეს **ქვეყანათმცოდნეობა** წარმოადგენს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნის, არამედ სხვადასხვა ქვეყნების კომპლექსურ სისტემას. ამიტომ, მართვის სუბიექტებად შეიძლება იყოს განხილული: სახელმწიფო; ქვეყანა; ქვეყანათა სიმრავლე.

როგორც ზოგადი პოლიტოლოგია, ასევე მეტაპოლიტოლოგია მთლიანობაში წარმოადგენს **მართვის მეცნიერების** ქვესისტემას, ანუ - **პოლიტიკის მართვის მეცნიერებას**. ფაქტობრივად, იგულისხმება **მართვის მართვა**. დღევანდელ რეალობაში იგი სცილდება მხოლოდ სოციალური სისტემების მართვას და არ განიხილება მხოლოდ როგორც ანტროპოცენტრული სისტემა. საუბარია რთულ ფსიქო-ბიო-სოციალური სისტემის მართვის ხელოვნებაზე. მნიშვნელოვანია რომ როგორც

სამეცნიერო კვლევები, ასევე მათი გამოყენება განათლების სისტემაში იყოს ადაპტირებული ასევე „ციფრული ეპოქის“ პირობებთან. ეს ნიშნავს იმას, რომ მეტაპოლიტოლოგიის სრული სისტემის ობიექტი და სუბიექტი განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას, რაც ითხოვს მყისიერ რეაგირებას და კონტროლს.

მართვის სადავე უკავია იმას - ვინც ფლობს კომპლექსური პოლიტიკური სისტემების მართვის მეტაპოლიტოლოგიურ ცოდნას.

ზოგადი პოლიტოლოგიის სპეციალისტების მომზადება არის შესაძლებელი უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე.

3. **კროსპოლიტოლოგია** - წარმოადგენს ზოგადი პოლიტოლოგიის და სხვა მეცნიერებების საზღვარზე არსებულ გადაკვეთის სივრცეების კრეატიულ სიმრავლეს. ტერმინი „მართვის ხელოვნება“ მეტად მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ის სცილდება მხოლოდ შიშველ ლოგიკას და ეძებს არსებული პოლიტიკური პრობლემების კრეატიულ გადაწყვეტილებებს.

3.1 ორგანოზომილებიანი (ბილატერალური) პოლიტოლოგია: პოლიტიკის ფილოსოფია; პოლიტიკის ისტორია; პოლიტიკის ფსიქოლოგია; პოლიტიკის სოციოლოგია; პოლიტიკის ფილოლოგია; პოლიტიკის ლინგვისტიკა (სტილისტიკა, სპიჩრაიტინგი, ორატორობა, რიტორიკა...); პოლიტიკის ეკონომიკა (პოლიტიკური ეკონომიკა (მიკრო, ნაციონალური, რეგიონული, გლობალური); პოლიტიკური მათემატიკა; პოლიტიკური ინფორმატიკა; პოლიტიკური ჟურნალისტიკა; პოლიტიკური სამართალი; პოლიტიკის მართვა; პოლიტიკური კრიმინოლოგია და ა.შ.).

3.2 სამგანზომილებიანი (ტრილატერალური) პოლიტოლოგია: პოლიტიკური სოციალური ფსიქოლოგია; პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკა; პოლიტიკური პროცესების მათემატიკური და კომპუტერული მოდელირება; პოლიტიკური ისტორიული კრიმინოლოგია; პოლიტიკური ფსიქოგეოგრაფია...

3.3 მრავალგანზომილებიანი (მულტილატერალური) პოლიტოლოგია წარმოადგენს უფრო რთულ სისტემებს, რომლის სახელწოდებების წარმოდგენა არ შეიძლება ასე მარტივად. მაგალითად შეიძლება იყოს განხილული აქ **პოლიტიკური კოგნიტივისტიკა**. კოგნიტივისტიკა წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერებების გადაკვეთაზე შექმნილ სისტემას. ესეიგი ამ სისტემის გამოყენება პოლიტიკის მეცნიერებების ინტერესიდან გამომდინარე შეიძლება ქმნიდეს ახალი კვლევების და ახალი ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

ამიტომ მოსაძებნია ახალი პირობითი სახელწოდებების ან ნუმერაციის სისტემა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ამ პრობლემის მოგვარებისთვის ერთობლივად უნდა იზრუნონ - პოლიტოლოგებმა, ლინგვისტებმა, ფსიქოლოგებმა, მათემატიკოსებმა და კომპიუტერული მოდელირების სპეციალისტებმა. არის ოპტიმალური, რომ

„მეზობელი“ დარგების წარმომადგენლებისთვის იყოს შექმნილი შესაბამისი პირობები, რათა მიიღონ დამატებითი განათლება პოლიტოლოგიის მიმართულებით რათა შემდგომში გახდნენ ამ სპეციალობების კვალიფიცირებული წარმომადგენლები. მრავალგანზომილებიანი პოლიტოლოგია წარმოადგენს ტრანსდისციპლინური კვლევების მაგალითს.

4. ტრანსდისციპლინური პოლიტოლოგია

ტერმინი „ტრანსდისციპლინური მეცნიერებები“ პირველად იყო გამოყენებული ჟან პიაჟეს მიერ 1970 წელს. იგი ასე განმარტავდა ამ ტერმინის არსს - „ინტერდისციპლინური კვლევების შემდეგ უნდა ველოდოთ უფრო ახალი დონის კვლევებს, რომლებიც არ შეიზღუდება ინტერდისციპლინური ურთიერთობებით და განათავსებს ამ ურთიერთობებს გლობალურ სისტემაში, რომელსაც არ გააჩნია დისციპლინებს შორის საზღვრები“. იგი თვლიდა რომ ტრანსდისციპლინური მეცნიერება წარმოადგენს ცოდნის განსხვავებულ და ახალ სივრცეს.¹⁷³

„რომის კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი, ავსტრიელი ასტროფიზიკოსი და სამყაროს თვითორგანიზების პრობლემებზე მომუშავე - ერიხ იანჩი მხარს უჭერდა ჟან პიაჟეს და განიხილავდა ტრანსდისციპლინარობას, როგორც „დისციპლინათა ახალ სივრცეს, რომელიც არაა დაყოფილი სტაბილური საზღვრებით“ და წარმოადგენს კვლევების, ინოვაციების და განათლების მაკოორდინირებელ ძალას, რომელიც ეყრდნობა საერთო აქსიომატიურ მიდგომებს“.¹⁷⁴

ფაქტობრივად, ეს არის „სამეცნიერო ცოდნის ორგანიზების პრინციპი“, რომელსაც იყენებენ კომპლექსური მრავალფაქტორული პრობლემების კვლევის პროცესში. ამ შემთხვევაში მეცნიერები სცილდებიან თავის დისციპლინის ჩარჩოებს და იყენებენ სხვა დისციპლინებში არსებულ ცოდნას.

ამავე დროს შესაძლებელია დავინახოთ ეს პროცესი არა მხოლოდ როგორც „ახალი ტიპის ტრანსდისციპლინური მეცნიერის“ მიერ წარმოებული აქტიობების ციკლი, არამედ როგორც სხვადასხვა დისციპლინების მეცნიერების თანამშრომლობა მედიცინაში არსებული „კონსილიუმის“ მეთოდის მაგალითზე. ამიტომ წინა პლანზე გადმოდის თვით მეცნიერების მართვის მენეჯმენტის განსაკუთრებული როლი.

¹⁷³ Князева Е. Н., Трансдисциплинарные стратегии исследований, Вестник ТГПУ (TSPU Bulletin). 2011. 10 (112) **Piaget Jean.** «L'épistémologie des relations interdisciplinaires», in Léo Apostel et al., 1972. – P. 144. **Basarab Nicolescu.** TRANSDISCIPLINARITY – PAST, PRESENT AND FUTURE. Published in Moving Worldviews - Reshapingsciences, policies and practices for endogenous sustainable development, COMPAS Editions, Holland, 2006, edited by Bertus Haverkort and Coen Reijntjes, p. 142-166. Available: http://basarab-nicolescu.fr/Docs_articles/Worldviews2006.htm#_ftn1

¹⁷⁴ Jantsch Er.. Vers l'interdisciplinarité et la transdisciplinarité dans l'enseignement et l'innovation, in Léo Apostel et al, 1972

მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების შემდეგ ეს ცნება შეეხო განათლებასაც. UNESCO-ს მიერ 1998 წელს პარიზის შტაბ-ბინაში ჩატარებულ „უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონფერენციაზე“ იყო მიღებული „XXI საუკუნის უმაღლესი განათლების საყოველთაო დეკლარაცია.“ ამ დეკლარაციის მე-5 და მე-6 სტატიებში არის წარმოდგენილი ტრანსდისციპლინური ხასიათის სასწავლო პროცესების დანერგვის შესაბამისი რეკომენდაციები. რეკომენდაციები მიზნად ისახავს ახალი თაობის ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც გამოიყენებენ ტრანსდისციპლინურ მიდგომებს ბუნების და საზოგადოების გარშემო არსებული რთული პრობლემების მოგვარებისთვის“.175 სამწუხაროდ, ამ მეტად საინტერესო თეორიული მიდგომების რეალურ განხორციელებაში ჩვენ ვხედავთ ბევრ არასასურველ ხარვეზს.

წამყვან ქვეყნებში არსებობს ტრანსდისციპლინური მეცნიერებების განვითარებისათვის შექმნილი სპეციალური პროგრამები და სახელმწიფო პოლიტიკა. ამის მაგალითია 2013 წელს აშშ-ში, ამერიკის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის მიერ გამოქვეყნებული საგანგებო მოხსენება «ARISE-2» (Advancing Research in Science and Engineering), რომელშიც, სხვა ინოვაციებთან ერთად არის გამახვილებული ყურადღება ამერიკის მეცნიერების გადასვლაზე „ინტერდისციპლინური კვლევების დონიდან ტრანსდისციპლინურ“ დონეზე. თუ ინტერდისციპლინურობა გულისხმობს სხვა დისციპლინებიდან ტექნიკების და მეთოდების „სესხებას“, ტრანსდისციპლინურობა გულისხმობს - „მეთოდოლოგიების ფუნქციონალურ სინთეზს“ და ინოვაციური კვლევითი კონცეპციების შექმნას.176

კროსპოლიტოლოგიის და ტრანსდისციპლინური პოლიტოლოგიის სპეციალისტებისათვის სასურველია რომ იყოს ამოქმედებული შესაბამისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, ან არსებულ პროგრამებში - ქვემომართულებები. მნიშვნელოვანია, რომ ამ დარგებში შემავალი სპეციალისტები უნდა ფლობდნენ ზოგადი პოლიტოლოგიის საფუძვლებს და ასევე იყვნენ ადაპტირებულნი რომელიმე სხვა დარგში არსებული პროფესიულ პროფილთან.

5. პარაპოლიტოლოგია.

ტრანსდისციპლინური კვლევები ფარავენ როგორც ვხედავთ სამეცნიერო დისციპლინებს, მაგრამ ცოდნა არასამეცნიერო სისტემებშიც არსებობს და ეს სისტემები არ ისაზღვრებიან კონკრეტული დისციპლინების ჩარჩოებით. მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენენ პოლიტიკისთვის დიდი ინტერესს, იმიტომ რომ რეალურ ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესებზე.

¹⁷⁵ UNESCO on the World Conference on Higher Education (1998). Higher Education in the Twenty-First Century: Vision and Action. Available: <http://perso.club-internet.fr/nicol/ciret/english/charten.htm> Архивная копия от 5 декабря 2004 на Wayback Machine

¹⁷⁶ ARISE 2 (Advancing Research in Science and Engineering). American academy of Arts and Sciences, 2013. Available: <https://www.amacad.org/multimedia/pdfs/publications/researchpapersmonographs/ari>

პარაპოლიტიკის ცნების ბევრი და განსხვავებული შინაარსის განმარტება არსებობს. შესაძლებელია აქ ვიგულისხმობთ არაკონვენციური პოლიტიკა, რომელიც სცდება არსებულ მოცემულობაში ზნეობრივ ჩარჩოებს. პარაპოლიტოლოგია - პოლიტიკასთან და/ან პარაპოლიტიკასთან დაკავშირებული არასამეცნიერო მიმართულებების სამეცნიერო კვლევაა. ჩვენ ვეყრდნობით მარტინ მაჰერის (Martin Maher) განამარტებას, რომელიც თვლის, რომ პარამეცნიერება ეს არის ყველა ტიპის არასამეცნიერო საქმიანობა, რომელიც ამავე დროს არარის ფსევდოსამეცნიერო.¹⁷⁷ სხვებისგან განსხვავებით იგი არ აიგივებს პარამეცნიერებას ცრუ-მეცნიერებასთან.¹⁷⁸

გამომადინარე აქედან, პარაპოლიტოლოგია ეს არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს იმას რაც შეეხება პოლიტიკას, არარის არც ფსევდოსამეცნიერო და არც სამეცნიერო. სხვა ნაირად რომ განვმარტოდ, პარაპოლიტოლოგია ცდილობს ჩასვას სამეცნიერო კვლევის ჩარჩოში იც ცოდნა, რომელიც მოპოვებულია არასამეცნიერო გზით.


პარაპოლიტოლოგიების მომზადება სასურველია სადოქტორო პროგრამის ჩარჩოში.

ნახატზე წარმოდგენილია მეტაპოლიტოლოგიის სტრუქტურის მოდელი

1. მეტაპოლიტოლოგიის მენეჯმენტი (ცენტრში)
2. ზოგადი პოლიტოლოგია
3. კროსპოლიტოლოგია
 - ორგანზომილებიანი
 - სამგანზომილებიანი
 - მრავალგანზომილებიანი
4. ტრანსდისციპლინური პოლიტოლოგია
5. პარაპოლიტოლოგია

¹⁷⁷ Maher M. Demarcating Science from Non-Science // Theo Kuipers (ed.) Handbook of the Philosophy of Science: General Philosophy of Science — Focal Issues, Amsterdam: Elsevier, 2007. pp.515-575.

¹⁷⁸ «Science and Pseudo-Science», Non-, un-, and pseudoscience // Stanford Encyclopedia of Philosophy



ამ მოდელის შექმნისთვის (და შევსებისთვის) ჩვენ მოვახდინეთ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული მოდელების ანალიზი, და ვეცადეთ რომ არ გამოგვეტოვებინა მათი არც ერთი მნიშვნელოვანი სუბ-სისტემა. ჩვენ ამოცანას წარმოადგენდა პროფესიათა კლასიფიკატორებში არსებული სხვადასხვა მიმართულებების სისტემატიზაცია გარკვეული კატეგორიების მიხედვით.

ამიტომ ეს მოდელი შესაძლებელია იყოს გამოყენებული პროფესიათა კლასიფიკატორის ეროვნული ჩარჩოს დოკუმენტის შექმნის პროცესში.

მონოგრაფიის საფუძველზე შექმნილია დარგობრივი ინტერდისციპლინური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამზადებს საქართველოსთვის პოლიტიკის კვლევების დარგობრივი კვალიფიკაციების ჩარჩოს დოკუმენტს.

4.7 მეტაპოლიტოლოგიის - პოლიტიკური კვლევების და ადმინისტრირების კლასიფიკატორის შექმნასთან დაკავშირებული რეკომენდაციების პაკეტი

1. აუცილებელია დოკუმენტის ვერტიკალური და ჰორიზონტალური დიზაინი. უნდა იყოს ნაჩვენები ვერტიკალური ტაქსონომიური მოდელი, „მატრიოშკა“. მერეორე მხრივ უნდა ჩანდეს სხვა მეცნიერებლან გადაკვეთის ჰორიზონტული სივრცეები.
2. აუცილებელია პროფესიების, სპეციალობების, სპეციალიზაციების და ვიწროსპეციალიზაციების მიხედვით საგანამანათლებლო პროგრამების პროფიდენტობათა სიმრავლის და შესაბამისი კოდების სისტემატიზაცია.

3. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამების კოდირების სისტემის მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება.
4. მომავალი სისტემა უნდა იყოს იოლად კითხვადი იმ ადამიანებისთვის, ვინც გეგმავს საკუთარ კარიერას და აპირებს განათლების მიღებას.
5. უკეთ უნდა იყოს გათვალისწინებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესები - მათი საპროგრამო მოდულების ეფექტურად მართვის საკითხი.
6. უნდა იყოს გამოყენებული სამსექტორიანი ეკონომიკური სისტემის საკადრო უზრუნველყოფის მოთხოვნები და არ დაიშვას რომელიმე ერთი სექტორის მონოპოლია.
7. ახალი სისტემის მონაცემთა ბაზა უნდა იოლად იყოს გამოყენებული სტატისტიკური შედეგების მიღებისათვის.
8. სასურველია დარგობრივი სამეცნიერო-მეთოდური ჯგუფების შექმნაში საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება.
9. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასურველია პროფორიენტაციული დიაგნოსტიკის და კარიერის დაგეგმარების სპეციალისტების მონაწილეობის უზრუნველყოფა.
10. მნიშვნელოვანია მსოფლიოში არსებული ინოვაციური კვლევები და მათი ამ დარგში შედეგების დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევის აუცილებლობა.
11. სასურველია სამინისტროს ჩარცოში - მეცნიერების და განათლების (STI-E) სისტემის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის შექმნა.
12. ლიბერალური და კონსერვატიული განათლების სისტემების შედარებითი ანალიზის აუცილებლობა და დოკუმენტში მათი პოზიტიური ინტეგრაცია.
13. პროექტის ეფექტიანი განხორციელებისთვის ინტერდისციპლინური გუნდის - პოლიტიკური კვლევების და ადმინისტრირების ეროვნული დარგობრივი საბჭოს შექმნის აუცილებლობა.
14. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დონის განათლების პროგრამების სისტემაში არსებული ინფორმაციები იყოს გაერთიანებული ერთიან მონაცემთა ბაზაში. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მომხმარებლებმა იოლად შესძლონ მისი გამოყენება კარიერის „მრავალსაფეხურიანი“ განვითარების დაგეგმარების პროცესში.
15. ახალი დოკუმენტის თავსებადობა შოთა რუსთაველის მეცნიერების ფონდის „კლასიფიკატორთან“ და ასევე საგანმანათლებლო პროგრამებთან.
16. დოკუმენტი უნდა ასახავდეს პოლიტიკის თეორიების, იდეოლოგიების, მეთოდოლოგიების და ეფექტიანი ადმინისტრირების სტრუქტურას.

17. ის თუ რა ენით და რა ხარისხით არის წარმოდგენილი ტერმინოლოგია ასეთი ტიპის სტრატეგიულ დოკუმენტებში, განაპირობებს პოლიტიკური ლექსიკის და აქედან გამომდინარე პოლიტიკური აზროვნების და საბოლოო ჯამში - პოლიტიკური კულტურის დონეს.

4.8 ინსტიტუციონალური სერვისების პრობლემა

კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, არ არსებობს პროფესიული კვალიფიკაციების დაგეგმარების, შექმნის, შეფასების, მონიტორინგის და განახლების ეფექტური ინსტიტუციონალური სისტემა, რომელიც იქნებოდა უზრუნველყოფილი შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ამავე დროს, საქართველოში არსებულ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებს პირდაპირ თუ ირიბად ეხება ეს პრობლემა და იმისთვის რომ ისინი იყვნენ ჩართულები ამ პროცესში, საჭიროა მათი ამის თაობაზე ინფორმირება. აუცილებელია ამ პროცესის იურიდიული, საკანონმდებლო, საინფორმაციული და საფინანსო უზრუნველყოფა.

გამომდინარე სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან სასარგებლო იქნება შემდეგი ტიპის სტრუქტურების შექმნა:

1. პროფესიული კვალიფიკაციების ნაციონალური საბჭო (როგორც გადაწყვეტილებების მიმღები ლეგიტიმური ორგანო);
2. პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების ეროვნული სააგენტო (როგორც მონიტორინგის და კვლევების ერთეული);
3. კვალიფიკაციების შეფასებების დამოუკიდებელი ცენტრები;
4. დამსაქმებელთა შეფასების ჯგუფები;
5. პროფილური სამოქალაქო ორგანიზაციების და პროფესიული გაერთიანებების მიერ შექმნილი დარგობრივი გუნდები და პროფესიული კონსულტაციების დარგობრივი საბჭოები;
6. სამეცნიერო ორგანიზაციები - ინსტიტუტების, ცენტრების და აკადემიების ექსპერტიზის ჯგუფები;
7. სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, პროფტექსასწავლებლების აკადემიურ საბჭოებში შექმნილი ჯგუფები;

8. მაძიებლების, მშობელთა კომიტეტების, მზრუნველთა საბჭოების სპეციალური ჯგუფები;
9. სახელმწიფო ადმინისტრაციული ტიპის ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს შრომის ნორმატიულ-სამართლებრივ პოლიტიკას (პოსტსაბჭოთა პერიოდში განადგურებული შრომის ინსტიტუტის რეანიმაცია);
10. საკანონმდებლო რეგულაციის პოლიტიკა - საქართველოს პარლამენტი და მუნიციპალური ერთეულები.
11. საერთაშორისო პოლიტიკის ჯგუფი, რომელიც სწავლობს საერთაშორისო გამოცდილებას და გარე ბაზარზე დასაქმების პოლიტიკას.

ახალი დოკუმენტის სავარაუდო სახელწოდება:

1. პოლიტიკის კვლევები, ტექნოლოგიები, ინოვაციები და ადმინისტრირება
2. პოლიტიკის მეცნიერება, განათლება და ადმინისტრირება
3. პოლიტიკის კვლევები, განათლება და პოლიტიკური სისტემების ადმინისტრირება

4.9 მეტაპოლიტოლოგია: პროფესიების დარგობრივი კლასიფიკატორი (საქართველოსთვის)

მთავარ ამოცანას წარმოადგენს - პროფესიების კლასიფიკატორის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც შეესაბამება არსებული საშიშროებებისგან დაცვას - ახალ რისკებზე, გამოწვევებზე და საფრთხეებზე რეაგირებას; მსოფლიოში მიმდინარე სწრაფ ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციებზე რეაგირებას და თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა შესაბამისი კადრების მომზადებას.

1. მეტაპოლიტოლოგიის მენეჯმენტი (D)
 - 1.1 პოლიტიკის მეცნიერებათმცოდნეობა
 - 1.2 მეტაპოლიტოლოგიის ფსიქოლოგია
 - 1.3 მეტაპოლიტოლოგიის ფილოსოფია
 - 1.4 მეტაპოლიტოლოგიის მართვა
 - 1.5 მეტაპოლიტოლოგიის ისტორია
 - 1.6 მეტაპოლიტოლოგიის ეკონომიკა
 - 1.7 მეტაპოლიტოლოგიის უშიშროება

- 1.8 მეტაპოლიტოლოგიური კომუნიკაციები და სამეცნიერო დიპლომატია
- 1.9 მეტაპოლიტოლოგიური ჟურნალისტიკა
- 1.10 ციფრული მეტაპოლიტოლოგია და ა.შ.

2. ზოგადი პოლიტოლოგია

2.1 ქვეყანათმცოდნეობა

- 2.1.1 ჰოლისტური საქართველოსმცოდნეობა
- 2.1.2 გლობალური საქართველო - თანამემამულეები
- 2.1.3 ახალი სამეზობლო პოლიტიკა
- 2.1.4 რეგიონული და ტრანსრეგიონული პოლიტიკა
- 2.1.5 გეოპოლიტიკა
- 2.1.6 ციფრული საქართველო

2.2 სახელმწიფოთმცოდნეობა და სახელმწიფო ორგანიზაციების მართვა

- 2.2.1 სახელმწიფოს ტიპოლოგია
- 2.2.2 სახელმწიფო ინსტიტუტების მართვა
- 2.2.3 სახელმწიფო ინსტიტუტების დიზაინი და მოდელირება
- 2.2.4 საქართველოს მართვის პოლიტიკა
 - 2.2.4.1 საქართველოს სახელმწიფოს მართვის ისტორია
 - 2.2.4.2 საჯარო პოლიტიკა
 - 2.2.4.3 საჯარო ადმინისტრირება
 - 2.2.4.4 საჯარო პოლიტიკის კვლევები
 - 2.2.4.5 საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტები
 - 2.2.4.6 საჯარო პოლიტიკის ანალიზი და სინთეზი

2.2.5 მართველობა

- 2.2.5.1 მთავრობის მართვა - სახელმწიფო ადმინისტრირება
- 2.2.5.2 საკანონმდებლო სისტემების მართვის სისტემები
- 2.2.5.3 ღირებულებათა მართვის პოლიტიკა
- 2.2.5.4 მუნიცილპური სისტემების მართვა
- 2.2.5.5 სოციალური სერვისების მართვა
- 2.2.5.6 მართვის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი
- 2.2.5.7 ციფრული მართვის ხელოვნება

2.2.6 ბიზნეს სექტორის მართვის პოლიტიკა

- 2.2.6.1 ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა
 - 2.2.6.1.1 მცირე და საშუალო ბიზნესი
 - 2.2.6.1.2 მსხვილი ბიზნესი
 - 2.2.6.1.3 თანამემამულეთა ეკონომიკა
- 2.2.6.2 რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა

- 2.2.6.3 საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა
- 2.2.6.4 არალეგალური ეკონომიკა
- 2.2.6.5 ტრანსნაციონალური კორპორაციები
- 2.2.6.6 ცოდნის ეკონომიკა
- 2.2.6.7 ციფრული ეკონომიკა

2.3 საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება

- 2.3.1 სამოქალაქო საზოგადოების ისტორია
- 2.3.2 პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები
- 2.3.3 პროფესიული გაერთიანებები
- 2.3.4 არაფორმალური და საპროტესტო ჯგუფები
- 2.3.5 არასამთავრობო ორგანიზაციები
- 2.3.6 ნონ-პროფიტ ორგანიზაციები
- 2.3.7 რელიგიური ორგანიზაციები
- 2.3.8 სპორტული ორგანიზაციები
- 2.3.9 სამეცნიერო ორგანიზაციები
- 2.3.10 განათლების ორგანიზაციები
- 2.3.11 კულტურის ორგანიზაციები
- 2.3.12 სათვისტომოები
- 2.3.13 საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების გლობალური განზომილება
- 2.3.14 ციფრული სამოქალაქო საზოგადოება
- 2.3.15 სხვა.

2.4 არალეგალური ზეგავლენის ჯგუფები

- 2.4.1 ლოკალური და ტრანსსასაზღვრო კრიმინალი
- 2.4.2 ტერორისტული ორგანიზაციები
- 2.4.3 აგრესიული სექტები
- 2.4.4 დახურული საზოგადოებები
- 2.4.5 ელექტრონული კრიმინალი

2.5 პოლიტიკის მართვის კლასიკური და ინოვაციური თეორიები

- 2.5.1 კლასიკური თეორიები
 - 2.5.1.1 დემოკრატიული და არადემოკრატიული მართვის თეორიები
- 2.5.2 კომპლექსური (რთული) სისტემების მართვის თეორიები
- 2.5.3 პოლიტიკის ციფრული მართვის სისტემები
 - 2.5.3.1 ციფრული დემოკრატია
 - 2.5.3.2 ციფრული ბიუროკრატია
 - 2.5.3.3 ციფრული დიპლომატია
- 2.5.4 მეტამართვა - პოლიტიკის მართვის მართვა
 - 2.5.4.1 იერარქიის მართვა - Public administration

2.5.4.2 ბაზრის მართვის პოლიტიკა - New Public Management

2.5.4.3 ქსელი (მეტამართვის დახურული და ღია სისტემები) – Governance, Good Governance

3 კროსპოლიტოლოგია

3.1 პოლიტიკური დემოგრაფია (პოლიტიკური დემოგრაფიის მენეჯმენტი) ასეთი სახელწოდებითაა წარმოდგენილი ეს მიმართულება აშშ-ში.¹⁷⁹

3.1.1 პოლიტიკური ეთნოდემოგრაფია და ეთნოსოციოლოგია

3.1.1.1 მკვიდრი მოსახლეობა - კავკასიური-იბერიული ეტნოგრაფიული ჯგუფები (ეს პოლიტიკა კარგადაა გამოკვეთილი კანადაში)

3.1.1.2 თანამემამულეები

3.1.1.3 დიასპორა

3.1.1.3.1 - ქართული

3.1.1.3.2 - საქართველოსი

3.1.1.3.3 - კავკასიური

3.1.2 ეთნიკური უმცირესობები

3.1.3 კონფესიური უმცირესობები

3.1.4 ენობრივ/დიალექტური ჯგუფები

3.1.5 რასობრივი ჯგუფი

3.1.6 პოლიკულტურული ჯგუფები

3.1.7 შრომითი მიგრანტები

3.1.8 პოლიტიკური მიგრანტები (ემიგრაცია-იმიგრაცია)

3.1.9 ლტოლვილები

3.1.10 იძულებით გადაადგილებული პირები

3.1.11 რეპატრიანტები

3.1.12 ეკოლოგიური მიგრანტები

3.1.13 არაკონტროლირებადი ტერიტორიების მოსახლეობა

3.1.14 გენდერი და პოლიტიკა

3.1.15 გერონტოლოგიური პოლიტიკა

3.1.16 პოლიტიკური დემოგრაფიის მენეჯმენტი

(გენოციდი; ჰოლოკოსტი; წმენდა; დევნა; ნეგატიური დისკრიმინაცია; პოზიტიური დისკრიმინაცია; ჰუმანური რეგულირების პოლიტიკა, კულტურული

¹⁷⁹ აშშ-ს მეცნიერების ეროვნული ფონდის მონაცემები და ინტეგრირებული Postsecondary განათლების მონაცემთა სისტემა

მრავალფეროვნების პოლიტიკა, პოლიტკულტურული
ერის პოლიტიკა და ა.შ)

3.2 პოლიტიკის ფსიქოლოგია

3.2.1 პოლიტიკური აქსეოლოგია - ღირებულებების,
იდეოლოგიების და იდენტობების კვლევა:

3.2.2

3.2.2.1 სახეობები - როიალიზმი,
რესპუბლიკანიზმი, მარქსიზმი,
კომუნისმი, სოციალიზმი, კაპიტალიზმი,
ბოლშევიზმი, მენშევიზმი, ლიბერალიზმი
და მისი სახეობები, ნაციონალიზმი (პან-
ნაციონალიზმი),
შოვინიზმი, ნაციზმი, ფაშიზმი, რასიზმი,
იმპერიალიზმი, პოლიტიკური
ეთნოცენტრიზმი, პოლიტიკური
რელიგიოცენტრიზმი, პოლიტიკური
ათეიზმი, ჰუმანიზმი (პოსტჰუმანიზმი,
ტრანსჰუმანიზმი), კონსერვატიზმი (მისი
სახეობები), პაცეფიზმი, ანარქიზმი,
ფემინიზმი და მასკულიზმი,
ფავორიტიზმი, თანასწორობა,
მერიტოკრატია და ა.შ.

3.2.1.2 - იდეოლოგია (პარადიგმათა ცვლილებები): იდეოლოგია, დეიდეოლოგიზაცია
და რეიდეოლოგიზაცია, მედიოლოგია

3.2.3 პოლიტიკოსების პერსონალური ფსიქოლოგია

3.2.4 ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ფსიქოლოგია

3.2.5 ეთნიკური ფსიქოლოგია

3.2.6 ეროვნული ფსიქოლოგია

3.2.7 რეგიონული იდენტობების ფსიქოლოგია

3.2.8 საერთაშორისო ურთიერთობების ფსიქოლოგია

3.2.9 პროპაგანდის ფსიქოლოგია

3.2.10 გეოგრაფიული ფსიქოლოგია

3.2.11 განწყობის თეორია

3.2.12 პოლიტიკური ბიქევიორიზმი

3.2.13 პოლიტიკური აზროვნების ფსიქოლოგია

3.2.14 მეტაკოგნიციური მართვის თეორია

3.3 პოლიტიკის ფილოსოფია

3.3.1 პოლიტიკური რეფლექსია

- 3.3.2 პოლიტიკური თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი
- 3.3.3 სამართლიანობა
- 3.3.4 ლეგიტიმურობა
- 3.3.5 მოქალაქეობრიობა
- 3.3.6 ღირსება და პასუხისგებლობა
- 3.3.7 იდენტობები

3.4 პოლიტიკის ისტორია

- 3.4.1 სახელმწიფო ინსტიტუტების ისტორია
- 3.4.2 პოლიტიკური მეხსიერების კვლევები
- 3.4.3 პოლიტიკური არქეოლოგია

3.5 პოლიტიკური გეოგრაფია

- 3.5.1 პოლიტიკური ქვეყანამცოდნეობა
- 3.5.2 ელექტორალური გეოგრაფია
- 3.5.3 სივრცულ განზომილებები და ფორატები

3.5.3.1 სახმელეთო პოლიტიკური გეოგრაფია
(მთები, მდებლობები, კანიონები, ხეობები)

3.5.3.2 წყლის ბასეინების პოლიტიკური გეოგრაფია
(ოკეანე, ზღვა, ტბა, მდინარეები, ჭაობები)

3.5.3.3 საჰაერო და კოსმოსური პოლიტიკა

3.5.4 პოლიტიკური რეგიონთმცოდნეობა (რეგიონალისტიკა)

3.5.4.1 სუბრეგიონალისტიკა (მხარეთმცოდნეობა)

3.5.4.1.1 საქართველოს
სუბრეგიონები

3.5.4.1.2 ადგილობრივი
ადმინისტრაციული
დაყოფა და მართვებობა

3.5.4.2 მაკრორეგიონული კვლევები

3.5.4.3 ტრანსრეგიონალური თანამშრომლობა

3.5.5 კონტინენტალური პოლიტიკა

3.5.6 ტრანსკონტინენტალური პოლიტიკა

3.5.7 ცივილიზაციური კვლევები

3.5.8 გეოპოლიტიკა

3.5.9 ლიმოლოგია

3.5.9.1 სასაზღვრო პოლიტიკა

3.5.9.2 ტრანსსასაზღვრო პოლიტიკა

3.5.9.3 ლიმიტროფული და ბუფერული
სივრცეები

3.5.10 გეოგრაფიული კონფლიქტოლოგია

3.5.11 ახალი სამეზობლო პოლიტიკა (იხილეთ ზევითაც)

3.5.12 კარტოგრაფია

3.6 პოლიტიკური მათემატიკა და ინფორმატიკა

3.6.1 პოლიტიკური პროცესების მათემატიკური და
კომპიუტერული მოდელირება

3.6.2 პოლიტიკური სტატისტიკა

3.7 ტრანსდისციპლინური პოლიტოლოგია

3.7.1 პოლიტიკურ მომავლის ვარიანტების კვლევები
(პოლიტიკური ფიუჩეროლოგია)(futures studies)

3.7.2 პოლიტიკური კოგნიტივისტიკა

3.7.3 ჰოლისტური პოლიტოლოგია

3.7.4 პოლიტიკური სინერგეტიკა

3.7.5 პოლიტიკური სირთულეების (კომპლექსური
სისტემების) მულტიმოდელირება

3.7.6 პოლიტიკური სიმეოტიკა

4 პარაპოლიტოლოგია

4.1 პარაპოლიტიკა

4.2 ალტერნატიული პროგნოზირება

4.3 პოლიტიკური პარაფსიქოლოგია

4.4 პოლიტიკური მითოლოგია

4.5 პოლიტიკური ასტროლოგია

4.6 პოლიტიკური რელიგია

4.7 პოლიტიკური ხელოვნება

4.8 არასამეცნიერო ცოდნის სამეცნიერო მართვის მეთოდები

4.10 მეტადიპლომატია და პოლიტიკური კომუნიკაციის განსაკუთრებული როლი

ეს კომპონენტი ეხება პოლიტიკურ კომუნიკაციებს. მეტადიპლომატები - პოლიტიკური კომუნიკაციების მართვის სპეციალისტები არიან. ერთი მხრივ პოლიტიკა თვითონ წარმოადგენს კომუნიკაციის სახეობას, მეორე მხრივ, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციები წარმოადგენს პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობებს.

პოლიტიკური სისტემა შეიძლება იყოს განხილული როგორც საინფორმაციო-კომუნიკაციური სისტემა. ეს აზრი პირველად წარმოადგინა ცნობილმა პოლიტოლოგმა - კარლ დოიჩმა.¹⁸⁰ ამავე დროს კომუნიკაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ საინფორმაციო ზეგავლენით. ეს შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური ფიზიკური, ტექნიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ ზეგავლენა პოლიტიკურ რეციპიენტზე.

როდესაც პოლიტიკის სუბიექტებს შორის არსებული კომუნიკაციები ზიანდება და ღებულობს აგრესიულ ხასიათს, იქმნება კონფლიქტი. ამიტომ კონფლიქტი განიმარტება, როგორც კომუნიკაციების რღვევა. გამომდინარე აქედან, მეტადიპლომატები არიან სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური კომუნიკაციის სპეციალისტები და მათზეა სერიოზულად დამოკიდებული თუ როგორ წარიმართება კონფლიქტის პარადიგმა.

ნებისმიერი სისტემა გარდა ქვესისტემების და სხვადასხვა ელემენტების ჯამისა, წარმოადგენს მათ შორის არსებული კომუნიკაციების ურთულეს სიმრავლეს. პოლიტიკური კომუნიკაციების, ტრანსფორმაციის, განვითარების შეწყვეტის ამოცანებსაც სჭირდება კვალიფიცირებული მომსახურეობა.

მეცნიერებაში დღემდე არსებული დაყოფა ამ ურთულესი სისტემების - საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ან საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის კლასტერებად ვედარ ასრულებს დასმულ ამოცანას, იმიტომ რომ არსებობს რეალობაში პოლიტიკური რელატივიზმი. ერთი მონაწილისთვის კომუნიკაცია შეიძლება წარმოადგენდეს საშინაო პოლიტიკის საგანს, ხოლო მეორესათვის - საერთაშორისო ურთიერთობების საგანს. ამის ნათელი მაგალითია - აფხაზეთის ან ცხინვალის კონფლიქტის გარშემო არსებული პოლემიკა. ამიტომ ამ რეალობაზე მეცნიერებამ, და შემდგომში განათლებამაც უნდა მოახდინოს მყისიერი რეაგირება.

საერთაშორისო ურთიერთობა ნებისმიერ სფეროში წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებას.

ანუ საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება იყოს წმინდა პოლიტიკური ხასიათის, მაგალითად - რამოდენიმე ქვეყნის პოლიტიკური ალიანსი. მაგრამ სპორტის სფეროში საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებაც პოლიტიკას უკავშირდება. მაგალითად მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლები სად ჩატარდეს თუ სად არ ჩატარდეს ესა თუ ის ოლიმპიადა ან სპარტაკადა. ამას კარგად აღწერს თავის ნაშრომში სპროტული დიპლომატიის კვლევების ერთ-ერთი შემქმნელი, ქართველო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე - ზაზა ჯაფარიძე.¹⁸¹

¹⁸⁰ <https://nicbar.ru/politology/study/kurs-teoriya-politiki/lektcii-po-kursu-teoriya-politiki-2002-2007-gg/95-lektsiya-26-politicheskie-kommunikatsii>

¹⁸¹ ჯაფარიძე ზ., საერთაშორისო სპორტის დიპლომატიური ასპექტები, ავტორეფერატი, თბილისი, 2016, https://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/Soc-mecn_17.02.16/avtoreferati_z.jafariZe.pdf

ამიტომ გვაქვს დღევანდელი რეალიზებიდან გამომდინარე უფლება, რომ „საერთაშორისო ურთიერთობები“ განვიხილოთ როგორც „საერთაშორისო პოლიტიკის“ ან „საერთაშორისო პოლიტიკური კომუნიკაციების“ ქვესისტემად ანუ მეტაპოლიტოლოგიის ნაწილად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი მეტადიპლომატია, ფარავს როგორც საგარეო, ასევე საშინაო და არატრადიციულ და არანორმატიულ პოლიტიკურ კომუნიკაციებს. ამიტომ მთავარ პოზიციაზე ჩვენ გავიყვანდით **მეტადიპლომატიის** პროფესიას, რომელსაც დავყოფდით ქვემომართულებებით - სპეციალობები, სპეციალიზაციები და ვიწრო სპეციალიზაციები.

მეტადიპლომატიის სპეცილისტები სჭირდება მეტაპოლიტოლოგიის ყველა სფეროს. განსაკუთრებული როლი მათ ეკისრებათ გლობალიზაციის პროცესში.

სტრატეგიაში - ქართული დიპლომატიური სკოლა უნდა ამარაგებდეს სპეციალისტებით საშინაო, საგარეო და შერეული ტიპის **პოლიტიკურ კომუნიკაციების** სპეციალისტებით.

ეს შეეხება:

- ინტერპერსონალური
- ინტერპერსონალური
- ინტრაჯგუფური
- ინტერჯგუფური
- მასობრივი

ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციები

- დიპლომატია - პოლიტიკური კომუნიკაციები
- საერთაშორისო პოლიტიკა
- საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები
- საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები

- ინტეგრაცია/დეზინტეგრაციის სპეციალიზაცია (სეცესსიონიზმი, ირედენტიზმი, სეპარატიზმი, უნიონიზმი, პოლიტიკური სინკრეტიზმი და ა.შ.)
- საერთაშორისო ორგანიზაციები (ღია და დახურული, ორმხრივი და მრავალმხრივი - ალიანსები, კავშირები, საბჭოები, თანამეგობრობები, ლიგები, ბლოკები,...)
- კომუნიკაციების ტექნოლოგიები (ტრადიციული, ელექტრონული...)

პოლიტიკური ტექნოლოგიები

- მეტაპოლიტოლოგიის მეცნიერების მართვა
- პოლიტიკური აქსეოლოგია
- პოლიტიკური კოგნიტივისტიკა

- პოლიტიკური ტექნოლოგიები
- პოლიტიკური სისტემების მართვა
- პოლიტიკური განათლება და კულტურა
- სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მართვა
- მთავრობის მართვა
- სამოქალაქო საზოგადოების მენეჯმენტი
- პოლიტიკური პარტიების მენეჯმენტი
- პოლიტიკური სტატისტიკა
- პოლიტიკური ინოვაციები და დანერგვის ტექნოლოგიები
- შედარებითი (კომპერატიული) პოლიტიკა
- პოლიტიკური ანალიტიკა/სინთეზი

მეტადიპლომატიის ეკონომიკური მოდული:

- პოლიტიკური პროცესების ეკონომიკური ანალიზი
- პოლიტიკური ეკონომია
- პოლიტიკის ეკონომიკა
- ეკონომიკური დიპლომატიის კლასტერი
- გეოეკონომიკა

მეტადიპლომატი - კომუნიკაციების მართვის სპეციალისტია. და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომ კონფლიქტი კომუნიკაციების თეორიაში განიხილება როგორც კომუნიკაციის რღვევა, ხოლო კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია ან მოგვარება, როგორც კომუნიკაციის აღდგენა ან ახალი კომუნიკაციის შექმნა.

განათლების სისტემა უნდა ხელს უწყობდეს იმ კვალიფიკაციის და კატეგორიის სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ პოლიტიკური სისტემების სხვადასხვა კულტურულ განზომილებაში ეფექტიანი მოქმედება და ქვეყნის თავდაცვის სისტემური უზრუნველყოფა. ამას უნდა ითვალისწინებდეს განათლების პოლიტიკის დოკუმენტების შეფასების კრიტერიუმი.

მნიშვნელოვანია კარგად იყოს დანახული ყველა ამ განზომილებაში - სახელმწიფო; ბიზნესის; სამოქალაქო საზოგადოების - კონვენციური და არაკონვენციური ტიპის ორგანიზაციები და ინტერესთა ჯგუფები

4.11 მეტაპოლიტოლოგიური კადრების მომზადების აუცილებლობა

კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორიის ერთ-ერთი მთავარი ბურჯია - „**ბედნიერ პროფესონალთა ბედნიერი თანასაზოგადოების კონცეპცია**“.¹⁸²

ამ კონცეპციის იმპლემენტაციისათვის შექმნილია - „**პროფესიული ბედნიერების აკადემია**“. საზოგადოების ბედნიერების ხარისხი ნამდვილად დაკავშირებულია მისი წევრების ბედნიერებაზე. პროფესიონალების ბედნიერებაზე უნდა ზრუნავდნენ პროფესიონალები. ადამიანები ვისაც გააჩნიათ ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარჩვევები. ფილოსოფიის მეცნიერების დოქტორმა - ოლეგ ბაზულუკმა (უკრაინა, ჩინეთი), პლატონის მოსაზრებებზე დაყრდნობით, დაარქვა პროფესიონალებს ამ ტიპის - ბრძენი პრაქტიკოსები“ ან „სოფოსები“.¹⁸³

მაგრამ პროფესიონალების რაოდენობა არაპროფესიონალებთან შედარებით საქართველოშიც არის ძალიან მცირე. დიპლომების და სერტიფიკატების რაოდენობა არანაირად არ ასახავს კომპეტენციების რეალურ სურათს.

სასწავლო-

პროფესიული დეპრივაცია აღწევს 68.4%. ეს ნიშნავს იმას, რომ უკვე უმაღლესი სასწავლებლების დონეზე, ადამიანები არ სწავლობენ იმას რაც აქვთ სურვილი რომ ისწავლონ. შესაბამისად ამისა, ისინი ვერ იქნებიან ბედნიერი პროფესიონალები იმიტომ რომ არ/ვერ იმუშავენ მათთვის სასურველი პროფილით.

გარდა მათი ბედნიერების სუბიექტური განცდისა, ჩვენ უნდა ავლნიშნოთ, რომ ბევრი პრობლემა რჩება კომპეტენტური პატრონაჟის გარეშე. განსაკუთრებით ეს ხდება მტკივნეული კრიზისის პირობებში.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ კრიზისის პირობებში არსებობდეს სამეცნიერო ცოდნის მობილიზაციის და ეფექტიანი გამოყენების პოლიტიკა. როგორც დავინახავთ შემდგომ მასალებში, ეს რესურსი არის საკმაოდ დიდი და მრავალსახოვანი. მაგრამ თვით ამ ეროვნული საგანძურის გამოყენების პოლიტიკური უნარი არ არსებობს. არ არსებობს გაცნობიერება ამ რესურსის არსებობის და მისი შესაძლო გამოყენების. ამიტომ ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ხშირად გარე ძალებზე, მეცნიერების და განათლების უცხოეთში არსებულ პოლიტიკაზე რაც ამცირებს ეროვნული დამოუკიდებლობის ხარისხს.

¹⁸² რუსეცკი ა., „პროფესიული არჩევანის პრობლემის ზეგავლენა სტუდენტის სწავლის პროცესზე და პროფესიულ გარემოში ადაპტაციაზე“ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი. 30.01.2019. მონოგრაფია.

¹⁸³ В гостях у Александра Русецкого Доктор Философии - Олег Базалук (Украина, Китай), "Проблемы управления конфликтами в разделенных обществах", https://www.youtube.com/watch?v=SKv0RDoh7_Y

- გამომდინარე იქედან არსებობს შესაძლებლობა („ორმაგი დანიშნულების“ სტრატეგიის მიხედვით) ეროვნული სამეცნიერო კადრების სპეციალური მომზადების და გამოყენების საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების და მათ შორის კრიზისების და კონფლიქტების მართვაში.
- ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა არსებული და იმიტირებული კრიზისების მიმართულებით „ინტელექტუალური“ წვრთნების ჩატარება. გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფო, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე ამას ვერ ახერხებს, საზოგადოებაში უნდა გაჩნდეს და განვითარდეს ინტელექტუალური თვითდაცვის და თავდაცვის მექანიზმები.
- ამის რეალიზაცია შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოებაში შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო კლასტერის განვითარების გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერებასთან ერთად იყოს წარმოდგენილი გვერდზე მდგომი - საგანმანათლებლო კლასტერიც.
- ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების იმპლემენტაციისათვის სასურველია სახელმწიფო სტრატეგიის არსებობა, რომელიც დაეყრდნობა სპეციალურ კანონს „სახელმწიფო სამეცნიერო დაკვეთების თაობაზე“.
- თუ დღის წესრიგშია კონკრეტული პრობლემა - აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი, მაშინ ჩვენ უნდა განვიხილოთ სამეცნიერო პოლიტიკის ამ პრობლემაზე რეაგირება და სახელდობრ - სამეცნიერო კადრების სპეციალური გადამზადება და ამ პრობლემის მოგვარების პროცესში მათი ჩართულობა.

მაგრამ ამისთვის აუცილებელია შემდეგი რამ:

- იმის ცოდნა თუ რამდენი და რა ტიპის კადრია საჭირო კონკრეტული ამოცანების შესრულებისთვის;
- რა პროფილის სპეციალისტებში გვაქვს რღვევა;
- რა ნორმატიული ცვლილებები და ამის შესაბამისად საბიუჯეტო ცვლილებები უნდა მომზადდეს ამ ამოცანების შესრულებისთვის;
- კადრების გადამზადების მექანიზმების ამოქმედება (საქართველოში ან/და უცხოეთში);
- გადამზადებული კადრების დასაქმება.

გამომდინარე იქედან, რომ აფხაზეთის კრიზისი წარმოდგენილია კომპლექსური სისტემით, მნიშვნელოვანია კომპლექსური სისტემების მართვის სპეციალისტების ჩართულობა. აუცილებელია რთული სისტემის დაშლა ქვესისტემებად და მათ შესაბამისობაში სპეციალისტების შერჩევა და ინტეგრაცია პროცესში.

ინტეგრაცია გულისხმობს მოცემული ამოცანების სიმრავლისათვის მათ ადაპტაციას. გამომდინარე იქედან, რომ ამჯერაზე განვიხილავთ პოლიტიკურ კრიზისს, ჩვენ უნდა მოვამზადოთ მატაპოლიტოლოგიის სპეციალისტები.

კვლევის თეორიული შედეგები

- პირველად პრაქტიკული შედეგების მიღებისათვის იყო იყო შექმნილი გამოყენებული კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვის თეორია.
- შემეცნება და მეტაშემეცნება იყო განხილული როგორც ცოდნის კაპიტალის მთავარი შემოქმედი და როგორც კრიზისების და კონფლიქტების მართვის გამოყენებელი სტრატეგიული ეკონომიკური რესურსი.
- მონოგრაფიაში გამოყენებულია მეცნიერებათმცოდნეობის ცნება და როგორც მისი ქვესისტემა - პოლიტიკის მეცნიერებათმცოდნეობის ცნება, რომელიც აერთიანებს საკუთარ თავში როგორც პოლიტიკის მეცნიერებებს, ასევე იმ მეცნიერებებს, რომლებიც შესაძლებელია იყოს გამოყენებული პოლიტიკური პრობლემების კვლევისთვის.
- მონოგრაფია არაა მეცნიერებაცენტრირებული და მასში გამოკვეთილია STI-E სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა და საქართველოს რეალობასი პირველად დადგა პოლიტიკური განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შექმნის აუცილებლობის საკითხი.
- გამომდინარე იქედან რომ ცოდნის კაპიტალი არ შეიცავს მხოლოდ სამეცნიერო ცოდნას, ჩვენ მივეცით პრიორიტეტი ტერმინს „პოლიტიკის კვლევები“, რომელიც შეიცავს საკუთარ თავში „პოლიტიკის მეცნიერებებს“.
- პოლიტიკის მეცნიერებების ცნების ალტერნატივად განვიხილეთ მეტაპოლიტოლოგიის ცნება, როგორც პოლიტიკური პრობლემების მოგვარებისთვის აუცილებელი ცოდნის და მისი გამოყენების პოტენციალი.
- პირველად წარმოვადგინეთ მეტაპოლიტოლოგიის სტრუქტურის, როგორც კომპლექსური სისტემის ცნება და მისი ახალი განვითარების პარადიგმა.
- შემოვიტანეთ ცნება - „მეტაპოლიტოლოგიის ინსტიტუტი“, როგორც პოლიტიკის მეცნიერებების მართვის მთავარი სისტემა.
- მეტაპოლიტოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვესისტემად წარმოვადგინეთ მეტადიპლომატიის ფენომენი, რაც წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის ინოვაციას.

ზემოთ ჩამოთვლილი შედეგები ქმნიან:

- პოლიტიკის მეტამეცნიერების და მეცნიერებათმცოდნეობის განვითარების;
- პოლიტიკის მართვის კულტურის პოზიტიური ტრანსფორმაციის;
- არსებული პრობლემების, კონფლიქტების და კრიზისების მართვის ეფექტიანობის ზრდის;
- ქვეყნის უშიშროების სისტემის გაძლიერების;
- ქვეყნის მდგრადი და პერმანენტული განვითარებისათვის სრულიად ახალი შესაძლებლობებს.

კვლევის პრაქტიკული შედეგები

- კვლევაში წარმოდგენილია არსებული კვალიფიკაციის ჩარჩოს დოკუმენტის შესაბამისი ფრაგმენტის კრიტიკული ანალიზი, რომელმაც დაამტკიცა მნიშვნელოვანი ხარვეზები, დეფექტები და დოკუმენტის ამ ფრაგმენტის სრული ტრანსფორმაციის აუცილებლობა.
- პირველად საქართველოში დღის წესრიგში დადგა „მეტაპოლიტოლოგიის მართვის სპეციალისტების“ მომზადების საკითხი. გახდა გასაგები, რომ სანამ ამ მიმართულებით არ მოხდება კვალიფიცირებული სამეცნიერო კვლევების ჩატარება და მათზე დაყრდნობით სახელმწიფო პოლიტიკის შექმნა ამ საკითხთან მიმართებაში, საქართველო დაკარგავს არსებული პრობლემების მოგვარების კონკრეტულ შესაძლებლობებს.
- კვლევამ დაამტკიცა, რომ პოლიტიკური მეცნიერებების სხვადასხვა საჭირო პროფილის სპეციალისტების სიმრავლე საქართველოში დაფარული არაა (ზოგი მიმართულებით საერთოდ არ გვყავს სპეციალისტები).
- დღის წესრიგში დადგა ამ პროფილის სპეციალისტების საგანგებო მომზადების საკითხი. ამ პრობლემის შემცირებისთვის შეიქმნა მეტაპოლიტოლოგიის ინსტიტუტის პროექტი და იყო განხილული საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საკითხი.
- შეიქმნა - მონაცემთა ბაზა იმ მეცნიერების და ორგანიზაციული ერთეულების, ვინც მუშაობს ან შეიძლება რომ იმუშაოს კლასიფიკატორის ჩარჩოს ცვლილებების პოლიტიკაზე.
- დღის წესრიგში დადგა საკითხი საერთაშორისო დონეზე არსებული გამოცდილების შესწავლის და მეტაპოლიტოლოგიის პროფესიული კვალიფიკაციის ტექსტონომიური მუდმივად განახლებადი ელექტრონული მატრიცის შექმნის საკითხი. ამ მიმართულებით უკვე დაიდო მონაცემები 100-ზე მეტ პროფილზე. ეს პირველადი მონაცემთა ბაზა მოითხოვს კიდევ შევსებას, კატეგორიზაციას და ელექტრონული მართვის სისტემის შექმნას.
- შექმნილი და წარმოდგენილია მეტაპოლიტოლოგიის დარგობრივი კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შუალედური დოკუმენტი.

მოლოდინები

სტატიაში წარმოდგენილი იდეების რეალიზების შედეგად შესაძლებელია კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით არაძლადობრივი და არაძალისმიერი მეთოდების ნაცვლად იყოს წარმოდგენილი ახალი პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა გამოუყენებელი პროფესიული რესურსების მობილიზაციის, მომზადების ან გადამზადების ახლებურ ხედვას.

დასკვნა

საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული პროფესიების, სპეციალობების, სპეციალიზაციების და ვიწროსპეციალიზაციების ჩამონათვალის მნიშვნელობა არის გადამწყვეტი განათლების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის. მასზე არის დაყრდნობილი პიროვნების არჩევანი - თუ სად გააგრძელოს სწავლა - რა პროფესიას, სპეციალობას, სპეციალიზაციას თუ ვიწრო სპეციალიზაციას შეიძლება დაეუფლოს ან რა მიმართულებით განავითაროს თავისი კარიერა. ამ მაზნით, ნაშრომში შემუშავებული მიდგომების მიმართებაში, IT სპეციალისტების მხარდაჭერით, **პროფესიული ბედნიერების აკადემიის** ბაზაზე იქმნება საძიებო ელექტრონული სისტემა.

დისიმინაციის სხვა შესაძლებლობები

- კვლევას მხარი დაუჭირა საქართველოს პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტმა, რომელიც გამოთქვავს მზადყოფნას ხელი შეუწყოს ექსპერტთა დარგობრივი გუნდის ფორმირებას, ალტერნატიული დოკუმენტის მომზადებას და საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტში შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაცვით მასში ცვლილებების შეტანას.
- ალტერნატიული დოკუმენტის ექსპერტიზისთვის შესაძლებელი გახდა გამოყენებული იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების - პოლიტიკური მეცნიერების საერთაშორისო ასოციაცია, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება და ა.შ შესაძლებლობები, რაც შოთა რუსთაველის მეცნიერების ფონდის დოქტორანტთა მხარდამჭერი პროგრამების დამსახურებაა.
- პროცესს მხარს უჭერს ასევე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის კონფლიქტებისა და მშვიდობის მშენებლობის ინსტიტუტი და აკადემიის „მაცნე“, წმინდა მეფე თამარის სახელობის უნივერსიტეტი, წმინდა სიმონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ცენტრი, წმინდა რაჟდენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა, მეტადიპოლმატიის საერთაშორისო სკოლა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციები.
- ნაშრომის ავტორებს აქვთ იმედი, რომ საქართველოს პრემიერ მინისტრი, პარლამენტის თავჯდომარე, პრეზიდენტი მეცნიერების და განათლების პოლიტიკის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები საერთო ძალისხმევით შეძლებენ - „**შრომის ბაზარსა, ეროვნული უშიშროების სტრატეგიულ დოკუმენტებსა, აფხაზეთის და სხვა კრიზისებსა და განათლების არსებულ პოლიტიკას შორის არსებული შეუთავსებლობის მინიმალიზაციის ეროვნული სტრატეგიის და მოქმედების პროგრამის**“ შექმნას და რეალიზაციას. სასურველია რომ ამ შრომის შედეგები ნათლად აისახოს 2022-2032 წლის მეცნიერების და განათლების ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტში.

ბიბლიოგრაფია:

1. ბალარჯიშვილი.ი., „სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური ასპექტები“. სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, სექტემბერი, 2011
2. ბალარჯიშვილი ი., “რაციონალური არჩევანის პრობლემა პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ ბაზრებზე”. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #6, 2013.;
3. ბალარჯიშვილი ი., „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საზოგადოებრივი ხელშეკრულების პარამეტრების ცვლილება“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო“ -მასალები. საერთაშორისო რეგენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, სპეციალური ნომერი (1), 2011;
4. ბალარჯიშვილი ი., „პოსტრევოლუციური საქართველო: კორუფციის ბაზარი და მოთხოვნა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე“. რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, #2, 2009;
5. ბალარჯიშვილი ი., „ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ბარიერული ხასიათი - ტრანსპლანტაცია თუ ევოლუცია“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეგენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #1, 2008. და ბიზნესი“, #6, 2012.
6. გაბაშვილი მ., „განათლების მნიშვნელობა და როლი შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკაში“/“ქართველოლოგია“2020/აკადემიკოს გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. გვ.31-32
7. გაბაშვილი მ., „განათლება და დავით კურაპალატის პოლიტიკა“. სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, თბილისი, 2008.
8. დათეშიძე ლალი, შენგელია არჩილ. სამედიცინო ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი - (წყარო: ფილოსოფიური ლექსიკონი, ი. ტ. ფროლოვის რედაქციით, 1982 წ.
9. ჯაფარიძე ზ., საერთაშორისო სპორტის დიპლომატიური ასპექტები, ავტორეფერატი, თბილისი, 2016, https://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/Soc-mecn_17.02.16/avtoreferati_z.jafariZe.pdf
10. კუპრაშვილი ჰ., „ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება“. გამომცემლობა `უნივერსალი`, 2014, https://gtu.ge/Library/Pdf/El_wignebi/erovnuli_us.pdf
11. რუსეცი ა., თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის პრობლემები შეზღუდული სახელმწიფოების დაცვაში, პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ჟურნალი, 2007
12. რუსეცი ა., „პოლიდიპლომატიის კონცეპცია და საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის ინოვაციური საგანმანათლებლო საფუძვლები“, „პოლიტოლოგოსი“ N1 – 2019. გვ 151

13. რუსეცი ა., სეცესიონისტები და უნიისტები საქართველოში: გზა საზოგადოებებს შორის დიალოგიდან ეროვნულ შეთანხმებამდე. 2007;
14. რუსეცი ა., „საუნივერსიტეტო რეფორმა ეკონომიკური ფსიქოლოგიის კონტექსტში“, კსუს სამეცნიერო ჟურნალი, 2014
15. რუსეცი ა., „პროფესიული არჩევანის პრობლემის ზეგავლენა სტუდენტის სწავლის პროცესზე და პროფესიულ გარემოში ადაპტაციაზე“ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი. 30.01.2019. მონოგრაფია.
16. რუსეცი ა., „აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის გამოუყენებელი რესურსები“. „პოლიტიოლოგიის“ – N2 – 2020.
17. რუსეცი ა., დოროხინა ო., ფსევდო-კონფლიქტები და კვაზისამშვიდობო პროცესები კავკასიაში, თბილისი. 2009. გვერდი 42. http://hca.ge/wp-content/uploads/2013/09/Book_psevdoconflicts_Low-1.pdf
18. რუსეცი ა., დოროხინა ო., „გახლეჩილი ქალაქების მართვის სპეციფიკა: საერთო საფრთხეების აღქმის გაცნობიერება და გზა „სოხუმის უსაფრთხო თანასაზოგადოებისკენ“, უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საჯარო მართვის უნივერსიტეტი - 29.05.2020 <https://www.facebook.com/alexander.rusetsky.5/posts/10219977180493632>
19. რუსეცი ა., დოროხინა ო., „აფხაზეთის კრიზისი: საერთო საფრთხეების გაცნობიერების კონცეპციიდან აფხაზეთის უსაფრთხო თანასაზოგადოებამდე“- „სამეცნიერო-ტექნიკური აღმანახი „გრანი“. ტომი 23. N3. 2020, გვ. 118-134. გამოქვეყნდება 2020 წლის აპრილში <https://grani.org.ua/index.php/journal/article/view/1485>
20. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაურიფ. - „მენეჯმენტის საფუძვლები,, - საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გამომცემლობა «უნივერსალი» - გვ19 (195) თბილისი 2008
21. „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“//საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2014
22. Anderton, C., & Carter, J. (2009). Principles of Conflict Economics: A Primer for Social Scientists. Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9780511813474. http://assets.cambridge.org/97805218/75578/excerpt/9780521875578_excerpt.pdf
23. Bernal, J. (1961). World Without War. London: Routledge, <https://doi.org/10.4324/9780429282454>
24. Bustelo M. (2000). Metaevaluation as a Tool for the Improvement and Development of the Evaluation Function in Public Administrations, Presentation to the 2002 European Evaluation Society Conference in Seville

25. Chilachava T., Pochkhua G., Rusetsky A., Mathematical model of secession of the region
26. https://2ec6cbba-6f09-466b-8623-4b303dfd3785.filesusr.com/ugd/ff9281_22e0a28d311144e484af8c92a1d42758.pdf
27. Cooksy, L. J and Caracelli, V. J (2009), 'Meta-evaluation in practice: Selection and application of criteria', *Journal of MultiDisciplinary Evaluation*, 6 (9), 1-15.
28. Ebenstein, W. (1948). Toward International Collaboration in Political Science: A Report on the UNESCO Project, "Methods in Political Science". *American Political Science Review*, 42(6), 1181-1189. doi:10.2307/1950621
29. HAVENS HARRY S., AUDIT AND EVALUATION: IS THERE A DIFFERENCE?3 BY PREPARED FOR DELIVERY TO THE ATLANTA CHAPTER ASSOCIATION OF GOVERNMENT ACCOUNTANTS OCTOBER 16, 1980
30. Jantsch Er.. Vers l'interdisciplinarité et la transdisciplinarité dans l'enseignement et l'innovation, in Léo Apostel et al, 1972
31. Johnson Janet Buttolph, Reynolds H. T. with. Mycoff Jason D, *Political Science Research Methods Sixth Edition*, Copyright © 2008 by CQ Press, a division of SAGE, 2013 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
32. Kozachenko, Ganna V. (2016) "Estimatological Aspect in the Science of Economic Security." *The Problems of Economy* 1:167–173.
33. Larson, R., & Leni Berliner. (1983). On Evaluating Evaluations. *Policy Sciences*, 16(2), 147-163. Retrieved April 19, 2021, from <http://www.jstor.org/stable/4531975>
34. Mahner M. Demarcating Science from Non-Science // Theo Kuipers (ed.) *Handbook of the Philosophy of Science: General Philosophy of Science — Focal Issues*, Amsterdam: Elsevier, 2007. pp.515-575.
35. Majchrzak, J., Goliński, M., G. & Mantura, W., M. The concept of the qualitology and grey system theory application in marketing information quality cognition and assessment. *Cent Eur J Oper Res* 28, 817–840 (2020). <https://doi.org/10.1007/s10100-019-00635-y>
36. Mishchuk, Ievgeniia, Development of Modern Directions of Estimatology in the Economic Security of the Enterprise (December 31, 2020). *Technology audit and production reserves*, 6 (4 (56)), 22-28, 2020. doi: 10.15587/2706-5448.2020.220332, Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=3763181>
37. Nicolescu Basarab. TRANSDISCIPLINARITY – PAST, PRESENT AND FUTURE. Published in *Moving Worldviews - Reshapingsciences, policies and practices for endogenous sustainable development*, COMPAS Editions,Holland, 2006, edited by Bertus Haverkort and Coen Reijntjes, p. 142-166. Available: http://basarab-nicolescu.fr/Docs_articles/Worldviews2006.htm#_ftn1

38. Otlet, P. (1934), *Traité De Documentation: Le Livre Sur Le Livre, Théorie Et Pratique*, Editions Mundaneum: Mons, Belgium
39. Piaget Jean. «L'épistémologie des relations interdisciplinaires», in Léo Apostel et al., 1972. – P. 144.
40. Rummel, R. J. (1994). "Politicide: the murder of any person or people by a government because of their politics or for political purposes.", *Death by government*. New Brunswick, N.J: Transactions Publishers.
41. Rusetsky A., "Metacognitive theory of conflict management for building a new model of positive transformation of the Abkhazian crisis" - Post-Apocalyptic Life Era (PALE 0 2020), https://2ec6cbba-6f09-466b-8623-4b303dfd3785.filesusr.com/ugd/ff9281_ff4c919c684545798f5bdacb1352e8e0.pdf
42. Rusetsky A., Metacognitive theory of conflict management for building a new model of positive transformation of the Abkhazian crisis Conference proceedings, Post-Apocalyptic Life Era (PALE 0 2020), https://2ec6cbba-6f09-466b-8623-4b303dfd3785.filesusr.com/ugd/ff9281_ff4c919c684545798f5bdacb1352e8e0.pdf
43. Zachosova Nataliia, 2019. "Innovative Approach In The Estimatology Of Financial Institutions Economic Security: Possibilities Of Use In Management And Regulatory Activity Within The Means Of Provision Of The State Financial Sec," *Baltic Journal of Economic Studies*, Publishing house "Baltija Publishing", vol. 5(2)
44. Scriven, M. (1991). *Evaluation Thesaurus*. Newbury Park, Sage, 228 pages.
45. Uusikylä, P., & Virtanen, P. (2000). Meta-Evaluation as a Tool for Learning: A Case Study of the European Structural Fund Evaluations in Finland. *Evaluation*, 6(1), 50–65. <https://doi.org/10.1177/13563890022209118>
46. Аполлоний Родосский. Аргонавтика (рус.) / Перевод и примечания Г. Ф. Церетели. — Тбилиси: Мецниереба, 1964. — 1000 экз.
47. Аполлодор. Мифологическая библиотека / Перевод, заключительная статья, примечания, указатель В. Г. Боруховича. — Л.: Наука, 1972.
48. Аппиан. Римская история, XII, 30
49. Боричевский И.А., «Науковедение как точная наука» - «Вестник знания» (1926. № 12).
50. Буковский Вл., "Пацифисты против мира"; Диалог. Издательство: La Presse Libra, Paris, 1982., 17 мая 2003.
51. Гигин. Мифы / Перевод с латинского, комментарий Д. О. Торшилова под общей редакцией А. А. Тахо-Годи. — СПб.: Алетейя, 2000. — 360 с. — (Античная библиотека). — ISBN 5-89329-198-0.

52. Князева Е. Н., Трансдисциплинарные стратегии исследований, Вестник ТГПУ (TSPU Bulletin). 2011. 10 (112)
53. Олейнов А.Г. Введение в экономический анализ политических процессов : учебное пособие / А. Г. Олейнов ; МГИМО(У) МИД России. – М. : Изд-во ЛКИ, 2008. – 143 с. – ISBN 978-5-382-00547-8.
54. Огурцов А.П., «Науковедение как точная наука», в Энциклопедии эпистемологии и философии науки, М., «Канон+»; «Реабилитация», 2009 г., с. 579. <https://vikent.ru/enc/6131/>
55. Павсаний. Описание Эллады / Перевод С. П. Кондратьева под редакцией Е. В. Никитюк. Ответственный редактор проф. Э. Д. Фролов.. — СПб.: Алетейя, 1996. — ISBN 5-89329-006-2.
56. Русецкий А.. «Роль неприбыльных организаций в развитии экономики» 1998. САФ (Материалы для треннгов) Библиотека Хельсинкской Гражданской Ассамблеи
57. Русецкий А., Дорохина О., «Архипелаг Кавказ – мифы и реал-политик», Кавказский институт региональной безопасности, 2009
58. Русецкий А., Дорохина О., Демократические ценности и роль гражданского общества в повышении эффективности переговорных процессов, Материалы международной встречи экспертов, SCIRS, 2005, http://hca.ge/wp-content/uploads/2017/06/Scirs_Democrat_.pdf
59. Сутужко В., 2009 УДК 141.2 ББК 87.1 «Общенаучные аспекты теории оценки»
60. <https://cyberleninka.ru/article/n/obschenauchnye-aspekty-teorii-otsenki>
61. Трубачев О. Н.. Indoarica в Северном Причерноморье / Ответственные редакторы Л. А. Гиндин к И. Б. Еськова. — М.: Наука, 1999. — С. 320. — 1000 экз. — ISBN 5-02-011675-0. http://apsnyteka.org/2857-trubachev_indoarika_v_severnom_prichernomorie_1999.html
62. Флакк В.. Аргонавтика. Книга первая / под общей редакцией А. В. Подосинова. — М.: Импэто, 2013. — 104 с. — ISBN 978-5-7161-0252-1.
63. Шахнович М.М. «И.А. Боричевский (1892-1941) и его докторская диссертация по эпикурейской логике» - «Вопросы философии» - 20.04.2013 г.
64. Шичалин Ю.А., Новая философская энциклопедия, https://gufo.me/dict/philosophy_encyclopedia

დოკუმენტები

